

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაია ჯანგიძე

ტექსტოლოგიური კვლევები გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და
შემოქმედების მატთანსათვის

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის
დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

მაია ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ქეთევან გიგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თელავი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I	
საკვლევი მასალის ძირითადი წყაროები.....	10
§1. დღიურები.....	11
§2. პირადი მიმოწერა.....	31
§3. საარქივო დოკუმენტები.....	38
§4. მოგონებები.....	40
თავი II	
მხატვრული და დოკუმენტური ნარატივები და მათი ინტეგრაცია გურამ რჩეულიშვილთან.....	56
§1. მხატვრულ ტექსტებში ჩართული ტრადიციული დღიურები.....	59
§2. ავტორის სუროგატი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში.....	67
თავი III	
უახლესი მეთოდები და მასალის ფუნდამენტური კვლევა.....	70
§1. გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციების ავთენტურობის საკითხი.....	70
§2. გურამ რჩეულიშვილის ხელწერის სპეციფიკა.....	76
§3. დათარიღება.....	86
§4. პირთა იდენტიფიკაცია.....	100
თავი IV	
მოვლენებით აღსავსე ცხოვრების ანარეკლი მწერლის თხზულებებში.....	111
§1. ურთიერთობები.....	111
§2. კულტურული ცხოვრება.....	113
თავი V	
გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში.....	118
§1. ინტერტექსტები.....	118
§2. მწერლის ლიტერატურული შეხედულებები.....	122

დასკვნა.....	135
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....	144

შესავალი

ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეები, ანუ ბიობიბლიოგრაფიები, პიროვნებათა შესახებ არსებული ყველაზე ამომწურავი საცნობარო ხასიათის გამოცემებია [ნინიძე, გიგაშვილი, 2018, 17-18]. ისინი ქრონოლოგიურად აღწერს ცნობილი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობას, მაგრამ ამ გამოცემათა მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული ადამიანების ბიოგრაფიათა აღწერით, რადგან მათში წარმოდგენილი მასალა თითქმის ყოველთვის ირეკლავს შესაბამის ეპოქას და აქვს ფართო ისტორიულ-კულტურული ღირებულება.

არსებობს გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეების არა მხოლოდ ბეჭდური გამოცემები, მაგალითად, ჰემინგუის [Chamberlin, 2015], არამედ ელექტრონული წიგნებიც, მაგალითად, ჯონ დიუსის (Levine, 2019) და სპეციალური ვებგვერდებიც, მაგ. რობერტ ბერნსის [Burns, 2019]. თითოეული ასეთი ბიობიბლიოგრაფია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერთათვის. ჰემინგუის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანის რეცენზიაში ამ წიგნის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ მწერლის შემოქმედების ყველა მომავალი მკვლევრისთვის იგი იქნება არა უბრალოდ საინტერესო, არამედ სრულიად ფასდაუდებელი და რომ მას გვერდს ვერ აუვლის ჰემინგუის ვერც ერთი სერიოზული მკვლევარი. იგივე შეიძლება ითქვას კარგად შედგენილ თითოეულ ბიობიბლიოგრაფიულ გამოცემაზე, რადგან ინფორმაციული თვალსაზრისით სრულ ბიობიბლიოგრაფიას იმავე მწერალთან დაკავშირებული ვერც ერთი სხვა ტიპის გამოცემა ვერ შეედრება.

ქართველ მეცნიერებს ილია გორგაძესა და ნოდარ გურგენიძეს მომზადებული და გამოცემული აქვთ ქართველი კლასიკოსების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგისა და იაკობ გოგებაშვილის მატრიანეები, მაგრამ მათში აისახა მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც იმ დროისათვის უკვე არსებობდა და შეტანილი იყო სხვადასხვა პუბლიკაციებსა და სამეცნიერო ნაშრომებში. ამ წიგნებში არ შესულა მასალა, რომლის ავტორობაც დადგენას საჭიროებდა, ტექსტები და მოვლენები, რომლებიც დასათარიღებელი იყო, პირთა ვინაობა, რომლებიც გაურკვეველი იყო.

2014 წელს მეცნიერთა ჯგუფმა დაამკვიდრა ინოვაციური მიდგომა - მატიანის შედეგის პროცესის ინტეგრირება ტექსტოლოგიურ კვლევებთან და ამ გზით განხორციელდა ცნობილი ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის, უკვე არსებული მატიანის გამდიდრება. ჩატარდა მრავალმხრივი ფუნდამენტური კვლევები [ნინიძე, 2016], შეიქმნა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანის ელექტრონული გამოცემა [ნინიძე, ამირხანაშვილი, 2017] და წიგნი ითარგმნა ინგლისურად [Ninidze, Rukhadze, 2017], რამაც მასში წარმოდგენილი მასალა ხელმისაწვდომი გახადა საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ახალი მატიანე სამჯერ დიდი მოცულობისაა და მეცნიერული სანდოობის თვალსაზრისით ბევრად უფრო სარწმუნოა. მას ახლავს სამეცნიერო აპარატი, რომელშიც წარმოდგენილია ყველა ის წყარო, რომელსაც ეყრდნობა ანოტაციებში შეტანილი ინფორმაცია. გარდა ამისა, ამ სამეცნიერო აპარატის ნოვაცია არის ისიც, რომ მასში არის რუბრიკები: ატრიბუცია, დათარიღება, პირთა იდენტიფიკაცია და პირთა ანოტირება. შესაბამისად, მკითხველს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ფაქტებთან ერთად მიეწოდება ყველა ის დამატებითი ინფორმაცია, რაც ამ ანოტაციას უკავშირდება. ასეთი სახის აკადემიური აპარატი მატიანეს კიდევ უფრო საინტერესოს და მნიშვნელოვანს ხდის მეცნიერთათვის.

მატიანის შექმნის ინტეგრირებამ ფუნდამენტურ კვლევებთან იმდენად კარგი შედეგი გამოიღო, რომ გაჩნდა სურვილი შექმნილიყო სხვა ქართველ კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეებიც. ამჯერად, კვლავ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს მუშაობა გრიგოლ ორბელიანისა და გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეების შექმნაზე. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საშურია მე-20 საუკუნის მწერალთა მატიანეების შექმნა, რადგან სახელოვან ადამიანთა გარდაცვალების შემდეგ მათ შესახებ არსებული ცოცხალი ინფორმაცია თანდათანობით იკარგება. მნიშვნელოვანია, რომ მათი ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეები და სრული ბიოგრაფიები შეიქმნას თანამედროვეთა სიცოცხლეშივე, როცა მეტი საშუალება არსებობს როგორც ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავებისგან ინფორმაციის მოპოვების, ისე წყაროებისა და დოკუმენტების თავმოყრა-შენახვისათვის.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ზემოხსენებული ამ ორი მნიშვნელოვანი გამოწვევის დაკმაყოფილებას. მასში წარმოდგენილია კვლევები, რომლებიც ჩატარდა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი პოპულარული ქართველი მწერლის - გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატანის შესაქმნელად. ნაშრომში ასახულ მეცნიერულ მიზეზებს წინ უსწრებდა მწერლის არქივის დიגיტალიზაცია და კატალოგიზაცია. ნაშრომს დანართის სახით ერთვის ჩვენ მიერ შედგენილი 97-გვერდიანი კატალოგის პირველი, შუა და ბოლო გვერდები, ერთეულების აღწერილობით და ციფრულ არქივში მათი რიგითი ნომრების მითითებით (იხ. დანართი N1).

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა უაღრესად აქტუალურია, რადგან იგი უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ არ შექმნილა არც ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელშიც განხილული არ იქნებოდა მისი ნაწარმოებები. 2005 წელს „სალამურა“ დაიბეჭდა კრებულში „10 საუკეთესო ქართული მოთხრობა“, 2008 წელს „ალავერდობა“ - გამოცემაში „ყველა დროის 20 საუკეთესო ქართული მოთხრობა“, 2009 წელს „სიკვდილი მთებში“ - ორტომეულში „ლიტერატურული შედეგები“, ხოლო 2010 წელს „ბაბუა კოტეს შემოდგომა“ - კრებულში „ქართული ლიტერატურის კლასიკოსები ბავშვებისათვის“. საგულისხმოა, რომ ამ რჩეულებში გამოქვეყნდა და საუკეთესოთა შორის იქნა მიჩნეული მისი არა ერთი, არამედ სხვადასხვა მოთხრობა¹. მისი თხზულებები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, რუსულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ და თურქულ ენებზე, 2017 წელს კი კრებულში „კარს მიღმა“ გამოქვეყნდა ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შესრულებული მისი სამი ნოველის ინგლისური თარგმანი [Rcheulishvili, 2017, 37-42].

გურამ რჩეულიშვილის სახელი შეტანილია განათლებისა და მეცნიერების

¹ გურამ რჩეულიშვილის მცირე ჟანრის ერთსა და იმავე პროზაულ თხზულებებს ზოგი „მოთხრობად“ მოიხსენიებს, ზოგი - „ნოველად“. რამდენადაც წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ამოცანა არ არის ჟანრის თეორიის საკითხებში ჩაღრმავება, მასში, ძალზე ტიპური ნოველების გარდა, ყველა ასეთი ტექსტი მოთხრობად იქნება მოხსენიებული.

სამინისტროს მიერ შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმისთვის თანდართულ რეკომენდებულ მწერალთა ჩამონათვალში, ხოლო მოთხრობები იბეჭდება სხვადასხვა ავტორის გრიფირებულ სახელმძღვანელოებში. მისი თხზულებები ისწავლება უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, მის შესახებ დაწერილია მოგონებები (მარინე რჩეულიშვილის, ნუგზარ წერეთლის, გიორგი შატერაშვილისა და სხვ.), ცნობილი რეჟისორების მიერ გადაღებულია დოკუმენტური და მხატვრული ფილმები (გიორგი შენგელაიას „ალავერდობა“, ნოდარ მანაგაძის „გაზაფხული გადის“, იასე ცინცაძის „საუკუნის პორტრეტები - გურამ რჩეულიშვილი“), მომზადებულია საგანგებო ტელე და რადიო გადაცემები („გურამ რჩეულიშვილი და მისი ეპოქა“, „ეპოქის სახელები“ და სხვ.), ინტერნეტ სივრცეში განთავსებულია ვიდეო ლექციები მისი შემოქმედების შესახებ (მაგ. გაი არგანაშვილის) და თხზულებათა აუდიოჩანაწერები (მაგ. მურმან ჯინორიას). მას ეძღვნება ცნობილი პოეტების ლექსები (მაგ. ლია სტურუას, ნუგზარ წერეთლის, მურმან ლებანიძის და სხვ.) და გამოჩენილი მხატვრების პორტრეტები (მაგ. ესმა ონიანის), მისი სახელი ჰქვია კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს, თბილისის ქუჩას და სკოლას (30-ე საშუალო სკოლა), არსებობს მისი სახელობის საზოგადოება და ლიტერატურული პრემია.

გურამ რჩეულიშვილი გამორჩეულია არა მხოლოდ თავისი მაღალმხატვრული შემოქმედებით, არამედ ცხოვრებითა და გარდაცვალებითაც (მან თავი შესწირა აზოხოქრებული ზღვიდან სამი ადამიანის ხსნას). გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ მისი ყოველდღიურობა, მხატვრული შემოქმედება და დოკუმენტური ნაწერები ერთმანეთთან ძალზე მჭიდრო კავშირშია, ერთ მთლიანობას წარმოადგენს და მათი სრული სურათი მკითხველს ხელს შეუწყობს თითოეულის უკეთ აღქმაში. მწერლის ცხოვრების დეტალური ანალიზი და მოვლენათა ქრონოლოგიური წარმოჩენა ასევე დაგვეხმარება ეპოქის სულისკვეთების, ქართველი ადამიანის ხასიათისა და ფსიქოტიპის თავისებურებათა გააზრებაში.

მიუხედავად გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების საყოველთაო აღიარებისა, დღემდე არ არსებობდა არც მის თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფია და არც მეტ-ნაკლებად ამომწურავი ბიოგრაფია. წინამდებარე ნაშრომის მნიშვნელოვანი სიახლე არის ის, რომ თანამედროვე მეთოდოლოგიითა და ციფრული ტექნოლოგიების

გამოყენებით ჩატარებული კვლევები უზრუნველყოფს მწერლის სრული ბიობიბლიოგრაფიის შექმნას.

ფუნდამენტური კვლევებისას ძალზე მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიისა და სტრატეგიის სწორი შერჩევა. ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდებიდან განსაკუთრებით ეფექტური იყო კორპუსული კვლევისა და ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდები. მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ხშირად მივმართავდით: ისტორიულ-შედარებით, ინდუქციურ, დედუქციურ, გამორიცხვისა და შემოქმედებით მეთოდებსაც.

2002-2007 წლებში მწერლის დამ - ქალბატონმა მარინე რჩელიშვილმა გამოსცა გურამ რჩელიშვილის თხზულებათა სრული კრებული ექვს ტომად, რომელსაც თან ერთვის ვრცელი ტექსტოლოგიური შენიშვნები და კომენტარები. კვლევისას სწორედ ეს გამოცემა და ჩვენ მიერ შექმნილი ციფრული არქივი წარმოადგენდა ძირითად დასაყრდენ წყაროს. ასეთი ავთენტური წყაროების არსებობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს და კვლევის ეფექტურობაც მნიშვნელოვანწილად ამან განაპირობა.

მწერლის შემოქმედებას ეძღვნება ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომები. 2014 წელს საგანგებოდ მისი შემოქმედების განხილვას დაეთმო ჟურნალ „კრიტიკის“ IX ნომერი, რომელშიც ცნობილი ქართველი მეცნიერების არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოქვეყნდა. მიუხედავად ამისა, დღემდე მის შემოქმედებასთან დაკავშირებულ ხელნაწერთმცოდნეობით და ტექსტოლოგიურ საკითხებს მეცნიერები ვერ ეხებოდნენ, რადგან არქივი ხელმიუწვდომელი იყო. 2018 წელს „ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციის“ (რომელიც „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა), ძალისხმევით, აღინუსხა მწერლის ოჯახში დაცული პირადი არქივის თითოეული ფურცელი, შეიქმნა კატალოგი და ხელნაწერების მაღალრეზოლუციიანი ციფრული ასლები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს ავტოგრაფების მეცნიერულ შესწავლას. 2020 წელს დაიწყო ამ მასალის ატვირთვა ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელზე“ და იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.

არქივის დიגיტალიზაციასა და კატალოგიზაციაზე მუშაობა წარმოებდა გურამ რჩელიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების საუკეთესო მცოდნის, მწერლის დის -

ქალბატონ მარინე რჩეულიშვილის ოჯახში მისივე ხელმძღვანელობით, რომლის კონსულტაციებსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომისთვის დაგეგმილი კვლევების განსახორციელებლად.

ჩვენი მიზანი იყო უახლესი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფუნდამენტურად შეგვესწავლა გურამ რჩეულიშვილის როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ნაწერები, ხელნაწერებიდან ამოგვეკითხა გაურკვეველი პასაჟები, დაგვეზუსტებინა ტექსტები, გვეწარმოებინა კვლევები ტექსტებისა და მოვლენების დათარიღებისა და თხზულებებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიცირებისათვის და ამით მყარი საფუძველი შეგვექმნა შემდგომი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისათვის.

ნაშრომს აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება „გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატეანის“ შესაქმნელად, მიღებულ განზოგადებებსა და დასკვნებს კი ექნება თავისთავადი, თეორიული მნიშვნელობა. ისინი ღრმად და მრავალმხრივად ასახავს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ქართველი კლასიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებას და ნიადაგს მოუმზადებს შემდგომ ფუნდამენტურ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით.

ტექსტოლოგიური კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მთავარი დასაყრდენია, რადგან ისინი უზრუნველყოფს ტექსტის ავთენტური სახის დადგენას და მასთან დაკავშირებული ისეთი ძიებების წარმოებას, რომლებიც აუცილებელია შინაარსისა და მიზანდასახულობის სრულყოფილი აღქმისათვის. ასეთია, მაგალითად, დათარიღება, პირთა იდენტიფიკაცია, კვლევები კომენტირებისათვის და სხვ. სწორედ ასეთი სახის ფუნდამენტური ძიებების შედეგად მიღებული დასკვნები დაგვეხმარა იმაში, რომ ახალი თვალთ შეგვეხედა მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებული ცალკეული ასპექტებისთვის, მაგალითად, მის მხატვრულ ნაწარმოებებში გამოყენებული ინტერტექსტებისთვის, საბჭოთა ცენზურისადმი, ადგილობრივი და მსოფლიო კლასიკოსებისადმი მისი დამოკიდებულებისთვის და სხვ.

თავი I

საკვლევი მასალის ძირითადი წყაროები

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში შედის მხოლოდ ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია. ამიტომ ამ ტიპის გამოცემისთვის მთავარი დასაყრდენია დოკუმენტური და მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები: პირადი წერილები, დღიურები, სხვადასხვა სახის ჩანაწერები, განცხადებები, ოქმები, საბუთები და სხვ. ეს მასალა შეიძლება იყოს როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი.

ავტორისეული ტექსტების ავთენტურ წყაროებად ითვლება მხოლოდ ავტოგრაფები, ავტორიზებული ხელნაწერები ან მანქანაზე გადაბეჭდილი ასლები და სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციები. რა თქმა უნდა, მკვლევრებს დიდ დახმარებას უწევს გარდაცვალების შემდგომი გამოცემებიც, მათ შორის, აკადემიური, მაგრამ მათი გამოყენებისას, მეცნიერული სანდოობისთვის თითოეული ინფორმაციის შედარება-გადამოწმება ხდება ზემოთ დასახელებულ ავთენტურ წყაროებთან.

გურამ რჩელიშვილის სიცოცხლეში გამოქვეყნდა მისი მხოლოდ რამდენიმე მოთხრობა, დანარჩენი კი შემოგვრჩა ავტოგრაფების სახით. გარდაცვალების შემდეგ მისი თხზულებები ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა კრებულსა და ჟურნალებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად და ქვეყნდებოდა სტატიები მათ შესახებ. ეს მასალა მატთანში ანალიზის გარეშე არ შეგვაქვს. თუ დგინდება, რომ მათში არის რაიმე ისეთი, რის შესახებაც ავთენტური წყაროები არ მოგვეპოვება, ვატარებთ ფუნდამენტურ კვლევებს მათ გადასამოწმებლად.

ქვემოთ ცალ-ცალკე გვაქვს განხილული ობიექტური ინფორმაციით ყველაზე მეტად დატვირთული ჟანრები: დღიურები (მათ შორის მხატვრულ-დოკუმენტურიც), პირადი წერილები, სხვადასხვა სახის საარქივო მასალა და მოგონებები. დოკუმენტური პროზიდან და საბუთებიდან მასალის ამოკრება მატთანისთვის პირდაპირ ხდება, მხატვრულ-დოკუმენტურ პროზასთან მიმართებით კი ტარდება კვლევები იმის გასარკვევად, თუ სად გადის დოკუმენტურობის მიჯნა. რაც შეეხება

მოგონებებს, მათში წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება შესაძლებელი ხდება ავთენტური წყაროების მონაცემებთან მათი შეჯერებით.

§1. დღიურები

დღიური, როგორც ავტობიოგრაფიული დოკუმენტური ჟანრი: საკუთარი ან სხვისი ცხოვრების შესახებ წერა ადამიანებმა მრავალი ასეული წლის წინ დაიწყეს. მიჩნეულია, რომ ჩვენამდე მოღწეული პირველი ავტობიოგრაფიული ტექსტი ეკუთვნის IV-V საუკუნეების ცნობილ თეოლოგსა და სასულიერო მოღვაწეს, ნეტარ ავგუსტინეს [Olney, 1998. 2]. მისი „აღსარებანი“ არის საკუთარი არსების შიგნით წარმოებული კრიტიკული ძიებები, რომელთა მიზანი თვითშემეცნებაა [Stock, 1998, 13]. განსაკუთრებული აღმავლობა ადამიანთა ცხოვრების დოკუმენტურმა აღწერამ დაიწყო მე-18 საუკუნეში და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება [Smith, Watson 2002, 103-126]. თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში ახალი ტერმინიც კი გაჩნდა - „ცხოვრებაზე წერა“ (life writing) (Green, 2008), რომელიც აერთიანებს ისეთი ჟანრისა და ტიპის ტექსტებს, როგორებიცაა: მოგონება, ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, დღიურები, წერილები, CV, პროფესიული ესე, სოციალური ქსელი, ბლოგი, ელექტრონული ფოსტა და სხვ. დოკუმენტური ხასიათის ეს ტექსტები სულ უფო მეტ ადგილს იკავებს ჩვენს ცხოვრებაში.

მწერალთა დღიურებში, რიგითი ადამიანების პირადი დღიურებისაგან განსხვავებით, იგრძნობა განსაკუთრებული დამოკიდებულება სიტყვისადმი. გარდა ამისა, მათში, თუ თავიდანვე არა, რაღაც ეტაპზე მაინც, იმპლიციტურად ხდება იმის დაშვება, რომ ტექსტი შეიძლება გამოქვეყნდეს. მწერლის დღიურები შეფასებითი ხედვით და აღწერილი სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ისინი უფრო მიზანმიმართულია და გარკვეული იდეის განხორციელებას ემსახურება. მწერლები თავიანთ დღიურებში ხშირად იყენებენ დოკუმენტურ მტკიცებულებებს, საკუთარი დაკვირვებების შედეგებს, ადამიანთა საუბრების ფრაგმენტებს, ამონარიდებს წერილებიდან და სხვ. ამ თვალსაზრისით დღიური უახლოვდება პუბლიცისტიკის ისეთ ჟანრებს, როგორებიცაა ნარკვევი, პამფლეტი და ფელეტონი.

დღიური, თავისი არსით ახლოს არის ავტობიოგრაფიასთან, რადგან ორივე

ჟანრში ადამიანი აღწერს საკუთარ ცხოვრებას, მაგრამ დღიური უფრო სარწმუნოა, რადგან ავტობიოგრაფიის წერისას ავტორს უხდება წარსულის, ზოგჯერ ძალზე დიდი ხნის წინ მომხდარი ფაქტების, გახსენება და სიტუაციების რეკონსტრუქცია, რაც ჩვენი მეხსიერების შეზღუდული შესაძლებლობების გამო, შეიძლება ზუსტად ვერ მოხერხდეს. სწორედ ამიტომ ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი ჟან-პოლ სარტრი სკეპტიკურად უყურებდა მოგონებებს და წერდა, რომ „რეტროსპექტივას ფესვები ილუზიაში აქვს“² [Eakin, 1985. 182].

ავტობიოგრაფიულ (საკუთარი თავისადმი მიმართულ) ჟანრებში ტექსტის ავტორი და რეციპიენტი, ფუნქციონალური განსხვავების მიუხედავად, ერთი და იგივე პირია. ეს არის დღიურის მთავარი ჟანრობრივი მახასიათებელი. ის ავტობიოგრაფიული და ავტოკომუნიკაციური ტექსტია. დღიურის საკომუნიკაციო-სემიოტიკურ მოდელში ავტორი და ადრესატი ურთიერთკავშირშია და ურთიერთგანპირობებულია.

რამდენადაც დღიურებს ადამიანები საკუთარი თავისთვის წერენ და არა გამოსაქვეყნებლად, ხშირად ისმის კითხვა, რამდენად სწორია მათი გამოქვეყნება. 1967 წელს ლონდონში გამოიცა ცნობილი ანთროპოლოგის, ბრონისლავ მალინოვსკის, დღიურები. მისი მეუღლე, რომელმაც მიიღო მათი გამოქვეყნების გადაწყვეტილება, წერს: „ალბათ, ბევრი იტყვის, რომ დღიური ძალიან პირადულია და არ უნდა გამოქვეყნებინა, მაგრამ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ჩემი მეუღლის ნაშრომების მკითხველები უფრო ახლოს გაეცნონ მას, დაინახონ, როგორი იყო მისი ცხოვრების წესი და ფიქრები ცნობილ გამოკვლევებზე მუშაობისას“ [Malinowski 1967: viii-x]. მართლაც, დღიურებს ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის, რომ დღიურის ავტორი საკუთარი თავის ასოცირებას ახდენს გარკვეულ სოციალურ როლებთან, რომლებიც მას აქვს ოჯახური ურთიერთობების გარეთ, დღიურებშიც აისახება. ბუნებრივია, მწერლის „მე“ ნაწილობრივ მხატვრულ ნაწერებშიც ირეკლება, მაგრამ დღიურებში უფრო მკვეთრად ჩანს მისი ცოცხალი სახე

² ნაშრომში გამოყენებული ინგლისური ციტატების თარგმანი ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ მაია ნინიძეს, გერმანულისა და რუსულებისა - ნაშრომის ავტორს - მაია ჯანგიძეს.

და მკაფიოდ ისმის მისი ინდივიდუალური ხმა.

საინტერესოა, რომ ცნობილი რუსი მწერალი თეოდორ დოსტოევსკი 1870-80-იან წლებში ჯერ უძღვებოდა ჟურნალის რუბრიკას „მწერლის დღიურები“, შემდეგ კი გამოსცემდა მონოჟურნალს ამავე სათაურით [Бахтин, 2013, 33-44]. ამ ტექსტებში შერწყმულიყო დოკუმენტური და მხატვრული ნარატივები. დღიურების გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათში წარმოდგენილი ტექსტები ფასდაუდებელი მასალაა სხვადასხვა დარგის მეცნიერთათვის: ლინგვისტების, ლიტერატურათმცოდნეების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების კულტუროლოგებისა და სხვათათვის.

დღიურის ერთადერთი ფორმა ავტობიოგრაფია არ არის. მასში ავტორის მონოლოგს და დიალოგს საკუთარ თავთან ზოგჯერ ენაცვლება კომუნიკაცია ვირტუალურ ან რეალურ თანამოსაუბრესთან. მკვლევარ ტატიანა კალშჩიკოვას აზრით, დღიურში იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად შეიძლება იყოს რეალური ან სავარაუდო ადრესატები [Кальщикова, 2012, 8]. იშვიათად თავად დღიურებშივე გვხვდება ტექსტები, რომლებშიც საუბარია მათ პოტენციურ მკითხველზე. ზოგი წერს, რომ სურვილი აქვს მისი დღიური სხვებმაც ნახონ, წაიკითხონ და გაიზიარონ მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, ან თავიდან აიცილონ დღიურის ავტორის მიერ დაშვებული შეცდომები.

ავტობიოგრაფიულობა, როგორც დღიურის ჟანრობრივი დომინანტი, განაპირობებს თხრობის სუბიექტურობას. ზოგიერთი ავტორი ისეთ სიახლოვეს განიცდის დღიურთან, გული სწყდება, რომ ის მის კითხვებს ვერ პასუხობს და მასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა არ შეუძლია. მეორე მხრივ, დღიური კომფორტული თანამოსაუბრეა, რომელიც ყურადღებით გისმენს, არ გაჩქარებს, არ გაწყვეტინებს, არაფერს ჩაგეკითხება და არ განგიკითხავს [Рабенко, 2018, 80].

კორნეი ჩუკოვსკი დღიურების წინასიტყვაობაში წერს: „ვისთვის არის ეს წინასიტყვაობა? მისთვის, ვინც ჩემს შემდეგ იქნება ჩემს ადგილზე. ჩემი შთამომავლისთვის. მე დავუტოვებ მას ამ ქაღალდებს და ის, ასე 300 წლის შემდეგ აღფრთოვანებით დაიწყებს მათ ზერეულე გადათვალთვლებას“ [Чуковский, 2013, 34]. ლევ ტოლსტოი თავის დღიურებს ახლობლებს აკითხებდა და ისინი ეხმარებოდნენ მათ გადაწერაში, მაგრამ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მწერალმა გადაწყვიტა

ცალკე ეწარმოებინა ის დღიურები, რომლებსაც არავის წააკითხებდა და იქნებოდა მხოლოდ მისთვის. მას იგი უწოდებს „ნამდვილ დღიურებს, მხოლოდ საკუთარი თავისთვის დაწერილს“ [Толстой, 1985, 413-424].

დღიურთან დიალოგური ურთიერთობებისას ხდება მისი „გასულიერება“ და გარკვეული თვისებების მიწერა. ავტორები დღიურს ზოგჯერ ესაუბრებიან, როგორც მეგობარს, ერთადერთ მესაიდუმლეს და სხვ. დღიურებში ავტორები ხშირად სახელდებითაც კი მიმართავენ საკუთარ თავს: „ყურადღებით იყავი, ნატაშა“, „ყოჩაღ, ნადია“ და სხვ [Рабенко, 2018, 77]. ასეთი თვითადრესაცია გურამ რჩეულიშვილთანაც გვხვდება. 1956 წლის 15 მარტის დღიურში ვკითხულობთ: „გესმის, გურამ, ვინ მოგცემს, ან ვის უთხრა, ყველას თავი გასჭირვებია“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 25].

თუ ავტორი აპირებს დღიურების გამოქვეყნებას, მაშინ მათი ინტიმურობა, იდუმალეობა იკარგება. ეს განზრახვა არღვევს ჟანრის სპეციფიკას, რადგან მკითხველის გათვალისწინებისას დღიური გამოდის ავტოადრესაციის ჩარჩოებიდან.

დღიურის წარმოების მიზნები და ფუნქციები: სხვადასხვა მწერალს დღიურების წერისას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდეს. რუსი ლიტერატურათმცოდნის - ლიდია გინზბურგის აზრით, ლევ ტოლსტოის დღიურებში, ყოველდღიურობის აღწერის გარდა, იკვეთება სხვადასხვა მიზანი: მორალური განვითარება, სამწერლო დაოსტატება, ლიტერატურული ხერხებისა და მეთოდების აპრობაცია და სხვ. [Гинзбург, 1977, 74]. დღიურების წერა ზოგჯერ ადამიანს აძლევინებს მარტოობის განცდას და გადაალახვინებს უბედურებას. მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნის - ალექსანდრ ბოლდირევის დღიურებში დაწვრილებით არის აღწერილი მეორე მსოფლიო ომში ლენინგრადში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი) ბლოკადის დროს მოხვედრილი ადამიანების განსაცდელეები და განცდები. 1942 წლის 15 დეკემბრის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ იგი დღიურებს ნივთმტკიცების ფუნქციას აკისრებდა, რომელსაც ოდესმე გამოიყენებდნენ ნაცისტების სამსჯავროზე გასაყვანად: „ახლა უკვე მესმის, რომ ეს ჩანაწერები დიდი საქმეა, იგი ჭეშმარიტი, პირუთვნელი მოწმეა განუმეორებელი დროისა და ოდესმე მის ჩვენებას მოისმენენ“ [Болдырев, 1998, 225].

დღიურის წერა ერთგვარი კულტურული თამაშით არის. გარკვეულ დროს და ადგილას იგი ტრადიციად იქცევა და მასში ებმებიან კონკრეტული კულტურული

წრების წარმომადგენლები. დღიური პოლიფუნქციური ჟანრია. მას არაერთი ფუნქცია აქვს, რომელთა უმეტესი ნაწილი თავად ავტორს უკავშირდება. ერთ-ერთი ფუნქციაა აღსარებითი, ავტოფსიქოთერაპიული. დღიურის ავტორს შეუძლია შეუზღუდავად ისაუბროს აბსოლუტურად ყველაფერზე, გული ბოლომდე გადაშალოს.

ავტოკოგნიტურ-სოციალიზაციური ფუნქცია ეხმარება ავტორს თვითშემეცნების ორგანიზებასა და რეგულირებაში. დღიურის საშუალებით იგი ახდენს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის აქტუალიზებას, მასალის ანალიზირებას და რეორგანიზებას, რაც ხელს უწყობს თვითშემეცნებაში, თვითგამოხატვასა და თვითრეალიზებაში („მე ხატის“ შექმნაში). რუსი პოეტის - ვასილი ჟუკოვსკის დღიურში დასმულია შეკითხვები: „როგორი ვარ მე? რა არის ჩემში კარგი? რა არის ცუდი? რა არის გამოწვეული მდგომარეობებით და რა - ბუნებით? რა შეიძლება შევიძინო და როგორ? რა უნდა გამოვასწორო და როგორ?“ და იქვე წერია, რომ ყოველივე ამაზე ნელ-ნელა გაეცემა პასუხები მის დღიურებში [Жуковский, 1903, 12].

დღიურის რელაქსაციურ-თერაპიული ფუნქცია ეხმარება ავტორს ემოციური დაძაბულობის მოხსნაში მოზღვავებული განცდების რეფლექსირებით და ქალაქდზე გადატანით. რუსმა მწერალმა იური ნაგიბინმა სიცოცხლეშივე გამოაქვეყნა თავისი დღიურები და გამოხატა საკუთარი განწყობაც ამ ჩანაწერების მიმართ. მისი თქმით, დღიურში ირეკლება ცხოვრების განვლილი დღეები. ერთგან წერს: „მე ვწერდი არა ჩემს თავზე აღებული რაიმე მოვალეობის გამო, არამედ ემოციების ნებით. ჩემი ჩანაწერები არის ამოსუნთქვის სურვილი. წერას ვიწყებდი, როცა ვგრძნობდი, რომ ჰაერი არ მყოფნიდა და შეიძლება სუნთქვა შემკვროდა თუ განცდებს ფურცლებზე არ გადმოვაფრქვევდი“ [Нагибин, 1996, 4-10].

ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი შინაგანი სამყაროს რეპრეზენტაციის ფუნქცია. იმას, რაც ადრე მხოლოდ ავტორის განცდებში არსებობდა, დღიურის მეშვეობით უკვე აქვს გარკვეული ფორმა, ვერბალიზებულია და სხვებსაც შეუძლიათ აღიქვან. საინტერესო და სპეციფიკურია დღიურის ლიტერატურულ-შემოქმედებითი ფუნქცია, რადგან ავტორი მასში გვევლინება სხვადასხვა ჰიპოსტასში, მაგალითად, როგორც მიამიტი მწერალი, მემატთანე-ისტორიკოსი და სხვ. დღიურის ერთ-ერთი ფუნქციაა, რომ ადამიანის გონება განტვირთოს, გაათავისუფლოს მოჭარბებული

მოგონებებისგან. როდესაც რაღაცას ვიწერთ, ვითავისუფლებთ გონებას იმის იმედით, რომ იმის გახსენება, რაც ჩავიწერთ, ნებისმიერ დროს შეგვეძლება.

დღიურს აქვს კულტურული მეხსიერების ფუნქციაც, რადგან მისი ავტორი, ნებისმიერ შემთხვევაში, აღწერს არა მხოლოდ საკუთარ ცხოვრებას, არამედ მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებსაც. დღიურის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ეს ფუნქცია ზოგჯერ წამყვანია. ასეთია, მაგალითად, იოჰან ეკერმანის „საუბრები გოეთესთან“, რომელიც დღიურების ფორმით არის ჩაწერილი [Эккерман, 1986]. გურამ რჩეულიშვილის დედამ, ქ-ნმა მარიამ ნიჟარაძემაც იმიტომ დაიწყო დღიურების წერა, რომ თავი მოეყარა შვილის ცხოვრების შესახებ არსებული მასალისთვის და იგი მკითხველისთვის შემოენახა. როდესაც მწერალმა ამის შესახებ გაიგო, თავის დას, ქ-ნ მარინე რჩეულიშვილს, უთხრა: „ძალიან კარგი, ყველაფერი იქნება საჭირო მერე“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 117]. დღიურს აქვს ერთგვარი ანდერძის ფუნქციაც. მას თითქოს ვუტოვებთ მომავალ თაობას. დღიურს, როგორც გულწრფელ ტექსტს საკუთარი თავის შესახებ, აქვს ავტორის პიროვნების იდენტობის დოკუმენტირების ფუნქციაც.

დღიური ავტორს ეხმარება საკუთარი შინაგანი ცხოვრების სტრუქტურირებაში, რადგან ვიდრე რამეს ქალაქში გადაიტანდეს, უხდება მისი გააზრება და დალაგება. ცნობილი რუსი მემუარისტი - ტატიანა სუხოტინა-ტოლსტოი, რომელიც 14 წლიდან წერდა დღიურებს, აღნიშნავს: „როცა რაღაცას იწერ, გონებაში ყველაფერს ნათელი ეფინება“ [Сухотина-Толстая, 1984, 121].

დღიურების წარმოება მომავალ მწერალს ეხმარება როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვების მიმართ ყურადღების გამომუშავებაში, თვითნაწილის განვითარებაში, გულწრფელობაში, დაკვირვებულობაში, სიტყვის რაფინირებაში, გემოვნების დახვეწაში, ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში, ფრაზის ოპტიმიზებაში, სრულყოფაში. დღიურის წერა მწერლისთვის ვარჯიშია, ეს მისი სახელოსნოა. აქ ვპოულობთ შემოქმედებით ჩანაფიქრებს. აქ ხშირად სინთეზირებულია დოკუმენტური, მხატვრული და ბიოგრაფიული საწყისები. დღიურის ასეთი ჟანრობრივი თვისება განსაზღვრავს მის ადგილს დოკუმენტურ ლიტერატურაში, „მემუარებს, ეპისტოლეებსა და უბის წიგნაკებს შორის“ [Танчин, 2005, 4].

დღიური ხელს უწყობს პიროვნულ სუბლიმაციას. ის არის ინფორმაციულ-შეფასებითი განზრახვის რეალიზების განსაკუთრებული ფორმა. ადამიანი იწერს იმას, რაც მისთვის ფასეულია [Рабенко, 2018, 87]. ლევ ტოლსტოის ერთი დღიურიდან კარგად ჩანს, როგორ იშველიებს დღიურს მისი ავტორი საკუთარი განვითარების მისაღწევად. მასში ვკითხულობთ: „მნიშვნელოვნად შევიცვალე, მაგრამ ჩემს საქმიანობაში ჯერ კიდევ ვერ მივალწიე სრულყოფილების იმ დონეს, რომლის მიღწევასაც ვისურვებდი. ან არ ვასრულებ იმას, რასაც საკუთარ თავს ვთხოვ ან რასაც ვასრულებ, ვასრულებ ცუდად [Толстой, 1985, 9].

სამეცნიერო კვლევები დღიურის ჟანრობრივი თავისებურებების შესახებ: დღიური იმდენად საინტერესო და სპეციფიკური ჟანრია, რომ მის შესწავლას არაერთი სამეცნიერო სტატია და წიგნი ეძღვნება. დღიურის ავტოკომუნიკაციურ ხასიათზე ყურადღება პირველად გაამახვილა ცნობილმა მეცნიერმა იური ლოტმანმა. მისი აზრით, „მე - მე“ კომუნიკაციის დროს, ხდება მიმღები „მე“-ს ფუნქციური გაიგივება მესამე პირთან [Лотман, 2000, 164]. ამ საკითხს კიდევ უფრო ღრმად განიხილავს მეორე ცნობილი მეცნიერი - მიხეილ ბახტინი წიგნში „სამეტყველო ჟანრის პრობლემები“ [Бахтин, 1996, 205].

მიხეილ მიხეევის ნაშრომში „დღიური, როგორც ეგო-ტექსტი“, განხილულია დღიურების ტიპები მათი შემქმნელი ადამიანების პროფესიების მიხედვით, შესწავლილია დღიურისა და ისტორიული კონტექსტის ურთიერთმიმართება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები [Михеев, 2007]. ზოგიერთი მეცნიერი ავტორისა და ადრესატის თანხვედრას დღიურის ტექსტებში ადარებს პიროვნების გახლეჩას „ორ, იერარქიულად არათანაბარი მნიშვნელობის მქონე სუბიექტად“ [Арутюнова, 1981, 361]. ამის გამო დღიურის ავტორმა საკუთარ თავს შეიძლება მესამე პირვით მიმართოს. მაგალითად, ერთი ქალბატონის დღიურში ასე მიმართავს საკუთარ თავს: „გამარჯობა, ჩემო მეორე მზეო“ [Рабенко, 2018, 77]. ტატიანა რაბენკოს დღიური შესწავლილი აქვს, როგორც მონოავტორული ტექსტი და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მისი შემქმნელი მიდრეკილია საკუთარი რეფლექსიების წერილობითი ფიქსაციისაკენ [Рабенко, 2018,78]. ნაშრომში „მეხსიერების თანდაყოლილი ჰუმანიზმი“ მკვლევარი კაზაკოვა წერს, რომ „დღიური, უპირველეს ყოვლისა, არის „სულიერი განწყობების“ ანარეკლი ქალაქდზე“ [Казакова, 1992, 3].

ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნის, დიმიტრი ლიხაჩოვის, აზრით, დღიურებისა და წერილების წერა ეხმარება დამწყებ მწერალს შემოქმედებით დაოსტატებაში [Лихачев, 2006: 61]. ხედავდა რა მკითხველთა გაზრდილ ინტერესს ლიტერატურაში შემოჭრილი ისეთი ჟანრებისადმი, როგორებიცაა: წერილი, დღიური, ჩანაწერი, კრიტიკული პროზა და სხვ. მეცნიერი საჭიროდ მიიჩნევდა ამ ტექსტების სერიულ გამოცემას, რათა ისინი ხელმისაწვდომი გაეხადა ფართო მკითხველისათვის [Лихачев, 2006, 233].

ცნობილ ადამიანთა დღიურებს მეცნიერები სწავლობენ სხვადასხვა კუთხით. მათი კვლევის ობიექტია დღიურების ფუნქციური თავისებურებები, სახეთა სისტემა, მეთოდი, სტილი, სიუჟეტი, კომპოზიცია, თხრობის სივრცით-დროული პლანი. დღიურებს სწავლობენ, როგორც ავტობიოგრაფიული კულტურის ფორმას, საკუთარი პიროვნების კონსტრუირებისა და მოდელირების საშუალებას. დღიურების კვლევა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატანის შესაქმნელად კვლევის ახალი მიმართულებაა, რომელსაც დიდი პერსპექტივა აქვს.

როცა პერსონალური დღიურის ავტორი პროფესიონალი მწერალია, ყველაფერი, რასაც ის წერს, არის მისი პროფესიული საქმიანობის ნაწილი. მიხეილ მიხეევის ნაშრომში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ნებისმიერი ჩანაწერი მწერლის დღიურში პოტენციური პრეტექსტია, მასალა, რომლის საფუძველზეც შემდეგ შეიძლება შეიქმნას მხატვრული ტექსტი [Михеев, 2007, 7]. ასეთი ვითარებაა გურამ რჩელიშვილის შემოქმედებაშიც. მისი არაერთი მხატვრული ტექსტი შექმნილია დღიურის საფუძველზე.

დღიურის შინაარსობრივი მხარე: დღიურების წერისას ყურადღება ფოკუსირებულია პირად გამოცდილებაზე. ცნობილი რუსი მეცნიერი ალექსეი ლოსევი, რომლის დღიურები და წერილები მკითხველთა დიდი ინტერესს იწვევს, ყურადღებას ამახვილებს დღიურების გულწრფელობაზე: „აქ ხომ მე ვწერ მხოლოდ ჩემს შესახებ და მხოლოდ ჩემთვის - ამიტომ რა არის მოსარიდებელი? [Лосев, 1997, 31]. ასეთ ჩანაწერს გურამ რჩელიშვილთანაც ვხვდებით. მაგალითად, 1956 წლის 15 მარტის დღიურში ვკითხულობთ: „მხოლოდ ჩემი პირადი აზრებია აქ მოყვანილი“ [რჩელიშვილი, 2007ა, გვ 25].

წიგნში „კემბრიჯის მეგზური ბოკაჩოსაკენ“ ფართოდ არის გამოყენებული

იტალიელი მწერლისა და მეცნიერის - ჯოვანი ბოკაჩოს დღიურები, რომლებშიც ასახულია ავტორის ლიტერატურული შეხედულებები, მითოსური და ისტორიული ბიოგრაფიები და სხვა საინტერესო მასალა [Armstrong, Daniels, Milner, 2015]. დღიურში ირეკლება ყველაფერი, რამაც კვალი დატოვა ავტორზე. მის ფურცლებზე ხდება ავტორის ცხოვრებაში და მის გარშემო მიმდინარე მოვლენების რეფლექსირება. ნაშრომში „მეტყველების თავისუფლება, როგორც „მე - სახის“ ჩამოყალიბების საფუძველი პირად დღიურებში“, ვკითხულობთ: „აქ ერთმანეთს ერწყმის ყოველდღიურობა და მიკროვერსტიკა - სამყაროს შემეცნება“ [Калинина, 2012, 55]. გურამ რჩეულიშვილის დღიურების საშუალებით ჩვენ ბევრ რამეს ვიგებთ მათი ავტორის შესახებ, მაგრამ, ამასთანავე, მათი წაკითხვით ჩვენს თვალწინ გადაიშლება 1950-იანი წლების ქართული ყოფა, ღირებულებები და ინტერესები.

რუსი მწერალი დიმიტრი ფურმანოვი წერდა: „ვაგროვებ მასალას: რასაც დავინახავ, რასაც საინტერესოს გავიგონებ, რასაც წავიკითხავ, - ყველაფერს მაშინვე ვიწერ [Фурманов, 1934]. იმის მიხედვით, დღიურის ავტორი ექსტრავერტია თუ ინტროვერტი, დღიურებიც ატარებს ამ ორგვარ ხასიათს. პირველი ტიპის დღიურების მხერა ხშირად არის მიმართული გარეთ და ფართოდ მოიცავს გარემო მოვლენებს, ინტროვერტულ დღიურში კი ავტორის მხერა ძირითადად შიგნით არის მიმართული. იგი აანალიზებს მის შიგნით მიმდინარე მოვლენებს, გარეშე მოვლენებიდან კი გამოყოფს მხოლოდ პირადად მისთვის მნიშვნელოვანს. მიუხედავად იმისა, რომ გურამ რჩეულიშვილის დღიურებში დიდი დოზით არის საკუთარ თავში ჩაღრმავება და თვითშემეცნება, იგი ბუნებით ექსტრავერტია და ეს დღიურებსაც ეტყობა. ქართველი მწერლის დღიურებში ხშირად გვხვდება ამონაწერები წაკითხული წიგნებიდან, ამონარიდები თარგმანებიდან, ისტორიული და ლიტერატურული ჩანახატები, მონახაზები, და სხვ. გურამ რჩეულიშვილის წერილებსა და დღიურებში არაერთგან არის საუბარი იმაზე, თუ რამდენად აქტიურად მიმდინარეობს მისი სამწერლო შემოქმედებითი პროცესი და იმხანად რას წერს. კიდევ უფრო ხშირად ვხვდებით შთაბეჭდილებებს წაკითხული წიგნების შესახებ.

რამდენადაც გურამ რჩეულიშვილის დღიურებში ბევრგან არის საუბარი ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებზე და გამოთქმულია მოსაზრებები მის ავ-კარგზე,

ბუნებრივია, უნდა დაისვას კითხვა, შეიძლება თუ არა, რომ ეს ტექსტები ჩაითვალოს ლიტერატურის კრიტიკად. დღიურებში ჩართული კრიტიკული ტექსტების საკითხი ფუნდამენტურად აქვს შესწავლილი სლოვენელ მეცნიერს, ლადო კრალუს. იგი მიიჩნევს, რომ დღიურს აქვს ნარატივის თავისებური ლოგიკა, რომელიც ლიტერატურული კრიტიკის ობიექტურ პრინციპებზე უფრო ძლიერია. დღიურის ავტორი, რომელიც განიცდის ჟანრის ზეწოლას, ემსგავსება ლიტერატურულ გმირს და მისი კრიტიკული შენიშვნებიც ამბის ნაწილი ხდება [Kralj, 2006, 323-330]. იგივე შეიძლება ითქვას გურამ რჩეულიშვილის დღიურების იმ პასაჟებზეც, რომლებშიც მხატვრული თხზულებების ანალიზია მოცემული. ეს ტექსტები შორს არის ტრადიციული ლიტერატურული კრიტიკისგან. ისინი ბევრად უფრო გულწრფელი, სუბიექტური და ემოციურია.

გურამ რჩეულიშვილის დღიურებში აღწერილია არა მხოლოდ მიმდინარე ამბები, არამედ ზოგჯერ მოგონებებიც. 1956 წლის 16 მარტის დღიურში ავტორი ამას თავადაც აღნიშნავს: „გადაწყვეტილი მაქვს ჩემს დღიურებში აღვწერო სხვა, დიდი ხნის წინათ გავლილ დღეთა განცდა-ამბები“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 26]. მწერლის ცხოვრება იმდენად დატვირთული იყო მოვლენებით, რომ დღიურებში საწერი ბევრი რამ ჰქონდა. 1958 წლის 9 ოქტომბრის დღიურში ვკითხულობთ: „ყველა დღე ისეთი სავსეა, გინდაც სახლში ვიჯდე მარტო, რომ მეშინია დღიურების წერა. ყოველდღე შეიძლება ახალი რომანი დაიწეროს...“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 337].

დღიურებში წარმოდგენილი ფაქტები და მოვლენები არის სპონტანური ხასიათის და მათ შორის ხშირად არ არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ეს კარგად ჩანს გურამ რჩეულიშვილის დღიურებშიც. ჩანაწერების სიჭრელესთან დაკავშირებითაც თავად ავტორი იძლევა განმარტებას: „დღიურის წერისას ბევრი ამბავი მოდის ნაწყვეტ აზრებად, ერთი შეხედვით, ყოველგვარი კავშირის გარეშე, მაგრამ ხელოვნურადაც რომ ეცადო მათი არდაკავშირება, ისინი (ამბები) მაინც გააბამენ ერთმანეთში შინაგან ჰარმონიულ კავშირს“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 26]. ამიტომ, როდესაც ამ ტექსტებს შორის კავშირს პირველივე წაკითხვისას ვერ ვამჩნევთ, კარგი დაკვირვება და ანალიზია საჭირო, რადგან კავშირი ნამდვილად არსებობს.

დღიურის დოკუმენტური სანდოობა: დღიურების გულწრფელობასა და

დოკუმენტურ სანდოობაზე არაერთი ავტორი წერს. ლევ ტოლსტოის მეუღლის - სოფიო ტოლსტოის დღიურებში ვკითხულობთ: „ჩემი დღიურები ეს არის გულის წრფელი ამოძახილი და ყოველივე იმის მართალი აღწერა, რაც ჩვენთან ხდებოდა: [Толстая, 1978, 127]. თავის დღიურში პეტრე ჩაიკოვსკი ერთმანეთს ადარებს წერილს და დღიურს და წერს: „ჩემი აზრით, წერილები არასოდეს არ არის ბოლომდე გულწრფელი, უკიდურეს შემთხვევაში, ჩემს მაგალითზე მაინც. ვისაც არ უნდა ვწერდე და რასთან დაკავშირებითაც, ყოველთვის ვითვალისწინებ იმას, რა შთაბეჭდილებას მოახდენს წერილი არა მხოლოდ იმ ადამიანზე, ვისაც ვწერ, არამედ მის შემთხვევით მკითხველზეც“ [Чайковский, 1993, 213].

მეორე მხრივ, თუ ერთმანეთს შევადარებთ, როგორ აღწერენ დღიურებში სხვადასხვა ადამიანები ერთსა და იმავე ფაქტს, დღიურების სანდოობაშიც შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს. ამაზე კარგად მეტყველებს ლევ ტოლსტოისა და მისი მეუღლის მიერ ერთსა და იმავე დღეს დღიურებში გაკეთებული ჩანაწერები. ლევ ტოლსტოი 1897 წლის 10 დეკემბერს დღიურში იწერს, რომ მისმა ცოლმა იმ დღეს პირველად აღიარა საკუთარი შეცდომა, მეუღლის ჩანაწერში კი, ვკითხულობთ: „დღეს თავის დღიურში ჩაიწერა, ვითომ მე ცხოვრებაში პირველად ვაღიარე საკუთარი შეცდომა და რომ ეს სასიხარულოა!! ღმერთო ჩემო! დამეხმარე, რომ ეს გადავიტანო! ისევ ცდილობს მომავალი თაობების წინაშე თავი წამებულად წარმოაჩინოს, მე კი - დამნაშავედ“ [Толстая, 1978, 327]. ზოგჯერ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს დღიურების ავტორთა მიერ მოვლენების სწორ შეფასებაში, მაგრამ ასეთი დღიურებიდანაც კი შეიძლება ამოიკრიბოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

გურამ რჩეულიშვილი თავის დღიურებში არ ცდილობს რეალობის გალამაზებას, ან საკუთარი თავის სხვებზე უკეთ წარმოჩენას. მისთვის ყველაზე ღირებული სიმართლეა. 1960 წლის დღიურში ვკითხულობთ: „მე ცუდი ენა მაქვს სწორეა, ოღონდ საქმე იმაშია, რომ ჩემი დროის საქართველოსთვის სწორედ ცუდი ენა არის ნამდვილი ენა. ასეთია ჩემი შინაგანი ბუნების გარეგნობა. მე რომ ასე არ ვწერო, ჯერ ერთი ვერც დავწერ სხვანაირად, მეორეც, უნდა ვიყალებო“. [რჩეულიშვილი, 2002 ბ, 340].

დღიურების ავტორთა უმრავლესობა ამბობს, რომ დღიურის წერისას ბოლომდე გულახდილია და მის ფურცლებს ყველაფერს ანდობს, მაგრამ გურამ რჩეულიშვილის

1956 წლის 27 აგვისტოს ჩანაწერში გვხვდება ოდნავ განსხვავებული აზრი: „სისულელეა თუ არა დღიურების წერა? ჰო და არა. გააჩნია როგორ დაწერ. ერთი კია – არასოდეს ყოველივე, რასაც განიცდი ან რაც გემართება, არ უნდა გადაიტანო ქაღალდზე, არ უნდა გააშიშვლო შენი გრძნობები. მაშინ შენ თავთან პატივისცემას დაკარგავ“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 74]. როგორც ვხედავთ, მწერალს არასწორად მიაჩნია დღიურებში აბსოლუტურად ყველაფრის წერა, მაგრამ, თავად ის, რომ გურამ რჩეულიშვილი ამას დღიურის ფურცლებზე წერს და არ პოზიორობს, ბოლომდე გულწრფელი ვარო, შეიძლება მის უფრო მეტ გულწრფელობაზე მეტყველებდეს, ვიდრე ზოგიერთის ფრაზა: „დღიურს ყველაფერს ვანდობო“. რჩეულიშვილის ნათქვამი ლოგიკურ პარადოქსს ჰგავს: „არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე“, რომელიც საკუთარ თავშივე მოიცავს ამ მტკიცებულების უნივერსალურობის გაბათილებას. მეორე მხრივ, რჩეულიშვილის ამ აზრიდან ჩანს, რა კარგად ესმის მას, თუ როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია დღიურს ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბებაზე: თუ მასში ზოგიერთი რამის ჩაწერას შეუძლია საკუთარი თავისადმი პატივისცემა დაგაკარგვინოს, სხვა რაღაცეების ჩაწერას ისიც შეეძლება, რომ საკუთარი თავი გაპოვნინოს ან მისი სრულყოფის საშუალება მოგცეს. ამ ჩანაწერთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ გურამ რჩეულიშვილს დღიურში ყველაფრის ჩაწერა მიაჩნია „სისულელედ“ და არა სიმართლის ჩაწერა. არაერთი ჩანაწერიდან ჩანს, რომ შელამაზებული წერა - „ნაყალბევი“ მისთვის ყველაზე ნაკლებად მისაღებია. შესაბამისად, გურამ რჩეულიშვილისავე პრინციპის მიხედვით, მის დღიურებში შეიძლება ყველაფერზე არ იყოს საუბარი, მაგრამ რაც არის, ის ნამდვილად სიმართლეა.

ტრადიციულად ლიტერატურის თეორია დღიურს განიხილვდა, როგორც დოკუმენტს [Kralj ,2006: 324]. მას ძირითადად იყენებდნენ ავტორის ბიოგრაფიის შესადგენად და მხატვრული თხზულებების შექმნის მოტივაციის გასარკვევად. მოგვიანებით მანფრედ იურგენსონმა და პორტერ ებოტმა დასვეს საკითხი იმის თაობაზე, რომ დღიურებში „დოკუმენტური“ და „მხატვრული“ შრეები გარკვეული დოზებით თანაარსებობს [Abbott, 1984]. მათი აზრით, დღიური დოკუმენტური თხზულებაც არის და მხატვრულიც. დღიურებში რეალობა ერთგვარად „ფიქციონალიზებულია“. მწერალი მათში ნაწილობრივ გარდაქმნის სინამდვილეს,

რადგან დღიურის წერისას მას ამბისმთქმელობა იტაცებს და შორდება ობიექტურობას.

დღიურის დოკუმენტურ-მხატვრული არსი: 1920-30-იან წლებში მთელ მსოფლიოში ძალიან იტაცებდათ ისეთი ცნობილი ადამიანების დღიურების კითხვა, როგორებიც იყვნენ: რუსო, ტოლსტოი, ნიცშე, ჩეხოვი და სხვები. მათი აზრით, ეს დღიურები სინამდვილით იყო გაჯერებული. თავისი ფორმით დღიური არწმუნებდა მკითხველს, რომ ის რეალობაა და ლიტერატურასთან საერთო არაფერი აქვს [Kralj, 2006, 325]. როდესაც სიმბოლიზმისა და ექსპრესიონიზმის მისუსტებას მოჰყვა ნეორეალიზმი, საზოგადოებაში გაჩნდა დოკუმენტური ტექსტების კითხვის მოთხოვნილება და მწერლობა შეეცადა დოკუმენტური პროზის ჟანრობრივი ფორმები შემოეტანა ლიტერატურაში. ამის გამოვლინება იყო ფიქციური, „სიმულირებული დღიურების“ ფორმის შემოტანა. ჰოკე მას უწოდებს „ფიქციურ დღიურებს“ [Hocke, 1963, 109] და ებოტი „დღიურულ ფიქციას“ [Abbott, 1984, 9]. ესენია ნოველები, ცალსახად ლიტერატურული ქმნილებები, რომელთა სათაურში ან ქვესათაურში ფიგურირებს სიტყვა „დღიური“. ეს „დღიურები“ დოკუმენტურისგან განსხვავებით, მცირე მოცულობისაა. ამიტომ სათაურადაც ზოგჯერ აქვს არა უბრალოდ „დღიური“, არამედ „გვერდები დღიურიდან“. „დღიური, როგორც ლიტერატურული ჟანრი, იყენებს განსაკუთრებულ სტრატეგიებს, რომელთა მეშვეობითაც ცდილობს, გვაჩვენოს, თითქოს არ არის მხატვრული გამონაგონი და არის ნამდვილი ცხოვრებისეული დოკუმენტი“ (Kralj, 2006: 325).

სიმულირებული დღიური ლიტერატურული ჟანრია, რომელსაც აქვს თავისი სტრატეგია, არ ჩანდეს, რომ გამონაგონია. ეს წარმოშვა მოთხოვნამ რეალისტურ ტექსტებზე. ზოგჯერ ეს ნარატივი ძალიან მოკლეა და სკეჩის ფორმა აქვს. ასეთი დღიურები, რუსოს და სტრინბერგისგან განსხვავებით, მოკლეებია და ხშირად მოიხსენიება, როგორც დღიურის ფურცლები. დღიურის ფორმას მხატვრულ ლიტერატურაში იმ დროისათვის უკვე საქართველოშიც იყენებდნენ. მაგალითად, 1954 წელს უნივერსიტეტის ჟურნალ „პირველ სხივში“ გამოქვეყნდა აკაკი გეწადის ლექსების ციკლი „დაჭრილის დღიურები“ [გეწადე, 1954].

თანამედროვე მეცნიერები ჩაუღრმავდნენ დღიურების წერის ფსიქოლოგიურ ასპექტებს და მიიჩნიეს, რომ იგი ეხმარება ადამიანს თვითძიებაში, თვითშემეცნებასა

და თვითგამოხატვაში. ასევე სამუალებას აძლევს ბოლომდე გახსნას საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობები და უკეთ მართოს პირადი ცხოვრება. ამის გამო დღიურის ტიპის ჩანაწერების გამოყენება ფსიქოთერაპიაშიც დაიწყო. ეს საკითხი ღრმად არის შესწავლილი ირა პროგოფის ნაშრომში „წერა ქვეცნობიერის ძალის შესაცნობლად და შემოქმედებითობის განსავითარებლად“ [Progoff, 1992].

გურამ რჩეულიშვილის დღიურები: გურამ რჩეულიშვილმა დღიურების წერა 22 წლის ასაკში, 1956 წლის 14 მარტს დაიწყო მხატვრულ პროზაზე მუშაობის დაწყებიდან ძალიან მალევე [რჩეულიშვილი, 2007ა, 7r-18v]. მის პირველ ჩანაწერში ვკითხულობთ: „ამ დღეს დილით, ე.ი. 14 მარტს დილით, მომინდა დღიურების წერა“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 22]. აქვე ჩანს ამ განზრახვის წინაპირობები. მას თურმე მანამდეც 5-6-ჯერ უცდია დაეწერა რაიმე. წერდა ჯერ ალექსანდრე ყაზბეგის სტილში, შემდეგ სხვებსაც ბაძავდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა [რჩეულიშვილი, 2007ა, 21], 14 მარტს კი გადაწყვიტა ასე იოლად არ დანებებულიყო.

ბუნებრივია, დავინტერესდით, რა ტრადიციას ეყრდნობოდა ახალგაზრდა მწერალი, რა ვითარება იყო იმ დროს დღიურების გამოცემის თვალსაზრისით საქართველოსა და რუსეთში და ვისი დღიურები შეიძლებოდა ჰქონოდა წაკითხული. 1953 წელს პარიზში, ჟურნალ „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის ნაწყვეტი - „დღიურიდან“ [რობაქიძე, 1953], მაგრამ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ გურამ რჩეულიშვილს ეს გამოცემა ხელში ჩავარდნოდა. უფრო სავარაუდოა, რომ იგი გასცნობოდა საქართველოსა და რუსეთში განხორციელებულ გამოცემებს. 1940-1956 წლებში ქართულად გამოქვეყნდა მოგზაურობათა ჟანრის რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნი: სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ [ორბელიანი, 1940], თეიმურაზ ბაგრატიონის „მოგზაურობა ჩემი ევროპის სხვათა და სხვათა ადგილთა“ [ბაგრატიონი, 1944], რაფიელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“ [დანიბეგაშვილი, 1950], თედო სახოკიას „მოგზაურობანი“ გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში [სახოკია, 1950], დავით წერეთლის „მოგზაურობა პამირზე“ [წერეთელი, 1953], ალიო მირცხულავას „მოგზაურობა ჩინეთში“ [მირცხულავა, 1956] და ორი უცხოენოვანი წიგნის: ჩარლზ დარვინის „ბუნებისმეტყველის მოგზაურობა დედამიწის გარშემო გემ „ბიგლით“ [დარვინი, 1951] და ალექსანდრ რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“

[რადიშჩევი, 1955] თარგმანები. ამ თხზულებათა ნაწილი დღიურების ფორმით არის დაწერილი. რამდენადაც გურამ რჩეულიშვილი სრულყოფილად ფლობდა რუსულს, საყურადღებოა რუსულენოვანი გამოცემების გათვალისწინებაც. მხოლოდ 1950-იან წლებში რუსულ ენაზე გამოიცა ანტონ ჩეხოვის [Чехов, 1950], ალექსანდრ პუშკინის [Пушкин, 1953], ტარას შევჩენკოს [Шевченко, 1954], ლევ ტოლსტოის [Толстой, 1955] და არაერთი ნაკლებად ცნობილი მწერლის დღიურები. ახალგაზრდა მწერალს ყველა ამ წიგნზე მიუწვდებოდა ხელი, თუ სახლში არა, ბიბლიოთეკაში მაინც და, შესაბამისად, შეიძლებოდა დღიურის ჟანრს მათგან გასცნობოდა.

დღიურებს ბევრი მსოფლიო კლასიკოსი წერდა და მათი ეს ტრადიცია შემდეგ სხვათა შთაგონების წყაროც ხდებოდა. 1825 წლის 20 ნოემბერს ვალტერ სკოტს დღიურების წერის დაწყება გადააწყვეტინა ჯორჯ ბაირონის დღიურების გაცნობამ. სკოტის დღიურების ორი ტომი დაახლოებით ათას გვერდს შეიცავს. მწერლის გარდაცვალების შემდეგ ეს ჩანაწერები გადაეცა მის სიმეს, მწერალსა და ჟურნალისტს, ჯონ გიბსონ ლოკარტს, რომელმაც ისინი შეიტანა წიგნში „ვალტერ სკოტის ცხოვრება“, 1890 წელს კი ედინბურგში განხორციელდა სკოტის დღიურების სრული გამოცემა.

დღიურების მიხედვით, გურამ რჩეულიშვილის სამომავლო მიზანი იყო, რომ დიდი მწერალი გამოსულიყო, მაგრამ დასაწყისისთვის საკუთარ თავს დიდ მოთხოვნებს არ უყენებდა. პირველივე ჩანაწერების ფრაზებში: „დამეწერა რაიმე საინტერესო, თუნდაც უინტერესო“, „ვერ შევძელი“, „გაქანება აღარა მყოფნის“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 21], იგრძნობა თვითკრიტიკა. ამბიციასთან ერთად სკეპტიციზმიც იკითხება წინადადებაში: „მე მინდა ვიყო მწერალი, თანაც დიდი, მერე რა, მე ჩემი ფიქრებისა არ მეშინია, უკვე შევეჩვიე – რაც მინდა, ის არ შემიძლია“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 21]. მწერლის თვითირონიაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ საკუთარ თავთან დაკავშირებით მას ახსენდება აკაკი წერეთლის მიერ ვარდენ ყიფიანისთვის (წერდა ფსევდონიმით „ღვანკითელი“) მიძღვნილი სტროფი: „წერე, წერე, ჩემო ვარდენ, / მტერს დაასე ისარიო, / თუ მწერალი არ გამოხვალ, / წერას მაინც ისწავლიო“. დიდმა ქართველმა პოეტმა ამ სიტყვებით იუმორით მიანიშნა ადრესატს, რომ, ვისაც წერა შეუძლია, ყველა მწერლობას ვერ შეძლებს, გურამ რჩეულიშვილმა კი ამ ფაქტის გახსენებით გამოხატა თვითკრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი

ნაწერებისადმი.

გურამ რჩეულიშვილის დღიურებში აღწერილია 1956 წლის 14 მარტამდე, ამავე წლის იანვარ-თებერვალში მომხდარი ამბებიც, მაგრამ ესენი, სავარაუდოდ, 14 მარტის შემდეგ უნდა იყოს ჩაწერილი, საგანგებოდ გამოყოფილ ერთ საერთო რვეულში. აქ მოთხრობილია ხარკოვი-კიევი-ლვოვის გავლით კარპატებში ჩასვლისა და ლაშქრობაში მონაწილეობის ამბები. შესაძლოა, დღიურების წერის დაწყება გამოიწვია მოგზაურობით მიღებული შთაბეჭდილებების წერილობითი დაფიქსირების სურვილმა. სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება ქ-ნ მარინე რჩეულიშვილის მოსაზრება, რომ ამისთვის შეიძლებოდა ბიძგი მიეცა კარპატებიდან დაბრუნებისას გურამ თიკანაძის მიერ მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოების გამჟღავნებას და გურამ რჩეულიშვილისთვის გადაცემას. ამ მოგზაურობის შესახებ დაწერილ ერთ-ერთ დღიურში ვკითხულობთ: „თიკანაძე თავისი აპარატით ხან წინ იყო და ხან უკან და ახალ შთაბეჭდილებებს ფოტოპლიონკაზე იწერდა“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 7]. ბუნებრივია, რომ რჩეულიშვილსაც გასჩენოდა სურვილი, რომ მასაც თავისი სამწერლო „აპარატით“ - სიტყვით ჩაეწერა და შემოენახა ეს შთაბეჭდილებები.

როგორც ჩანს, დღიურების წერამ იგი ძალიან გაიტაცა. წერის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ, 16 მარტს, მის რვეულში ვკითხულობთ: „ვზივარ ფილოსოფიის ისტორიის ლექციაზე, რომელიც ჯერ არ დაწყებულა, ჩემს ახალ ჟინს - დღიურების წერას აყოლილი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 26]. დღიურების წერის ჟინით შეპყრობილ გურამ რჩეულიშვილს მათ საწერად იდეალური სიმყუდროვე და ხელშეწყობა არ სჭირდებოდა. იგი წერდა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა სიტუაციაში, მაგალითად, 1956 წლის 19 მარტის დღიურიდან ჩანს, რომ ამ დღიურს წერს ლექციაზე, ნასვამ მდგომარეობაში: „დავჯექი მერხზე და მთვრალმა დღიურის წერა დავიწყე“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 32].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღიურების წერის დაწყებისთანავე დაიწყო გურამ რჩეულიშვილმა საკუთარი ნაწერების კრიტიკული შეფასებაც. 1956 წლის 31 მარტის დღიურში ვკითხულობთ: „მე ძალიან შორს შევიჭერი ჩემს მოგონებებში. ესაა ჩემი უბედურება. დავიწყებ ერთი რაიმეს კეთებას და ოცნება სხვა მხარეს მაგდებს, სხვას მაკეთებინებს, ძირითადად, ჩემს მიზანს იმ დროში მავიწყებს. ამის კვალი ეტყობათ

ჩემს დღიურებს. ალბათ, იგივე ნაკლი ექნებათ ნოველებს თუ პატარა რომანებსაც, რომელთა დაწერასაც მე ვაპირებ“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 56].

1958 წლის 23 სექტემბრის დღიურიდან კარგად ჩანს, რამდენად დიდია გურამ რჩეულიშვილში წერის შინაგანი მოთხოვნა, წერის „ვნება“: „ათი დღე გადის, რაც მაგიდასთან არ მივსულვარ. საშინლად ვიტანჯები, უბრალოდ, ჯოჯოხეთის ცეცხლზე ვიწვი წერასა და არწერას შორის. გუშინ ბოლო დამე იყო თავის შეკავების, დარწმუნების. ძლივს ვაჯობე დემონს და დაუწერლად დავიძინე, დღეს დილით კი მეტი გამოსავალი აღარა მაქვს, გამეღვიძა შვიდ საათზე – სხვა გზა არ არის, უნდა ვწერო, ახლა ეს არის ერთადერთი, რასაც შეუძლია, რომ ოდნავ მაინც მომასვენოს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 322].

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანისთვის დღიურები უფრო მნიშვნელოვანი წყაროა, ვიდრე მხატვრული ტექსტები, მაგრამ თავად მწერლისთვის დღიურების წერა იყო ერთგვარი ტრამპლინი უფრო მაღალი მწვერვალის დასაპყრობად, რასაც მხატვრული ლიტერატურა ჰქვია. ამიტომ თავად დღიურებშივე დღიურების მიმართ არაერთგან ჩანს ნაკლებ სათუთი დამოკიდებულება. 1956 წლის 20 ივნისის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ ნორმალური კალმისტის არქონის გამო „დღიურიც კი“ ვერ დაუწერია [რჩეულიშვილი, 2007ა, 322].

როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანი ტყუილად არ წერს დღიურებს. ისინი იწერება ან იმისათვის, რომ შემდეგ კვლავ ავტორმა გადაიკითხოს ხოლმე ან იმისათვისაც, რომ სხვებმაც წაიკითხონ. 1956 წლის 27 ოქტომბრის ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ გურამ რჩეულიშვილი ათვალისწინებს საკუთარ დღიურებს [რჩეულიშვილი, 2007ა, 81], კიდევ უფრო ადრეული ჩანაწერიდან კი ჩანს ისიც, რომ მწერალი წინააღმდეგი არ არის თავისი დღიურები სხვებსაც წააკითხოს. 1956 წლის 15 მარტის დღიურში ვკითხულობთ: „მე ჩემთვის ვწერ, ცოტა სხვისთვისაც“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 25].

1956 წლის 19 მარტს, როდესაც გურამ რჩეულიშვილი ლექციაზე წერდა დღიურს, მისმა ჯგუფელმა გოგონამ - მარიკა საყვარელიძემ სთხოვა, რომ მისთვის წაეკითხებინა. მწერალი თავიდან კი შეეყოყმანდა, მაგრამ მაინც დართო ნება. ეს განცდები იმავე დღიურში შემდეგ ასე აღწერა: „მე ცოტა ვწითლდები, მრცხვენია უცხო ჩავახედო ჩემს ფიქრებში, მაგრამ ამ გოგოში ვგრძნობ რაღაც ძალიან ახლოს, მეგობრულს, თითქმის მშობლიურს. მე ჩავუკითხე ჩემი დღიურის ნაწილი და ახლა

მის გრძნობებზე ჩამოვუგდე ლაპარაკი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 35].

გურამ რჩეულიშვილის დღიურებიდან ჩანს, რომ მას არა აქვს საკუთარი დღიურების გამოქვეყნების იმედი. 1956 წლის 19 მარტის დღიურში იგი თავის თავს ეუბნება: „წერე, წერე, მაგრამ მხოლოდ შენთვის, აბა, ამ სისულელეებს ჩვენში ვინ დაგიბეჭდავს. კვლავ სევდა, არა, ეს სევდა არაა გამოწვეული სრულყოფილებით. მიზეზი? ვინ იცის და გინდა იცოდეს, ვინ იტყვის, ვინ?“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 36]. მწერლის პროგნოზი სწორი აღმოჩნდა. „ცისკრის“ რედაქციამ მის მიერ დასაბეჭდად წარდგენილი მოთხრობებიდან „სათაგური“ და „თვირთვილა“, ამოიღო ტექსტისთვის თანდართული დღიურები. როგორც ჩანს, გურამ რჩეულიშვილის ეს სტილი - დოკუმენტურისა და მხატვრულის, რეალური ამბისა და მხატვრული გამონაგონის ინტეგრირება, გამომცემლობისთვის მიუღებელი იყო.

1958 წლის დღიურში თეატრალური ინსტიტუტის ლიტერატურული განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომლის კრიტიკული შეფასების შემდეგ ვკითხულობთ: „დარწმუნებული ვარ, ვერავითარ ნუგეშს ვერ ნახავს ვერც ის, ვერც მისი შვილები, თუ ჩემი დღიური ჩაუვარდათ ხელში, მე კი ისეთი მადლობელი ვარ მისი ადამიანური ქცევისთვის – რას იზამ, ალბათ, მარტო ეს არა კმარა, რომ კაცს პატივი სცე“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 256]. აქედან შეიძლება ითქვას, რომ დღიურების წერისას რჩეულიშვილი ყოველთვის მთლად მარტო არ იყო თავის ფიქრებთან, ზოგჯერ წარმოიდგენდა სხვათა რეაქციასაც.

გურამ რჩეულიშვილის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მისთვის წერა შინაგანი მოთხოვნილება იყო. იგი მეტ ყურადღებას უთმობდა მხატვრული ნაწარმოებების წერას, დღიურების წარმოება კი ამ თვალსაზრისით უფრო ხელის გაწაფვა იყო. 1956 წლის 23 აგვისტოს დღიურში ვკითხულობთ: „პახმელიაზე“ ხაშის მაგივრად ხანდახან თითო ნოველასა ვწერ და ზედ არყად წერილს ან დღიურს ვაყოლებ“ [რჩეულიშვილი, 2007ა, გვ 71].

მის მიერ დღიურების წერა გამოწვეულია შთაბეჭდილებების მოზღვავეებით, რომელთა არჩაწერაც და დავიწყებისთვის მიცემაც ენანება: „ყველა დღე ისე სავსეა შთაბეჭდილებებით, რომ მეშინია დღიურების წერა. თითოეული დაწყებული წინადადება თუ დროზე არ ალაგმე, რომანამდე შეიძლება გაიზარდოს... რომ არ ვწერო ის, რაც შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს, ჩემთვის შეუძლებელია;

თითოეული ჩაუწერელი ამბავი ცრემლებამდე მეცოდება, როგორც მომწიფებულ ქალს თავისი უბავშვოდ არსებობა“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 337].

დღიურის წერის პროცესისადმი მწერლის დამოკიდებულების შესახებ 1956 წლის 17 სექტემბრის დღიურში ვკითხულობთ: „რა არის დღიური? ჩემთვის გასართობი, ზოგჯერ დასაწყნარებელიც; დღიური კი არა, - წერა საერთოდ. ნეტა რამდენი უნდა ვწერო, ან როდემდე, რა იქნება მერე“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 79]. გურამ რჩეულიშვილი დღიურებს რაღაც პერიოდებში ინტენსიურად წერდა, მაგრამ ჰქონდა ხოლმე შესვენებებიც. ერთი ასეთი, თითქმის თვენახევრიანი ინტერვალის შემდეგ, 1956 წლის 26 ოქტომბრის დღიურში წერს: „დიდი ხანია აღარ დამიწერია დღიური, საერთოდ არაფერი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 81].

დღიურების ჩანაწერებიდან ხშირად ჩანს, თუ რა ვითარებაში იწერებოდა. 1958 წლის 8 თებერვლის დღიურიდან ვიგებთ, როგორ აბეზრებს თავს ბევრი ლაპარაკით რუსი დიასახლისი და ხელს უშლის დღიურის წერაში [რჩეულიშვილი, 2007ა 108]. 20 ივნისის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ ორი დღის წინ დღიურის წერაში ხელი შეუშალა მეგობრების მიერ ხაშზე დაპატიჟებამ [რჩეულიშვილი, 2007ა, 214], 29 აგვისტოსაში კი წერია: „უკვე ერთი კვირაა ვერ ვაიძულე თავი დამეწერა დღიური“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 254]. „ბევრი წერის საერთოდ მეშინია - განსაკუთრებით, დღიურის, შეიძლება, მეზარება“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 257]. 31 აგვისტოს დღიურში ეს ფიქრები უფრო ღრმავდება: „საშინლად მაწუხებს საკითხი, რატომ უნდა ვწერო საერთოდ, ვისთვის? რისთვის? გუშინ უზარმაზარი ბრძოლა მიდიოდა ჩემს თავში, დამეწერა თუ არა დღიური? ვაჯობე თავს - არ დავწერე“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 257]. იმავეს ვკითხულობთ 3 სექტემბრის დღიურში: „გუშინ დამე მთელი საათი ვიჯექი და ვერ გადამეწყვიტა დავწერო დღიური თუ არა“ [რჩეულიშვილი, 2007ა, გვ, 272].

1958 წლის 4 სექტემბერს გურამ რჩეულიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეგრძელებინა დღიურების წერა: „გადავწყვიტე თითო ასეთი რვეული დავწერო ყოველდღე, რის შესახებ იქნება, ეს სულერთია - ვითვალისწინებ მხოლოდ რაოდენობას - ძირითადად ვწერ დღიურებს წინა დღეებიდან - ვნახოთ სადამდე მეყოფა *Золз-сила!*“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 282]. 8 სექტემბერს მწერალი გახარებული აღნიშნავს, რომ ერთი რვეული დაწერა. აქვე აქვს ჩამოყალიბებული, რა მიზანს ისახავს და მოცემულია დაწერილი მასალის შეფასებაც: „ჩემთვის ახლა მთავარი

რაოდენობაა, რომ მუშაობას შევეჩვიო, მეჩვენება უსაფუძვლოდ, თითქოს დავიღალე, მაგრამ დიდი ჭკვიანური არაფერი დამიწერია, უბრალოდ, თავიდან მოვიშორე აკვიატებული, გამიშვლებული აზრები, საერთოდ, მხატვრულობისთვის ბოლო ხანებში იშვიათად ვიცლი, უფრო მეტად ვცდილობ გავერკვე არსში“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 302].

გურამ რჩეულიშვილის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მისი დღიურების ერთი ნაწილი ფაქტობრივად მოგონებებია, დღეების მიხედვით დაყოფილი. 1958 წლის 8 სექტემბრის დღიურში ვკითხულობთ: „ახლა მინდა დავწერო ერთი დღის დღიური, რომელიც იყო მოსკოვში, დაახლოებით ექვსი თვის წინ“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 302].

გურამ რჩეულიშვილის დღიურებიდან ჩანს, რომ მათ სხვებსაც უკითხავდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ იგებდნენ, მისთვის მთავარი იყო არა მათი გაგება, არამედ ის, რომ თავად გაეგო საკუთარი თავისთვის. დღიურების წერა მას ეხმარებოდა თვითშემეცნებაში, თვითორგანიზებასა და თვითგანვითარებაში. ერთგან ვკითხულობთ: „ძალიან მომწონს ჩემი დღიურები იმიტომ, რომ ჩემს გარდა არავის ესმის“ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 35]; „ხალხი იმიტომ წერს, რომ რაღაც იცის ქვეშეცნეულად, მე კი არ ვიცი, მე უნდა გავიგო“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 95]. განსაკუთრებით საინტერესოა თვითშემეცნების თვალსაზრისით ერთი ასეთი ჩანაწერი: „ამ ბრაზმა დამსვა ახლა მე მაგიდასთან და ბრაზი მაწერინებს – ეს ჩემი თავდაცვაა და ვიცი, როგორც არ უნდა ვეცადო, ვერ ვიქნები ობიექტური, მაგრამ დაწერა სწორედ გამარკვევს, სად არა ვარ მართალი და გინდაც შეგრძნებამ, გულმა არ დაიჯეროს, მაინც დავწერ, რომ პატიოსანი დავრჩე ჩემს თავთან. ეს ჩემი მტკივნეული ადგილია“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 221].

როგორც ვხედავთ, დღიურებს სულ სხვა ფუნქცია აქვს მათი შემქმნელისთვის და სულ სხვა - ფართო მკითხველისა და მკვლევარებისთვის. ის დღიურები, რომელთა წერაც ავტორს თავის დროზე საკუთარ განცდებში გარკვევაში ეხმარებოდა, ჩვენთვის მდიდარი და საინტერესო ინფორმაციის მატარებელია. მწერლის მატყანის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ დღიურებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზეა აგებული. მათგან ვიგებთ: როდის ვის შეხვდა, რა წაიკითხა, რა ფილმები ნახა, რომელ კონცერტებსა და წარმოდგენებს დაესწრო და სხვ. შესაბამისად, მწერლის ბიობიბლიოგრაფიის შესაბამის ანოტაციებში წყაროდ ყველაზე ხშირად სწორედ დღიურები იქნება

მიითითებული.

§2. პირადი მიმოწერა

ეპისტოლური ჟანრის მოკლე მიმოხილვა: მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმოწერა იყო შორ მანძილზე ადამიანთა კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება და, რამდენადაც წერილი, როგორც არტეფაქტი, ასწლეულებს უძლებს, მას ინფორმაცია გადაჰქონდა არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც. დღესაც დიდი ინტერესით იკითხება და განსაკუთრებულ ისტორიულ-კულტურულ ღირებულებას იძენს საუკუნეების წინ მცხოვრებ პირთა წერილები. სტამბის გამოგონების შემდეგ, მხატვრული და დოკუმენტური ჟანრის სხვა თხზულებებთან ერთად, დაიწყო პირადი წერილების გამოცემაც. ზოგჯერ წიგნად გამოიცემა ორი კონკრეტული პირის მიმოწერა, რომელიმე ცნობილი პიროვნების გარკვეულ პერიოდში დაწერილი წერილების ციკლი და სხვ. მწერლის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემებში აუცილებლად შედის ამ კონკრეტული ავტორის ყველა პირადი წერილი. მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღებით სარგებლობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტები: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“ და „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“, რომელთა ფარგლებშიც უკვე რვა ქართველი მოღვაწის პირადი წერილების ცხრა ტომია გამოცემული.

პირად წერილებში საუბარია ხოლმე არა მხოლოდ პირად საკითხებზე, არამედ საზოგადოებრივზეც. შესაბამისად, მათი კვლევისა და ანალიზით ნათელი ეფინება როგორც კონკრეტულ პირთა ცხოვრებაში მომხდარ ფაქტებს, მათ განცდებსა და შეხედულებებს, ისე ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ამის გამო პირად წერილებს ფასდაუდებელი ისტორიულ-კულტურული ღირებულება აქვს. ბუნებრივია, მიმდინარე მოვლენები მათში შეიძლება სუბიექტურად იყოს შეფასებული, მაგრამ წერილებს ვიყენებთ საკვლევ მასალად და არა ერთადერთ და შეუცდომელ ობიექტურ წყაროდ, ამ ფუნქციას კი ისინი არაჩვეულებრივად ასრულებს.

გურამ რჩეულიშვილის პირად არქივში დაცულია მწერლის 54 პირადი წერილი, სხვა პირთა მიერ მისთვის გაგზავნილი 78 ბარათი და ახლობლების მიმოწერა,

რომლებშიც საინტერესო ცნობებია დაცული მის შესახებ. ყველა ეს ტექსტი საჭირო ინფორმაციას შეიცავს მწერლის ბიობიბლიოგრაფიისათვის და, შესაბამისად, თითოეული მათგანი შევისწავლეთ.

გურამ რჩეულიშვილის წერილები: მწერლის ბარათების ადრესატები, ოჯახის წევრებს გარდა, არიან მისი მეგობრები: ერლომ ახვლედიანი, ნუგზარ წერეთელი, თემო ბერიძე, ედი რჩეულიშვილი, გურამ რუსიშვილი, დავით ჯავახიშვილი, დავით ლოლობერიძე, გურამ გეგეშიძე და სხვ. და ის პირები, რომლებთანაც ცხოვრების რაღაც ეტაპზე პირადი ან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. მაგალითად, ერთ-ერთი წერილი გაგზავნილია მის მოთხრობაში აღწერილი რეალური ამბის ერთ-ერთ მონაწილესთან, გერმანელ მწერალ ალფრედ კურელასთან. ბარათში გურამ რჩეულიშვილი ადრესატს ატყობინებს, რა მდგომარეობაშია საქართველოში დაკრძალული მისი მეუღლის საფლავი. იგი წერს, რომ ელპიდე კურელას საფლავზე დადგმულია ხის დაფა, ამოკვეთილი წარწერით, ზაფხულისთვის კი გოგი ოჩიაურთან ერთ განზრახული აქვს მარმარილოს დაფის აღმართვა. წერილში იგი დიდ პატივისცემას გამოხატავს ადრესატის მეუღლისადმი და მას საკუთარ ბებოს, ალექსანდრა ჯავახიშვილს ადარებს, რომლის მიმართაც ყოველთვის განსაკუთრებული კრძალვა ჰქონდა.

წერილიდან შევიტყობთ მნიშვნელოვან ფაქტებს მწერლის ცხოვრებისა და მომავალი შემოქმედებითი გეგმების შესახებ. კერძოდ იმას, რომ ხევსურეთში ელპიდეს ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ გურამ რჩეულიშვილი არხოტში ასვლას ვეღარ ახერხებდა, შემოდგომაზე შავიზღვისპირეთში მეთევზეებთან აპირებდა წასვლას და ზაფხულში შატილში საკუთარი სახსრებით ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ გადაღებას. წერილის დასასრულს იგი ალფრედ კურელას ეკითხება, თანახმაა თუ არა, რომ მოთხრობის „სიკვდილი მთებში“ პუბლიკაციისას ტექსტში უცვლელად დარჩეს მისი და მისი მეუღლის გვარი კურელა [რჩეულიშვილი, 2007ბ, 28-29].

მამის, მიხეილ რჩეულიშვილის, დის, მარინე რჩეულიშვილისა და მეგობრების: ერლომ ახვლედიანის, ნუგზარ წერეთლის და ლინა ბეგიშვილისთვის გაგზავნილ წერილებში ბევრგან გვხვდება მსჯელობა მწერლის მიერ წაკითხულ წიგნებზე და მოცემულია მათი შეფასებები. მაგალითად, დისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში

საუბარია ლევ ტოლსტოის თხზულებებზე [რჩეულიშვილი, 2007, 72-74], ერლომ ახვლედიანთან გაგზავნილში ვრცელი მსჯელობაა შექსპირის, გოეთესა და ბაირონის მხატვრულ შემოქმედებაზე [რჩეულიშვილი, 2007ბ, 81], ლინა ბეგიშვილისადმი მიწერილი ბარათიდან კი ვიგებთ, რომ მოეწონა ალექსანდრე დიუმას „ბრაჟელონი“ [რჩეულიშვილი, 2007, 36]. მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი წერილი „ცისკრის“ რედაქტორ - ვახტანგ ჭელიძისადმი, რომელიც გაუგზავნელი დარჩა. აქ ვრცლად და გულწრფელად არის საუბარი გურამ რჩეულიშვილის დამოკიდებულებაზე მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა და საკუთარი შემოქმედებისადმი [რჩეულიშვილი, 2007ბ, 92].

მიუხედავად იმისა, რომ გურამ რჩეულიშვილი თავის წერილებში ხშირად მსჯელობს ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე, მას თავადაც ესმის, რომ ეს მისი სუბიექტური დამოკიდებულებაა და არა კომპეტენტური მეცნიერული აზრი. 1959 წლის 5 ივლისს წყალტუბოდან ერლომ ახვლედიანისთვის მიწერილ ბარათში ლიტერატურის შესახებ ერთ-ერთი ასეთი მსჯელობის შემდეგ ვკითხულობთ: „მე მეტს აღარ დავწერ - ეს მაინც წერილია და არა კრიტიკული ნარკვევი, რომლის დაწერისათვის არც ცოდნა მეყოფა, არც უნარი...“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 87].

გურამ რჩეულიშვილისთვის გაგზავნილი ბარათები და ახლობლების მიმოწერა: გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შესადგენად მწერლის პირად ბარათებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს მისთვის გაგზავნილებსაც. მათგანაც ვიღებთ ინფორმაციას მწერლის ცხოვრებაში მომხდარ არაერთ ფაქტზე და ირიბად ვიგებთ მისი დამოკიდებულებების შესახებაც.

მაგალითად, 1959 წლის ზაფხულში მამის, მიხეილ რჩეულიშვილის, მიერ მეუღლისა და ქალიშვილისადმი თბილისიდან ხოსტაში გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ მწერლის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუარესებულა, მამა ზრუნავს მასზე და ხან სახლში უმზადებს საჭმელს, ხან რესტორანში მიჰყავს. წერილიდან იმასაც შევიტყობთ, რომ გურამ რჩეულიშვილი მამას სთხოვს, სამკურნალოდ კისლოვოდსკში, ჟელეზნოვოდსკში, ან პიატიგორსკში გაგზავნოს. ასევე ვიგებთ, რომ ის „რადაცეებს“ წერს და იმედი აქვს, რომ დაუბეჭდავენ

[რჩეულიშვილი, 2007ბ,179].

მამის მიერ მწერლისთვის მოსკოვში გაგზავნილი დაუთარილებელი წერილი გვატყობინებს, რომ გურამ რჩეულიშვილს სურს მოტოროლის შექმნა, მაგრამ ოჯახს ამის საშუალება არა აქვს. წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ მისი მოთხოვნები, მათ შორის, „ასვლაც“, გადაბეჭდილია საბეჭდ მანქანაზე და პიესასაც მალე გადააბეჭდვინებენ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 143].

1958 წლის 13 თებერვლს მიხეილ რჩეულიშვილის მიერ ვაჟისთვის გაგზავნილი ბარათიდან შევიტყობთ, რომ გურამ რჩეულიშვილი საკმაოდ მომჭირნედ ცხოვრობდა, დღეში მხოლოდ 17 მანეთს ხარჯავდა. იმასაც ვიგებთ, რომ ვახტანგ ჭელიძე დაინტერესებულა იმით, ხომ არ მიიღო გურამმა ალფრედ კურელასათვის მიწერილი ბარათის პასუხი, მოთხოვნის „სიკვდილი მთებში“ პუბლიკაციაში მისი გვარის უცვლელად დაბეჭდვის თაობაზე [რჩეულიშვილი, 2007ა, 179].

დედის, მარიამ ნიჟარაძის მიერ მოსკოვში გაგზავნილ წერილში საუბარია იმაზე, რომ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორ ვახტანგ ჭელიძეს სცენართან დაკავშირებით სურდა გურამთან შეხვედრა. ბარათიდან ვიგებთ, რომ დედას მოსკოვში ყოფნის დროს 1000 მანეთი მიუცია მწერლისთვის; რომ გურამს დიპლომზე მუშაობა არ დაუსრულებია და რომ სამხედრო ბანაკში სწავლება 1 ივლისს ეწყებოდა [რჩეულიშვილი, 2007ბ, 135].

მწერლისთვის ოდესაში 1958 წლის 22 მაისს დედის მიერ გაგზავნილი ბარათიდან ძალზე საინტერესო ინფორმაციას შევიტყობთ. კერძოდ, იმას, რომ იმავე წლის 19-20 მაისს მწერალთა კავშირში მოწყობილ „ცისკრის“ მეორე ნომრის განხილვისას გურამ რჩეულიშვილის ნაწერებზეც ყოფილა საუბარი. გრიგოლ აბაშიძეს, სიმონ ჩიქოვანსა და ბესარიონ ჟღენტს მასთან დაკავშირებით საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ. ნოდარ ჩხეიძეს ვახტანგ ჭელიძესთან მწერლის სცენარი მიუტანია და რედაქციაში ელიან მის ჩამოსვლას [რჩეულიშვილი, 2007ბ, 140].

1958 წლის 12 მაისს დედის მიერ გურამ რჩეულიშვილისთვის მიწერილი ბარათი გვატყობინებს, რომ მწერალი მოსკოვში მოუნახულებია დედის დეიდაშვილს, ცნობილი ქართველი დრამატურგისა და მსახიობის, ავქსენტი ცაგარლის, ძმისშვილს - ასიკო ცაგარელს და მის მეუღლე თამარს [რჩეულიშვილი, 2007ბ, 137]. მარიამ ნიჟარაძის მიერ 1958 წლის 26 თებერვალს მოსკოვში გაგზავნილი წერილიდან

ვიგებთ, რომ გურამ რჩეულიშვილს დედა უგზავნის სამხედრო ბილეთს. ასევე იმასაც შევიტყობთ, რომ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ხშირად კითხულობს მის ამბავს [რჩეულიშვილი, 2007ბ, 129].

მარინე რჩეულიშვილის ძმისადმი მოსკოვში მიწერილი დაუთარილებელი ბარათიდან ვიგებთ, რომ მშობლებმა უკვე წაიკითხეს გურამის მიერ მოსკოვიდან მათთვის გაგზავნილი პიესა „მარინე“ და მოეწონათ, რომ მოთხრობა „სიკვდილი მთებში“ ჟურნალ „ცისკრის“ მეორე ნომერში იბეჭდებოდა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში დასაბეჭდად დაუტოვებიათ ასევე მისი „წაწლაობა არყთან“ და კიდევ ერთი მოთხრობა, რომლის სათაურიც წერილში მითითებული არ არის [რჩეულიშვილი, 2007ბ, 151].

გურამ რჩეულიშვილისთვის სხვათა მიერ გაგზავნილი ბარათებიდან ხშირად ვიგებთ მის ადგილსამყოფელს და იმას, თუ რით არის დაკავებული. მამის, მიხეილ რჩეულიშვილის, 1958 წლის 13 თებერვლის წერილი გვატყობინებს, რომ მწერალი უკვე მოსკოვშია და იქ ერთი წელი იმუშავებს. წერილიდან ისიც ირკვევა, რომ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე ბეჭდავდა გურამის მოთხრობას „სიკვდილი მთებში“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 243].

მიხეილ რჩეულიშვილის მიერ 1958 წლის 27 აპრილს მოსკოვში გურამისადმი გაგზავნილი წერილიდან შევიტყობთ, რომ გურამმა დაასრულა პიესა „მარინა“ და გაუგზავნა ოჯახს გადასაბეჭდად. მამა აძლევს არსებით შენიშვნებს პიესაზე და სთხოვს მათ გათვალისწინებას. წერილიდან ვიგებთ, რომ მწერალს ოდესაში წასვლა ჰქონდა განზრახული. მამა ოდესის ნაცვლად პეტერბურგში წასვლას ურჩევს, სადაც შემოქმედებითი მუშაობისათვის უკეთესი პირობებია [რჩეულიშვილი, 2007ბ, 145].

უახლოესი მეგობრის, ნუგზარ წერეთლის მიერ თბილისიდან მოსკოვში გაგზავნილი წერილი, რომელიც 1958 წლის 9 მარტით თარიღდება, ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციამ გურამ რჩეულიშვილს ჰონორარის სახით ხუთი ათასი მანეთი გადაუხადა [რჩეულიშვილი, 2007ბ, 161].

მარინე რჩეულიშვილის მიერ მოსკოვში 1958 წლის მარტში ძმისთვის მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, რომ იგი ასრულებს გურამის თხოვნას და უგზავნის რუსულ-ქართულ ლექსიკონს. ასევე შევიტყობთ, რომ მწერლის მამამ მისი „დიალოგები“ გადასაბეჭდად წაიღო, გადაბეჭდილი ნოველების ნაწილს კი უგზავნის

[რჩეულიშვილი, 2007ზ, 156].

მწერლის მოსკოველი დიასახლისის, ვერა პოტაპოვას, გურამ რჩეულიშვილისადმი ოდესაში მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, რომ მოსკოველმა მასპინძლებმა მის სახელზე მიიღეს უწყება სამხედრო კომისარიატიდან, ასევე ჩანს, რომ მწერლის მიერ მათთან დატოვებული სამხედრო ბილეთი და წიგნები მისთვის თბილისში გადაუგზავნიათ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 176].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურამ რჩეულიშვილის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის დაცული არა მხოლოდ პირადად მის მიმოწერაში, არამედ ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრების მიერ ერთმანეთისთვის გაგზავნილ წერილებშიც. 1952 წელს დედის მიერ ბებო ალექსანდრა ჯავახიშვილისათვის მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, რომ გურამმა სკოლის ზეპირი გამოცდები წარმატებით ჩააბარა, მაგრამ ქართულის წერით გამოცდაზე დაწერილ თხზულებაში მასწავლებელმა პოლიტიკურად საეჭვო წინადადება აღმოაჩინა და გურამი იძულებული გახდა, საგამოცდო კომისიისთვის დაესაბუთებინა, რომ საბჭოთა ენციკლოპედიას ეყრდნობოდა [რჩეულიშვილი, 2007ზ, 320].

მარიამ ნიჟარაძის მიერ ალექსანდრა ჯავახიშვილისათვის გაგზავნილი სხვა წერილდან ვიგებთ, რომ გურამ რჩეულიშვილს მოსწონდა პროფესორ გიორგი მელიქიშვილის ლექციები, აინტერესებდა ისტორია და საჯარო ბიბლიოთეკაში გერმანულ ენაზე კითხულობდა წიგნებს ძველი აღმოსავლეთის შესახებ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 323]

1956 წელს მარიამ ნიჟარაძის დაუთარილებელი ბარათი ალექსანდრა ჯავახიშვილისადმი, რომელიც ქ-ნი მარინე რჩეულიშვილის მიერ 1956 წლით თარიღდება, გვატყობინებს, რომ სიცხის მიუხედავად, მწერალი მაინც ბევრს მუშაობდა, რომ უკვე წამოდგა, რადგან გამოცდა ჰქონდა ჩასაბარებელი. იმდენად დასუსტებული იყო, რომ ექიმმა ალპინიატებში მონაწილეობის მიღება აუკრძალა [რჩეულიშვილი, 2007ზ, 324; გრცა, N 716, 1].

მარიამ ნიჟარაძის მიერ იმავე ადრესატისთვის მიწერილ ბარათში ჩანს, რომ გურამ რჩეულიშვილი იმ პერიოდში ხანგრძლივად ავადმყოფობდა. ვირუსული გრიპის გართულებამ მიელიტი გამოიწვია, მაღალი სიცხეები ჰქონდა და ძალზე

დასუსტდა [გრცა, N 721,1]³.

ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომლის, ქ-ნ ციალა ჩხეიძის მიერ 1960 წელს პარმენ ზაქარაიასთვის მიწერილი ბარათიდან შევიტყობთ, რომ გურამ რჩეულიშვილი რამდენიმე დღე რედაქციის თანამშრომლებთან ერთად მუშაობდა საკუთარი ნაწარმოების რედაქტირებაზე, რათა ჟურნალის ნომერი არ ჩავარდნილიყო და ამის გამო იძულებული გახდა, სახელმწიფო მუზეუმში სამსახური გაეცდინა [რჩეულიშვილი, 2007ბ 178].

მოსკოვში 1958 წლის 23 იანვარს ქ-ნი ციალა ჩხეიძის მიერ მელორ სტურუასადმი მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, რომ „ცისკრის“ რედაქცია გურამ რჩეულიშვილს 4-5-თვიანი მივლინებით აგზავნიდა მოსკოვში ნარკვევებისა და მოთხრობების დასაწერად [რჩეულიშვილი, 2007ბ, 176] (იხ. დანართი N2). ეს ცნობებიც, ისევე როგორც მწერლის პირადი მიმოწერიდან ამოკრებილი ინფორმაციები, კიდევ უფრო შეავსებს და გაამდიდრებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეს.

პირად წერილებში ძალზე ხშირად არის ხოლმე მინიშნებები ადრესატისა და ადრესანტისთვის ცნობილ გარკვეულ ფაქტებზე, მაგრამ მხოლოდ ამ მინიშნებებიდან, დამატებითი ინფორმაციის გარეშე მკითხველი ჩამოყალიბებულ აზრს ვერ გამოიტანს. ტექსტოლოგის მოვალეობაა, რომ მატრიანის ტექსტში ასეთი დეტალები სათანადოდ განიმარტოს. მაგალითად, 1958 წლის 4 მარტს მარიკა საყვარელიძის მიერ გურამ რჩეულიშვილისთვის მოსკოვში გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „რაც შენ წახვედი, რუსთაველზე თოფი არავის უსვრია“ [გრცა, 694]. ამ ფრაზის აზრი რომ გაიგოს, მკითხველმა აუცილებლად უნდა იცოდეს ერთი ინციდენტის შესახებ, რომელზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი. ვგულისხმობთ იმ შემთხვევას, ლენინის მოედანზე აღმართული რევოლუციის ბელადის ძეგლისკენ მან თოფი რომ გაისროლა და ბეწვზე გადარჩა დაპატიმრებას.

³ შემოკლებით „გრცა“ ნაშრომში წარმოდგენილია „გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივის“ ნომრები. არქივიცა და კატალოგიც მომზადებულია „ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციის მიერ“ და დაცულია იქვე.

§3. საარქივო დოკუმენტები

გურამ რჩეულიშვილის პირად არქივში მხატვრული თხზულებების, დღიურებისა და წერილების გარდა, დაცულია არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. 1956 წელს გაცემული ალპინისტის სააღრიცხვო ბარათი გვაუწყებს, რომ გურამ რჩეულიშვილი, როგორც სტაჟიორი, 1953 წელს მონაწილეობდა საუნივერსიტეტო ალპინიადაში, ხოლო 1954-1955 წლებში მსგავს ალპინიადებში უკვე მეორეთანრიგოსანი ინსტრუქტორის მოვალეობას ასრულებდა. ბარათში აღნიშნულია, რომ მას დაპყრობილი აქვს 18 მწვერვალი, გაწაფულია სათხილამურო სპორტში და აქვს თანრიგი ფრენბურთში [გრცა, N 934, 940] (იხ. დანართი N3). 1956 წლის 24 იანვარს გაცემული მოწმობა ადასტურებს, რომ გურამ რჩეულიშვილს მწვერვალ გოვერლას დალაშქვრაში (იხ. დანართი N4) მონაწილეობისათვის გადაეცა სტალინის სახელობის სპორტული კლუბის ჯილდო [გრცა, N742].

1959 წლის 25 მარტს ისტორიის მუზეუმში წარსადგენად გურამ რჩეულიშვილმა დაწერა ავტობიოგრაფია [გრცა, N729], ხოლო 1960 წლის 9 ივლისს საკუთარი განცხადების საფუძველზე [გრცა, N733], ოფიციალურად გაათავისუფლეს ისტორიის მუზეუმიდან.

სხვადასხვა დროს გურამ რჩეულიშვილის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციას ვიღებთ მისი მრავალრიცხოვანი ფოტოსურათებიდანაც. მისი მეგობრების, შოთა მირიანაშვილის, გურამ თიკანაძის და აგი აბაშიძის მიერ გადაღებულ ფოტოებს მწერლის მიერ მიწერილი აქვს ზუსტი თარიღები. ერთ-ერთი ფოტოდან, რომელსაც 1953 წლის 14 ოქტომბერი აწერია, ვიგებთ, რომ გურამი მყინვარწვერის საუნივერსიტეტო ალპინიადაზეა, მეორე ფოტოდან, რომელიც 1954 წლის ზაფხულით თარიღდება, ნათელია, რომ მწერალი ალპინისტურ ბანაკ „ნაკრას“ წევრებთან ერთად ადის მწვერვალ დონღუზ-ორუნზე. ამ პერიოდის ამბებს იგი აღწერს მოთხრობაში „ასვლა“. ასევე ფოტოებიდან ჩანს, რომ 1955 წელს იპყრობს ხადის ხეობის ერთ-ერთ მწვერვალს, 1956 წლის თებერვალში კარპატებში, გოვერლაზე ადის და შემდეგ იასინიას მთებზე გადადის.

გურამ რჩეულიშვილის არქივზე მუშაობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რაოდენ მნიშვნელოვანია მწერლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება მისი გარდაცვალებიდან მოკლე დროში და მატინის შექმნა მისი თანამედროვეების

სიცოცხლეში. იმის გამო, რომ გურამ რჩეულიშვილის ოჯახი თავიდანვე ყურადღებით ექცეოდა ახალგაზრდა მწერალთან დაკავშირებული დოკუმენტების შენახვას და მისი გარდაცვალების შემდეგაც დიდი გულისყური გამოიჩინა ნაცნობ-მეგობრების ოჯახებში გაფანტული წერილების, ჩანაწერებისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის თავმოსაყრელად, დღეისათვის ხელთა გვაქვს სრულიად უნიკალური საბუთები, ისეთები, როგორებიც დღემდე არსებულ კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანებში არასოდეს გამოყენებულა.

2019 წელს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმისთვის ოჯახის მიერ გადაცემულ მწერლის არქივში და ამ არქივის ციფრულ ბაზაში დაცულია: მწერლის დაბადების მოწმობა [გრცა, N 660], სააღრიცხვო ბარათები [გრცა, N 664, N 734, N 740], თსუ-ში საბუთების მიღების ხელწერილი [გრცა, N805], ჩათვლის წიგნაკი [გრცა, N 709], თსუ დიპლომი [გრცა, N 661], სხვადასხვა კლასისა და კურსის ნიშნების ფურცლები [გრცა, N 663, N 668-670, N 676, N 732], სამივლინებო ბარათები [გრცა, N 58, N 671, N 792, N 813]; პროფკავშირის [გრცა, N 679], კომკავშირის [გრცა, N 674], წითელი ჯვრის [გრცა, N 675], საჯარო ბიბლიოთეკისა [გრცა N 684] და ალპინისტის ბილეთები [გრცა, N 691], ალპინისტის ინსტრუქტორის მოწმობა [გრცა, N 747] სანატორიუმის წიგნაკი [გრცა N 665] (იხ. დანართი N5), ანალიზების პასუხები [გრცა, N 666], კადრების არღიცხვის ფურცელი [გრცა, N 730], გურამ რჩეულიშვილის სახელზე გაცემული ცნობები [გრცა, N 806, N937], მის სახელზე გამოწერილი სხვადასხვა სახის მოსაწვევები [გრცა N 677, N678, N 784], მისი განცხადებები [გრცა, N 727, N 731, N 733, N 936], მასთან დაკავშირებით დაწერილი განცხადებები და ბრძანებები [გრცა, N 822] მის თხოვრებებთან დაკავშირებით დაწერილი დასკვნები [გრცა, N 280], სიგელები [გრცა, N 78, N 741], ოჯახის წევრების მიერ დაწერილი მისი ბიოგრაფიები [გრცა, N827, N 828], რვეული, რომელშიც არის მისი ხელით გადმოწერილი ლურსმული წარწერები შესაბამისი გერმანული თარგმანებით [გრცა, N 736] (იხ. დანართი N6) და სხვ.

ეს უნიკალური დოკუმენტები მწერლის ბიობიბლიოგრაფიას გაამდიდრებს და ნათლად წარმოაჩენს, როგორი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა ახალგაზრდა მწერალი.

§4. მოგონებები

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის შესახებ არსებულ მოგონებებსა და დღიურებს, რადგან მათში დაცულია ბევრი ისეთი ინფორმაცია, რასაც პირადად მის ნაწერებში ვერ შევხვდებით. მწერლის დედის, მარიამ ნიჭარაძის, დღიურებში ბევრი საინტერესო რამ არის როგორც გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების, ისე მისი ამა თუ იმ ჩვეულების, თვისებისა და, ზოგადად, ხასიათის შესახებ. მაგ. მისი ერთი ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ გურამს არ მოსწონდა ახალი, „გაწკვიპილი“ სამოსის ტარება. ბავშვობაში, ალვანში ცხოვრებისას, მან უარი თქვა სკოლაში ახალი შარვლით წასვლაზე, რადგან სხვები საკერებლიანი შარვლებით დადიოდნენ და ბებიას სთხოვა, რომ მისი შარვლისთვისაც დაედო უკან საკერებლები. თუმცა თანატოლებს კიდევ უფრო რომ დამსგავსებოდა, მშობლებს სთხოვა, ჭრელი თუმშური წინდები და ქუდიც შეეძინათ მისთვის [რჩეულიშვილი 2007ბ, 287].

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანისთვის მნიშვნელოვანი წყაროა მწერლის უახლოესი მეგობრის, პოეტ ნუგზარ წერეთლის, ვრცელი მოგონებები, რომლებიც რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად. აქ წარმოდგენილი არაერთი მოგონებიდან ჩანს გურამ რჩეულიშვილის გულისხმიერება სრულიად უცნობი ადამიანების მიმართაც კი. მაგალითად, ვიგებთ, რომ 1954 წლის ზაფხულის ერთ დღეს ფუნქციონირის რესტორნის აივანზე მეგობრებთან (ნუგზარ წერეთელი, გურამ გეგეშიძე, ნოდარ ჩხეიძე) მოქეიფე გურამ რჩეულიშვილს რესტორნის დარბაზიდან გერმანელი ტურისტებისა და მათი ქართველი გიდის ხმამაღალი საუბარი შემოესმა. გურამს თურმე ყურში მოხვდა გიდის მიერ სტუმრებისთვის არასწორად მიწოდებული ინფორმაცია საქართველოს ისტორიის შესახებ. იგი დელიკატურად ჩაერთო საუბარში და ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით დეტალები დააზუსტა [წერეთელი, 2009, 55].

საბჭოთა კავშირი სოციალისტური სახელმწიფო იყო და მასში თითქოს ყველა მოქალაქე თანაბარი უფლებებით სარგებლობდა, მაგრამ რეალურად, როგორც მაღალი, ისე დაბალი თანამდებობის პირები ხშირად აჭარბებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას. გურამ რჩეულიშვილი ვერ ეგუებოდა ასეთ საქციელს არა მხოლოდ პირადად მის და თავისი ახლობლების, არამედ უბრალო ნაცნობებისა და

თუნდაც უცნობების მიმართაც კი. ნუგზარ წერეთლის გადმოცემით, იგი ერთხელ მოსკოვში ცხოვრებისას შეესწრო, კომუნალური გადასახადის გადაუხდელობის გამო როგორი რისხვა დაატეხა თავს სახლმმართველობის მთვრალმა თანამშრომელმა მის მოხუც მასპინძლებს, პოტაპოვებს. როდესაც ტაქტიანი ჩარევით ვერაფერი გააწყო, მწერალმა ეს კაცი კინწისკვრით გააგდო მათი სახლიდან, შემდეგ კი სამი თვის ქირა წინასწარ გადაუხადა მასპინძლებს, რომ გადასახადები დაეფარათ და აღარავის ჰქონოდა მათი შევიწროების საბაზი [წერეთელი, 2009, 462-463].

მწერლის მეგობრის, ჯურხა ნადირაძის, აზრით გურამ რჩეულიშვილი ვერ ეგუებოდა უზრდელობას და თავხედობას. ერთხელ კინოთეატრ „სპარტაკში“ ბილეთების სალაროსთან მეგობრებთან ერთად მდგომმა გურამმა დაინახა, რომ მსახიობი გოგუცა კუპრაშვილი, დაბალი და გამხდარი ქალბატონი, რომელიც მოზარდ მაყურებელთა თეატრში ბავშვების როლებს ასრულებდა ხოლმე, ორმა „ჯანიანმა ჯეელმა“ გვერდზე უხეშად გასწია და რიგში წინ ჩაუდგა. გურამმა ისინი გვერდზე გაიხმო და „ჭკუა ასწავლა“ [რჩეულიშვილი, 2006, 609].

მწერლის სხვა მეგობრის, ლევან მალაზონიას, შეხედულების მიხედვით, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, გურამი უცხო ადამიანებშიც კი ნდობას იმსახურებდა. ერთხელ, როდესაც მშვივრები იყვნენ და ფული არ ჰქონდათ, გურამს გასტრონომში საათი დაუგირავებია და სურსათითა და სასმელით დახუნძლული გამოსულა. ლევან მალაზონიას თქმით, თავად რომ ეცადა ამის გაკეთება, არც ერთი გამყიდველი არ ენდობოდა [რჩეულიშვილი, 2006, 609].

ნიჭიერი ადამიანი ყოველთვის გრძნობს თავის შესაძლებლობებს და გურამ რჩეულიშვილიც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი, მაგრამ იმის გამო, რომ ის ძალიან კარგად იცნობდა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ლიტერატურულ საგანძურს და იცოდა დიდი ხელოვნების ფასი, ზედმეტად კრიტიკული იყო საკუთარი მოღვაწეობის მიმართ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნუგზარ წერეთლის მოგონება, რომელშიც აღწერილია გურამისა და მისი მეგობრების შემთხვევითი შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან 1959 წლის 31 იანვარს. რუსთაველის პროსპექტზე კაფეში მსხდომ გურამს და მის მეგობრებს იქვე მჯდომი გალაკტიონი გამოელაპარაკა და ჰკითხა, რა პროფესიისანი იყვნენ. გურამ რჩეულიშვილმა, როგორც ჩანს, ვერ გაბედა დიდი პოეტისთვის იმის თქმა, რომ თავადაც მწერალი იყო და მიუგო „Я

лично комерсант“. გალაკტიონს ეს „ხუმრობა-ტყუილი“ არ გამოჰპარვია და როდესაც კარგა ხნის საუბრის შემდეგ ემშვიდობებოდა ახალგაზრდებს, გურამ რჩეულიშვილისკენ შეტრიალებულს ჩაუხითხითია, „ამას კარტული არ ეკერკებაო“ [წერეთელი, 2009, 253-255].

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებაც და შემოქმედებაც თავისუფალი სულით და უძრაობა-სტაგნაციასთან შეუგუებლობის ნიშნით არის აღბეჭდილი. ამას მოწმობს არაერთი მოგონებაც. მაგალითად, ნუგზარ წერეთლის გადმოცემიდან ცნობილია, რომ 1956 წელს თსუ მეხუთე კურსის დასრულების შემდეგ გურამ რჩეულიშვილი მეგობრებთან ერთად ერთთვიან წვრთნაზე იყო დუშეთის სამხედრო ბანაკში. იმის გამო, რომ იქ არც სწავლისა და არც ნორმალური ყოფის მინიმალური პირობებიც კი არ იყო, ახალგაზრდებმა ორდღიანი საპროტესტო გამოსვლა მოაწყვეს, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გურამ რჩეულიშვილიც იყო [წერეთელი, 2009, 442].

გურამ რჩეულიშვილს თავისი ექსცენტრიული ქცევის გამო ხშირად ექმნებოდა პრობლემები, მაგრამ ზოგჯერ სრულიად უსაფუძვლოდაც ეხვეოდა ხოლმე შარში. ნუგზარ წერეთლის მოგონებებიდან ცნობილია, რომ 1958 წლის მარტში მოსკოვში მეგობრებთან: ნუგზარ წერეთელთან და ნოდარ ზედელაშვილთან ერთად ლუდხანაში მყოფს მთვრალი რუსი მეზღვაურები აუხირდნენ. საქმე ჩხუბამდე და მილიციის ჩარევამდე მივიდა, მაგრამ დაპატიმრებას გადაარჩინა ლუდხანის ოფიციალისა და იქ მსხდომი უცხოეთის საელჩოს წარმომადგენლების ჩვენებებმა, რომლებმაც მისი და მისი მეგობრების უდანაშაულობა დაადასტურეს [წერეთელი, 2009, 458-459].

ასევე ნუგზარ წერეთლის მემუარებიდან ვიგებთ, რომ 1955 წლის 15 იანვარს თანაკურსელის, მედეა ლორთქიფანიძის, დაბადების დღიდან ნუგზარ წერეთელთან ერთად წამოსული გურამ რჩეულიშვილი მოულოდნელად შეესწრო დანაშაულის ფაქტს: მარჯანიშვილის ქუჩაზე მთვრალმა ახალგაზრდებმა ჩხუბისას მაღაზიის ვიტრინა ჩაამსხვრიეს. დარაჯს ეგონა, რომ გურამი და ნუგზარიც იმ ბიჭებთან ერთად იყვნენ და უნდოდა, რომ ისინიც მილიციისთვის ჩაებარებინა. ამიტომ მათ გაქცევა სცადეს. გურამმა მოახერხა კიდევ, მაგრამ ნუგზარი დაიჭირეს. რამდენიმე თვის შემდეგ ნუგზარ წერეთლის სასამართლო გაიმართა. გურამი შენობასთან იცდიდა და მისი მეგობრისთვის პატიმრობის მისჯის შემთხვევაში, დარბაზში შესვლას და

ჩვენების მიცემას აპირებდა, მაგრამ ამჯერადაც გადარჩნენ. ნუგზარს მხოლოდ პირობითი სასჯელი განუსაზღვრეს [წერეთელი, 2009, 401-407].

გურამ რჩეულიშვილი ეროვნული კულტურისა და სპორტის დიდი გულშემატკივარი იყო. მას ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა იმ ეპოქაში, როდესაც საქართველოს დაკარგული ჰქონდა სახელმწიფოებრიობა და იყო საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული ადმინისტრაციული ერთეული. ასეთ ვითარებაში კულტურა და სპორტი ეროვნული იდენტობის გამოხატვის ერთადერთი საშუალება იყო. ამიტომ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“, ან ერევნის „არარატის“ საფეხბურთო მატჩები ეროვნული შეჯიბრის მნიშვნელობას იძენდა.

ნუგზარ წერეთლის ერთი მოგონებიდან ჩანს, რომ 1957 წლის ზაფხულში თელავში დასასვენებლად მყოფი გურამ რჩეულიშვილი მეგობრებთან ერთად საგანგებოდ დაბრუნდა თბილისში ადგილობრივი „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ მატჩზე დასასწრებად, მაგრამ ძალიან იმედგაცრუებული და გულდაწყვეტილი დარჩა. გარდა იმისა, რომ „დინამოელებმა“ თავი ვერ გამოიჩინეს და სამით ერთს აგებდნენ, მოხდა გურამ რჩეულიშვილისთვის კიდევ უფრო მიუღებელი რამ: გალიზიანებულმა ქართველმა გულშემატკივრებმა სტადიონზე დებოში ატეხეს და მატჩი ჩაშალეს [წერეთელი, 2009, 426].

მოგონებებიდან ჩანს, რომ გურამ რჩეულიშვილი თბილისის საფეხბურთო გუნდების გასვლით შეხვედრებსაც ესწრებოდა. ნუგზარ წერეთლის გადმოცემით, მარიკა საყვარელიძის დაბადების დღის წვეულების შემდეგ იგი მეგობრებთან ერთად მეწაღე სულიკო კაზარიალის მანქანით წასულა ერევანში, სადაც თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდი „ტოდო“ ხვდებოდა ერევნელ ფეხბურთელებს. თამაში ფრედ დამთავრდა. ახალგაზრდებმა დაათვალიერეს სომხეთის დედაქალაქი და თბილისში მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდნენ [წერეთელი, 2009, 117-122].

ნუგზარ წერეთლის მოგონებიდანვე ვიგებთ, რომ 1956 წლის 8 მარტს, დემონსტრანტების დახვრეტის წინა დღეს, გურამ რჩეულიშვილიც მონაწილეობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გამართულ საპროტესტო მანიფესტაციაში. ღამით გამართულ სისხლისღვრას იგი მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ შეღამებიდან

დილის 7 საათამდე მეგობრებთან (ნოდარ ზედელშვილი და ნუგზარ წერეთელი) ერთად ვაკეში მცხოვრები მეგობარი გოგონას ოჯახში იმყოფებოდა. ქალაქში გამოსულმა საკუთარი თვალით ნახა დარბეული და აწიოკებული მოსახლეობა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ემოცია ასახა თავის ნოველაში „ქუჩაში გამოვარდნილი ბავშვები“ [წერეთელი, 2009, 275].

გვაქვს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა მოგონებაში ოდნავ განსხვავებულად არის გადმოცემული. მაგალითად, რჩეულიშვილების ოჯახის მეგობრის, სერგი დურმიშიძის, მოგონების მიხედვით, 1956 წლის ივლისში ჰოლანდიური თოფით ხელში ლენინის მოედანზე (ამჟამად თავისუფლების მოედანი) გასულმა გურამ რჩეულიშვილმა ორჯერ გაისროლა რევოლუციის ბელადის ძეგლის მიმართულებით. მოგონების მიხედვით, იგი დააკავეს, მაგრამ სასჯელისაგან გავლენიანმა მეზობელმა, სევერიანე ჩხარტიშვილმა, იხსნა [დურმიშიძე, 1987, 472-473].

ამ ამბავს, მწერლის მონათხრობზე დაყრდნობით, უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს ნუგზარ წერეთელი. აქ დამატებულია, რომ პირველად მწერალმა სასტუმრო „ივერიასთან“ გაისროლა, სადაც მეგობართან შეიარა. შემდეგ წავიდა ლენინის მოედნისკენ და მონადირეთა სახლს მიახლოებულმა ორჯერ გაისროლა ძეგლის მიმართულებით. ამ დროს გამოჩნდა სამხედრო პატრული და დააკავეს. მილიციას აინტერესებდა, ქალაქის საბჭოს მიმართულებით ისროლა, თუ „ბავშვთა სამყაროს“ მხარეს, რადგან სხვადასხვა პასუხის შემთხვევაში მის ქმედებას სხვადასხვაგვარი მოტივაცია დაედებოდა საფუძვლად. მწერალი შემთხვევითობამ იხსნა. უშიშროების სამსახურში იმდენად დაბნეულები და შეშინებულები იყვნენ, რომ დანაშაულებრივ ქმედებაზე დაკავების აქტი არ შეუდგენიათ. ამიტომ, ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ და, როგორც კი საქმეში გავლენიანი ნაცნობი ჩაერია, უპრობლემოდ გაათავისუფლეს. მოგვიანებით მწერალს ასე აუხსნია მეგობრებისთვის საკუთარი საქციელი: ირგვლივ არაფერი იყო სასიხარულო, უცებ უიმედობამ შემიპყრო და ვიფიქრე ან ლენინის ძეგლისთვის მესროლა ან საკუთარი თავისთვისო [რჩეულიშვილი, 2007ბ, 300-301]. როგორც ვხედავთ, ყველა მოგონებიდან ჩანს არა მხოლოდ კონკრეტული ფაქტები, არამედ მწერლის ხასიათი, მისი განწყობები, ჩვევები და მისწრაფებები.

საბჭოთა კავშირში ოფიციალურად ყველა ერი თანაბარი უფლებებით სარგებლობდა და თანაბრად იყო დაფასებული, მაგრამ რეალურად რუსებს ყოველთვის ჰქონდათ „უფროსი ძმის“ ამბიცია. ნუგზარ წერეთლის ერთ-ერთი მოგონების მიხედვით, 1958 წელს, მოსკოვში ყოფნისას იქ ჩასული მეგობრებისთვის გურამ რჩეულიშვილს უთქვამს, რომ აპირებდა რუს ნაცნობ მწერალთან, ანატოლი ჩერნიაკოვთან, წასვლას, რომელსაც მისი „ცისკარში“ გამოქვეყნებული მოთხრობების თარგმნა ჰქონდა განზრახული. შეხვედრა მოსკოველი მწერლის სახლში შედგა. სუფრაზე გურამმა საქართველოს სადღეგრძელო დალია, რამაც რუსი თანამეინახეების პროტესტი გამოიწვია, იმ მოტივით, რომ მათთვის სამშობლო საბჭოთა კავშირი იყო. სადღეგრძელოთი გაღიზიანებულმა მასპინძლებმა საქართველოს ისტორიის თავისებური ინტერპრეტაცია დაიწყეს და რუსეთის მფარველობის დაუფასებლობის გამო ქართველებს უმადურები უწოდეს. გურამმა, თავის მხრივ, ისინი ოკუპანტებად მოიხსენია, ჩერნიაკოვს უთხრა, რომ მისი თარგმანი აღარ სჭირდებოდა და წვეულება დატოვა. რამდენიმე დღის შემდეგ ანატოლიმ ბოდიში მოუხადა, მაგრამ გურამს მასთან ურთიერთობა აღარ გაუგრძელებია [წერეთელი, 2009, 372-376].

დიდხანს ვეძებეთ ინფორმაცია ზემოხსენებული ანატოლი ჩერნიაკოვის შესახებ. რამდენადაც ის მწერლად იყო მოხსენიებული, ვიფიქრეთ, რომ წლების განმავლობაში რაიმე მაინც ექნებოდა გამოქვეყნებული, მაგრამ რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ კატალოგებში მისი ავტორობით ვერაფერს წავაწყდით. ბოლოს ინტერნეტის საძიებო სისტემის გამოყენებით მივაკვლიეთ ერთ საინტერესო ინტერვიუს ანატოლი არკადის ძე ჩერნიაკოვთან [Черняков, 2016, 119-120]. აღმოჩნდა, რომ ის იყო ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნის - ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ტურბინის მოსწავლე და მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსიდან, კერძოდ, 1958 წლის მაისის პირველი ნახევრიდან, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედების შემსწავლელთა ყოველწლიურ სემინარებში. ის გატაცებული იყო პოეზიით და, როგორც ჩანს, თავადაც წერდა, 1970-იან წლებში კი გამომცემლობა „Искусство“-ს რედაქტორი იყო.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპის შესახებ სხვადასხვა პირთა მემუარებიდან ვიგებთ. მაგალითად, ნოდარ ზედელაშვილის მოგონებიდან

ჩანს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში სხვადასხვა შემოქმედებით წრეში მონაწილეობის ამბები. აღმოჩნდა, რომ იგი გურამ რჩეულიშვილთან ერთად დადიოდა წრეზე, რომელსაც პედაგოგი ირინე მიქელაძე უძღვებოდა, შემდეგ კი პირველ ქართველ მთამსვლელ ქალ ალექსანდრა ჯაფარიძესა და მზია ერისთავთან ერთად გააგრძელა ალპინიზმის წრეზე სიარული [ზედელაშვილი, 2008, 57].

მეგობართა წრეში ყოველთვის არის ხოლმე ერთი პირი მაინც, რომელიც ლიდერის როლს ასრულებს. კოკა ეგნატოვის მოგონებიდან ჩანს, რომ გურამ რჩეულიშვილის სამეგობროში ასეთი ლიდერი თავად გურამი იყო. მოგონებაში ვკითხულობთ: „ყველაფრის მოთავე ის იყო, ნამდვილი ლიდერი იყო. იქ წავიდეთ, აქ წამოვიდეთ; ეს ვქნათ, ის ვქნათ; ამაზე ვილაპარაკოთ; იმაზე ვილაპარაკოთ“ [იგნატოვი, 2008, 48] ამ აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების გამო მეგობრები ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ თვალსა და ხელს შუა ყალიბდებოდა მათ გვერდით ნამდვილი მწერალი. კოკა ეგნატოვისავე მოგონების მიხედვით, გურამ რჩეულიშვილს არ უყვარდა თავის ნაწერებსა და მიღწევებზე საუბარი და ისე მოხდა, რომ ბევრმა მათგანმა გვიან აღმოაჩინა „ამდენი თუ დაწერა, ამდენის შემქმნელი თუ იყო“ [იგნატოვი, 2008, 48].

მეგობრების გადმოცემით, გურამ რჩეულიშვილს ძალიან ეხერხებოდა დაძაბული სიტუაციის განმუხტვა. ერთხელ გაგრამი მას და მის მეგობრებს შელაპარაკება მოსვლიათ ორთაჭალელ ბიჭებთან და საქმე ჩხუბამდე მივიდოდა, რომ არა გურამის უცნაური ქმედება. ის სათითაოდ მისულა თითოეულ მოწინააღმდეგესთან. ხელს ართმევდა და თავის სახელსა და გვარს ეუბნებოდა. მნელი სათქმელია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რა მოხდა ამ მომენტში, მოწინააღმდეგემ ეს კეთილგანწყობის ჟესტად მიიღო, იგრძნო, რომ ამ სახელისა და გვარის უკან რაღაც ანგარიშგასაწევი იგულისხმებოდა თუ უბრალოდ აფეთქების მომენტი განიმუხტა. ფაქტი ის არის, რომ დაპირისპირება ფიზიკური შეხლა-შემოხლის გარეშე დასრულდა [ბერიძე, 1986, 136].

გურამ რჩეულიშვილის ორატორული შესაძლებლობების შესახებ ვიგებთ მისი მეგობრის - თემო ბერიძის ერთი მოგონებიდან. ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ გურამ რჩეულიშვილს უნივერსიტეტში წაუკითხავს მოხსენება ხოვლეში გორა-ნამოსახლარებზე წარმოებული

არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ, რომელსაც, თანაკურსელების გარდა, ლექტორები - ოთარ ჯაფარიძე და ტარიელ ჩუბინაშვილიც ესწრებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მწერალს მოხსენება დაწერილი ჰქონდა და წინ ედო, მთლიანად ზეპირად და საინტერესოდ უსაუბრია [ბერიძე, 1986, 137].

მეგობრების მონათხრობებიდან შეგვიძლია ზუსტად წარმოვიდგინოთ ზოგიერთი მოვლენა მწერლის ცხოვრებიდან, მაგალითად, როგორ ატარებდა თავისუფალ დროს, ან რა ვითარებაში და როგორ აცნობდა მეგობრებს თავის ნაწერებს. თემო ბერიძის თქმით, მწერლის სამუშაო ოთახის მარჯვენა კედლის ბოლოში მისი სამუშაო მაგიდა იდგა და გვერდით იყო პატეფონი, რომელსაც ხშირად უკრავდა ხოლმე. რაღაც პერიოდში ამოჩემებული ჰქონია სიმღერა „კუკარაჩა“. უსმენდა მაღალ ხმაზე და ჩაუქრობლად აბოლებდა თამბაქოს. თავის ნაწერებს მეგობრებს ხშირად თავადვე უკითხავდა, მაგრამ ზოგჯერ ისინი მაგიდის მარჯვნივ მდგარ სავარძელში სხდებოდნენ და თავად კითხულობდნენ [ბერიძე, 1986, 137].

ძლიერი აღნაგობისა და ფიზიკური ძალის მიუხედავად, გურამ რჩეულიშვილი ფაქიზი და მგრძნობიარე ბუნებისა ყოფილა. მისი მეგობარი თემო ბერიძე იხსენებს, როგორ მოადგა მას თვალზე ცრემლები, როცა გაგრიდან აცილებდა მეგობარს. ვაგონის კიბეზე მდგარმა ბერიძემ, რომელიც მას ხელს უქნევდა, ბაქანზე მდგომი გურამის თვალეზე ცრემლი შენიშნა [ბერიძე, 1986, 138]. თემო ბერიძისავე მოგონების მიხედვით, ერთხელ, როდესაც ლექტორმა საუბრის გამო აუდიტორიიდან გააძევა გურამ რჩეულიშვილის თანაკურსელი ქალიშვილი, გურამმა პროტესტისა და სოლიდარობის ნიშნად, ხმის ამოუღებლად, თავადაც დატოვა აუდიტორია [ბერიძე, 1986, 137].

გურამ რჩეულიშვილი ხშირად იქცეოდა ექსცენტრიულად, მაგრამ თავის მართლება არ სჩვეოდა, თუ რამეს დააშავებდა, აღიარებაც შეეძლო. ერთხელ მეგობრის დედის საფლავზე მეგობრებთან ერთად ასულმა ვაკის სასაფლაოს შესასვლელთან ცხენშებმული დროგი დაინახა, მოახტა და გააქანა. იქვე მდგარი მედროგე ლანძღვა-გინებით გამოეკიდა. გურამმა დროგი მოაბრუნა, გადმოვიდა და ნელი ნაბიჯით წავიდა პატრონისკენ. გააფთრებულმა მედროგემ მათრახი ისე მოუქნია, რომ ყელზე საბელივით შემოეხვია, მაგრამ არ გაუპროტესტებია. გაუნძრევლად იდგა და მიყენებული ტკივილისა და შეურაცხყოფისგან შემცბარი

ილიმებოდა [ბერიძე, 1986, 137].

გურამ რჩეულიშვილის საოცარ გულისხმიერებაზე მიგვანიშნებს ერთი ასეთი მოგონება: მოსკოვში ყოფნისას მან გაიცნო რუსი მხატვარი სლავა გულიაევი, რომელიც ბევრს სვამდა. ამის გამო ცოლმა მას ორი მცირეწლოვანი შვილი დაუტოვა და მშობლებთან დაბრუნდა. როცა გურამმა ეს ამბავი გაიგო, სუსხიანი ზამთრისა და არცთუ მცირე ხარჯების მიუხედავად, ზაგორსკში გაემგზავრა და იქედან 50 კილომეტრით დაშორებულ სოფელში ჩავიდა, სადაც გულიაევის სიდედრ-სიმამრი ცხოვრობდა. მან მოახერხა ქალის დათანხმება შერიგებაზე და იმავე დღეს მასთან ერთად ტაქსით დაბრუნდა მოსკოვში [წერეთელი, 2009, 73].

მწერლის იუმორის გრძნობაზე მიგვანიშნებს ნუგზარ წერეთლის ერთი მოგონება, რომელიც აღწერს, როგორ გაუგზავნა გურამ რჩეულიშვილმა მას მოსკოვიდან თბილისში თაბახის ფურცლების მთელი შეკვრა იმაზე მისანიშნებლად, რომ მისთვის წერილების გაგზავნა არ დაზარებოდა [წერეთელი, 2009, 104].

უნივერსიტეტის მეგობრის, ნიკო გოგოჭურის, მოგონებიდან ვიგებთ, რომ სტუდენტობის პერიოდში გურამ რჩეულიშვილი დაინტერესებული იყო ფილოსოფიის ისტორიით და კითხულობდა აკრძალულ ლიტერატურას, კერძოდ, ფრიდრიხ ნიცშესა და ემანუელ კანტის ნაწერებს. მეგობრის შენიშვნაზე - „რას აწყლუტ თავს მაგ ჯუჯა ებრაელის ფანტაზიებსო“, მწერალს იუმორით უპასუხია, რომ თავად ნიკოს კანტი „კანტიკუნტად“ ესმოდა და ამას იმიტომ ამბობდა [გოგოჭური, 2009, 7].

გურამ რჩეულიშვილი სხვის იუმორსა და ხუმრობასაც ჯანსაღად აღიქვამდა. ერთხელ მოსკოვში მყოფმა მისმა მეგობრებმა: ნოდარ ზედელაშვილმა, ბორის ინასარიძემ და ნუგზარ წერეთელმა გადაწყვეტეს გახუმრებოდნენ თბილისში დარჩენილ მეგობარს და მისწერეს, თითქოს ნუგზარმა რუსი ადმირალის ქალიშვილი შეირთო და მალე თბილისში დაბრუნდებოდა ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად. მწერალმა მთელი სერიოზულობით მიიღო ეს ამბავი, მეგობრებში ფული შეაგროვა, ახალდაქორწინებულთათვის პეტრიაშვილის ქუჩაზე ბინა იქირავა, კეთილმოაწყო და იმ პერიოდისთვის ახალშემოსული ტელევიზორიც კი დაუდგა, ჩამოსვლის დღეს კი ყვავილებითა და შამპანურებით ხელდამშვენებული დახვდა რკინიგზის სადგურში. როდესაც ხუმრობა გამომჟღავნდა, მიუხედავად ამოდ დახარჯული ძალისხმევისა,

მეგობრებზე არ გაბრაზებულა და დარჩენილი თანხით ისინი რესტორანში დაპატიჟა [წერეთელი, 2009, 127-129].

როგორც ჩანს, მწერალი თან გრძნობდა თავისი ნაწერების მნიშვნელობას და თან ხუმრობდა კიდევ ამაზე. 1958 წლის დასაწყისში მასთან სტუმრად მყოფ ნუგზარ წერეთელს მოთხოვნის „ცარიელდება აგარაკი“ ავტოგრაფი აჩუქა და უთხრა, მე რომ აღარ ვიქნები, წაიკითხავ და გემახსოვრები, თან მუზეუმში ჩასაბარებლადაც გამოგადგებაო [წერეთელი, 2009, 155].

გურამ რჩეულიშვილი თავადვე უწოდებდა ზოგ თავის ქცევას ექსცენტრიულს და, მართლაც, ხშირად არაორდინალურად იქცეოდა. ნუგზარ წერეთელს დაწვრილებით აქვს აღწერილი 1953 წლის 4 აგვისტოს მომხდარი ფაქტი, რომელსაც სერიოზული პრობლემები მოჰყვა: თელავში რამდენიმედღიანი დასვენების შემდეგ გურამ რჩეულიშვილი მეგობრებთან ერთად წინანდლის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად წავიდა. ბალის შესასვლელთან ცხენი დაინახა და მისი გაჭენების სურვილი გაუჩნდა. პატრონის ძებნა დაიწყო, რომ ნებართვა ეთხოვა, მაგრამ ვერ იპოვა და ცხენი თვითნებურად წაიყვანა. ოცი წუთის ჭენების შემდეგ პირუტყვი უკან დააბრუნა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ადგილობრივებმა ცხენის წაყვანა შენიშნეს და გურამსა და მის მეგობრებს ქვების სროლა დაუწყეს. ატყდა შეხლა-შემოხლა, რასაც მილიციის მიერ გურამისა და მისი მეგობრების დაკავება მოჰყვა. საქმე თელავის სასამართლომდე მივიდა, რომელმაც გურამ რჩეულიშვილს ერთი წლითა და სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა. მწერლის მშობლებმა საქმე უმაღლეს სასამართლოში გადაიტანეს და კვალიფიციური ადვოკატის დახმარებით სასჯელი შეუმსუბუქეს. მას იძულებითი სამუშაო და მიღებული ანაზღაურებიდან სახელმწიფოსთვის 20%-ის გადახდა დააკისრეს. საჭირო გახდა სამსახურის დაწყება და გურამ რჩეულიშვილმა, თავისი ბიძის, შალვა ნიჟარაძის, დახმარებით, სოლოლაკსა და ბოტანიკურ ბაღს შორის მშენებარე გვირაბის გაყვანაზე დაიწყო მუშაობა [წერეთელი, 2009, 386-388].

ერთხელ გურამ რჩეულიშვილი ოჯახის დავალებით მეგობრებთან ერთად საგურამოში წავიდა შეშის ჩამოსატანად, მაგრამ კაცი, ვისგანაც შეშა უნდა წამოეღო, შინ არ დახვდა. მოშიებულმა მეგობრებმა მცხეთის ბაზარში სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე მოილხინეს. გურამ რჩეულიშვილის ზოგიერთ საქციელს

ეპატაჟურობის იერი დაჰკრავდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, რეალურად რა განცდა იმალებოდა ამ გარეგანი „მყვირალა“ ფაქტების მიღმა. იმავე საღამოს, მცხეთაში ის მეგობრებთან ერთად შევიდა სვეტიცხოვლის ტაძარში, მუხლი მოიყარა ერეკლე მეორის საფლავთან და მღვდელს საკუთარი პარაკლისი გადაახდევინა. როდესაც ნუგზარ წერეთელმა ეს ქცევა გაიკვირვა, ნახევრად ხუმრობით უპასუხა, მერე შეიძლება მღვდლისთვის ფულის გადახდა დაგენანოთ და ამიტომ ჩემი პარაკლისი წინასწარ გადავიხადეო. მოგონების ავტორი, სავარაუდოდ, ორივეგან პანაშვიდს გულისხმობს, რადგან პარაკლისს მართლაც, ცოცხლებისთვის იხდიან და ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა [წერეთელი, 2009, 161].

მოგონებებიდან ვიგებთ წვრილმან ფაქტებსაც. მაგალითად, ნუგზარ წერეთლის მოგონებიდან ჩანს, რომ მწერალი მას ტიციან ტაბიძის შემოქმედების შესახებ საკურსო ნაშრომის შესავლის დაწერაში დახმარებია [წერეთელი, 2009, 112], რომ დუშეთის ბანაკში ყოფნისას ერთხელ დილით სიის ამოკითხვისას მწერალს მწყობრში ჩადგომა დაუგვიანია და კაპიტანს ერთი დღით სამზარეულოში განუწესებია [წერეთელი, 2009, 438] და სხვ...

მოგონებებიდან ვიღებთ ინფორმაციას მწერლის ნაცნობების შესახებ. 1955 წელს რესტორან „თბილისში“ გურამ რჩეულიშვილს გაუცნია იმხანად ძალზე პოპულარული რუსი მსახიობი ოლეგ სტრიჟენოვი, რომელიც ნუგზარ შარიასთან იყო ჩამოსული სტუმრად [წერეთელი, 2009, 382]. სწორედ ამ წელს გამოვიდა მსახიობის მონაწილეობით მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი „კრაზანა“.

გურამ რჩეულიშვილი გრიბოედოვის ქუჩაზე ხშირად სტუმრობდა მეგობრის, დათო ღოღობერიძის, ნათესავის, შემდგომში საქართველოს სახალხო არტისტის, მომღერალ ნანი ბრეგვაძის ოჯახს და ტკბებოდა ნანისა და მისი დეიდაშვილების - ივიკო, ცისანა და მარკა საყვარელიძეების სიმღერებით [წერეთელი, 2009, 116].

ერთხელ გურამ რჩეულიშვილს წაუკითხავს, რომ რუსულ ისტორიულ ეპოსს „ამბავი იგორის ლაშქრობისას“ მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ თუ შეედრება. იგი გაულიზიანებია ამ შედარებას და მეგობრისთვის უთქვამს, რომ ეს რუსული ტექსტი მეთვრამეტე საუკუნეში ვინმე მუსინ-პუშკინის მიერ შეთხზული ნაყალბეგია. მეგობარს შეუთავაზებია, რომ ამის შესახებ სტატია დაეწერათ და უნივერსიტეტის გაზეთში დაებეჭდათ, მაგრამ გურამ რჩეულიშვილმა იცოდა, რომ ასეთ რამეს არ

გამოუქვეყნებდნენ, ტყუილად აღმოჩნდებოდა „ზედმეტი დაკვირვების ქვეშ“ და ამიტომ უარი უთქვამს [გოგოჭური, 2009, 7].

დედის ერთი სადღიურო ჩანაწერი დაწვრილებით აღწერს, როგორ იცოდა გურამ რჩეულიშვილმა სამუშაოში მთელი არსებით ჩაფლვა. მასში ვკითხულობთ: „ერთ დღეს მიდის სახლიდან, მოაქვს რაღაც ქაღალდები, პატარა ლურსმნები... გაიკრა თავისი ოთახის ფანჯრებზე ქაღალდები და მთლად დაიბნელა ოთახი, ერთი თვით გარეთ აღარ გამოდის. დღედაღამ კითხვაში და წერაში ატარებს“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 416]. მისივე სხვა ჩანაწერში აღწერილია ტრაგედია „იულონზე“ მუშაობის პროცესი: „დადის სულ დაფიქრებული, ეტყობა სხვა სამყაროშია და ფიზიკურად კი ჩვენთან არის“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 417].

ნუგზარ წერეთლის ერთი მოგონებიდან ვიგებთ, რომ მწერალს მეგობრები „ვამეხსა“ და „რჩეულას“ ეძახდნენ. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ნათელს ჰფენს, რატომ ჰქვია მისი არაერთი მოთხრობის ალტერ ეგოს „ვამეხი“, ან „ვამეხ რჩეულიშვილი“ [წერეთელი, 2009, 98].

ნიკო გოგოჭურის კიდევ ერთი მოგონება საინტერესოა არამარტო მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიაზე შესატანად, არამედ ლიტერატურის მკვლევართათვისაც, რადგან მასში საუბარია იმ ამბავზე, რომელიც საფუძვლად დაედო მოთხრობა „ალავერდობის“ ერთ-ერთ ეპიზოდს. ერთხელ, სოფელ თეთრწყლებში სტუმრად ყოფნისას, მწერალი გოგოჭურების სიძეს, ურჯუკას, შეჯიბრებია დოღში უბელო ცხენით და რამდენჯერმე დაუმარცხებია. სოფლის შარაზე ერთ-ერთი შეჯიბრისას გურამის ცხენს მოულოდნელად შეუცვლია მიმართულება და მიცვალებულის წლისთავის აღსანიშნად გაშლილ სუფრას გადახტომია. ამას ზუსტად ისეთივე აყალ-მაცალი მოჰყვა, როგორც „ალავერდობაშია“ აღწერილი. ატყდა ხანჯლების ტრიალი, რომელსაც მწერალი სალუდე ქვაბის მოსარევი ჯოხით იგერიებდა [გოგოჭური, 2009, 12].

მოგონებებში გვხვდება კურიოზებიც მწერლის ცხოვრებიდან. ერთხელ ფილოსოფიის გამოცდაზე მწერალს ნიკო გოგოჭურისთვის უთხოვია ფურცელზე ფილოსოფოსთა გვარების ჩამოწერა. მას თხოვნა შეუსრულებია და ბოლოში მიუწერია სიტყვა „როშე“ ე. ი. ილაყბეო. მწერალს „როშე“ ფილოსოფოსის გვარი ჰგონებია და გამოცდის ჩაბარებისას უხერხულ სიტუაციაში აღმოჩენილა. ლექტორი

სამიანის დაწერას უპირებდა, მაგრამ ჩათვლის წიგნაკში სულ კარგი ნიშნები რომ ნახა, დაინდო და ოთხიანი დაუწერა. გამოცდიდან გამოსული მწერალი ნირწამხდარი ისმენდა გოგოჭურის ახსნა-განმარტებას და მეგობრების ხარხარს [გოგოჭური, 2009, 6].

სტამბურად გამოქვეყნებული მოგონებების გარდა, გურამ რჩეულიშვილის შესახებ ფრაგმენტული მოგონებები ინტერნეტში განთავსებულ სხვადასხვა ცნობილ პირთა ინტერვიუებშიც გვხვდება. მაგალითად, მსახიობ ლალი ბადურაშვილის მონათხრობიდან შევიტყვეთ, რომ თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე სკოლაში სწავლისას ის იყო გურამ რჩეულიშვილის დის, ქ-ნ მარინე რჩეულიშვილის, თანაკლასელი და მეგობარი. გოგონები ერთად ემზადებოდნენ ფრანგულ ენაში რჩეულიშვილების ნათესავსა და მეზობელ, ქ-ნ თევლე ორბელიანთან. ამიტომ მას ხშირად უხდებოდა შეხვედრა ახალგაზრდა მწერალთან. გურამ რჩეულიშვილს ის და მარინე ხშირად დაჰყავდა სასეირნოდ და განსაკუთრებული ყურადღებით ანებივრებდა. ლალი ბადურაშვილისავე მოგონების თანახმად, რჩეულიშვილების ოჯახში სტუმრობისას მას ხშირად უნახავს, თუ როგორ ეხმარებოდა მწერალი დედას საოჯახო საქმეებში.

მწერალ ერლომ ახვლედიანის გადმოცემით, 9 მარტის მომდევნო დღეებში გურამ რჩეულიშვილს „რევოლუციური პათოსი“ არ ჰქონია, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ყველაფრის საქმის კურსში უახლოესი მეგობარიც არ ყოფილიყო. მწერალ ლევან მალაზონიას მოგონების მიხედვით, „ხორტისტების“⁴ ჯგუფი ცდილობდა რაღაც ფორმით გამოეხატა პროტესტი ამ სისხლიან სადამსჯელო ოპერაციასთან დაკავშირებით. ისინი დღედაღამ იარაღის შოვნაზე ლაპარაკობდნენ და ათასგვარ გეგმას განიხილავდნენ. ერთი ასეთი გეგმა თვით გურამ რჩეულიშვილსაც შეუთავაზებია: შეძლებული ოჯახებიდან უნდა მოეპარათ

⁴ მიკლოშ ხორტი (1868-1957) იყო უნგრეთის სამეფოს მმართველი (რეგენტი), რომელსაც თავის ქვეყანაში აკრძალული ჰქონდა როგორც კომუნისტური, ისე ფაშისტური პარტიების არსებობა. 1957 წელს, ხორტის გარდაცვალების შემდეგ, მას თბილისში გაუჩნდა თავყანისმცემელთა ჯგუფი. ესენი იყვნენ პოლიტიკურ მოვლენებში კარგად გარკვეული ახალგაზრდა ინტელექტუალები და საბჭოთა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული ოჯახების შვილები: ირაკლი რამიშვილი, ედიშერ გიორგაძე, ზურაბ კიკნაძე, ლევან მალაზონია და სხვები.

მკირფასი ნივთები და გაეყიდათ. იმ თანხით შეძენილი იარაღით კი უნდა დასცემოდნენ არსენალის საწყობებს და იარაღი ხალხისთვის დაერიგებინათ. თავიდან „ხორტისტებმა“ ეს გეგმა მოიწონეს და იმ ოჯახების სიის ჩამოწერაც კი დაიწყეს, რომლებიც უნდა გაეძარცვათ, მაგრამ მალევე მიხვდნენ ამ ჩანაფიქრის აბსურდულობას და გადაიფიქრეს [გრცა, 1021, 4-5].

რევაზ ინანიშვილის ერთი მოგონება ცალსახად მეტყველებს გურამ რჩეულიშვილის გულისხმიერებაზე. ერთხელ თბილისური ჩაიხანიდან მომავალმა გურამა და მისმა მეგობრებმა ლენინის მოედანზე (ამჟამად თავისუფლების მოედანი) მტირალი სოფლელი მოხუცი ქალი დაინახეს, რომლისთვისაც ქურდს შვიდი თუმანი ამოეცალა და სახლში დასაბრუნებელი თანხა აღარ გააჩნდა. მწერალმა ქუდი მოიხადა, შიგ ხუთმანეთიანი ჩადო, მაღლა ასწია და გარშემო შეკრებილ თბილისელებს სთხოვა დახმარებოდნენ გასაჭირში მყოფს. ცოტა ხანში ცხრა თუმნამდე შეგროვილი თანხა მან მოხუცს გადასცა, ეამბორა და მაღლობა რომ არ მოესმინა, სასწრაფოდ გაშორდა [ინანიშვილი, 2009, 46].

რევაზ ინანიშვილის სხვა მოგონებიდან კარგად ჩანს მწერლის ხასიათის არაერთი საინტერესო შტრიხი: „ჩვენ კამათს შემოუერთდებოდა ღიმილით, ხუმრობ-ხუმრობით, შეეძლო რა საკითხიც არ უნდა ყოფილიყო, ქილიკით ეთქვა ბევრი ჭკვიანური რამ. ჩაიხსნიდა და შეიკრავდა ხალათის საკინძეს. მინახავს საუბრისას როგორ იხდიდა და ისევ იცვამდა თავის საყვარელ ქურთუკსაც. აგზნებული იყო ხან რით, ხან - რით... თუ მუშაობდა, მუშაობდა „მხეცივით“, გარეთ არ გამოვიდოდა ერთი კვირა [ინანიშვილი, 2009, N 7, 44].

თანაკურსელი მარინა ბულიშვილის მოგონებიდან ჩანს გურამ რჩეულიშვილის კარგი ანალიტიკური უნარი. იგი წერს: „გამოცდაზე გურამი ჩვენზე უკეთ უპასუხებდა ხოლმე. საკითხებს განაზოგადებდა, ფაქტს მშრალად არ მოყვებოდა, უსათუოდ ანალიზს გაუკეთებდა და ლექტორებიც (ლომოური, გოზალიშვილი) აღფრთოვანებული რჩებოდნენ [გრცა, 1022, 2].

საინტერესოა მწერლის მამის თანამშრომლის, გიორგინა ჭიჭინაძის, მოგონება, რომლიდანაც ნათელი ხდება, რომ გურამ რჩეულიშვილი არა მარტო საკუთარი სულის და სხეულის გაწვრთნას უთმობდა დროის მნიშვნელოვან ნაწილს, ასევე მეგობრების სიჯანსაღესა და სისხარტეზეც ზრუნავდა. მოგონების მიხედვით,

როდესაც ქციის ალპური სამოვრებისკენ მიდიოდნენ, იგი ერლომ ახვლედიანს „მოდრავი საბარგო მანქანიდან ჩახტომასა და მერე ისევ ასვლაში ავარჯიშებდა [გრცა, 1023, 2]. იმავე პირის მოგონებიდან ჩანს გურამ რჩეულიშვილის დაკვირვებულობა. მან გიოლინას ასწავლა, რომ დიდი და საშიში მეცხვარის ძაღლები არაფერს დაგიშავებენ, თუ მიწაზე დაჯდები. ერთხელ ამ ცოდნამ ექსპედიციის მონაწილეები გააფთრებული ძაღლების თავდასხმისგან იხსნა [გრცა, 1023,3].

მწერლის შემოქმედების მკვლევართათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ნიკო გოგოჭურის მოგონება, რომელიც შესაძლოა მოთხრობის „სიყვარული მარტის თვეში“ შექმნის იმპულსს წარმოადგენდეს. მოთხრობის ფინალში ასახული ეპიზოდი, როცა ცქიტო ტრამვაის ბორბლებში ჩავარდა და მგზავრთაგან ზოგიერთმა ინსტიქტურად ფეხები ასწია, თავად მოთხრობელს გადახდენია თავს. ეს ფსიქოლოგიური მომენტი შემდეგ გურამ რჩეულიშვილს ოსტატურად აქვს ჩართული მოთხრობის სიუჟეტში. გოგოჭური იგონებს, რომ რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში, იმჟამინდელი ძნელად (ამჟამად თაბუკაშვილის) ქუჩის მოსახვევში, დაძრული ტრამვაის წინა ვაგონს ახალგაზრდა ქალი შეახტა, მაგრამ ფეხი დაუცდა და ტრამვაის რელსებში ჩავარნილს ვაგონმა გადაუარა. მგზავრებმა და, მათ შორის, ნიკო გოგოჭურმაც, ფეხები ისე ასწიეს იატაკიდან, თითქოს ამით ქალს ტრავმას შეუმსუბუქებდნენ. როცა მან ეს ამბავი მეგობართა წრეში მოყვა, გურამი თურმე სახემეჭმუნხული უსმენდა [გოგოჭური, 2009, 8-9].

გურამ რჩეულიშვილი აბობოქრებული ზღვიდან სამი ადამიანის გადარჩენას ემსხვერპლა, მაგრამ მოგონებებიდან ჩანს, რომ სხვის გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე მას ადრეც ჩაუგდია საფრთხეში. 1958 წლის შემოდგომაზე თელავში საცურაო აუზთან მდგომმა მწერალმა წყლიდან პატარა ბიჭის თავზარდამცემი ხმა გაიგონა, რომელიც შველას ითხოვდა. გურამი ტანსაცმლიანად გადახტა წყალში და ბიჭი დახრჩობას გადაარჩინა. შემდეგ თავისი დისთვის უთქვამს, ბიჭის ხმის გაგონებისას თავიდან აქეთ-იქით დავიწყე ყურება მაშველის საპოვნელად, მაგრამ მერე უცებ ვიგრძენი, რომ ის ვიღაც, ვისაც ბიჭი უნდა გადაერჩინა, თავად მე ვიყავიო [რჩეულიშვილი, 2006, 682]. ის უცებ ჩნდებოდა ხოლმე იქ, სადაც ვიღაცას საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ, ბუნებრივია, ყოველთვის ვერ ახერხებდა უბედურების თავიდან აცილებას. სერგი დურმიშიძის მოგონების თანახმად, 1956 წლის

გაზაფხულზე გურამმა უცებ ყური მოჰკრა, რომ მისი მეზობელი ახალგაზრდა გოგონა - ცისანა მე-4 სართულიდან აპირებდა გადახტომას და მაშინვე მისკენ გაიქცა, მაგრამ წუთით დააგვიანა და ხელში გოგონას კაბის ნაგლეჯიღა შერჩა. ამაზე თურმე შემდეგ დიდხანს დარდობდა [დურმიშიძე, 1987, 472].

როგორც ვხედავთ, მოგონებები ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციული წყაროა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანისთვის. ამიტომ ყურადღებით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ თითოეული მათგანი.

თავი II

მხატვრული და დოკუმენტური ნარატივები და მათი ინტეგრაცია გურამ რჩეულიშვილთან

მხატვრული ლიტერატურა, როგორც ყოველგვარი ხელოვნება, ორიენტირებულია რეალობის ასახვასა და, მისთვის ჩვეული საშუალებებით, ახალი მხატვრული რეალობის მოდელირებაზე“ [Михайлов, 2006, 79]. მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად ირეკლება მწერლის პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება. ასეთი რამ განსაკუთრებით ხშირია ჰემინგუეის, ფიცჯერალდის, ელისონის თხზულებებში. კრიტიკოსთა აზრით, რომანტიზმის ეპოქის ტექსტებისაგან განსხვავებით, ამ გმირებს უფრო მასკულინური თვისებები აქვთ და სიუჟეტის განვითარების პროცესში თითქოს ხდება წინსვლა მათი „ლიტერატურული დაკაცებისკენ“. ეს ეხება არა ფიზიკურ ან სექსუალურ ზრდას, არამედ ინტელექტუალურსა და ემოციურს [Onderdonk, 2005,]. მსგავსი ტენდენცია ვლინდება გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაშიც.

დღიურის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, ჩამოყალიბება უკავშირდება მის სპეციფიკას - ინტიმურობასა და გულწრფელობას. აქ ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავთან არის დარჩენილი და ყველაზე მეტად გახსნილია, ეს კი მხატვრული პერსონაჟის შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად ხელსაყრელი ხერხია. მხატვრულ ნაწარმოებს შეიძლება მთლიანად დღიურების ფორმა ჰქონდეს ან შეიძლება მასში ჩართული იყოს რომელიმე პერსონაჟის დღიური და, ბუნებრივია, რომ ისიც ისეთივე მხატვრული გამონაგონია, როგორც თავად პერსონაჟი. მხატვრული დღიური დოკუმენტურის სტრუქტურას იმეორებს. მასში შენარჩუნებულია საყოფაცხოვრებო დღიურისთვის დამახასიათებელი ქრონოლოგია და დათარიღება. მისი, როგორც ლიტერატურული ფორმის, წარმოშობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, რომელთაგან უმთავრესია მწერლის მისწრაფება, დოკუმენტურ წყაროზე დაყრდნობით უფრო ღრმად გადმოსცეს ლიტერატურული პერსონაჟის სულიერი სამყარო.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, როგორც ზემოთ აღინიშნა,

ძირითადად, ეფუძნება დოკუმენტურ ტექსტებს. მხატვრულ თხზულებებთან მიმართებით, იგი იყენებს მეტატექსტურ და პარატექსტულ ინფორმაციას, მონაცემებს შემოქმედებითი ჩანაფიქრის გაჩენის, თხზულების დაწერისა და რედაქტირების დროს, ტექსტის გადამუშავებისა და სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციების შესახებ. მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეების შედგენისას ინფორმაცია ძირითადად მოიპოვებოდა პირადი წერილებიდან და დღიურებიდან, მაგრამ გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება იმდენად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, რომ ძალიან ხშირად მათიანისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს მხატვრული ტექსტებიც. ეს განსაკუთრებით ეხება 1956-1957 წლებში დაწერილ ნაწარმოებებს.

მხატვრული თხზულების შინაარსს მათიანე ეყრდნობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერულად დასაბუთდება, რომ იგი შეიცავს ავტობიოგრაფიულ ელემენტებს. შესაბამისად, წყაროების შესარჩევად მნიშვნელოვანი იყო გურამ რჩეულიშვილის მხატვრულ თხზულებებში დოკუმენტური ნარატივის გამოყოფა. ამ ასპექტით განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ მოექცა ის ნოველები, რომელთა ტექსტებშიც დღიურებია ჩართული და ის თხზულებები, რომლების პერსონაჟთა შორისაც გვხვდება ავტორის ალტერ-ეგო, ანუ მისი ე. წ. სუროგატი.

მწერლის შესახებ ინფორმაციას შეიძლება ატარებდეს ისეთი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები, როგორებიცაა: ავტობიოგრაფიული რომანი, ავტობიოგრაფიული ნოველა, ლირიკული პოემა და სხვ. ავტობიოგრაფიული რომანი მოიცავს როგორც ბიოგრაფიულ ისე გამოგონილ ელემენტებს. სახელები და ლოკაციები ხშირად შეცვლილია, მოვლენები კი, მეტი დრამატიზმის მისაღწევად - გადაკეთებული. ამიტომ მათ არა აქვს სიზუსტის პრეტენზია. მიუხედავად ამისა, მსგავსება მწერლის ბიოგრაფიასთან საგრძნობია. ავტობიოგრაფიულ რომანში პროტაგონისტი მისადაგებული უნდა იყოს ავტორის სახეს და ძირითადი სიუჟეტი აღებული უნდა იყოს მისი ცხოვრებიდან. თუ ზუსტად ასე არ არის, თხზულებას უწოდებენ ნახევრად ავტობიოგრაფიულს. მსოფლიოში ცნობილი ავტობიოგრაფიული რომანებია სომერსეტ მოემის „ადამიანურ ვნებათა სიმძიმე“, ჯეიმს ჯოისის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“, ჩარლზ დიკენსის „დავით კოპერფილდი“, სკოტ ფიცჯერალდის „სამოთხის ეს მხარე“, ჰემინგუეის

„მშვიდობით, იარაღო“ და სხვ. ქართველ ავტორთაგან ყველაზე მეტი ავტობიოგრაფიული რომანის ავტორია გურამ რჩეულიშვილის თანამედროვე მწერალი - ნოდარ დუმბაძე.

ივან ტურგენევის ვრცელი მოთხრობა „ზედმეტი ადამიანის დღიური“ მთლიანად მთავარი პერსონაჟის - ჩულკატურიჩის დღიურის ტიპის ჩანაწერებისგან შედგება [Тургенев, 1954], ასევე დღიურების ფორმით არის დაწერილი დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“, ლეონიდ ანდრეევის „სატანის დღიური“. მიხეილ ლერმონტოვის ლირიკულ-ფსიქოლოგიურ რომანში „ჩვენი დროის გმირი“ კი ჩართულია მთავარი გმირის - პეჩორინის დღიურები [Лермонтов, 1955]. ასეთივეა თეოდორ დოსტოევსკის „იდიოტში“ - „იპოლიტის რვეული“, ბესტუჟევ-მარლინსკის „ამალათ-ბევში“ - პროტაგონისტის ჩანაწერები, ნიკოლოზ ჩერნიშევსკის „პროლოგში“ - „ლევიცკის დღიური“, პუმკინის „ევგენი ონეგინის“ შავ ხელნაწერებში კი - „ონეგინის ალბომი“. გარდა იმისა, რომ დღიურის ფორმა მწერალს ეხმარება პერსონაჟის სახის გახსნაში, იგი მეტ დამაჯერებლობასაც სძენს თხზულებას. ასეთ ვრცელ ტექსტებში ჩართულ დღიურებს სიუჟეტის სპეციფიკური განმავითარებელი ფუნქციაც აქვს. იქ, სადაც დღიურია ჩართული, ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარება დროებით წყდება, და მისი დასრულების შემდეგ გრძელდება. გურამ რჩეულიშვილის მიერ დღიურის ფორმით დაწერილი ერთადერთი რომანია „სასამართლო გადის განაჩენზე“.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობების უდიდესი ნაწილი ავტობიოგრაფიულია. განსაკუთრებით მდიდარ ინფორმაციას შეიცავს ავტორის შესახებ მის მიერ შექმნილი ჰიბრიდული - მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები, რომლებშიც კომბინირებულია მხატვრული და დოკუმენტური ნარატივები. მათ ავტორი „დღიურ-ამბებსა“ და „ამბავ-დღიურებს“ უწოდებს. ეს სახელები ზოგი ტექსტის სათაურშივეა გაჟღერებული, მაგრამ ზოგან მხატვრულ ტექსტში დღიური ისეა ჩართული, რომ მასზე არავითარი მინიშნება არ არის. „ამბავ-დღიურები“ და „დღიურ-ამბები“ მნიშვნელოვნად განსხვავდება მხატვრული დღიურებისაგან.

დღიურებში ძირითადად აისახება უკვე მომხდარი და მიმდინარე მოვლენები, მაგრამ გურამ რჩეულიშვილის 1956 წლის 20 ივნისის დღიურის ჩანაწერში ჩანს მისი გადაწყვეტილება, რომ შეცვალოს წერის მიზანდასახულობა, ასახოს არა მხოლოდ

მისი „წარსული განცდები“, არამედ ფიქრები მომავალზეც, საკუთარ „პირადზე, მეგობრებისაზე თუ სამშობლოზე“, ანუ მოგონებიდან გადავიდეს წარმოსახვაზე, გამონაგონზე, მხატვრულ ლიტერატურაზე. მწერლის თქმით, ამ ფიქრებს მის გონებაში „მოგონებებზე ბევრი ადგილი უჭირავთ, მაგრამ მათი შეკრება დასაწერად უფრო ძნელია“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 57].

§1. მხატვრულ ტექსტებში ჩართული ტრადიციული დღიურები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XX საუკუნის 50-იან წლებში გურამ რჩეულიშვილმა ქართულ პროზაში შემოიტანა ახალი - მხატვრულ-დოკუმენტური ჰიბრიდული ჟანრი - დღიურ-ამბები, რომლებიც მოიცავს ერთ ან რამდენიმე დღიურს და ერთ ან რამდენიმე ნოველას. ეს არის მწერლის გარემოცვაში მიმდინარე რეალური ამბებისა და მხატვრული ტექსტების კოლაჟი.

მაგალითად, დღიურ-ამბავ „გაზაფხულში“ ნახსენებია რამდენიმე რეალური ფაქტი: გურამის ამხანაგი ნოდარ იაკობაშვილი მცხეთაში მატარებელმა გაიტანა; მწერლის დის მეგობრის, თინა სოხაძის, პატარა ძმამ თავი მოიკლა; მისმა მეზობელმა - ციალა ფაღავამ თავი ჩამოიხრჩო; მის ნათესავსა და მეგობარს - გიგი აბაშიძეს 4 მარტს ქალიშვილი შეეძინა [რჩეულიშვილი, 2002 ბ, 79].

1956 წელს დაწერილ მოთხრობას „გაზაფხული გადის“, რომელსაც თარიღად აქვს „წელი 1956. მაისის 20 კვირა“, წინ უძღვის „1956 წლის 25 ოქტომბრით“ დათარიღებული მოკლე დღიური, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზოგჯერ მწერალი დღიურებს გარკვეული დროით ადრე დაწერილ მოთხრობებსაც წაუმძღვარებდა ხოლმე. ზოგჯერ აერთიანებდა უკვე დაწერილ მოთხრობას და უკვე დაწერილ დღიურს. მწერლის ავტოგრაფებში არსებობს მოთხრობისთვის „გაზაფხული გადის“ წამმღვარებული დღიურის უფრო ვრცელი ტექსტი, რომელიც ავტორს მოთხრობასთან გაერთიანებამდე გადაუკეთებია. დღიურებსა და ამბებს (მხატვრულ გამონაგონს) შორის თემატური კავშირი ყოველთვის მკაფიოდ არ შეიმჩნევა. ვფიქრობთ, მათი ერთმანეთთან დაკავშირება უფრო შინაგანი განწყობით უნდა იყოს გამოწვეული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში ხშირად გვხვდება ავტორის სუროგატი, მისი ალტერ-ეგო. მოთხრობაში „ცარიელდება

აგარაკი“ ასეთია - ვაჟა ჯანდიერი და, დიდი ალბათობით, მოთხრობა ავტობიოგრაფიული უნდა იყოს. ამაზე მიგვანიშნებს ერთი პატარა დეტალიც. მოთხრობას, რომელიც დათარიღებულია 1956 წლის 4 სექტემბრით და რომელიც მთავრდება წვიმის სურათით, წინ უძღვის 5 სექტემბრით დათარიღებული დღიური, რომელიც ასე იწყება: „გუშინ წვიმდა“ [რჩეულიშვილი, 2002 ა, 171].

ზოგჯერ დღიურში შესაძლოა შეგვხვდეს პიროვნება, რომელიც შემდეგ იქცა თხზულების პერსონაჟად. 1956 წლის 14 სექტემბერს დაწერილი მოთხრობისთვის „შემოდგომა ბაბუა კოტესი“ წამმღვარებულ დღიურში, რომელიც იმავე წლის 3 მაისსაა დაწერილი, აღწერილია ქუჩაში მომხდარი ამბავი. პოლიციელი შემთხვევით დაეჯახა მოხუცს, რომელიც დაეცა და წამოდგომის შემდეგ სიარული გაუჭირდა. იგი სახლამდე გურამმა და მისმა მეგობარმა - ანდრო ჭიჭინაძემ მიიყვანეს ტაქსით. მოთხრობას დღიურთან აერთიანებს მხოლოდ ის, რომ მისი პერსონაჟი დასუსტებული, მოხუცი კაცია. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, გახდა თუ არა ეს ამბავი მოთხრობის შექმნისთვის ბიძგის მიმცემი, მაგრამ ის, რომ ავტორმა ეს ორი ტექსტი ერთმანეთთან დააკავშირა, შეიძლება მათ შორის არსებულ შორეულ რემინისცენციაზე მაინც მიგვანიშნებდეს.

1956 წლის 26 ოქტომბერს დაწერილ მოთხრობას „კოლა და ვანო“, წინ უძღვის იმავე წლის 27 დეკემბერს დაწერილი დღიური, რომელშიც საუბარია ზამთრის თოვლიან დღეზე და რადიოკომიტეტზე, სადაც გურამს რაღაც როლი უნდა შეესრულებინა. მოთხრობის ქვესათაურია „მსახიობი“ და მასში მოთხრობილია წყნეთელი გლეხის - ვანოს ამბავი, რომლის ცხენი - კოლაც მონაწილეობას იღებს ოპერისა და ბალეტის თეატრ „დონ-კიხოტის“ წარმოდგენაში. როგორც ვხედავთ, აქაც შეინიშნება მოთხრობასა და დღიურს შორის შორეული კავშირი.

1956 წლის 30 ოქტომბერს დაწერილ მოთხრობას „ესტატე“ წინ უძღვის უფრო ადრე, იმავე წლის 25 ივლისს, დაწერილი დღიური. ერთი შეხედვით, ამ ორ ტექსტს აერთიანებს ბუზების მომაბეზრებელი სურათები, მაგრამ მოთხრობას აქვს სხვა აქცენტებიც - სიბერე და ფიზიკური უძლურება, რომლებსაც აბეზარი ბუზებივით ვერსად გაექცევი.

1956 წლის 7 ნოემბერს დაწერილ მოთხრობას „სათაგური“ (ოჯახური იდილია) წამმღვარებელი აქვს უთარილო დღიური, რომელიც ქ-ნ მარინე რჩეულიშვილის მიერ

1956 წლის 27 ოქტომბრის შემდგომი პერიოდითაა დათარიღებული. ამ ორ ტექსტს აერთიანებს ოჯახში გაჩენილი თავგისა და ოჯახური იდილიის თემა. დღიურში მოთხრობილია, რომ რჩეულიშვილები ახალ სახლში გადავიდნენ, მშვიდად და ჰარმონიულად ცხოვრობენ, მაგრამ აწუხებთ თავგები. მიუხედავად ამისა, გურამმა ბინის სადეზინფექციოდ მისულ ქალს საწამლავის გამორთმევაზე უარი უთხრა. მოთხრობაში ნაჩვენებია ახალგაზრდა, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი. მათ ასევე აწუხებს ერთი ვირთაგვა, რომელსაც ქმარი ღამით ძველი ფეხსაცმლით კლავს. როგორც ვხედავთ, გარკვეული კავშირი ტექსტებს შორის არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოთხრობის ავტობიოგრაფიულობას დაბეჯითებით ვერ დავამტკიცებთ.

1956 წლის 9 ნოემბერს დაწერილ მოთხრობას „პირველად ტრამალებში“ წინ უძღვის იმავე წლის 20 თებერვალს დაწერილი დღიური. მათ აერთიანებს რუსეთისაკენ მიმავალი მატარებლისა და რუს გოგონებთან არშიყის თემა. მოთხრობის მთავარი გმირი ვაჟა ჯანდიერია და აქედანაც ჩანს, რომ იგი ავტობიოგრაფიულია.

1956 წლის 28 ნოემბერს დაწერილ მოთხრობას „კიდე კარგი“, წამმღვარებული აქვს იმავე წლის 30 ნოემბერს დაწერილი დღიური, რომელიც თითქოს სიუჟეტურად მოთხრობის გაგრძელებაა. მხატვრულ ტექსტში ასახულია მოხუცი ქალის გარდაცვალება, დღიურში კი მის დასაკრძალად სასაფლაოზე მიწის შესყიდვა. როგორც ჩანს, ამ ტექსტსაც ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს, რადგან შავ ავტოგრაფს სათაურად აქვს „დეიდა კოკონა“. მწერლის დის კომენტარის მიხედვით, „კოკონა მესხი იყო გურამის დედის მამიდაშვილი, ექიმ-გინეკოლოგი, მთელი ნათესაობისა და საერთოდ, ყველა გაჭირვებული ადამიანის დამხმარე“ და მას ძალიან უყვარდა გურამი“ (რჩეულიშვილი 2002ა, 401). როგორც ჩანს, ტექსტი ქ-ნი კოკონას გარდაცვალებას უნდა ეხმიანებოდეს.

მხატვრულ ტექსტთან ინტეგრირებულ ასეთ დღიურებს მწერალი ფურცლის მარჯვენა მხარეს წერდა. 1956 წლის 31 მარტს დაწერილი მოთხრობა „პაპა გოგოთური“ პირველია, რომელსაც თავფურცელი აქვს. თავფურცელზე წერია სათაური, თარიღი და დღიური. საინტერესოა, რომ ამ მოთხრობას ერთი მცირე დღიური წინ უძღვის, ხოლო მეორე, ვრცელი, ტექსტის ბოლოს ერთვის.

მოთხრობას „ედი“ წამმღვარებული აქვს დღიური, რომელიც მწერლის

ბიძაშვილის, ედიშერ რჩეულიშვილის, დაჭრის შესახებ გვიამბობს, თუმცა ავტორი ამ ამბავს დღიურს არ არქმევს. ტექსტი ბუნებრივად აგრძელებს შესავალში მოთხრობილ ამბავს. იგი 1956 წლის 12 ნოემბრით თარიღდება. დღიურში კი მითითებულია, რომ ედიშერ რჩეულიშვილი „გუმინ“, ე.ი 11 ნოემბრის 4 საათზე, მატარებელში დაუჭრიათ და მწერალი ედის საავადმყოფოში მიყვანიდან ნახევარ საათში ნათესავებთან ერთად უკვე მასთან იმყოფება [რჩეულიშვილი 2002ა, 256-259].

მოთხრობა „ბაიათი თარზე“ 1956 წლის 17 ნოემბრით არის დათარიღებული. მას ეპიგრაფად წამმღვარებული აქვს არა დღიური, არამედ ხევისურეთში გაგონილი ამბავი [რჩეულიშვილი 2002ა, 280-284]. ეპიგრაფი და ამბავი თემატურად უკავშირდება ერთმანეთს.

მოთხრობას „პინგ-პონგი“ ახლავს დიალოგი, რომელიც თავისი შინაარსით დღიურია. ამას ხაზს უსვამს ფრაზა „გუმინ ჩემთან“, რომელსაც ასევე გარკვეულწილად, თარიღის ფუნქციაც აკისრია, თემა საერთოა [რჩეულიშვილი 2002ა, 303-305]. მოთხრობას „თვირთვილა“ წამმღვარებული აქვს სასამართლოს ამბავი, რომელიც მოთხრობას თემატურად უკავშირდება [რჩეულიშვილი 2002ა, 229-234].

ზოგჯერ დღიურის ფუნქციას დიალოგი ასრულებს. საინტერესოა ისიც, რომ თუ ადრე მწერალი ჯერ დღიურს წერდა და შემდეგ მოთხრობას, ამ შემთხვევაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ვგულისხმობთ 1956 წლის 1-ლ ნოემბრამდე დაწერილ მოთხრობას „მარტი - გიჟობის თვე“. დიალოგი - დღიური უთარილოა. მისი დასაწყისი „ჩემმა მეგობარმა გოგონამ ჩაიკითხა ეს მოთხრობა“ გვეხმარება არა მხოლოდ მხატვრული ტექსტის დათარიღებაში (1956 წლის 1-ლ ნოემბრამდე), არამედ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დღიურებისა და ამბების ურთიერთკავშირზე. მოთხრობის ავტობიოგრაფიულობაზე მიგვანიშნებს პერსონაჟად ვამეხ ჯანდიერის გამოყვანაც [რჩეულიშვილი, 2002ა, 222-228].

მოთხრობის „ოპერა გამოვიდა“ ქვესათაურია „სხეულით მოვაჭრე დედაკაცები“. ეპიგრაფის როლს დიალოგი ასრულებს, რომლის მიხედვითაც, პერსონაჟი გოგონა კითხულობს რომანს „როსკიპი“. ცხადია, მოთხრობაც ასეთი ქალების ცხოვრებაზე მოგვითხრობს [რჩეულიშვილი, 2002ა, 219-221].

სამი სხვადასხვა ამბისგან შედგება 1957 წელს დაწერილი მოთხრობა

„ნათქვამია ღმერთს სამება უყვარსო“. ამ ამბებიდან პირველი - „ცქიტო წინ გავარდა...“ უსათაუროა და თარიღად აქვს 1957 წლის თებერვალი. მომდევნო - „ჭორი“ 1957 წლის 28 თებერვლით თარიღდება, მესამე - „ტკვილი? - არა, რაღაც და გათავდა“ - 1957 წლის 18 მარტით. მოთხრობას ეპიგრაფად დღიურის ნაცვლად დიალოგი აქვს წამმღვარებული, რომელიც ნაწარმოების თემას, ერთი შეხედვით, არ უკავშირდება [რჩეულიშვილი, 2002ბ, 54-58].

მოთხრობა „კიდევ სამი ამბავი“ შედგება სამი ნოველისგან: „სადღაც ვიწროებში“, „უდაბნოში შუადღეზე“ და „სოფლიდან კვილი ისმოდა“. მეორე და მესამე ნოველა მწერალს 1957 წლის 8 მარტს დაუწერია, პირველი კი - 7 მარტს [რჩეულიშვილი, 2002ბ, 87-90, 360]. ნოველებს აერთიანებს განგაშის, თოფის ხმის, კვილის მოლოდინი, გურამ რჩეულიშვილის მიერ შედგენილ სიაში ეს ამბები ცალ-ცალკე მოთხრობებად არის შეტანილი.

„ისევ სამი ამბავი“ ჰქვია 1957 წლის 9 მარტით დათარიღებულ მოთხრობას, რომელიც გურამ რჩეულიშვილის მიერ დასაბეჭდად გამზადებული მოთხრობების სიაში 51-ე ადგილზეა. მას ქვესათაურად აქვს „მოხუცი და პეტო“. მოთხრობას, სხვა ამბავ-დღიურების მსგავსად, ეპიგრაფად წამმღვარებული აქვს დღიური, რომელიც მოთხრობის თემატიკას ენათესავება. აღსანიშნავია, რომ უცნობი მიზეზის გამო, ნაცვლად სამი ამბისა, მწერალი ამჟამად მხოლოდ ერთი ამბის დაწერით კმაყოფილდება [რჩეულიშვილი, 2002ბ, 107-109].

ზოგჯერ მოთხრობას - ამბავს წინ უძღვის ჩანაწერი, რომლიდანაც ჩანს, რა ვითარებაში დაიწერა იგი. მაგალითად, მოთხრობას „ვერაგობა და სიყვარული“ წინ უძღვის სიტყვები: „ოთხი ამბავი ერთი ხელის მოსმით (ნაწერი შუა ღამეს ქორწილის შემდეგ)“. ეს უკვე ბიოგრაფიული დეტალია, რომელიც ასევე უნდა შევიდეს მატთანში. ვიგებთ, რომ იმ ღამით მწერალი ვიდაცის ქორწილში ყოფილა, საიდანაც შუაღამეს დაბრუნებულა.

1957 წლის 18 თებერვლის 11-11.30-ით დათარიღებულ მოთხრობას „სიყვარულსა მალვა უნდა“ წამმღვარებული აქვს „ნაწერი დილას, ოთხი დღის ლოთობის შემდეგ“, რაც ასევე გვაწვდის ინფორმაციას მატთანისთვის. ამ მოთხრობისთვის წამმღვარებული ორი მოკლე დღიურიდან ვიგებთ, რომ წინა დღეს - 17 თებერვალს მწერალი ყოფილა ცირკში ლომების ცნობილი რუსი

მომთვინიერებლის - მარგარიტა ნაზაროვას წარმოდგენაზე.

ზოგჯერ მოთხრობებს არ აწერია, რომ დღიურსაც მოიცავს, მაგრამ ჩართულია ხოლმე რამდენიმე დღიურიც კი. მაგალითად, მოთხრობას „მე განა სიყვარული მინდოდა“ მიწერილი აქვს მხოლოდ „სამი ამბავი“, მაგრამ შიგნით ინტეგრირებულია დღიურები. მათგან ვიგებთ, რომ ეს ტექსტები იწერებოდა დილის საათებში და მწერალს ჩართული ჰქონდა პატეფონი, რომ სხვა ხმებს არ გაეფანტა მისთვის ყურადღება. ასევე ვიგებთ, რომ იგი შეყვარებულია.

მოთხრობასთან „სამი ამბავი სხვადასხვა დროს ნაწერი“ მითითებული არ არის, რომ მასში დღიურიც შედის, მაგრამ ასეა. 1957 წლის 23 თებერვლის ამ დღიურის ტექსტიდან კი ვიგებთ, რომ მომდევნო დღეს გურამი მიდიოდა მისი მეგობრის - ჩიჩიკას (ანდრო ჭიჭინაძის) ქორწილში.

დღიურები მოთხრობების ისეთი ორგანული ნაწილი გახდა, რომ მწერალს ზოგჯერ მათი სათვალავიც კი ერეოდა. ერთ-ერთ მოთხრობას „ჯუნგლებში“ მიწერილი აქვს „სამი ამბავი და მგონი ორი დღიური“. სინამდვილეში, მართლაც, ორი დღიურია. ამ ტექსტთან მიმართებით განსაკუთრებით საინტერესოა სათაური „ჯუნგლებში“, რომელიც აერთიანებს ამბავ-ჩანახატებს მოსკოვის სურათების გალერეიდან. ერთი ეხება სიქსტის მადონას, მეორე „მძინარე ვენერას“ და მესამე პაბლო პიკასოს. ერთადერთი, რაც ამ სამ ტექსტს აერთიანებს, არის საზოგადოება - პრიმიტიული დამთვალეობები, რომლებიც ცდილობენ კულტურული გამოჩნდნენ, მაგრამ რეალურად ძალიან შორს არიან ხელოვნებისაგან და ესთეტიკისგან („ჯიშინი სლავი დედაკაცი უაზრო თვალებით უყურებდა სურათს“ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 44]; „პეტამ უფრო ღრმად შეიყო ცხვირში ხელი და უფრო ახლოს მივიდა ნახატთან“) [რჩეულიშვილი, 2002ბ, 47]. ამ თხზულებაში ჩართული 26 თებერვლით დათარიღებული ერთ-ერთი დღიურიდან ვიგებთ, რომ მოსკოვში მყოფმა გურამმა წინა დღეს მიიღო მამის დეკემა, რომელიც იუწყებოდა, რომ მისი ნაშრომი სადისერტაციო საბჭოზე ერთხმად დაამტკიცეს.

ტექსტისთვის „სამი ამბავი ისევ“ წამმდვარებული 1957 წლის 28 თებერვლით დათარიღებული დღიურიდან ვიგებთ, რა წინაპირობა დაედო საფუძვლად რჩეულიშვილის ერთ მინიატურას „ჩვენი დრო“ და ასევე ვიგებთ, რომ წინა დღეს იგი კითხულობდა „იაპონურ პოეზიას“ და მისი გავლენით დაიწყო მინიატურების წერა

[რჩეულიშვილი, 2002ბ, 53].

1957 წლის 7-8 მარტით დათარიღებული მოთხრობისთვის „კიდევ სამი ამბავი“ წამმღვარებული დღიურიდან ვიგებთ, რომ წინა დღეს მწერალი კონცერტზე ყოფილა, მაგრამ დიდად კმაყოფილი არ დარჩენილა.

დღიური „გარეთ ცივა...“ დაწერილია „პაპა გოგოთურის“ თავფურცელზე [რჩეულიშვილი 2002ა, 343], დღიური „ვზივარ ლექციაზე...“ კი ბოლოში მოსდევს ამავე მოთხრობას.

„ბოლო დღით დავამთავრე...“ - ეს პატარა დღიური წერია მოთხრობა „ციგნის ქალი და ოთხი ბიჭის“ ბოლოს დასმული თარიღის (8-9 მაისი) შემდეგ [რჩეულიშვილი 2002ა, 349]. დღიური „ვსწავლობ სამხედროს, პოლიტეკონომიას - ემშაქმა დალაზვროს ორივე...“ მოსდევს ნოველის „გაზაფხული გადის“ შავი ავტოგრაფის ბოლოს დასმულ თარიღს [რჩეულიშვილი 2002ა, 350]. „1956 წლის კვირა...“ წერია მოთხრობის - „როგორ უყვართ ახლა ერთმანეთი“ ბოლოს დასმული თარიღის შემდეგ [რჩეულიშვილი 2002ა, 354]. დღიური „ქალაქში უსაქმობაა...“ მოსდევს მოთხრობას „ღია და გია“ [რჩეულიშვილი 2002ა, 361]. დღიური „საშინელ ხასიათზე ვარ...“ მოსდევს მოთხრობას „გაზაფხული მოდის“ [რჩეულიშვილი 2002ა, 359]. დღიური „ორთვიანი შესვენების მერე...“ წინ უსწრებს მოთხრობას „როგორ გამოიცვალა უკეთესობისაკენ იგორ კობლუკოვი“ [რჩეულიშვილი 2002ა, 362]. დღიური „არ მახსოვს. ორი დღე ვსვამდი. დილის 11-12. ეს აზრი მომივიდა სამხედრო ბანაკში...“ - მოსდევს მოთხრობას „რა შეედრება ახალგაზრდობას“ [რჩეულიშვილი 2002ა, 365]. დღიური „ხელს მიშლიან ჯურხა და ნოდარი...“ მოსდევს მოთხრობას „რუსის გოგონა ზღვაზე“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 365]. დღიური „მურტალი პახმელია...“ მოსდევს მოთხრობას „ბანაობა მზის ჩასვლისას“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 365]. დღიური „დღეს უკვე მეორე დავწერე. პახმელიაზე...“ მოსდევს მოთხრობას „გასართობად ომს არაფერი აჯობებდა...“ [რჩეულიშვილი 2002ა, 366]. დღიური „დღეს ნოდარ ზედელაშვილის დაბადების...“ - მოთხრობას „ნელი ტანგო“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 367]. დღიური „პახმელია. გუშინ ნოდარის დაბადების დღე იყო...“ - მოთხრობას „უკანასკნელი აბენსერაჟი“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 371]. დღიური „გაზაფხულდა...“ დაწერილია მოთხრობა „სეირნობის“ თავფურცელზე 1 მარტს. დღიური „2 საათია...“ - მოსდევს 2 მარტს დაწერილ მოთხრობას „ვახო ოთახში

თვრება“. დღიური „დარწმუნებულია რომ არ მიყვარს...“ - დაწერილია 16 მარტს მოთხრობის „ღამე ჭაობში“ თავფურცელზე, სათაურსა და თარიღთან ერთად. დღიური „დედაა ძალიან ავად...“ კი ბოლოში მოსდევს ამავე მოთხრობას და სხვ.

გურამ რჩეულიშვილმა არა მხოლოდ დაამკვიდრა თავის მოთხრობებში დღიურებისა და ამბების ინტეგრირება, არამედ შემოიტანა ტერმინები: ამბავ-დღიური“ და „დღიურ-ამბავი“. ერთ მოთხრობას „თებერვალში ნადირობა ყველაფერზე აკრძალულია“ მიწერილი აქვს „სამი ამბავ-დღიური და სამი დღიურ-ამბავი“. ამ ტერმინებს შორის განსხვავება კომპონენტების „დღიურისა“ და „ამბის“ სხვადასხვაგვარ თანმიმდევრობაში კი არ მდგომარეობს, არამედ დოკუმენტურობისა და ფიქციურობის წილში. „ამბავ-დღიურებს“ უწოდებს ცხოვრებისეულ ამბებს, რომლებშიც რეალური პირებია ნახსენები, „დღიურ-ამბებს“ კი - ისეთებს, რომლებშიც გამოგონილი სიუჟეტი და მხატვრული პერსონაჟებია.

სხვა მწერლებისგან განსხვავებით, გურამ რჩეულიშვილი ტექსტებთან ხშირად უთითებს არა მხოლოდ მათი დაწერის თარიღს, არამედ ზუსტ დროსაც, წუთების სიზუსტით. მაგალითად, ციკლში „ვერაგობა და სიყვარული“ შემავალ ოთხივე მოთხრობას აწერია საათი და წუთები. ზოგჯერ ციკლში გაერთიანებულია რამდენიმე ამბავი და რამდენიმე დღიური. ასეთია, მაგალითად, „სიყვარულსა მალვა უნდა (სამი ამბავი და ორი დღიური)“.

მწერალი ამბავს არქმევს და ძირითადად ათარიღებს პატარა-პატარა მხატვრულ ნაწარმოებებს და არა მათ შორის მოთავსებულ მოკლე დღიურებს. თუმცა „ამბავს“ იგი 1956 წლის 20 ივლისით დათარიღებულ საკმაოდ ვრცელ მოთხრობას „ღია და გიასაც“ უწოდებს.

მწერლის თხზულებათა ექვსტომეულის მე-2 ტომში ხშირად გვხვდება როგორც მხოლოდ ამბებად მოხსენიებული მოთხრობები („ვერაგობა და სიყვარული“, „სამი ამბავი“, „ნათქვამია ღმერთს სამება უყვარსო“), ასევე ამბავ-დღიურები („ჯუნგლებში“, „კიდევ სამი ამბავი, ორი დღიური“).

მწერლის არქივში აღმოჩენილია სია ნაწერებისა, რომელთა გამოცემასაც ფიქრობდა ავტორი. ამ სიაში შეტანილია მხოლოდ „ამბები“ და არსად არის ნახსენები დღიურები, თუმც საყურადღებოა, რომ მისი „ამბები“ ხშირად მთავრდება დღიურებით, თითქოს ფაბულასთან დაბრუნებით.

§2. ავტორის სუროგატი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში

მატიანეზე მუშაობისას ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელი პერსონაჟები წარმოადგენენ მწერლის ალტერ ეგოს. სხვაგვარად, მოთხრობაში გადმოცემული ამბები მწერლის ცხოვრების მატიანეში ვერ აისახება. ავტორის ალტერ-ეგოს, მისი სუროგატის შემოყვანა მხატვრულ ტექსტში ლიტერატურული ხერხია, რომელიც გულისხმობს მხატვრული პერსონაჟის, მეტწილად პროტაგონისტის, შექმნას ავტორის ხასიათის, შეხედულებებისა და ბიოგრაფიული დეტალების მიხედვით. ეს პერსონაჟი ხშირად მოთხრობელია. იგი შეიძლება ატარებდეს ავტორის სახელს, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის.

მსგავს პრაქტიკას მწერლობა დიდი ხანია იყენებს. ავტორის სუროგატი პირველად გვხვდება სოკრატეს დიალოგებში, მაგრამ ეს ხერხი განსაკუთრებით პოპულარული გახდა XX საუკუნეში. სომერსეტ მოემის რომანის „სამართებლის პირი“ (The Razor's Edge) მოთხრობელი და ერთ-ერთი პერსონაჟი თავად სომერსეტ მოემია. თხზულება 1944 წელს დაიწერა და მასში არეკლილია მწერლის ინდოეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებები. ასეთივე ვითარებაა ერნესტ ჰემინგუეის რომანში „განუყრელი დღესასწაული“. გაბრიელ გარსია მარკესის რომანში „მარტოობის ასი წელი“ ავტორის სუროგატი თხზულების ბოლო ნაწილში ჩნდება. მხატვრულ თხზულებაში არ ჩანს ზღვარი ბიოგრაფიულსა და გამოგონილს შორის, რის გამოც კრიტიკოსებს ხშირად უჭირთ ერთმანეთისაგან გამოყონ დოკუმენტური და მხატვრული ნარატივები.

ქართველი მწერლის - ნოდარ დუმბაძის რომანებში, რომლებიც გურამ რჩეულიშვილის გარდაცვალების შემდეგ ზედიზედ გამოქვეყნდა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“, „ნუ გეშინია, დედა“, „თეთრი ბაირაღები“, „მარადისობის კანონი“), ყველა პროტაგონისტი ავტორის სუროგატია. თითქმის მსგავსი ვითარება გვაქვს თავად გურამ რჩეულიშვილთანაც - მისი ნოველების უდიდესი ნაწილის პროტაგონისტები ძალიან ჰგვანან მათ ავტორს გარეგნობით, ხასიათით, შეხედულებებითა და ბიოგრაფიული დეტალებით. ამ სუროგატთა ერთი ნაწილი ავტორის სახელს ატარებს, მეორე ნაწილი - მის მიერ თავისი ალტერ-ეგოსთვის საგანგებოდ შერჩეულ რომელიმე სხვა სახელს, მესამე კი - ნებისმიერ სახელს, მაგრამ მსგავსება ავტორთან ზუსტად ისეთივეა, როგორც სხვა

დანარჩენ შემთხვევებში („სიყვარული მარტის თვეში“, „გაზაფხული გადის“, „მაია ბენზინის სუნმა შეაწუხა“, „უსახელო უფლისციხელი“).

1956-1957 წლებში გურამ რჩეულიშვილის მიერ დაწერილ ათ მოთხრობაში ავტორის სუროგატი არის ცქიტო: „ცქიტო და სელიოდკა“, „პიონერთა ბანაკმა ჩვეული...“, „სიყვარული შემოდგომაზე“, „სამი ამბავი, სხვადასხვა დროს ნაწერი“, „სამი ამბავი ისევ“, „ნუგეში“ და სხვ., ექვსში - ვაჟა: „ოცდაერთი“, „ედი“, „დიალოგები“, „თოვლი დნება“, „კიდევ სამი დიალოგი“ და „გიტარას შვიდი სიმი ჰქონდა“, თორმეტში - ვაჟა ჯანდიერი: „შუა ზაფხულში ყველგანა ცხელა“, „ვაჟამ ქუჩა გადაჭრა...“, „ასვლა“, „ცარიელდება აგარაკი“, „ვაჟა ჯანდიერი ჩხუბობს“, „პირველად ტრამალებში“, „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“, „ბაიათი თარზე“, „აქ კი თბილა?“, „პინგ-პონგი“ და სხვ. 1956 წლის 1 და 3 ნოემბრის მოთხრობებში ერთგან ვამეხ ჯანდიერი („მარტი - გიჟობის თვე“), მეორეგან - ვამეხი („ზამთარი იწყება“), 1956 -1959 წლების 24 მოთხრობასა და ნოველების ციკლში კი - გურამი: „ფინურ სახლში: კარპატებში“, „გამარჯობათ! - ნიაზმა ფეხი ფეხს მიადო...“, „დათო და გურამი ბუხართან“, „ოთახი გრძელი იყო და ვიწრო“, „ბაკურიანიდან წამოსვლა“, „ციგნის ქალი და ოთხი ბიჭი“, „ლია და გია“, „თოვლი მოდის“, „ვერაგობა და სიყვარული“, „მე განა სიყვარული მინდოდა?“, „სეირნობა“, „სამი ამბავი“, „ერთხელ“, „წვიმაში“, „სასამართლო გადის განაჩენზე“, „ბაბუა, შვილიშვილი და თოვლის ბაბუა“, „სიკვდილი მთებში“, „ახლა ქალაში ჩავიდა“, „მოტოციკლეტი“, „მალხაზი და მე“, „კედელთან მიდგმულ უზარმაზარ ხის საწოლზე...“, „ბაცი სათოვლე ღამე ჩაწვა“, „გურამ რჩეულიშვილი უკვე მთელი თვე...“, „საიდან მოვდივარ, სად მივდივარ, რა მინდა“ და „ჩემი პირველი ლიტერატურული შეხედულებები“. იმ შემთხვევებში, როდესაც პერსონაჟი გურამი გვხვდება ცქიტოსთან, ან ვაჟა ჯანდიერთან ერთად, ავტორის სუროგატი არის არა გურამი, არამედ ცქიტო („შურისძიება“, „როგორ უყვართ ახლა ერთმანეთი“ და „თებერვალში ნადირობა ყველაფერზე აკრძალულია: მე ხომ ბრაკონიერი ვარ“) და ვაჟა ჯანდიერი („ნადირობა“ და „მოუნდა“).

როგორც ჩანს, ამ სახელების, ყველაზე მეტად კი „ვამეხისადმი“ ავტორს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას მეგობრები ზოგჯერ ასე ეძახდნენ და ძალიან მოსწონდა. მწერლის დის კომენტარებიდან ირკვევა, რომ ეს სახელი მწერლისთვის თავის მეგობარს - გურამ

გეგმიძეს შეურქმევია მცინვარწვერზე ლაშქრობის დროს. მწერლის არქივში ამ სახელით ხელმოწერილი მისი ერთი პირადი წერილიც ინახება, ნუგზარ წერეთლისთვის გაგზავნილი: „გწერს და ყველა კარგს გისურვებს შენი ძმაცაცი ვამეხ რჩეულიშვილი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 63].

იმ ფაქტზე, რომ ყველა ეს პერსონაჟი ავტორის სუროგატებია, მიგვანიშნებს არქივში დაცულ ხელნაწერებზე დაკვირვებაც. მოთხრობის „პირველად ტრამალებში“ ავტოგრაფში ერთგან გაპარულია სახელი „გურამი“ „ვაჟას“ ნაცვლად, მოთხრობის „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“ თეთრ ავტოგრაფში „გურამი“ შეცვლილია „ვაჟათი“, შავ ავტოგრაფებში კი ზოგჯერ სახელ „გურამთან“ ერთად გაპარულია გვარიც - „რჩეულიშვილი“. ამაზევე მიგვანიშნებს 1958 წლის მარტის შუა რიცხვებში დაწერილი მოთხრობა „ბატონო ტელემხედველებო“, რომელშიც ვკითხულობთ: „ორიოდ სიტყვა ჩემი ნაწარმოებების შესახებ: მე იქ, ე. ი. ნაწერებში, ვცდილობ ვწერო ჩემს თავზე, ეს ერთადერთი ადამიანია, რომელზეც ღირს საერთოდ წერა ან ლაპარაკი. ო! როგორ ვგავართ ჩვენ ერთმანეთს, არა?! ბევრი თქვენგანი კარგად მიცნობს... ბევრს ცრემლი მოსდის, როგორც ჩემს ძველ ნაცნობს, რომელიც მიცნობდა როგორც გურამ რჩეულიშვილს და ახლა, უბრალოდ, უკვირს, რომ ხან ვაჟა ჯანდიერი ვარ, ხან, უბრალოდ, გიო, ხანაც მოხუცი ქიტესა“ [რჩეულიშვილი, 2004, 16-17]. კავშირს საკუთარ პერსონაჟებთან, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერლისთვის. ამიტომ, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციამ დააპირა მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“ ავტორის სუროგატის - გურამის სახელის შეცვლა, იგი არ დათანხმდა.

როგორც ვხედავთ, დოკუმენტური და მხატვრული ნარატივები გურამ რჩეულიშვილის ნაწერებში იმდენად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რომ თითოეული ტექსტის საგანგებო ანალიზი გახდა საჭირო მათგან მწერლის ცხოვრებისეული დეტალების ამოსაღებად.

თავი III

უახლესი მეთოდები და მასალის ფუნდამენტური კვლევა

§1. გურამ რჩელიშვილის სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაციების ავთენტურობის საკითხი

მწერლის შემოქმედების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ავტოგრაფებსა და სიცოცხლისდროინდელ გამოცემებს. ამათგან ავტოგრაფი უფრო სანდოა, რადგან მასში გამორიცხულია რედაქტორისა და ცენზორის ჩარევა. თუმცა სიცოცხლისდროინდელ გამოცემების სანდოობაზე დიდად არის დამოკიდებული ნებისმიერი, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდა მწერლის წარმატება. კვლევისას ჩვენი მიზანი იყო გურამ რჩელიშვილის ავტოგრაფების შედარება მის სიცოცხლისდროინდელ პუბლიკაციებთან, რათა დაგვედგინა ბეჭდვისას განხორციელებული ცვლილებების ხასიათი და პუბლიკაციების ავთენტურობა.

გარკვეული ცენზურა ყველა დროსა და ქვეყანაში არსებობდა და არსებობს, მაგრამ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე ვითარება მეფობდა ისეთ ტოტალიტარულ ქვეყანაში, როგორც იყო საბჭოთა კავშირი. იმისათვის, რომ განგვესაზღვრა, რა ცვლილებები განიცადა გურამ რჩელიშვილის ტექსტებმა ავტორის სიცოცხლეშივე განხორციელებული მათი პირველი პუბლიკაციისას, ისტორიულ-შედარებით მეთოდს მივმართეთ და ერთმანეთს შევუპირისპირეთ გამოქვეყნებული ტექსტები და ავტოგრაფები.

გურამ რჩელიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება მხოლოდ ოთხ წელს და რამდენიმე თვეს მოიცავს, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთში მან უსაზღვროდ ბევრის გაკეთება შეძლო. მწერალი, მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა და სისხლსავსე პირადი ცხოვრებისა, ინტენსიურად მუშაობდა. წერდა ყველგან: სახლში, ლექციაზე, ალპინიადაზე, მუზეუმში, საავადმყოფოში, ფოსტაში. შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყებიდან ორ წელიწადში იგი უკვე ნამდვილ ხელოვნად აღიქვამდა თავს და ოდესაში მყოფი დღიურში წერდა: „მე დიდი ხანია მოვიპოვე უფლება ჩემ თავს ხელოვანი ვუწოდო“ [რჩელიშვილი, 2007ა, 68].

გურამ რჩელიშვილის მეგობარი - მწერალი ედიშერ ყიფიანი ჟურნალ „დროშის“ რედაქტორის, გრიგოლ აბაშიძის, მეგობარი და თანამშრომელი, ამავე

ჟურნალში ხშირად ბეჭდავდა თავის ნაწერებს. პირველად სწორედ მან შესთავაზა გურამ რჩეულიშვილს, ჟურნალ „დროშაში“ გამოექვეყნებინა თავისი მოთხრობები. სამწუხაროდ, გრიგოლ აბაშიძემ სათანადოდ ვერ შეაფასა მისთვის მიტანილი თხზულებები, „უმწიფრად“ მიიჩნია და გამოქვეყნებაზე უარი თქვა, რამაც, ბუნებრივია, ახალგაზრდა მწერალს გული გაუტეხა.

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებას ტონს აძლევდა ჟურნალები: „დროშა“ და „მნათობი“. სამამულო ომამდე კი გამოიცემოდა კიდევ ერთი ჟურნალი - „ჩვენი თაობა“. მწერალთა კავშირმა ხელისუფლების თანხმობით გადაწყვიტა აღედგინა ეს ჟურნალი და მისი ხელმძღვანელობა სატირულ-იუმორისტული ჟურნალის, „ნიანგის“, ყოფილ რედაქტორ ვახტანგ ჭელიძეს დაავალა. მისი ინიციატივით ჟურნალს არა „ჩვენი თაობა“, არამედ „ცისკარი“ დაერქვა. აღდგა მე-19 საუკუნის ცნობილი ქართული ჟურნალის დასახელება და გაგრძელდა ის შემაერთებელი ხაზი, რაც ერთი საუკუნით დაშორებულ ორ პერიოდულ ორგანოს შორის შეიძლებოდა არსებულიყო. ჭელიძემ „ცისკარში“ თან წაიყვანა ახალგაზრდები, რომლებიც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ „ნიანგში“, მათ შორის: ნოდარ დუმბაძე, ედიშერ ყიფიანი, ჯემალ ლოლუა და სხვები.

1957 წლის თებერვალში „ცისკრის“ პირველი ნომერი მზად იყო გამოსაცემად და რედაქცია ეძებდა ახალგაზრდა მწერალთა მოთხრობებს ჟურნალის განყოფილება „ჭაშნიკში“ დასახელებად. როგორც გურამ რჩეულიშვილის და იხსენებს, ისევ ედიშერ ყიფიანის რჩევით, ვახტანგ ჭელიძემ, სხვა ახალგაზრდა შემოქმედებთან ერთად ჟურნალში თანამშრომლობისათვის გურამ რჩეულიშვილიც მიიწვია. მისი რედაქციაში მიყვანა ნოდარ დუმბაძეს დაევალა, მაგრამ ადრინდელი მარცხით გულგატეხილ მწერალს უარი უთქვამს და მისი ნაწერები რედაქციაში თავად დუმბაძეს წაუღია. შეირჩა მოთხრობები, რომლებიც სარედაქციო კოლეგიას ძალიან მოეწონა. გურამ რჩეულიშვილი კი „ცისკარში“ მხოლოდ მას შემდეგ მივიდა, როცა გაიგო, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო მისი ნაწერების დაბეჭდვა. ასე გამოქვეყნდა 1957 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში მწერლის ხუთი მოთხრობა: „სიყვარული მარტის თვეში“, „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, „ნელი ტანგო“, „სათაგური“ და „თვირთვილა“. რჩეულიშვილის პირველი რედაქტორი პროზის განყოფილების გამგე გიორგი შატბერაშვილი იყო. ტარიელ ჭანტურია იხსენებს, რომ ახალგაზრდა

მწერალი თავმდაბლად იღებდა რედაქციის თანამშრომლების წვრილმან შენიშვნებს და ეუბნებოდა, თქვენ ფილოლოგები ხართ, მე - ისტორიკოსი, ამიტომ, ნუ მომერიდებით, შემისწორეთო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმის გასარკვევად, თუ რამდენად ავთენტურია ჟურნალ „ცისკრის“ პუბლიკაციები, გადავწყვიტეთ მათი შედარება ავტოგრაფებთან. კვლევისას აღმოჩნდა, რომ მწერლის არქივში მოთხრობების: „ნელი ტანგო“ და „სიყვარული მარტის თვეში“ თეთრი ავტოგრაფები აღარ არსებობს. ამიტომ „ცისკრის“ პუბლიკაციებს საბეჭდ მანქანაზე აკრეფილი, თავად ავტორის მიერ ფანქრით ნასწორები ტექსტები შევუდარეთ, როგორც მწერლის ბოლო ნების გამომხატველი. შედარებისას გამოიკვეთა, რომ რედაქციამ ამ ტექსტებში ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებთან ერთად ზოგან ავტორის სტილიც შეასწორა.

გურამ რჩელიშვილის ამ პერიოდის ნაწერებში იშვიათად გვხვდება კითხვისა და ძახილის ნიშნები, რაც რედაქტორს არ გამოჰპარვია და ჩაუმატებია. ტექსტებში ხშირია ლექსიკური ცვლილებებიც: „სათაგურის“ პუბლიკაციაში ავტოგრაფისეული ქვესათაური „მეწყობილი ოჯახი“ შეცვლილია „ოჯახური იდილიით“. სარედაქციო პოლიტიკის ხელწერა იკვეთება მოთხრობის შესავალში, საიდანაც ამოღებულია წინადადება: „მთელი დღე ვკითხულობდი მერეჟკოვსკის „ანტიქრისტეს“ [ცისკარი, 1957, N 1, 63; გრცა, N 118, 2r]. „ნელი ტანგოს“ პუბლიკაციაში აღარ გვხვდება ავტოგრაფის თავფურცელზე ეპიგრაფად წამმღვარებული ტექსტი: „ცურაობის დროს თითქმის არასდროს არ ფიქრობენ, განსაკუთრებით როცა მკლაურით მიდიან. ალბათ, ამიტომ მიყვარს ცურვა და ყველაზე მეტად მკლაური“ [გრცა, N 107, 1r]. ასევე მოთხრობის პუბლიკაციის ფინალში ვეღარ ვიპოვით პერსონაჟის ფიქრების ამსახველ მნიშვნელოვან ეპიზოდს. „ნეტავი რაზე ველაპარაკო, მომწყინდა სულ ერთი და იგივე: საიდან ჩამოხვედით? როდის, მერე ჩვენი ბუნების ქება და ბოლოს კომპლიმენტი - თქვენ მშვენივრად გაშავდით [გრცა, N107, 6r].

მოთხრობიდან „შემოდგომა ბაბუა კოტესი“ ამოღებულია დღიური, რომელიც მოთხრობის შესავალს წარმოადგენს, ხოლო მოთხრობიდან „სიყვარული მარტის თვეში“ - ეპიგრაფად წამმღვარებული ამონარიდები გალაკტიონ ტაბიძისა და სერგეი ესენინის ლექსებიდან [ცისკარი, 1957, N52; [გრცა, N 88, 1r]. ცენზურის კვალი ატყვია მოთხრობა „თვირთვილას“ შესავალს, რომლის ორი გვერდი, როგორც საბჭოური

სასამართლოს სამხილი, ამოღებულია პუბლიკაციიდან [გრცა, N140, 1r,v].

1957 წელს „ცისკრის“ მესამე ნომერში რუბრიკით „წარსულის ფერფლის ქვეშ“ დაიბეჭდა მოთხრობა „უსახელო უფლისციხელი“. „ცისკრის“ რედაქტორმა ვახტანგ ჭელიძემ, ისევე როგორც სხვა ახალგაზრდა მწერლებს, გურამ რჩეულიშვილსაც შესთავაზა საქართველოს ისტორიიდან ლიტერატურულ-ისტორიული ნარკვევის დაწერა. როგორც საარქივო მასალა მოწმობს, ეს შეთავაზება დაემთხვა მწერლის სურვილსაც, რომელსაც ისტორიული ნოველების დიდი ციკლის შექმნა ჰქონდა ჩაფიქრებული. მწერლის არქივში ინახება სამივლინებო ბარათი, დათარიღებული 1957 წლის 21 ივნისიდან 30 ივნისამდე პერიოდით, რომელიც უფლისციხეში მის გამგზავრებას უნდა უკავშირდებოდეს [გრცა, N658] (იხ. დანართი N7).

მოთხრობის პუბლიკაციისას რედაქციამ ტექსტიდან ამოიღო მწერლის მიერ უფლისციხის კედლებზე შემჩნეული წარწერების ეპიზოდი: „თვალები დაღლილი მაქვს და ძლივს ვარჩევ ჩუქურთმებს შორის ღრმად ამოჭრილ წარწერას Волков. მერე კედელზე გადამაქვს მზერა, აქ უფრო ღრმადაა ამოჭრილი Тормасов“. ვიქრობთ, ცენზურისათვის ყველაზე მეტად მიუღებელი, ალბათ, თავად ამ ფაქტისადმი ავტორის დამოკიდებულება იქნებოდა: „მე ჯიბიდან დანას ვიღებ და ვჭრი ჩემს გვარს. კლდე იფშვნება, მაგრამ მაინც შეიძლება გარჩევა, რომ მე აქ ვიყავი 1957 წლის ივლისში. რაღაც სასიამოვნოა იმაში, რომ აქ შენი ყოფნა აღნიშნო. ალბათ, ასევე ჰგვრიდა ეს სიამოვნებას ტორმასოვსა და ვოლკოვს. მეც მსიამოვნებს“ [რჩეულიშვილი, 2002 ბ, 208; გრცა, N251, 5r].

1958 წლის თებერვლის ბოლოს „ცისკრის“ მესამე ნომერში გამოქვეყნდა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „სიკვდილი მთებში“. ამ დროს იგი მოსკოვში ცხოვრობდა. 1958 წლის 19-20 მაისს მწერალთა კავშირში მოეწყო „ცისკრის“ განხილვა, რომელზეც მწერლის მოთხრობების შესახებაც იყო საუბარი. სწორედ, ამის შესახებ სწერდა მოსკოვში მყოფ საკუთარ ვაჟს დედა მარიამ ნიჟარაძე. განხილვისას გრიგოლ აბაშიძემ და ალიო მირცხულავამ აღტაცება ვერ დაფარეს ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერლის მოთხრობის გამო, სიმონ ჩიქოვანმა ნაწარმოებს ფილოსოფიური უწოდა და გაოცდა, როცა ავტორის ასაკი (23 წელი) გაიგო. მან რედაქციას მადლობა გადაუხადა ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედის წარმოჩენისთვის. თვით ბესარიონ ჟღენტმაც, რომელიც დიდად არ სწყალობდა გურამ რჩეულიშვილის

ნაწერებს, ამჯერად ქება არ დაიშურა მისთვის და თავისი ძველი პოზიცია ასე გაამართლა: „კრიტიკა და დავა ისეთ კაცთან არის საჭირო, რომელშიც ძალას ხედავ, თორემ უძალო კაცს რა ბრძოლა სჭირდებაო“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 139-140]. ამ პუბლიკაციის კვლევისას გამოვლინდა მხოლოდ სტილური შესწორებები და, რაც ყველაზე მეტად გასაკვირია, ისეთი შემთხვევებიც, როცა მწერლის მიერ სწორად გამოყენებული ლექსიკური ერთეულები ბარბარიზმებით არის ჩანაცვლებული. მაგ.: საწვიმარი - პლაშჩი, ასევე რამდენჯერმე არასწორი ფორმით არის ნახსენები: ელპიდე - ელპიტე [ცისკარი, 1958, N3, 52-53].

1959 წლის აგვისტოში მწერალმა ოჯახის წევრებს მოულოდნელად განუცხადა, რომ გადაწყვიტა მოთხრობების კრებულის გამოცემა. შეადგინა კიდევ ტექსტების სია და ორ კატეგორიად დაყო: „გადაბეჭდილები“ და „ხელნაწერები“, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. ასე რომ, ცალკე წიგნად გამოცემული საკუთარი თხზულებები გურამ რჩეულიშვილს არ მოსწრებია.

სიცოცხლისდროინდელ პუბლიკაციებად მივიჩნიეთ 1960 წლის აგვისტოს ნომერში გურამ რჩეულიშვილის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილი ორი მოთხრობა: „ირინა და მე“ და „ალავერდობა“. მართალია, ავტორი მათ გამოქვეყნებას ვერ მოესწრო, მაგრამ ყველაზე დიდი უთანხმოება გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე „ცისკრის“ რედაქციასთან სწორედ იმის გამო შეემთხვა, რომ ტექსტში მისთვის მიუღებელი ცვლილებები შეჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი არ იზიარებდა რედაქციის მიერ მის ტექსტებში შეტანილ ცვლილებებს, ის ინფორმირებული იყო, როგორი სახით აპირებდნენ მათ ბეჭდვას და პროტესტის ნიშნად მასალა რედაქციიდან არ წაუღია. შესაბამისად, ამ პუბლიკაციებშიც იმავე დოზით არის გათვალისწინებული ავტორის მოთხოვნები, როგორც წინა წლებისაში.

„ალავერდობიდან“ არა მხოლოდ ამოღებულია სიტყვები და ფრაზები, არამედ სრულიად ახალი პასაჟებია ტექსტში ჩართული. მაგ.: „ნუთუ უთავბოლო აურზაურისა და ღრეობის საყურებლად მოვიდა აქ? სად არის ქართული ცეკვის ლაზათი, ვაჟკაცური შერკინება მოჭიდავეებისა, გაფრენილი ცხენების ჯირითი. დაფიქრებული დგას“ [რჩეულიშვილი, 1960, 60]. ცენზურისათვის მიუღებელი აღმოჩნდა როგორც საბჭოთა კოოპერატივის ნაწარმის უხარისხობის ხაზგასმა „კოოპერატივის საექვო აღნაგობის საქონელი“ [გრცა, N74, 4r], ისე მთავარი გმირის

ექსცენტრიული ბუნებაც, რომელიც საბჭოთა ადამიანის ხასიათს არ შეესაბამებოდა.

ხელოვნებისა და ცხოვრების უკომპრომისო ურთიერთდამოკიდებულებამ მთელი ძალით იჩინა თავი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „ირინა და მე“. „პირველი შემოქმედებითი ნაკადის შემოჭრა ჩემს არსებობაში და მისი ცხოვრებასთან ვერშეთავსება“ [რჩეულიშვილი, 2004, 438] - ასე შეაფასა ავტორმა თავისი შემოქმედების ეს პერიოდი. აი, რას სწერდა იგი ვახტანგ ჭელიძეს თავის ვრცელ, საქმიან წერილში: „დრომ მოითხოვა მიმეცა ჩემი მოთხრობებისათვის იდეოლოგიური საწყისი, ბიძგი იმ შეუჩვეველი კულტურული მკითხველისათვის, ვისაც სულ ჰემინგუეი, რემარკი, დასავლური სევდა ეჩვენება ყველგან. მათ ეს მოთხრობები უნდა აღიქვან ისე, როგორც ავტორი ფიქრობს და არ დაამახინჯონ, უფრო მეტიც, შარი არ მოსდონ სხვა მხრიდან. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მე მხვდება როგორც გადმომღერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის“ მოტივებისა. სასურველი იქნებოდა, რომ ჩემმა თეორიულმა ნაწილმა, მხატვრულთან კავშირში, გააქარწყლოს ეს შეხედულება და ჩვენ - საზოგადოებამ, თქვენ და მე - ერთმანეთს პირდაპირ, გულწრფელად დავუწყოთ თვალეში ყურება“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 99].

„ისეთ შესავალს გავუკეთებ, რომ დაბეჭდვაზე უარს ვერ მეტყვიან“, - აიძულებდა მკითხველთან შეხვედრის მოლოდინით გადაღლილი მწერალი ახლობლებს, მაგრამ მისი წერილი რედაქტორამდე არ მისულა და რედაქციის ჩარევა ტექსტებში მაინც ვერ აირიდა. შეცვალეს „ირინა და მე“ სათაური, მოთხრობის ექსპოზიცია და ფინალი, როგორც ცენზურისათვის იდეოლოგიურად მიუღებელი პასაჟები. სწორე, სარედაქციო პოლიტიკა გახდა მიზეზი იმ აურზაურისა, რომელიც, როგორც მწერლის მეგობარი ედიშერ გიორგაძე იხსენებდა, მოთმინებადაკარგულმა მწერალმა ატეხა მაჩაბლის ქუჩაზე, კომკავშირის ცეკას პირველ სართულზე, „ცისკრის“ რედაქციაში.

თითქმის საუკუნის წინ, 1860 წლის 25 აპრილს, დედასთან გაგზავნილ ბარათში აკაკი წერეთელი ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორზე წერდა: „მე და კერესელიძე ვერ მოვეწყვეთ, ლექსები წამიხდინა, თავისებურათ გადააკეთა და შარშან სექტემბრის აქეთ აღარაფერს აღარ უგზავნი და აღარც გაუგზავნი“. თითქმის საუკუნის შემდეგ, გურამ რჩეულიშვილი და მისი მეგობრები იდგნენ იმავე პრობლემის წინაშე, ახლა

მათი ნაწერების წახდენის დრო იდგა, წამხდენი კი ამჯერად არა იმპერიული, არამედ საბჭოთა ცენზურა იყო. მწერლის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ჭელიძემ მოუბოდიშა მისი ოჯახის წევრებს: „მნელი გასაგები იყო ახალგაზრდა კაცისათვის, რა ხდებოდა კულისებში, რა დროც იყო“ [რჩეულიშვილი, 2004, 400].

როგორც ვხედავთ, რედაქცია არ ერიდებოდა ახალგაზრდა მწერლის ტექსტის სწორებებს, ამიტომაც გურამ რჩეულიშვილის სიცოცხლისდროინდელი არც ერთი პუბლიკაცია არ ემთხვევა ავტოგრაფებს და ისინი ავთენტური სახით პირველად მწერლის დის მიერ მომზადებულ ექვსტომეულში გამოქვეყნდა.

§2. გურამ რჩეულიშვილის ხელწერის სპეციფიკა

გურამ რჩეულიშვილის არქივში დაცულია მისი და მასთან დაკავშირებული ათასზე მეტი ხელნაწერი. იგი საწერ მასალად იყენებდა თაბახისა და ბლოკნოტის ფურცლებს, უბის წიგნაკებს, თორმეტფურცლიან ცალხაზიან და უჯრედებიან რვეულებსა და მათ გარეკანს, დეპეშის ბლანკს და სხვ (იხ. დანართი N8). მინაწერები გაკეთებულია ფოტოებზე და ზოგიერთ საბუთზეც კი, მაგალითად, საცურაო აუზის საშვის გარეკანის შიდა გვერდზე. იგი ძირითადად წერდა ფურცლის ორივე მხარეს, მუდმივი კალმით, ღია ან ლურჯი მელნით, აგრეთვე ქიმიური ან უბრალო ფანქრით. მისი ნაწერები ფურცელზე სრულად არის განფენილი და გრაფემების თანმიმდევრობა წარმოსახვით საწერ ხაზს ზუსტად არ მიჰყვება, რაც მათ ამოკითხვას ართულებს (იხ. დანართი N9).

მარინე რჩეულიშვილის დაკვირვებით, მწერალი სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახის მასალას და განსხვავებულ საწერ საშუალებებს იყენებდა. 1956-57 წლებში იგი ძირითადად თაბახის ფურცლების ორივე გვერდზე წერდა მუდმივი კალმით, რომელშიც ხან ღია და ხან მუქი ლურჯი მელანი ესხა. სამი-ოთხი მოთხრობა ქიმიური ფანქრით არის დაწერილი. ამ ნიშნებით, ზოგჯერ ხერხდება ავტოგრაფების დათარიღება. მაგალითად, დედ-მამისთვის გაგზავნილი ერთი წერილის დასათარიღებლად ქ-ნი მარინე რჩეულიშვილი იყენებს იმ ფაქტს, რომ ბარათი დაწერილია იმავე ტიპის თაბახის ფურცელზე, როგორებიც მწერალმა მოსკოვში შეიძინა და როგორზეც იქვე დაიწერა პიესა „მარინას“ პირველი მონახაზები

[რჩეულიშვილი, 2007ბ, 116].

როგორც სხვადასხვა ჩანაწერიდან ჩანს, მწერალს ყოველთვის არ ჰქონია ხელთ ისეთი საწერი მასალა და საწერ-კალამი, როგორსაც ისურვებდა. არაერთგან ჩანს მისი წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ კალამი და ქიმიური ფანქარი არა აქვს და უბრალო ფანქრით უხდება წერა, ან ამის გამო საერთოდ აღარ წერს. უბრალო ფანქრით წერა იმიტომ იყო არახელსაყრელი, რომ ნაწერი მდგრადი არ იქნებოდა, მალე გაფერმკრთალდებოდა და წაკითხვა შეუძლებელი გახდებოდა. მწერლის ერთ-ერთ დღიურში ვკითხულობთ: „გუშინ და გუშინწინ დღის მეორე ნახევრიდან აღარა მქონდა ქიმიური ფანქარი. უბრალოთი კი არ მინდა წერა. მეშინია, რომ ის, რაც იფიქრა კაცმა, სამუდამოთ დაიკარგოს. თუმცა ეშმაკმა წაიღოს, მაგრამ მაინც ასეა“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 79]. მსგავსი წუხილი ჩანს სხვა ჩანაწერშიც: „მენანება ფანქრით რომ დავწერე. წაიშლება, თან მეცინება, რა მნიშვნელობა აქვს. არაფერი. ისე მაინც. რა ვიცი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 79]. მიუხედავად ასეთი განცდებისა, როგორც ჩანს, ზოგჯერ მაინც უხდებოდა ამ არასტაბილური საწერი საშუალების გამოყენება, რადგან რამდენიმე მოთხრობა, დღიური („რატომა ცხოვრობს ადამიანი?...“) [გრცა, N380], „სურამის ციხე“ [გრცა, N 649] და სხვ. სწორედ, ჩვეულებრივი, უბრალო ფანქრით არის ნაწერი.

ერთგან ვკითხულობთ: „მივუჯექი ჩემს მაგიდას საწერად. საფანქრეში მამის ნაყიდი მუდმივი კალმისტარი მეგულეობდა. გავხსენი კოლოფი. დამცეცხლა. შევუკურთხე რუსიშვილს. იმან წაიღო, ალბათ, გუშინ აქა ტრიალებდა. უცებ დავკარგე წერის ხალისი...“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 68]. იმავე დღიურში ვკითხულობთ: „ახლა შემოვიდა მამას ნაცნობი, ალექსანდრე კაჭახიძე. ეშმაკმა დალახვროს, საუბარი გაცხოველდა. აშკარად მეშლება ხელი. კალმისტარიც ჩხაპნის. ალბათ, ამით დავამთავრებ...“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 68].

კალმისტრის არქონას ჩივის 1956 წლის 20 ივლისის დღიურის ჩანაწერშიც: „კალმისტარი მქონდა ერთი, რომელიც რეზო ერისთავმა გამიტეხა სიბრაზის დროს, მეორე, უკეთესი, - მარინა ბულიშვილმა, როცა ხელიდან მტაცებდა... ხან ვისით ვწერ, ხან ვისით... ახლა ჩვენ მეზობელ ნატას გამოვართვი – ჩხაპნის საშინლად. დღიურიც კი ვერ დამიწერია, ისე მოქმედებს ნერვებზე. Ну к черту!“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 66].

ასევე უშლის ხელს წერაში მელნის გათავებაც. სხვადასხვა ჩანაწერებსა და წერილებში ვკითხულობთ: „ბოდში, მელანი მუდმივ კალმისტარში გამოილია“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 17], „წერილს ვათავებ. კალმისტარში მელანი იყინება“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 67], და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ტექსტის გასარედაქტირებლად მწერალი ხშირად ძირითადი ტექსტის შექმნის დროს გამოყენებულისგან განსხვავებულ საწერ საშუალებებს იყენებდა. მისი ზოგი ავტოგრაფი („ნათელა“, „სიკვდილი მთებში“, „მე ახლა ოცდაექვსი წლისა ვარ“, „იულონი“) ყავისფერი, ლურჯი ან წითელი ფანქრით არის ნასწორები [გრცა, 155, 2, 10; 253 2v, 6r, 4r; 322, 3r] (იხ. დანართი N10). სხვადასხვა სახის საწერი საშუალებაა გამოყენებული „მარინასა“ და „ალუდას“ შავ ჩანაწერებში, „ნათელასა“ და „კა და კოს“ ავტოგრაფში [გრცა, 316, 2r; 322, 3r; 347, 2r; 380, 1 r.] და სხვ.

1956-57 წლების ხელწერა შემდეგი წლების ნაწერებისაგან განსხვავდება მომსხო, მოგრძო, დიდი ზომის გრაფემებით. ქ-ნი მარინე რჩეულიშვილის აზრით, შავი ავტოგრაფების კალიგრაფია მწერლის დედის ნაწერს ჰგავს (იხ. დანართი N11), თეთრი ავტოგრაფებისა კი ბეზის, ალექსანდრა ჯავახიშვილის, ძმის, ცნობილი ისტორიკოსისა და პალეოგრაფის, ივანე ჯავახიშვილისას [რჩეულიშვილი, 2002 ა, 309] (იხ. დანართი N12). მომდევნო წლების ხელწერის წაკითხვა ხშირად ჭირს. მწერალი ბოლომდე ავსებს საწერ გვერდებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ რვეულის გარეკანსაც კი.

გურამ რჩეულიშვილი თავადაც ხვდებოდა, რომ მისი ნაწერები რთული ამოსაკითხი იყო. 1952 წელს ბეჩოდან მიწერილ ბარათში იგი ასე უბოდიშებს ოჯახს: „ხელი ისეც კარგი არ მქონდა და კალმისტარმაც ხელი არ შემეძინა. იმედია მაპატიებთ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 11]. გაურკვეველი ხელწერის გამო მწერალი ხშირად იღებდა საყვედურებს ახლობლებისგან. მისი მამიდაშვილისა და მეგობრის, მწერალ დათო ჯავახიშვილის მიერ მისთვის 1958 წლის 2 ივნისს გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „შენ მწერალი უკვე ხარ და წერა კი ვერ გისწავლია (ხელს ვგულისხმობ) ისეც ისეთი აცაბაცა ხელი გაქვს“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 166]. ერლომ ახვლედიანი მოსკოვში მყოფ მეგობარს სხვადასხვა დროს სწერს: „შენი პირველი წერილი როგორც იქნა გავშიფრე... შენი მეორე და მესამე წერილი ძლივს გავშიფრე...“

ცოტა გარკვევით წერე... ან ერთ წერილს რომ დაწერ, იმავე წერილის განმარტებისათვის მეორე წერილიც მოაყოლე“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 190]; „შენი წერილი წავიკითხე. რასაკვირველია ნახევარი ვერც კი გავარჩიე. ჩემი წერილის წერას დავამთავრებ და გავშიფრავ მაგ იეროგლიფებს [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 189].

1958 წლის 2 მარტს თავად გურამ რჩეულიშვილი მოსკოვიდან ერლომ ახვლედიანს სწერს: „დავიწყე ჩემი წერილის გადაკითხვა, ოღონდ ისეთი ხელითაა დაწერილი, მთელი ნახევარი საათი წამართვა ნახევრამდე ჩაკითხვამ. გადავწყვიტე თავი დავანებო და სხვა ახალი დავწერო. მართლა: წაკითხვის თარჯიმნად შეგიძლია მარინე გამოიყენო, ის გაცილებით ჩემზე უკეთ არჩევს ჩემს ხელს“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 57]. მწერალს ალღომ არ უმტყუნა. მისი წერილობითი მემკვიდრეობის ამოკითხვასა და გამოცემაზე მართლაც საუკეთესოდ იზრუნა მისმა დამ, რომელმაც არქივში დაცულ ავტოგრაფებზე დაყრდნობით მწერლის თხზულებები ექვს ტომად გამოსცა.



გურამ რჩეულიშვილს საგანგებოდ შემუშავებული ხელწერა აქვს. ეს არ არის ასო-ნიშანთა ის მოხაზულობები, რომლებსაც სკოლაში ასწავლიდნენ. მას საკუთარ




კალიგრაფიაზე საგანგებოდ აქვს ნაფიქრი და ნამუშევარი. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ვერტიკალურად განფენილი საოცრად ლამაზი „ლ“ გრაფემა, რომელიც ხელნაწერის ზერელე გადათვალიერების დროსაც კი იპყრობს ყურადღებას. ცალკეული გრაფემის გაფორმების საინტერესო შემთხვევები გვაქვს ასო-ნიშან „ტ“-სთან მიმართებით. 1956 წლის ნოემბერში მოთხრობის „პირველად ტრამალებში“ სათაურში გამოჩნდა გრაფემა „ტ“-ში ჩახატული ადამიანის სახე, 1957 წლიდან კი ასეთი







რამ გახშირდა და თეთრ ავტოგრაფებშიც არაერთგან გაჩნდა.

გურამ რჩეულიშვილის საარქივო მასალებზე მუშაობისას, ბუნებრივია, საჭირო გახდა, რომ გულდასმით შეგვესწავლა მისი ხელწერა, მით უფრო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, მას ძალზე სპეციფიკური კალიგრაფია აქვს. ამისათვის საგანგებოდ



შევექმნით მისთვის დამახასიათებელ გრაფემათა ტიპურ და ატიპურ მოხაზულობათა ცხრილები (იხ. დანართები N13 და N14).

პირველი ცხრილი დაგვეხმარა, მაგალითად, გრაფემა „ქ“-ს იდენტიფიცირებაში სიტყვიდან „ქალი“ , გრაფემა „თ“-ს ამოცნობაში სიტყვიდან  „ნუთუ“, მეორე ცხრილის საშუალებით კი ამოვიცანით გრაფემა „ფ“ სიტყვიდან „ფუქია“  და მრავალი სხვა.

კიდევ ერთი სირთულე, რომელსაც ვაწყდებოდით ტექსტის ამოკითხვისას, უკავშირდებოდა გაკრული ხელით წერისას გრაფემების ერთმანეთთან მიმსგავსებას, შერწყმას ან მაიდენტიფიცირებელი ნიშნების დაკარგვას. უცნაური გადაბმების გამო, ძალზე გაგვიჭირდა გრაფემების „ყვ“  ამოკითხვა სიტყვაში „ყველა“, „უფ“-ს -  სიტყვაში „უფრო“, „სუ“-ს -  სიტყვაში „სულ“, „სო“-ს -  სიტყვაში „სოფელი“ და სხვ.

ზოგჯერ სიტყვის ამოკითხვაში გვეხმარებოდა ის, რომ იგივე სიტყვა იქვე ახლოს უფრო გარკვევით ეწერა. ასე ამოვიკითხეთ, მაგალითად, ფრაზის: „ვისაც უნდა და არ უნდა“ ბოლოში გაურკვეველი ხელით დაწერილი სიტყვა „უნდა.“



ზოგჯერ ერთი და იგივე გრაფემა ერთი სიტყვის ფარგლებშიც კი სრულიად განსხვავებულად წერია და რომელიმე მათგანს დაკარგული აქვს მაიდენტიფიცირებელი ნიშნები. ასეთი იყო, მაგალითად, პირველი „ნ“  სიტყვაში „ნანგრევის“  რომლის ამოცნობაც მხოლოდ კონტექსტის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

ზოგ შემთხვევაში ხელწერა იმდენად უჩვეულო იყო, რომ გრაფემათა ტიპური და ატიპური მოხაზულობების ცხრილებიც ვერ გვეხმარებოდა და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის ყველა მიკრომეთოდის გამოყენების აუცილებლობაში. ცალკეული ლექსიკური ერთეულების ამოკითხვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ კონტექსტის და გარე

ტექსტების გამოყენებით.





როდესაც ესა თუ ის სიტყვა ან გვარი ჩვენთვის უცნობია, მასში შემავალი გრაფემის იდენტიფიცირება მხოლოდ გრაფიკულ შედარებაზე დაყრდნობით სრულიად წარმოუდგენელია. საჭირო ხდება ამ სიტყვის დაზუსტება სხვა წყაროების მოშველიებით. მწერლის თხზულებათა გამოცემის სრულ კრებულის ერთ პასაჟში: „წავიკითხე „მაიორ კატრენის“ პირველი ნაწილი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 49], არასწორად იყო ამოკითხული ნაწარმოების დასახელება. ავტოგრაფის ამ ადგილას გრაფემა „ვ“ მართლაც „კ“-ს იდენტურია და გასაკვირი არ არის, რომ ტექსტი ასე იქნა ამოკითხული, მაგრამ, როდესაც ამ დასახელების ნაწარმოების ძებნა დავიწყეთ, ვერაფერს მივაკვლიეთ და ბოლოს, საძიებო სისტემისა და ციფრული კატალოგების მეშვეობით, მივაგენით ფრანგი მწერლის, არმან ლანუს, რომანის სათაურს „მაიორი ვატრენი“ [Лану, 1957], რამაც დაგვარწმუნა, რომ ტექსტი ასე უნდა ამოკითხულიყო.

სირთულეებს იწვევს ისიც, რომ გურამ რჩეულიშვილი შავ ავტოგრაფებში იშვიათად იყენებს პუნქტუაციის ნიშნებს, ან, როგორც წესი, მათ წერს არა სიტყვის ბოლოს, არამედ მომდევნო სიტყვის წინ. დაუსრულებელი ნაწარმოებების ფრაგმენტებში კონსტექსტის გამოყენება სიტყვის ამოსაკითხად არ ხერხდება იმის გამო, რომ აზრი დაუსრულებელი ან გაუმართავია და როდესაც ამას ზედ ერთვის ხელწერის სპეციფიკიდან გამომდინარე სირთულეებიც, ამოკითხვა კიდევ უფრო ძნელდება. დაუმთავრებელი ტექსტის „ბატონო ტელემხედველებო“ ერთ-ერთი პასაჟი ხელნაწერში [გრცა, N 314, 2] ასე გამოიყურება:




ლექსიკური ერთეულის „სიტყვები“ წინა სიტყვის ამოკითხვა იმიტომ გაგვიჭირდა, რომ ვერ ამოვიცანით მძიმე, რომელიც მეორე სიტყვის დასაწყისში ეწერა და არა პირველის ბოლოს, სინტაგმა „ბუტილკა სიტყვები“ კი ალოგიკურად მოგვეჩვენა. საბოლოოდ ტექსტმა [რჩეულიშვილი, 2004, 289] ასეთი სახე მიიღო: „ნუ იქნებით სტილნი ბიჭები, რომლებმაც ისწავლეს ბუტილკა, სიტყვები როც ენდ როლი და ცეკვა კი არ იცინა“.

ლექსიკური ერთეულების იდენტიფიცირებაში დიდ დახმარებას გვიწვედა კონტექსტი. მაგალითად, სიტყვის გარემომცველი სხვა ლექსიკური ერთეულების გარეშე ვერ ამოვიცნობდით გრაფემას „ძ“ სიტყვაში „გვერძე“, რადგან ის „ძ“-ს უფრო

ჰგავს , გრაფემა „გ“-ს სიტყვაში „შემდეგ“ , რადგან ის იმავე სიმაღლეზე წერია, როგორზეც „შ“ და „მ“. გრაფემას „ვ“ სიტყვაში „კვალის“, რადგან ის მის გვერდით დაწერილი „ვ“-ს იდენტურია , საკუთარ სახელ „რაჟდენს“, რადგან „ჟდ“ ერთმანეთშია ჩახლართული და, რომ არა კონტექსტი, თითოეული მათგანის იდენტიფიცირება შეუძლებელი იქნებოდა .

უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა გურამ რჩეულიშვილის ტექსტების ისეთი პასაჟების იდენტიფიცირებაც, რომლებზეც მწერლის თხზულებათა გამოცემებში ამოუკითხაობის გამო ფრჩხილებში ჩასმული მრავაწერტილით ან ტირით არის მინიშნებული. მაგალითად, ექვსტომეულის მეხუთე ტომში ერთ-ერთი ამოუკითხავი პასაჟი, რომელიც წვრილი ასოებით არის ნაწერი [რჩეულიშვილი 2007 ა, 307], ავტოგრაფში [365, 2r] ასე გამოიყურება:




ტექსტის გამოსახულების გადიდების მეშვეობით აღვადგინეთ სიტყვები: „თავისი თვალებით ან პირდაპირ პირში“ და წინადადებამ ასეთი სახე მიიღო: „მაშინ ხვალ მოსულიყავი, ხვალ ჩაგთვლით კაცათ, ეუბნება გურამი და ის ორი თავისი თვალებით ან პირდაპირ პირში...“

იმავე ტომში ერთ-ერთი დღიურიდან ამოუკითხავ ორ სიტყვაზე ასევე ფრჩხილებით იყო მინიშნებული [რჩეულიშვილი 2007ა, 251]. ატიპური მოხაზულობის ცხრილების გამოყენებით შევძელით ხელნაწერიდან [428, 6r]




სიტყვების „უაზრო“ და „სითბოსადმი“ ამოკითხვა და ფრაზამ მიიღო ასეთი სახე: „გიორგი გოგისკენ იწევა უაზრო გოგისადმი და იმ სითბოსადმი, რომლითაც გოგი ლაპარაკობს თვალებით“.

პიესა იულონის ტექსტიდან ამოუკითხავი იყო ერთი სიტყვა „და მაშინ რომ (...)
ჩემი პიესის კითხვისას, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ჩემი იყო ფიზიკურადაც, 

ჩემი სხეული კი მე ყველაზე ნაკლებათ მემორჩილება...“ [რჩეულიშვილი 2006, 585] ხელნაწერში ეს ადგილი ფურცელზე გვერდულად და გაკრული ხელით არის მიწერილი (გრცა, 297, 17r.), მაგრამ გამოსახულების გადიდებით მისი ამოკითხვა მაინც შეუძელით. ეს არის სიტყვა „ავლელი“. გრაფემა „ა“ შერწყმულია „ვ“-სთან და თითქმის არ ჩანს, „ლ“-ს მეორე ფეხი გადაბმულია „ე“-ზე და „ე“ – „ლ“-ზე, გრაფემა „დ“ კი თავშეუკვრელია, როგორც შემთხვევათა უდიდეს ნაწილში.


მწერლის თხზულებათა ექვსტომეულის მესამე ტომში, რომელშიც „შამას რევოლუცია“ არის დაბეჭდილი, შავი ავტოგრაფის გადახაზული პასაჟიდან არასრულად და ნაწილობრივ არასწორად არის ამოკითხული ერთი ეპიზოდი: „იასონა ძველი მოქეიფე კაცია და ძაგანამ იცის, რომ თუ მან სიმღერა დაიწყო არ გაათავებს. ორიოვდილა [] უერთდება ხალხი. ორიოვდილა ოდილა დილა ია ძაგანია, ძაგანია, ძაგანია ისე უკრავს იასონა, რომ ხალხმა ვერ გაიგოს“ [რჩეულიშვილი, 2004, 302]. გურამ რჩეულიშვილის ხელნაწერებში და კონკრეტულად ამ ავტოგრაფშიც „ვ“ გრაფემის „კ“-სთან საოცარი მსგავსების გამო ორივეგან არასწორად იქნა ამოკითხული სიტყვა „ორიოვდილა“. რაც შეეხება ამოკითხვას ლექსიკურ ერთეულს, რომლის ნაცვლადაც ტექსტში კვადრატული ფრჩხილებია ჩასმული, გამოსახულების გაზრდის საშუალებით [გრცა, N 981, 2v.] შევძელით მისი ამოკითხვაც. ეს არის „რანუნი“. სიტყვის „უკრავს“ ნაცვლად კი უნდა იყოს „ურთავს“. საბოლოოდ ტექსტმა ასეთი სახე მიიღო:



„იასონა ძველი მოქეიფე კაცია და ძაგანამ იცის, რომ თუ სიმღერა დაიწყო, არ გაათავებს. ორიოვდილა რანუნი უერთდება ხალხი. ორიოვდილა ოვდილა დილა ია ძაგანია, ძაგანია, ძაგანია, ისე ურთავს იასონა, რომ ხალხმა ვერ გაიგოს“.

მწერლის მიერ ოჯახისათვის 1958 წლის თებერვალში მიწერილი ბარათის [გრცა, N 69, 1v] პუბლიკაციაში, ბოლოდან გამოტოვებულია ფრაზა [რჩეულიშვილი, 2007 ბ,

47], რომელიც ასე იკითხება:



„ზოგჯერ კომპარტიის არასიმპატიური მდივანი მეტს იძლევა, ვიდრე პატიოსანი უპარტიო და უსაქმო“ (ავტოგრაფი სრულად: იხ. დანართი N15).

მოთხრობას „ზღვის ნაპირას თავთხელ წყალში“ [გრცა, N 79, 6r.] წამმღვარებული აქვს 1956 წლის მარტის დღიური, რომლიდანაც ტექსტის პუბლიკაციაში გამოტოვებულია ორი სიტყვა: „დედამ ჩვეულებრივი ნოტაცია წამიკითხა. მერე (...) წავიკითხე“ [რჩეულიშვილი, 2007

ა, 52]. ამოუკითხავი ადგილი ავტოგრაფში ასე გამოიყურება.




ბუნებრივია, დავინტერესდით,

კონკრეტულად რას კითხულობდა მწერალი იმ დღეს და შევეცადეთ ამოგვეცნო გაურკვეველი სიტყვები. პირველი სიტყვის ასო-ნიშნებიდან ბოლო ორი გრაფემის „ლ“ და „ი“ ამოცნობა არ გაგვჭირვებია, პირველი ორის იდენტიფიცირება კი მოვახერხეთ ატიპური ცხრილის გამოყენებით, სადაც მსგავსი დაუსრულებელი „ვ“ გრაფემა არაერთგან გვხვდება და გვაქვს „ვი“-ს იდენტური გადაბმებიც. გამოიკვეთა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული სახელი „ვილი“. მომდევნო სიტყვის პირველი გრაფემა ძალიან გაურკვეველი იყო, მაგრამ შედარებით უკეთ იკითხებოდა მომდევნოები: „რედლი“. გონებაში უცებ ამოგვიტივტივდა გერმანელი ანტიფაშისტი მწერლის - ვილი ბრედელის სახელი და გვარი და ვცადეთ გვარის დარჩენილი ნაწილის იდენტიფიცირება ავტოგრაფის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გრაფემა „ბ“-ს მარცხნივ ჩანს გაურკვეველი დანიშნულების რაღაც მოხაზულობა, იმ შრეში, რომლის ამოკითხვასაც ჩვენ ვცდილობდით, საკმაოდ დამაჯერებლად გამოიკვეთა გრაფემა „ბ“. რაც შეეხება სიტყვის დანარჩენ ნაწილს, ზედაპირული ანალიზით უფრო გარკვევით იკითხება „ბრედლი“ და მეორე „ე“-ს კონტურები გარკვევით არ ჩანს, მაგრამ ასეთი გაურკვეველი გადაბმები, როდესაც ორი გრაფემა (ამ შემთხვევაში „დე“) იმდენად ერწყმის ერთმანეთს, რომ მათი საზღვრების გამიჯვნა ძნელდება, ჩვეულებრივი შემთხვევაა გურამ რჩეულიშვილის ხელწერისთვის.

იმაში დასარწმუნებლად, რომ ტექსტი სწორად ამოვიკითხეთ, საჭიროდ მივიჩნიეთ იმის გადამოწმება, თუ რამდენად ესადაგება კონტექსტს ჩვენ მიერ „ვარაუდით“ ამოკითხული სიტყვები. კერძოდ, უნდა გაგვერკვია, რომელ წლებში მოღვაწეობდა ვილი ბრედელი და შეიძლებოდა თუ არა, რომ გურამ რჩეულიშვილს წაეკითხა მისი ნაწერები 1956 წელს. იმასაც რომ თავი დავანებოთ, რომ ახალგაზრდა ქართველი მწერალი ფლობდა გერმანულს და ამ ავტორის ნაწერებს შეიძლებოდა ორიგინალშიც გასცნობოდა, 1956 წლისთვის რუსულ ენაზე ვილი ბრედელის არაერთი ტექსტი იყო გამოქვეყნებული. რამდენადაც გურამ რჩეულიშვილის განსაკუთრებულ ინტერესს ახლადგამოცემული წიგნები იწვევდა, ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლოა, ყოფილიყო ვილი ბრედელის მოთხოვნის „კომისარი და რენე“ 1955 წლის რუსული გამოცემა.

ნებისმიერი მწერლის ავტოგრაფებში შეხვდებით გადახაზულ სიტყვებს და, ბუნებრივია, გურამ რჩეულიშვილთანაც, მაგრამ მასთან უბრალოდ გადახაზული სიტყვების გარდა გვხვდება, როგორც თავად იტყოდა, „მანსიანად“, სრულ გაურჩევლობამდე გადახაზულიც (იხ. დანართი N16). მოთხოვნაში „შურისძიება“ მას აღწერილი აქვს, როგორ გულდაგულ შლის პროტაგონისტი მის მიერვე დაწერილ სიტყვას: „ლ-ე-ი-ლ-ა, როცა დაწერა, მიიხედ-მოიხედა... ახლა დაიწყო პარალელური ხაზებით დაწერილის გადაშლა, როცა სულ გაურჩეველი გახადა, თავი დაანება“ [რჩეულიშვილი, 2002ა,192]. სწორედ ასეთი მეთოდით შლიდა სიტყვებს თავადაც, როდესაც მთლიანად სურდა მათი დაფარვა. ასეთი პარალელური ხაზებით დაფარული ტექსტების უმრავლესობის ამოკითხვა მხოლოდ მაღალი ხარისხის ციფრული ასლების გამოყენებითა და დიდი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. ეს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევდა, ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა ნაწერის ორი შრე და ამოგვეკითხა გადახაზული ქვედა ფენა (იხ. დანართი N17). წარმოგიდგინთ გამოსახულების გადიდების ტექნოლოგიის მეშვეობით ამოკითხული პასაჟების ნიმუშებსა და ტექსტებს: „



გარშემო [გრცა, 367,1r]



მკვდარს ლოთს [გრცა, 265, 17 v]



შენისთანა ლეკვთან ანგარიში ვაგო [გრცა, N306, 22 r]



კა და კო და გურამ-გურამი [გრცა, N340, 10r]



წყალი, აი აქ, წყალი აი, აქ. აი ჩემი ხელები, პეშვით ავიღებ [გრცა, N340, 8r]

ციფრული ტექნოლოგიები ძალზე დაგვეხმარა იმ ტექსტების ამოკითხვაშიც, რომლებიც ძალზე წვრილი ასოებით არის ნაწერი, რადგან გამოსახულების გადიდებას მისი სიმკვეთრე არ მცირდება.

§3. დათარიღება

ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში მასალა ლაგდება ქრონოლოგიური პრინციპით. ამიტომ უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ მასში შესატანი ინფორმაცია მიახლოებით მაინც იყოს დათარიღებული. სწორედ ამიტომ მატრიანის შედგენისას კვლევის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება დათარიღებაა. თარიღდება როგორც უთარიღო ტექსტები, ისე ცხოვრებისეული მოვლენები. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ამ ტიპის კვლევებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.

თანამედროვე ტექსტოლოგიაში თანდათან სულ უფრო ფართოდ გამოიყენება კორპუსული კვლევის მეთოდი. ჩვენ შემთხვევაში უმთავრეს საკვლევ ბაზას წარმოადგენდა გურამ რჩელიშვილის თხზულებათა ექვსტომეული. აქედან ვაგროვებდით ინფორმაციას წერილების დასათარიღებლად და პირთა იდენტიფიცირებისათვის, დამატებით ინფორმაციას კი ვპოულობდით სხვადასხვა

წყაროსა და საძიებო სისტემის გამოყენებით.

მხატვრული ტექსტების დათარიღება: მწერლის თხზულებათა ერთი ნაწილი ხელნაწერებში დაუთარიღებელია, მაგრამ დათარიღებული აქვს თხზულებათა ექვსტომეულის მომზადებელს - მარინე რჩეულიშვილს. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თავად ავტორს არასწორად აქვს დათარიღებული ესა თუ ის ტექსტი და მათი თარიღები გამომცემელმა გაასწორა. მაგ.: უსათაურო და დაუთარიღებელი მოთხრობა „მთის კალთაზე შეფენილ მეჩხერ ტყეში,“ რომელიც ნუგზარ წერეთლის მიერ 1985 წელს გამოცემულ კრებულში „მოხუცი მონადირის“ სათაურით დაიბეჭდა, ქალბატონ მარინეს მწერლის პირველ მოთხრობად მიაჩნია. არგუმენტად კი მოჰყავს ის ფაქტი, რომ კარპატებში წასვლის წინ გურამ რჩეულიშვილმა საწერ მაგიდაზე დატოვა მოთხრობის ჩანაწერები მოხუც მონადირეზე. მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს მოთხრობა დაწერილია ყაზბეგის მიბაძვით და არგუმენტად მოჰყავს 1956 წლის 14 მარტის დღიურის ჩანაწერი: „ბევრჯერ, არც ისე ბევრჯერ, უფრო სწორად, 5-6 ჯერ მიცდია, დამეწერა რაიმე საინტერესო, გინდაც უინტერესო, მაგრამ მაინც დამეწერა რაიმე, ჯერ ყაზბეგს ვბაძავდი, მერე ვინ იცის, ვის, მაგრამ ერთ გვერდზე მეტის დაწერა ვერ შევძელი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 21].

მარინე რჩეულიშვილის აზრით, მის ძმას ზოგიერთი მოთხრობისთვის თარიღი არასწორად აქვს მიწერილი. ამის მიზეზია ის, რომ წლის დასაწყისში იგი მექანიკურად იმეორებდა წინა წლის აღმნიშვნელ ციფრს. მაგალითად, 1957 წლის 17 დეკემბერი დააწერა მოთხრობას „თოვლი მოდის“ („სად გაექცევი ზამთრის ღამეს“), რომელიც რეალურად 1957 წლის დასაწყისში გადაათეთრა [რჩეულიშვილი, 2002ა, 403]. 1958 წლის ნაცვლად 1957 წლის 24 თებერვლით დაათარიღა მოთხრობა „მოხუცებული“. 1956 წლის 31 იანვარი დააწერა მოთხრობას „ნადირობა“, რომელიც 1957 წლის დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი და სხვ. მკვლევარს ამის დასამტკიცებლად მოჰყავს არაერთი არგუმენტი: ფურცლის ხარისხი და მელნის ფერი, სასვენო ნიშნის (ორწერტილი) სპეციფიკური გამოყენება, ცხოვრებისეული ფაქტი (ბებოს, ანეტა კიკნაძის გარდაცვალება), კავშირი სხვა ტექსტთან (ეპიგრაფად წამმღვარებული ციტატის მინაწერი მოთხრობა „სათაგურის“ უკანა გვერდზე), პროტაგონისტის სახელი (ვაჟა ჯანდიერი) და სხვ. მანვე მწერლის მიერ

მოთხრობებზე: „როგორ უყვართ ახლა ერთმანეთი“ და „შეყვარება“ მიწერილი არასწორი თარიღები მათთან დაკავშირებული დღიურების მიხედვით დააზუსტა; პირველი დაათარიღა 1956 წლის ივნისამდე პერიოდით, მეორე კი - იმავე წლის 10 ოქტომბრით. ვფიქრობთ, მოყვანილი არგუმენტები სავსებით დამაჯერებელია და ვიზიარებთ მკვლევრისა და გამომცემლის მოსაზრებას თითოეულ ამ თარიღთან დაკავშირებით.

ტექსტის დათარიღებისათვის ზოგჯერ მეცნიერები იყენებენ ავტორის ხელწერას და საწერი მასალის ხარისხს, მაგრამ ეს მეთოდი მხოლოდ მიახლოებითი დათარიღების საშუალებას გვაძლევს და ნაკლებ სარწმუნოა, რომ მისი საშუალებით ტექსტი წლისა და თვის სიზუსტით დავათარიღოთ. ამიტომ უმჯობესია, თუ ჩავატარებთ კომპლექსურ კვლევას და დავეყრდნობით ნაწარმოებში მოხსენიებულ იმ რეალიებს, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. გურამ რჩულიშვილის თხზულებათა ექვსტომეულის პირველ ტომში დაბეჭდილია საერთო სტილისა და განწყობის ორი უსათაურო მოთხრობა [რჩულიშვილი, 2002ა, 46-49], რომლებიც ავტორის ხელწერის, ქაღალდის ფორმატისა და მელნის მიხედვით მწერლის დის მიერ 1956 წლის აპრილით არის დათარიღებული. რამდენადაც ასეთი დასკვნის გამოსატანად წიგნში კონკრეტული არგუმენტები მითითებული არ არის, შევეცადეთ დაგვეძებნა კავშირი ისტორიულ მოვლენებსა და ამ ნაწარმოებებში ასახულ ამბებს შორის.

თავდაპირველად ჩვენი ყურადღება მიიქცია საბავშვო ბაღის აღმზრდელის პელოს მიმართვამ, თბილისის მალენკოვის სახელობის ბაღის აღსაზრდელებისადმი, რომლიდანაც ჩანს, რომ ბაღს ვალდებულება უკისრია, პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებების გამოხმაურების მიზნით, თბილისის ზღვაზე ხეები და ბუჩქები დაერგო. ტექსტიდან არ ჩანს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობაზე საუბარი თუ საკავშიროზე, პირველი მათგანი თბილისში ჩატარდა 1960 წლის 25-26 იანვარს და მასზე განსაკუთრებული მნიშვნელობის არაფერი მომხდარა, ხოლო რაც შეეხება სკკპ მე-20 ყრილობას, იგი ისტორიაში შევიდა თავისი უაღრესად რადიკალური ცვლილებებით: 1956 წლის 25 თებერვალს მის დახურულ სხდომაზე მოხდა სტალინის კულტის დაგმობა და დაიწყო ნიკიტა ხრუშჩოვის აღზევება.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წლის 5 მარტი), ლავრენტი ბერია

უცხო ქვეყნის შპიონაჟის ბრალდებით დააპატიმრეს 1953 წლის 26 ივლისს და ივლისისავე პლენუმზე ბრალი დასდეს ხალხის მტრობაში, რის შემდეგაც, 1953 წლის 23 დეკემბერს, სპეციალურმა უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა და განაჩენი სასწრაფოდ იქნა მოყვანილი სისრულეში. ამ ორი ლიდერის - სტალინისა და ბერიას გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ კი მოხდა მათი მოღვაწეობის ოფიციალური დაგმობა.

მოთხრობის არაერთი პასაჟიდან ჩანს, რომ იგი სტალინისა და ბერიას მოღვაწეობის დაგმობის შემდეგ მალევე უნდა იყოს დაწერილი. ტექსტში ნათქვამია, რომ მეფოვის ბიჭს სტალბერს (სტალინი+ბერია, მ. ჯ.) „საკუთარი მოთხოვნის შესაბამისად ერთი თვის წინ აწ უკვე სამულველი სახელი, ბუხრუმათი (ბულგანინი+ხრუმჭოვი, მ. ჯ.) შეუცვალეს [რჩეულიშვილი, 2002ა, 47]. ამრიგად, მოთხრობის დეტალებიდან დასტურდება, რომ სტალინის კულტის დაგმობა სულ ცოტა 1 თვის წინ მაინც უნდა მომხდარიყო.

იმავე ისტორიულ პერიოდს ასახავს მეორე მოთხრობაც, რომლის დასასრულსაც მასწავლებელი პირველკლასელ გოგონას სილას გააწნავს იმის გამო, რომ მას, გაზეთის კითხვისას, ნაცვლად „ხალხისა და პატარა ბავშვების საყვარელი კეთილი ძია ბულგანინის სახელისა, სამგზის წყეული ავანტიურისტი ბერიას სახელი წამოსცდა“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 51]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას, რომ გურამ რჩეულიშვილის ეს ორი უსათაურო მოთხრობა დაწერილია 1956 წლის 25 მარტის შემდეგ. მწერლის შესახებ არსებული მოგონებებიდან ცნობილია, რომ მან წერა 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ დაიწყო, როდესაც კომუნისტური ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა სტალინის სახელის დასაცავად თბილისის ქუჩებში გამოსულ მშვიდობიან დემონსტრანტებს. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ამ თემისთვის მიძღვნილი ეს ორი პატარა მოთხრობაც მალევე დაეწერა. შესაბამისად, მათ ვათარიღებთ 1956 წლის 25 მარტის შემდგომი პერიოდით.

1959 წლის 5 ივლისს ერლომ ახვლედიანისთვის წყალტუბოდან გაგზავნილი წერილის შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, გურამ რჩეულიშვილს წყალტუბოში ყოფნის იმ პერიოდში ჯერ არაფერი არ უნდა ჰქონოდა დაწერილი („მალიან დაღლილი ვარ მუდმივი უსაქმობისაგან. მინდა ვწერო აუარებელი, მაგრამ ხელები არ მიშვებენ“

[რჩეულიშვილი, 2007ბ, 89]. წყალტუბოში ყოფნისას რაიმეს დაწერა არ არის ნახსენები არც 1959 წლის 10 ივლისს დედისთვის ხოსტაში გაგზავნილ ბარათში, ამის მომდევნო წერილში კი, რომელიც წყალტუბოდან თბილისში დაბრუნების შემდეგ არის დაწერილი და რომლიდანაც ჩანს, რომ კურორტიდან 15 ივლისს წამოვიდა, ვკითხულობთ: „წყალტუბოში ორი საინტერესო მოთხრობა დავწერე ფოლკნერის სტილში, რომ ჩამოხვალ, წაგაკითხებ“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 92]. სავსებით მართებულია მარინე რჩეულიშვილის მოსაზრება, რომ ამ მოთხრობებში „თეთრი მონები“ და „გოგან გაგანია“ უნდა იგულისხმებოდეს. წერილებიდან მიღებული ინფორმაციის შეჯერებით შესაძლებელი ხდება მათი დაწერის თარიღების დაზუსტებაც: 1959 წლის 10-15 ივლისი.

არსებობს მოთხრობის „მოხუცი და მე“ ორი ავტოგრაფი - შავი და თეთრი. შავი ავტოგრაფის ბოლოს მიწერილია „9-10“, რომელიც მწერლის თხზულებათა ექვსტომეულის პირველ ტომში მოთხრობის დაწერის საათად არის მიჩნეული. თეთრი ავტოგრაფი დათარიღებულია 27 სექტემბრით. ამ მოთხრობის დაწერის თარიღთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომელიც გურამ გეგეშიძისთვის 1957 წლის ზაფხულში ბარისახოდან ახალქალაქში გაგზავნილ წერილშია დაცული: „მეოთხე დღეს დილას დავწერე ორი მოთხრობა, მანამდე დაწერილებზე უკეთესი ჩემი აზრით - „ოცდაერთი“ და „მოხუცი და მე“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 27]. აქედან გამომდინარე, ეს ორი მოთხრობა დაწერილი უნდა იყოს ერთსა და იმავე დღეს. „ოცდაერთი“ დათარიღებულია 1956 წლის 9 სექტემბრით. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ „მოხუცი და მე“-ს შავ ავტოგრაფზე მიწერილი „9-10“ გულისხმობდეს არა საათს, არამედ 9-10 სექტემბერს, 27 სექტემბერი კი ამ მოთხრობის საბოლოოდ გადამუშავების თარიღი უნდა იყოს. სხვაგვარად ძნელი ასახსნელი იქნება მეგობრისთვის მიწერილი სიტყვები, რომ ეს ორი მოთხრობა ერთ დღეს დაწერა. მარინე რჩეულიშვილი იგონებს, რომ „ოცდაერთი“ მისმა ძმამ მეზობელი ცირეკიძეების ოჯახში დაწერა, სადაც ის სახლში მარტო დარჩენილ ბავშვს მეთვალყურეობდა და რომ მას ამ მოთხრობისადმი „განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა“, რადგან მოთხრობაში ნახსენები 9 დეკემბერი ქ-ნი მარინეს დაბადების დღეა [რჩეულიშვილი, 2002ა, 380].

პირადი წერილების დათარიღება: მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების

მატიანის შედგენაში მნიშვნელოვნად გვეხმარება მისი პირადი წერილების დათარიღება. გურამ რჩეულიშვილის მიერ 1942 წელს თბილისიდან მენჯში ბებიისთვის გაგზავნილ წერილს მხოლოდ წელი აწერია, მაგრამ მასში მოხსენიებული ერთი ფაქტით ხერხდება უფრო ზუსტი დათარიღება. ბარათში ნათქვამია: „მოუთმენლად ველოდები 10 ივნისს და შენს ჩამოსვლას“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 7]. რამდენადაც 10 ივნისი მომავალ დროს უკავშირდება, ბუნებრივია, ბარათი მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

გურამის მიერ ოჯახისადმი გაგზავნილი ერთი წერილის მიხედვით, რომელიც უთარიღოა, ჩანს, რომ იგი ლვოვში ახალჩასულია. სხვა პირად წერილში, რომელიც 1956 წლის 31 იანვარს არის გაგზავნილი კიევიდან, ვკითხულობთ: „31-ში 11 საათზე გამოვედით კიევიდან. ლვოვში 1-ში 3 საათზე ვიქნებით“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 15]. რამდენადაც ზემოხსენებული უთარიღო წერილი მომდევნო დღეს არის დაწერილი, იგი 1 თებერვლით უნდა დათარიღდეს.

მწერლის თხზულებათა ექვსტომეულში 1956 წლის მაის-ივნისით არის დათარიღებული გურამ რჩეულიშვილის მიერ დისტვის ოდესიდან გაგზავნილი წერილი, მაგრამ დღიურებიდან ჩანს, რომ მწერალი ოდესიდან 21 მაისს გაემგზავრა იმის გამო, რომ გაიგო ნათესავისა და მეგობრის, გიგი აბაშიძის, მძიმე ავადმყოფობის შესახებ. დღიურში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სწორედ ამ მიზეზით წავიდა ოდესიდან 10 დღით ადრე. შესაბამისად, დისტვის გაგზავნილი ეს წერილიც 1956 წლის 21 მაისამდე უნდა იყოს დაწერილი.

მამის მიერ გურამისთვის მოსკოვში გაგზავნილი ერთი წერილის დათარიღებაში დაგვეხმარა სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი ფრაზები. ორი მათგანიდან: „დედაშენი... მგონი, კიდევაც აპირებს წამოსვლას“ და „შესამლებელია, მაისის ბოლოს ჩამოვიდე“ - ჩანს, რომ მწერლის მშობლები აპირებდნენ მისთვის მოსკოვში ჩაკითხვას. სხვა ორი ფრაზიდან: „შენი ნაწერებიდან რაც მანქანაზე დავაბეჭდინეთ, ძალიან მომეწონა „ასვლა“, „პიესასაც მალე გამოგიგზავნით“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 144] - ვიგებთ, რომ თბილისში მყოფი ოჯახის წევრები მის ნაწერებს მანქანაზე აბეჭდინებდნენ. მათგან ნაწილი უკვე გადაუგზავნეს და უახლოეს ხანებში ჰპირდებოდნენ პიესის გაგზავნასაც.

განხილული წერილის შინაარსს ესადაგება დედის მიერ მოსკოვში 1958 წლის 26

თებერალს გაგზავნილი ბარათი: „ჩქარა გნახავთ ან მე, ან მამა“, „მარინე შენს დავალებას ასრულებს და მოგაწვდის ჩქარა“ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 129]. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ უკანასკნელ ფრაზაში ტექსტების მანქანაზე გადაბეჭდვა და გაგზავნა იგულისხმება, აშკარა ხდება ორი წერილის მოვლენებს შორის დროითი კავშირი. მამის იმავე უთარილო წერილში ვკითხულობთ: „სამხედრო ბანაკის შესახებ დედაშენი გწერს“, 1958 წლის 26 თებერვლით დათარიღებულ დედის ბარათში კი წერია: „ეს სამხედრო წიგნაკი არის ივნისამდე და როცა დიპლომს ჩააბარებ და ბანაკს გაივლი, მერე უნდა გამოიცვალოს“ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 129]. რამდენადაც განხილული ორი წერილი აშკარად დროის მოკლე შუალედშია გაგზავნილი, უთარილოდან კი ჩანს, რომ მამამ იცის, რა მისწერა დედამ („დედაშენი გწერს“), უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც ან იმავე ან მომდევნო დღეებშია დაწერილი.

მშობლების ამ წერილების შემდეგ უნდა იყოს გაგზავნილი ასევე დის უთარილო წერილიც, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ დღეებში შენი პიესა გადაბეჭდილი იქნება და ვაწყობთ საჯარო კითხვას“ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 158]. ამ ბარათს პირობითად თებერვლის ბოლოთი ვათარილებთ. ამ წერილის შემდეგ მალევე უნდა იყოს გაგზავნილი მეორე უთარილო ბარათიც. პირველში ვკითხულობთ: „ნოდარ ჩხეიძეს ვუთხარი, გურამის რაღაც უნდა წაგაკითხო-მეთქი... მერე აღარ მივეცი“ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 158]. მეორეში კი წერია: „ნოდარ ჩხეიძისთვის იმის მიცემას შენი წერილის გარეშეც ვაპირებდი. ალბათ ამ დღეებში მოგწერს“ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 158]. რამდენადაც პირველი წერილიდან ჩანს, რომ ნოდარ ჩხეიძეს პიესა ჯერ გადაცემული არ ჰქონდა, მეორიდან კი ჩანს, რომ მას იგი უკვე უნდა წაეკითხა და პასუხი მიეწერა გურამისთვის, მეორე ბარათი უფრო გვიანდელი უნდა იყოს და მას მარტის დასაწყისით ვათარილებთ.

მარინე რჩეულიშვილი 1956 წლის წერილში, რომელსაც ზუსტი თარიღი არ აწერია, ძმას სწერს: „შენი „გაზაფხული გადის“ ძალიან მომწონს. თითქმის ყველაზე მეტად. თქვენი თავების საქმე როგორაა. ნუგზარი, ნოდარი, ჩიკოსიც ყველა ძალიან მენატრება“ [რჩეულიშვილი, 2007ზ, 155]. მარინე რჩეულიშვილის ბარათის შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ იგი ძმისთვის დუშეთის სამხედრო ბანაკში უნდა იყოს გაგზავნილი, რადგან იმავე წლის დღიურში, რომელიც 4 აგვისტომდეა დაწერილი და ბიჭვინთაში არქეოლოგიურ გათხრებს უკავშირდება, ვკითხულობთ: „გუშინწინ

ჩამოვედი დუშეთის სამხედრო ბანაკიდან..... დანარჩენი დრო ვიდექით ან ვიწექით, სკდებოდა თავები“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 67]. არქივში დაცულ ფოტოსურათზე, რომელიც 1956 წელს დუშეთის სამხედრო ბანაკშია გადაღებული, აღბეჭდილნი არიან სამხედრო ფორმებში ჩაცმული გურამის ზემოთჩამოთვლილი მეგობრები. დღიურის დასაწყისში მწერალი წერს „ოცდაცხრაში მივდივარ სამხედრო ბანაკში“ [რჩეულიშვილი, 2007ბ 66]. ქ-ნი მარინეს წერილში ნახსენები მოთხრობა „გაზაფხული გადის“ 1956 წლის 20 მაისს არის დაწერილი, ე.ი სამხედრო ბანაკში წასვლამდე. ამდენად, ჩვენი ვარაუდი, რომ მარინე რჩეულიშვილის წერილი გურამ რჩეულიშვილისთვის ნამდვილად დუშეთის სამხედრო ბანაკშია მიწერილი 1956 წლის 4 აგვისტომდე, რეალობას უნდა შეესაბამებოდეს.

დედის მიერ შვილისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გურამის ნათესავისა და მეგობრის, გიგი აბაშიძის, შესახებ ვკითხულობთ: „გიგის კიბო აღმოაჩნდა, კარგი იყო ამ თვის ბოლოსთვის ჩამოსულიყავი“. აშკარად ამ ამბის გაგებიდან მალევე უნდა იყოს დაწერილი გურამ რჩეულიშვილის 18 მაისით დათარიღებული დღიური; „გიგი შეიძლება აღარ იყოს?... აღარ შემიძლია რუსეთში ყოფნა, გიჟივით მომინდა ჩემი საცოდავი მხარე. ოხ, ხვალვე, ახლა ფოსტაში“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 176].

ამავე დღიურის მომდევნო დღის ჩანაწერიდან ჩანს, რომ გურამი ამ დროს ოდესაშია, 21 მაისის ჩანაწერიდან კი ვიგებთ, რომ ოდესიდან გემით მიემგზავრება, რათა თბილისში დაბრუნდეს. მართალია, 1958 წელს ოდესაში გამგზავრებამდე გურამი მოსკოვში იყო, მაგრამ მამისთვის 1958 წლის 4 მაისს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ იმ დღეს მიემგზავრებოდა მოსკოვიდან და 7 მაისის წერილიდან კი ირკვევა, რომ წინა დღეს ჩავიდა ოდესაში. დედის ეს წერილიც, შესაბამისად, ოდესაშია გაგზავნილი. დღიურის შინაარსთან შესაბამისობის გარდა, ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი ფრაზაც: „შენი მისამართი რაღაც ისეთი უცნაურია, შეიძლება იქ წერილები არც მოაქვს ფოსტალიონს“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 134]“. უთარილო წერილი რომ მოსკოვში ყოფილიყო გაგზავნილი, მისამართთან დაკავშირებით ნათქვამი ეს სიტყვები გაუგებარი იქნებოდა, რადგან დედამ კარგად იცოდა გურამის მოსკოველი მასპინძლების, პოტაპოვების ბინის მისამართი, წერილებსაც უპრობლემოდ უგზავნიდა და სტუმრობდა კიდეც ორიოდე თვით ადრე. უთარილო წერილში მიმდინარე თვის 15-16 რიცხვი მომავალ დროშია ნახსენები:

„ფეხსაცმელებს მოვაწვდი 15-16 ში“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 135]. შესაბამისად, წერილი 1958 წლის 15 მაისამდე უნდა იყოს დაწერილი.

გიგი აბაშიძის ავადმყოფობის შესახებ წერია მარინე რჩეულიშვილის მიერ, სავარაუდოდ, ასევე ოდესაში გაგზავნილ ბარათშიც, რომელიც დედის წერილზე გვიან უნდა იყოს დაწერილი: „დედას წერილი გიგის შესახებ ალბათ უკვე მიიღე“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 154]. მართალია, წერილი დედისაზე გვიან არის დაწერილი, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, 15 მაისამდე, თუ მის შემდეგ. ამიტომ, სავარაუდოდ, ვათარილებთ 1958 წლის მაისის შუა რიცხვებით.

მარინე რჩეულიშვილის წერილში, რომელიც 1958 წლის მარტის ბოლომდე უნდა იყოს დაწერილი, ნახსენებია ინესა ანდრონიკაშვილის დის, ტურანდოტის, გარდაცვალება. „გარდაიცვალა ინესა ანდრონიკაშვილის და ტურანდოტი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 156]. იგივე ფაქტი ნახსენებია გურამ რჩეულიშვილის თანაკურსელისა და მეგობრის, მარიკა საყვარელიძის, 1958 წლის 4 მარტის წერილში. „ალბათ, გაიგებდი ინესა ანდრონიკაშვილის ამბავს, და მოუკვდა ტურანდოტი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 193]. როგორც ამ ორი წერილიდან ჩანს, ტურანდოტი 4 მარტს უკვე გარდაცვლილი იყო. შესაბამისად, ექვს იწვევს გურამის უახლოესი მეგობრის, ნუგზარ წერეთლის, წერილის თარიღი - 1958 წლის 7 აპრილი, რადგან ამ წერილში ნათქვამია, რომ ტურანდოტ ანდრონიკაშვილი იმ ორშაბათს გარდაიცვალა: „ამ ორშაბათს გარდაიცვალა ინესა ანდრონიკაშვილის და ტურანდოტი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 163]. თუ 4 მარტს ტურანდოტი უკვე გარდაცვლილი იყო, ამ წერილის თარიღი უნდა იყოს არა 7 აპრილი, არამედ 7 მარტი. კერძოდ კი, ტურანდოტი 3 მარტს უნდა გარდაცვლილიყო, რადგან 1958 წელს 7 მარტის წინა ორშაბათი იყო 3 მარტი. ეს ფაქტი საშუალებას გვაძლევს, რომ უფრო დავაკონკრეტოთ მარინე რჩეულიშვილის წერილის თარიღი - 3 მარტის მომდევნო პერიოდით.

წერილების დათარიღება ნიშნავს არა მხოლოდ თავად ამ ფაქტის - წერილის დაწერის დროის - განსაზღვრას, არამედ მასში გადმოცემული მთელი ინფორმაციის დროის ზედა ან ქვედა ზღვრის და ზოგჯერ ზუსტი თარიღის დადგენასაც. თბილისიდან სოჭთან მდებარე პატარა საკურორტო ქალაქ ხოსტაში (ამჟამად შედის სოჭის შემადგენლობაში) დედისთვის გაგზავნილი უთარილო წერილიდან ჩანს, რომ გურამ რჩეულიშვილი წყალტუბოდან ცოტა ნაადრევად, 15 რიცხვში წამოვიდა

თბილისში მეგობრის - ანდრო ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო („მე წყალტუბოდან 15-ში ღამე გამოვედი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 91]). რამდენადაც სხვა წერილებიდან ვიცით, რომ წყალტუბოში მწერალი 1959 წლის ივლისში იმყოფებოდა, აშკარაა, რომ 15 რიცხვში „ივლისის“ თვე იგულისხმება. წერილი ჩამოსვლიდან მეორე დღეს არ უნდა იყოს დაწერილი, რადგან მასში ვკითხულობთ: „მეორე დღესვე მივედი ბაბუასთან... საღამომდე ვიყავი“. წერილიც რომ ამ დღეს დაეწერა, ფრაზაში გამოიყენებდა სიტყვას „დღეს“. ამიტომ, ლოგიკური იქნება, თუ ბარათს 1959 წლის 16 ივლისის შემდგომი პერიოდით დავათარილებთ.

გურამ რჩეულიშვილისთვის მისი ნათესავის, ნათელა ჯავახიშვილის, მიერ გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ მას შვილიშვილი ახალშემენილი ჰყავს, რადგან ჯერ არც კი უნახავს. რამდენადაც ცოტნე დავითის ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1958 წლის 5 მარტს, ეს ბარათი მარტის შუა რიცხვებამდე უნდა იყოს დაწერილი.

მწერლის შესახებ საგულისხმო ინფორმაციას ვაწყდებით არა მხოლოდ მის მიერ ან მისთვის გაგზავნილ პირად წერილებში, არამედ ნათესავების ერთმანეთთან მიმოწერაშიც. სამწუხაროდ ბევრი ასეთი წერილიც უთარილო იყო და მათი დათარიღება მხოლოდ კვლევის შედეგად გახდა შესაძლებელი. გურამ რჩეულიშვილის დედის ერთ წერილში მისი დედამთილის - ალექსანდრა (საშა) და ნათესავ ნატაშა ჯავახიშვილებისადმი საუბარია გურამის ხანგრძლივ ავადმყოფობაზე. ამ ფაქტს თავის მემუარებში ნუგზარ წერეთელიც იგონებს და იქვე აზუტებს დროსაც. იგი წერს, რომ გურამი 1955 წლის გაზაფხულზე თითქმის თვენახევრის მანძილზე ავადმყოფობდა [გრცა, N721, 1r.]. ამ თარიღის გადამოწმებისა და კიდევ ერთი წერილის დათარიღების შესაძლებლობა მოგვცა ასევე დედის მეორე წერილმა ალექსანდრა ჯავახიშვილისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ გურამი, როგორც იქნა, უკეთ არის და ორშაბათს გამოცდაზეც აპირებს გასვლას [გრცა, N716.].

მარინე რჩეულიშვილის აზრით, ეს წერილი 1956 წელს უნდა იყოს დაწერილი. რაკი გურამ რჩეულიშვილის არქივში დაცულია მისი ჩათვლის წიგნაკი, გადავწყვიტეთ, გადაგვემოწმებინა, ემთხვეოდა თუ არა 1955 და 1956 წლის მისი რომელიმე გამოცდა ორშაბათ დღეს (იხ. დანართი N18). აღმოჩნდა, რომ 1955 წლის 25 აპრილს, ორშაბათ დღეს მან, მართლაც, ჩააბარა ამ წლის პირველი გამოცდა სპეც. მომზადებაში (საგულისხმოა, რომ 1955-1956 წლების სხვა არცერთი გამოცდის

თარიღი არ ემთხვევა ორშაბათ დღეს). როგორც ვხედავთ, ორივე წერილში ერთსა და იმავე ავადმყოფობაზე უნდა იყოს საუბარი და, ნუგზარ წერეთლის ინფორმაციისამებრ, ეს მართლაც, 1955 წლის გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო. შესაბამისად, უფრო გვიანდელ ბარათს ვათარილებთ 1955 წლის 25 აპრილამდე პერიოდით, უფრო ადრეულს კი, რომლის მიხედვითაც ავადმყოფი ნელა იწყებდა გამოჯანმრთელებას, 1955 წლის აპრილის პირველი ნახევრით.

ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მწერლის შესახებ „ცისკრის“ თანამშრომლის, ციალა ჩხეიძის, წერილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლის - პარმენ (ნაპო) ზაქარაიასადმი, რომელსაც თარიღად 13 ივნისი აწერია, მაგრამ წელი მითითებული არ არის. ბარათიდან ჩანს, რომ გურამ რჩულიშვილი წერილის ადრესატთან მსახურობს. შესაბამისად, იგი გაგზავნილი უნდა იყოს გურამ რჩულიშვილის მუზეუმის თანამშრომლად მუშაობის წლებში - 1959-1960. რამდენადაც წერილში საუბარია ჟურნალ „ცისკრის“ მიერ გურამის ვრცელი თხზულების ბეჭდვაზე, 1959 წელს კი ამ ჟურნალში რჩულიშვილისა არაფერი დაბეჭდილა, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1960 წლის 13 ივნისს, სწორედ მაშინ, როდესაც „ცისკარში“ გამოსაცემად მზადდებოდა „ალავერდობა“ და „ირინა და მე“.

დღიურების ჩანაწერების დათარიღება გვეხმარება მათში მოხსენიებული მოვლენების დათარიღებაშიც. 1956 წელს კიევში მოგზაურობის შესახებ დღიურებში არსებული მინიშნებების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მწერალი თბილისიდან 27 იანვარს გასულა. ტექსტი, რომელშიც წერია: „მესამე დღეა, მოვდივართ“ [რჩულიშვილი, 2007ბ, 13]. დათარიღებულია 30 იანვრით. ასეთივე მინიშნებებით ირკვევა, რომ 30 იანვარს 4 საათზე ჩავიდა ხარკოვში და იმავე დღეს 8 საათზე მატარებლით გაემგზავრა კიევისკენ, 31-ში დილით ჩავიდა კიევში და საღამოს 11 საათზე უკვე გამოემგზავრა იქედან.

მწერლის ერთ-ერთი უთარილო ჩანაწერიდან, რომელიც მამასთან და თემო ჯაფარიძესთან ერთად ქციაში გამგზავრების წინ არის დაწერილი („ახლა მივდივარ ქციაზე“ [რჩულიშვილი, 2007 ა, 88]), ჩანს, რომ მოთხრობა „სიკვდილი მთებში“ დაწერილი აქვს, ჯერ არ გადაუთეთრებია, მაგრამ მეგობრებს უკვე წაკითხული ან მოსმენილი აქვთ („გადასაწერი მამკვს... ერლომს მგონი მოეწონა“ [რჩულიშვილი,

2007ა, 88]). რამდენადაც ამ ტექსტში აღწერილი ამბავი 1957 წლის ივლისში მოხდა, მოთხრობა კი ჟურნალ „ცისკარში“ უკვე 1958 წლის თებერვალში გამოქვეყნდა, ბარათი ამ ინტერვალში უნდა იყოს დაწერილი, სავარაუდოდ, აგვისტოში.

მწერლის თხზულებათა ექვსტომეულში შემდგენლის მიერ 1958 წლის თებერვლით დათარიღებული ერთ-ერთი ჩანაწერი ავტორის მიერ დაუთარიღებელია, მაგრამ ჩანაწერის შინაარსს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება თარიღის დაზუსტება. მასში ვკითხულობთ: „ახლა, როცა პიესა დავამთავრე, პიესის გადაწერამ მომაბეზრა თავი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 108], რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩანაწერი პიესა „მარინას“ დასრულების შემდეგ მალევეა გაკეთებული. ამავე წლის 8 თებერვლის ჩანაწერი გვამცნობს, რომ გურამს იმ დღეს დაუსრულებია პიესა: „დღეს 7 საათზე დავასრულე შავი ჩანაწერი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 108]. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მის გადაწერას პიესის დასრულების შემდეგ დაიწყებდა. შესაბამისად, უთარიღო ჩანაწერს ვათარიღებთ 1958 წლის 8 თებერვლის მომდევნო პერიოდით.

მარინე რჩეულიშვილის მოსკოვში ძმისადმი მიწერილი ბარათის დათარიღებაში დაგვეხმარა ერთი ფრაზა: „სიკვდილი მთებში“ „ცისკრის“ მეორე ნომერში დაიბეჭდება“. „ცისკრის“ მეორე ნომერი დასაბეჭდად ხელმოწერილია 1958 წლის 12 მარტს. შესაბამისად, ზემოხსენებული წერილი „ცისკრის“ ამ ნომრის გამოსვლამდე, 12 მარტამდე, უნდა იყოს დაწერილი.

როგორც აღვნიშნეთ, გურამ რჩეულიშვილმა პიესა „მარინას“ წერა 1958 წლის 8 თებერვალს დაასრულა. შესაბამისად, ერლომ ახვლედიანისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ნათქვამია: „გუშინ დავამთავრე ჩემი პიესა“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 41], 1958 წლის 9 თებერვალს უნდა იყოს დაწერილი. ამ წერილის მიხედვით გურამი უკვე გადასულია მოსკოვში მის მიერ დაქირავებული პირველი ბინიდან მეორეში, სხვა უთარიღო წერილიდან კი ჩანს, რომ გადასვლას აპირებს („გადავდივარ სხვაგან“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 60]). შესაბამისად, ასევე ერლომ ახვლედიანისთვის გაგზავნილი მეორე ბარათი 9 თებერვლამდე უნდა იყოს დაწერილი, 8 თებერვალს კი გურამს უნდა მიეღო ერლომის წერილი („გუშინ ვიღაც კინორეჟისორი გავიცანი... დავბრუნდი სახლში და დამხვდა შენი წერილი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 41], რადგან გურამის 9 თებერვლის წერილი პირდაპირ ეხმიანება ერლომის ამ ბარათის პასაჟებს:

„მამამ მომცა შენი წერილი... არ ვიცოდი, თუ ასე გამიხარდებოდა“ / „დამხვდა შენი წერილი - ჩვენ ბარი-ბარში ვართ - სიხარულის დარგში“; „წერილი მივიღე და არ ვკითხულობ - უკვირს დეიდაშვილს“ / „დეიდაშვილს აოცებ“; „კბილის ტკივილი... ყბის გასიება“ / „მოძრაობა, თუნდაც გაფუჭებული კბილებით“; „პაპიროსს ვეწევი. გაბოლილია ჩემი ოთახი“ / „არ გაიოხრო ფილტვები პაპიროსით“; „ხაზიან ფურცელზე გწერ... პრინციპის სიმბოლო“ / „უხაზოზე წერა ჩემი პრინციპი არ გეგონოს“; „აქ უამბოთ ვცხოვრობთ. არ არის ამბავი“ / „შენ წერ თბილისში არ არის ამბავი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 188-189]. შესაბამისად, ერლომ ახვლედიანის ამ ბარათს ვათარილებთ 1958 წლის 8 მარტამდე პერიოდით.

ჩანაწერებისა და ცხოვრებისეული მოვლენების დათარიღება: მწერლის დღიურებისა და ჩანაწერების ტომში შემდგენლის მიერ 1958 წლის თებერვლით დათარიღებული ერთ-ერთი ჩანაწერი ავტორის მიერ დაუთარიღებელია, მაგრამ ჩანაწერის შინაარსს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება თარიღის უფრო დაზუსტება. მასში ვკითხულობთ: „ახლა, როცა პიესა დავამთავრე, პიესის გადაწერამ მომაბეზრა თავი“ [რჩეულიშვილი, 2004, 537], რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩანაწერი პიესის დასრულების შემდეგ მალევეა გაკეთებული. ამავე წლის 8 თებერვლის ჩანაწერი გვამცნობს, რომ გურამს იმ დღეს დაუსრულებია პიესა: „დღეს 7 საათზე დავასრულე შავი ჩანაწერი“. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, რადგან მწერალს მოსკოვში ყოფნისას სხვა პიესა არ დაუწერია, ეს უნდა იყოს „მარინა“. ამას ადასტურებს ისიც, რომ ეს სათაური ფიგურირებს მწერლის მამის მიერ 1958 წლის 24 მაისს მოსკოვში გაგზავნილ წერილში. შესაბამისად, 29 იანვრისა და 8 თებერლის ჩანაწერების შედარებით ირკვევა ორი რამ: 29 იანვრისა და 8 თებერვლის ჩანაწერებში უსათაუროდ მოხსენიებული პიესა არის „მარინა“ და უთარიღო ჩანაწერი, რომელიც თხზულებათა მე-5 ტომში თებერვლის ბოლოთია დათარიღებული, შესრულებული უნდა იყოს 8 თებერვლის მომდევნო დღეებში.

მწერალ გურამ გეგეშიძისთვის 1957 წლის ზაფხულში ბარისახოდან გაგზავნილ წერილში რჩეულიშვილი უყვება მას, თუ რა განცდა დაეუფლა მისი მოთხრობების განხილვისას. იმავე ბარათიდან ვიგებთ, რომ მან ამ ფაქტიდან მეოთხე დღეს დაწერა ორი მოთხრობა - „ოცდაერთი“ და „მოხუცი და მე“. „ოცდაერთი“ 1956 წლის 9 სექტემბრით არის დათარიღებული. შესაბამისად, გეგეშიძის მოთხრობების

განხილვას იგი უნდა დასწრებოდა 5 სექტემბერს.

გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთ დღიურში, რომელსაც თარიღად მხოლოდ 27 სექტემბერი აწერია და წელი მითითებული არა აქვს, ნათქვამია, რომ იგი თავის დასთან ერთად იყო გორგასლის ძეგლის საკონკურსო გამოფენის სანახავად. ორივეს მოეწონა ელგუჯა ამამუკელის მაკეტი, გაიცნეს ავტორი და გაუზიარეს შთაბეჭდილება. ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის ჩატარდა ეს კონკურსი და დავადგინეთ, რომ ეს ფაქტი 1958 წელს მოხდა და, შესაბამისად, დღიურიც დაწერილი უნდა იყოს ამ წლის 27 სექტემბერს.

დღიურის ჩანაწერში, რომელსაც მხოლოდ თარიღი - 2 ოქტომბერი აწერია და წელი არ არის მითითებული, ვკითხულობთ, რომ გურამი დასწრებია თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო მატჩს და აღფრთოვანებული მიხეილ მესხის თამაშით. ჩანაწერის დათარიღებაში დაგვეხმარა მასში მოხსენიებული მეორე ფაქტი - სტადიონზე გურამს შეხვედრია ელგუჯა ამამუკელი, რომელსაც მისთვის უამბნია თავის სამომავლო გეგმებზე - კერძოდ, ქართლის დედის მონუმენტის შექმნაზე. რამდენადაც ეს მონუმენტი 1958 წელს უკვე დაიდგა სოლოლაკის გორაზე, ჩანაწერი 1958 წლის ბოლომდე უნდა ყოფილიყო გაკეთებული. რამდენადაც არ ვიცოდით, 1958 წლის 2 ოქტომბრამდე დაიდგა ეს მონუმენტი თუ მის შემდეგ, დღიური შეიძლება დაწერილი ყოფილიყო 1957, ან 1958 წელს. საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ თამაშების ისტორიის გაცნობამ წარმოაჩინა, რომ 1957 წლის 2 ოქტომბერს თბილისის „დინამო“ თამაშობდა ლენინგრადში და თან თამაშში მიხეილ მესხს მონაწილეობა არ მიუღია. შესაბამისად, ფაქტი დავათარიღეთ 1958 წლის 2 ოქტომბრით.

ერთ-ერთი დღიურიდან ირკვევა, რომ 1958 წელს მოსკოვში ყოფნისას გურამ რჩეულიშვილი დაესწრო ახალგაზრდა ნიჭიერი ამერიკელი პიანისტის - ვან კლიბერნის კონცერტს. რამდენადაც ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის კულტურულ ცხოვრებაში, შემორჩენილია ინფორმაცია ამ ფაქტის ზუსტი დროის შესახებ. ეს კონცერტი, სადაც პიანისტმა დაუკრა საკუთარი კომპოზიცია „Грустное воспоминание“ და არა „Грустное настроение“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 65], როგორც გურამ რჩეულიშვილს ჩაუწერია, ჩატარდა 1958 წლის 3 აპრილს.

რევაზ ინანიშვილის მოგონებიდან ვიცით, რომ გურამ რჩეულიშვილს ძალიან

მოსწონებია რეჟისორ ალექსანდრ ფაინციმერის ფილმი „ქალიშვილი გიტარით“ და რამდენჯერმე დასწრებია მის ჩვენებას [ინანიშვილი, 2009, 47]. ეს ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა ცნობილი რუსი მსახიობი ლუდმილა გურჩენკო, ეკრანებზე 1958 წლის 1 სექტემბერს გამოვიდა. შესაბამისად, მოგონებაში მომხდარ ფაქტს ამ თარიღის შემდგომი პერიოდით ვათარილებთ.

§4. პირთა იდენტიფიკაცია

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანაშე შესატან ანოტაციებში ხშირად გვხვდება ისეთი სახელები, მეტსახელები და სხვადასხვა სახის მინიშნებები პიროვნებებზე, რომელთა ვინაობაც მკითხველთა უმრავლესობისთვის შეიძლება უცნობი იყოს. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი იყო კვლევის ჩატარება, მათი ვინაობის დადგენა და მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაციის მომზადება ანოტირებული საძიებლისთვის.

გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამომცემელს, მარინე რჩეულიშვილს, ჰქონდა ინფორმაცია მწერლის არა მხოლოდ ნათესავებზე, არამედ მეგობრებზე, თანამშრომლებსა და ნაცნობებზეც. ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი შეტანილია ტექსტებისთვის დართულ შენიშვნებში. ასე ვიგებთ, რომ მათში არაერთგან მოხსენიებული „მზია“ არის მზია ჩაჩავა, „რუსიკო“ - რუსიკო თიკანაძე, „აგი“ - აგი აბაშიძე, „ჩიჩიკა“ - ანდრო ჭიჭინაძე, „ბიკენტი“ - თემო ბერიძე, „გიგი“ - გიგი აბაშიძე, „ნუგზარი“ - ნუგზარ წერეთელი, „ედიშერი“ - ედიშერ გიორგაძე, „ჯიგარო“ - გურამ რუსიშვილი, „ჩერჩილა“ - დათო ლოღობერიძე, „ჩიკო“ - გურამ გეგეშიძე, „პუჭურა“ - ოთარ იმედაშვილი, „ბებო საშა“ - ალექსანდრა ჯავახიშვილი, „ძია შალიკო“ - შალვა ნიჟარაძე და სხვ. მიუხედავად ამ მდიდარი ინფორმაციისა, ტექსტების კვლევისას ხშირად გვიხდებოდა სხვა გვარ-სახელებისა და მინიშნებების იდენტიფიცირებაც.

გურამ რჩეულიშვილის ტექსტებში არაერთგან გვხვდება სახელი ან გვარი, რომელიც შედის უცნობი ფილმის, ან ნაწარმოების სათაურში. ამ შემთხვევაში უნდა გაგვერკვია, საუბარი იყო ისტორიულ პირზე თუ პერსონაჟზე. მაგ.: ერთ ჩანაწერში ნახსენებია „უმბერტო დ“. გადავამოწმეთ და ვნახეთ, რომ ვიტორიო დე სიკას 1952 წელს გადაუღია ფილმი „უმბერტო დ“. სხვაგან შეგვხვდა „მაიორი ვატრენი“ - ფრანგი

მწერლის, არმან ლანუს, რომანი. გავარკვიეთ, რომ ამ ფილმისა და რომანის პროტაგონისტები მხატვრული პერსონაჟებია და ანოტირებას არ საჭიროებენ.

მეორე მხრივ, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში შესატანი მასალის ბიოგრაფიულ ეპიზოდებში გვხვდება ისეთი სახელებიც, რომელთა იდენტიფიცირების შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი რეალური პირები იყვნენ. მაგ.: მოთხრობაში „მაია ბენზინის სუნმა შეაწუხა“ ასახულია მწერლის მამის მიერ ერევანში დისერტაციის დაცვის ამბავი. მოთხრობის ერთ ეპიზოდში ნახსენები არიან აკადემიკოსი რუხკიანი და მისი ქართველი კოლეგა, პროფესორი აგლაძე. ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ ეს პირები იმავე სფეროში და სწორედ იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ, როცა მიხეილ რჩეულიშვილმა დაიცვა დისერტაცია.

ამოტ არამის ძე რუხკიანმა (1990-1993) 1925 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. იყო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სელექციონერი, გენეტიკოსი, სომხეთის გენეტიკისა და სელექციონერთა საზოგადოების თავმჯდომარე (1947-1976), ერევნის ზოოვეტერინალური ინსტიტუტის კათედრის გამგე და ამავე ინსტიტუტის დირექტორი (1953-1993). დავით აგლაძე იყო საქართველოში გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ზოოტექნიკოსი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის გამგე, ცხვრის მედიცინის, მატყლის სტანდარტიზაციის და ხევისურული ძროხების ოსტეოლოგიის შესახებ საინტერესო ნაშრომების ავტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

მწერლის ერთ დღიურში საუბარია ცირკზე და ნახსენებია, რომ ნაზაროვამ სცენაზე ცეცხლი დაანთო. მართალია, „ცეცხლის დანთება“ მეტაფორულადაც შეიძლება გამოვიყენოთ მსახიობის თამაშთან მიმართებით, მაგრამ აქ რეალურ ცეცხლზეც უნდა იყოს საუბარი. ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ რუსეთის ცირკში მოღვაწე მარგარიტა ნაზაროვას ერთ ნომერში ვეფხვები ცეცხლმოკიდებულ რკინის რგოლებში ხტებოდნენ.

ერთ-ერთ დღიურში საუბარია იმაზე, რომ მწერალმა ედიშერ გიორგაძემ მეგობრების წრეში წაიკითხა „ანდრეევის ხოშიანი მოთხრობა“ [რჩეულიშვილი. 2007ა,198]. კონტექსტიდან ირკვევა, რომ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი არის ქურდი, რომელსაც ეჩვენება, რომ ყველა მის წინააღმდეგ არის ამხედრებული.

მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში ანდრეევის სახელი ნახსენები არ არის, გაგვიჩნდა ეჭვი, რომ საუბარი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ დროისათვის პოპულარულ მწერალზე, ვიაჩესლავ ანდრეევი. მას შემდეგ, რაც თვალი გადავავლეთ ამ მწერლის შემოქმედებას, მივედით იმ დასკვნამდე, რომ დღიურში საუბარი უნდა იყოს მის მოთხრობაზე „ქურდი“. ამრიგად, მოხდა როგორც პირის იდენტიფიცირება, ისე იმ ტექსტის სათაურის დაზუსტება, რომელზეც მწერალი აღფრთოვანებით საუბრობს.

ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „გოგიმ ცამდე აიყვანა ჩემთვის საკმაოზე მეტად არასიმპატიური მწერალი სელინი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 248]. საუბარი უნდა იყოს ფრანგ მწერალ - ლუი ფერდინანდ სელინზე, რომელიც ცნობილი იყო ნაციონალ-სოციალისტებთან თანამშრომლობით, ანტისემიტური და ანტიჰუმანური პოზიციით. მისი წიგნი „მოგზურობა ღამის დასალიერში“ 1935 წელს გამოვიდა მოსკოვში.

1958 წლის 4 სექტემბრის დღიურში ვკითხულობთ: „ვერ იხვენებს ბიჭი, სტილნად იცვამს და საოცრად ჰგავს „მიშკა არისტოკრატს“, მიქრას თუ პიკრას?“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 286]. სათანადო წყაროების მოძიებით გავარკვიეთ, რომ საუბარი უნდა იყოს 1948 წელს გამოსულ უნგრელი რეჟისორის, მარტონ კელეტის, ფილმზე „მიშკა არისტოკრატი“, რომლის პერსონაჟები ასევე არიან საოცრად მოსაწყენი გრაფები: მიქსი და პიქსი.

გურამ რჩეულიშვილი ერთ-ერთ ფრაგმენტულ ჩანაწერში, რომელსაც მარინე რჩეულიშვილი 1957 წლის შემოდგომით ათარიღებს, წერს: „ბადურაშვილი სახლში და კომკავშირში“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 89]. ჩვენ დავინტერესდით ბადურაშვილის ვინაობით და კვლევის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქ ნახსენები ბადურაშვილი უნდა იყოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი 1956 – 1961 წლებში თეიმურაზ გიორგის ძე ბადურაშვილი, რომელსაც ცოლად ჰყავდა გურამ რჩეულიშვილის დის თანაკლასელი და მეგობარი ლალი მადრაძე, შემდეგში ცნობილი მსახიობი, ლალი ბადურაშვილი. შესაბამისად, მწერალი კარგად იცნობდა როგორც ლალის, ასევე თეიმურაზ ბადურაშვილსაც.

გურამ რჩეულიშვილის 1956 წლის 19 მარტის დღიურიდან ჩანს, რომ მეგობრები აპირებენ ვირსალაძის კონცერტზე წასვლას. „ვირსალაძე“, ჩვენი აზრით, უნდა იყოს პიანისტი ანასტასია ვირსალაძე, საფორტეპიანო სკოლის დამაარსებელი

საქართველოში, ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალური სასწავლებლის სულისჩამდგმელი, რომელსაც 1960 საქართველოს სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

1958 წლის 13 მაისს გურამ რჩეულიშვილი ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „ჩემი შეხვედრა კონსტანტინესთან“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 172]. ჩანაწერის შინაარსიდან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ „კონსტანტინე“-ში მწერალი კონსტანტინე გამსახურდიას უნდა გულისხმობდეს. ამაზე მიგვანიშნებს ტექსტში მოხსენიებული სახელები „თამრიკო“ და „კოწია“. თამრიკო კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილი თამარ გამსახურდია უნდა იყოს. იგი უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე გურამ რჩეულიშვილზე ორი კურსით უკან სწავლობდა. გამსახურდიები გალის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, რჩეულიშვილები კი მათ ახლოს, ლარსის ქუჩაზე, და, სავარაუდოდ, ერთმანეთს ხშირად შეხვდებოდნენ.

მწერლის მეგობარი, პოეტი ნუგზარ წერეთელი თავის წიგნში „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“, იგონებს, რომ 1955 წლის გაზაფხულზე ლექციების შემდეგ ის და გურამი შეხვდნენ თამარ გამსახურდიას და მანანა ხიდაშელს. გურამმა თამარი სახლამდე მიაცილა და გზად სავაჭრო ქალაქებზე გამავალ გზებზე ესაუბრებოდა [წერეთელი, 2009, 310]. საინტერესოა წერეთლის მეორე მოგონებაც თამარ გამსახურდიასა და გურამ რჩეულიშვილის ურთიერთობისთვის, რომლიდანაც შევიტყობთ, რომ 1957 წლის ოქტომბერში უკვე უნივერსიტეტდამთავრებული მწერალი სასწავლებლის შესასვლელთან შემთხვევით შეხვდა მეგობრებთან მყოფ თამარ გამსახურდიას. გამსახურდიამ გულწრფელად მოიწონა მოთხრობა „უსახელო უფლისციხელი“ და გურამს წარმატება მიულოცა. როგორც მოთხრობელი გადმოგვცემს, მწერალი ამ შეხვედრით ძალზე ნასიამოვნები დარჩა [წერეთელი, 2009, 312].

„კონსტანტინე“ რომ კონსტანტინე გამსახურდიაა, ამას ადასტურებს სხვადასხვა მასალა. მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში რამდენიმე კონსტანტინეა (ლორთქიფანიძე, კაპანელი), მაგრამ სახელით „კონსტანტინე“ მხოლოდ გამსახურდიას მოიხსენიებენ ლიტერატურათმცოდნეები და თანამედროვენი. ამ მხრივ საინტერესოა პოეტ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „მცხეთის ქალაქს მირონი დულს“, რომელში ნახსენებ „კონსტანტინე ბატონში“ სწორედ გამსახურდია იგულისხმება.

რაც შეეხება „კოწიას“, ქართველ მწერალთა „ფუნაგორიების“ მიხედვით, პოეტ

ლადო ასათიანს კოლაუ ნადირაძისთვის მიუწერია: „ქართულს უწუნებს მარტვილი გამსახურდია კოწიას, გაჩუმდეს თორემ კოწიამ ხალხი თუ მისწი მოსწია, გადაავიწყებს იოსებს ნადირთ საკლავად წოწიალს“ [ასათიანი, 2011, 46]. ამავე ვარაუდის სისწორეზე მეტყველებს მსახიობ ლალი ბადურაშვილის მოგონება, რომლიდანაც ჩანს, თუ როგორ გაანაწყენა ერთხელ კონსტანტინე გამსახურდია მისმა (მაშინ ახალგაზრდა მსახიობის) მიმართვამ - „ბატონო კოწია“, რადგან ასე მიმართვის უფლებას, მისი გადმოცემით, მწერალი მხოლოდ ახლობლებს აძლევდა.

იქედან გამომდინარე, რომ თამარს და გურამს ჰქონდათ საერთო პროფესიული ინტერესები, იყვნენ თითქმის მეზობლები, შეუძლებელი არ იქნებოდა მათი ერთ ჭერქვეშ თავმოყრა. მწერლის იმავე ჩანაწერში მოხსენიებულ მესამე პირში „მარინე“, გურამის და უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც სტუმრობისას თან ახლდა ძმას. კონსტანტინე გამსახურდიას კითხვაზე - თუ რას წერს ახალგაზრდა მწერალი, მარინე რჩეულიშვილს უპასუხია: „ისტორიულ ნოველებს“, რადგან ამ დროს მწერალს უკვე დაბეჭდილი ჰქონდა (1957 წლის „ცისკრის“ მესამე ნომერი) „უსახელო უფლისციხელი“. ბუნებრივია ისიც, რომ ახალგაზრდა გურამ რჩეულიშვილს, რომლის რამდენიმე მოთხრობა უკვე დაბეჭდილი იყო, დიდი ინტერესი ექნებოდა გაეცნო სახელმოხვეჭილი მწერალი და გაეგო მისი აზრი საკუთარი შემოქმედების შესახებ. სწორედ ამაზე უნდა მიაწინებდეს გურამ რჩეულიშვილის ჩანაწერში გამსახურდიას მოკლე შეფასების გამომხატველი ფრაზა „ჰო, მგონი აქებენ“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 172]. მეორე მხრივ, არც ის იქნებოდა გასაკვირი, რომ თამარ გამსახურდიას საკუთარი მამისთვის წარედგინა ასეთი იმედისმომცემი ახალგაზრდა მწერალი.

გურამ რჩეულიშვილის ნაცნობ-მეგობართა წრის დასადგენად და მის ნაწერებში სხვადასხვა ადგილას მოხსენიებულ პირთა იდენტიფიცირებისათვის დიდ დახმარებას გვიწევს 1958 წლის აპრილში მის მიერ ნუგზარ წერეთლისთვის გაგზავნილი ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ: „ახლა როგორც წესი და რიგი მოითხოვს, მომიკითხე ჩვენი ძმაკაცები (მკითხაობა რომ არ დაიწყო ვინ ვინ არის, საქმეს გაგიადვილებ და ზოგიერთების გვარებსაც მივუთითებ): ედი, ბორია, შალიკო, გურამი (გეგეშიძე), გურამი (რუსიშვილი), გურამი (თიკანაძე), ქართლოსი (სვანიძე), ქართლოსი (ჯაფარიძე), მალხაზი, თენგიზი (ჯაშიაშვილი), თენგიზი (ნაცვლიშვილი),

ერლომი, თემო (ბერიძე), თემო (ჯაფარიძე), ჯურხა, ჰასანა, ჟორა, ომარი, ბერდო, გიგუშა (ამათ გვარები არ სჭირდებათ), აგი, ვაჟა, კუზმანა (არც ამათი გვარებია საჭირო), რეზო (ერისთავი), რეზო (ამაშუკელი), რეზო (თოდუა), ნოდარი (ზედელაშვილი), ნოდარი (ცხვირაგაშვილი), ნოდარ (დიდიძე), ოთარი (დიაკონიძე), ოთარი, პუჭურა (იმედაშვილი), ჯიმი დიდმელიშვილ-რჩეულიშვილი, დათო (ჯავახიშვილი), დათო (დოლობერიძე), ზურიკო (წერეთელი), ძმა გობრონი (იგივე წერეთელი), შოთა (შუბლაძე), შოთა (თანდილაშვილი), ბიძინა (სეხნიაშვილი), ბიძინა (ქუმსიაშვილი), თამაზი (ტოგონიძე), თამაზი (ჭელიძე), გოგი (ცინცაძე), გოგი (დემეტრაძე), გოგი ჩემი ბიძაშვილი და ყველა, ვისაც ვახსოვარ“ [რჩეულიშვილი, 2007b, 63].

რა თქმა უნდა, როდესაც წერილებში ან დღიურებში პირები მხოლოდ სახელებით არიან მოხსენიებულნი, პირდაპირ ვერ ვიტყვით, რომ ამ ჩამონათვალში შემავალი იმავე სახელის მქონე კონკრეტული ადამიანი იგულისხმება, მაგრამ საორიენტაციოდ მაინც კარგია და დამატებითი არგუმენტების მოპოვების შემთხვევაში, იდენტიფიცირებაც ხერხდება.

თითოეულ შემთხვევას, როდესაც ერთ ტექსტში მოხსენიებულ პირს მეორე ტექსტში მოხსენიებულთან ვაიგივებთ, საგანგებო გადამოწმება სჭირდება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღიურის ჩამონათვალში „ზურიკო“-ს გვერდით წერია „წერეთელი“, იგივე ზურიკო ვერ იქნება ნაგულისხმევი 1958 წლის 8 სექტემბრის დღიურში, სადაც ვკითხულობთ: „აქამდე ვერ მიპატიებია თავისთვის, რომ პირველი არ მივედი ზურიკოსთან, არ მოვიკითხე, როგორც კაცმა, რომელიც მას იცნობს, თანაც კარგად იცნობს და როცა იმან თვითონ მომიკითხა, მაშინაც კი არ ვიკისრე, რომ პირადად ვიცნობ: - ნუგზარისგან გიცნობთ, - ვთქვი მე და მოვიკითხე. მას ენა ებმებოდა. გასაცოდავებული, გამოფიტული და შეშინებული ჩანდა გადასახლების შემდეგ“ [რჩეულიშვილი, 2007a, 301].

რამდენადაც ზემოხსენებულ ტექსტში ნახსენებია ნუგზარ წერეთელი, ბუნებრივი იქნებოდა, რომ ეს „ზურიკოც“ ზურაბ წერეთელი ყოფილიყო, მაგრამ ზურაბ წერეთელი არ არის ნამყოფი გადასახლებაში. მან 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი და უკვე 1959 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მხატვარ-არქიტექტორი გახდა. შესაბამისად, ეს წარმატებული პიროვნება იმ სურათს, რომელიც დღიურშია აღწერილი, არანაირად არ ესადაგება.

გურამ რჩეულიშვილის 1958 წლის დღიურებში ორჯერ გვხვდება „ჯუნა“, გვარის გარეშე. 1 სექტემბრის დღიურში ნახსენებია მხოლოდ „ჯუნას 21 მან.“ [რჩეულიშვილი, 2007a, 268], რომლის მიხედვითაც, ბუნებრივია, ვერაფერს კონკრეტულს ვერაფერს ვიტყვით ამ პირის შესახებ, მაგრამ ამავე წლის 2 ოქტომბრის ჩანაწერიდან „დავიძარით გორგასლის გამოფენაზე, გზაზე ჯუნას ვუთხარი, რომ ცუდი ძეგლი გააკეთა, ჯუნა აჭიჭყინდა“ [რჩეულიშვილი, 2007a, 335], უკვე მეტ ინფორმაციას ვიღებთ ამ პიროვნების შესახებ. ჩანს, რომ ის მოქანდაკეა და მონაწილეობას ღებულობდა ვახტანგ გორგასლის ძეგლის შექმნის კონკურსში. მოქანდაკე ჯუნა (დომიტრი) მიქატაძე ნახსენებია ნუგზარ წერეთლის მიერ გურამ რჩეულიშვილისთვის 1953 წლის 13 თებერვალს გაგზავნილ წერილში: „ჯუნა მიქატაძე იყო თამადა“ [რჩეულიშვილი, 2007b, 159]. მწერლის და კი წერს, რომ ჯუნა მიქატაძემ თბილისში სპორტის სასახლის წინ აღმართული მზექაბუკის ქანდაკების შესაქმნელად პოზირება სთხოვა გურამ რჩეულიშვილს: „სპორტის სასახლის წინ დადგმული ახალგაზრდა ბიჭის ქანდაკების ფეხების მოდელად მოქანდაკე ჯუნა მიქატაძემ, მისივე თქმით, გურამის ფეხები აირჩია, თითქოს ტორსთან შედარებით უფრო განვითარებული...“ [რჩეულიშვილი, 2004, 306]. ამ ინფორმაციების შეჯერების საფუძველზე აღარ გაგვჭირვებია იმის დადგენა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი 1958 წლის ამ დღიურის ჩანაწერებში. ეს არის მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე (1932-2005), რომელმაც ვახტანგ გორგასლის ძეგლის შესაქმნელად გამოცხადებულ ზემოხსენებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მესამე პრემია მიიღო.

გურამ რჩეულიშვილის დღიურებში არაერთგან არის ნახსენები „მარიკა“ და ჩანს ისიც, რომ ის მისი თანაკურსელია და ლექციას ერთად ესწრებიან [რჩეულიშვილი, 2007a, 35]. მწერლის არქივში დაცულია 1958 წლის 4 მარტს მარიკა საყვარელიძის მიერ მისთვის მოსკოვში გაგზავნილი ბარათი [გრცა, 694], რომლიდანაც ჩანს მათი ახლო, მეგობრული ურთიერთობა. მარინე რჩეულიშვილის კომენტარებიდან ვიგებთ, რომ მარიკა საყვარელიძე იყო გურამ რჩეულიშვილის თანაკურსელი. ჩვენ

დამატებით მოვიპოვეთ ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ეს ქალბატონი მწერალთან ერთად მუშაობდა მუზეუმშიც და რომ ის შემდეგ ცოლად გაჰყვა ზემოხსენებულ ცნობილ მოქანდაკეს - ჯუნა მიქატაძეს. ეს ინფორმაცია მარინე რჩეულიშვილმაც დაგვიდასტურა.

მარიკა საყვარელიძესთან ერთად, რამდენიმეგან არის ნახსენები მისი ბიძაშვილი - შურა მღებრიშვილი, რომელიც მოგვიანებით მწერლის მეორე მეგობართან - ერლომ ახვლედიანთან ერთად თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობდა და კითხულობდა საოპერატორო ხელოვნებას. წერილების კომპლექსური კვლევით გაირკვა, რომ მარიკა და შურა ასევე ყოფილან გურამის მეგობრის - დათო ლოლობერიძის ბიძაშვილებიც. მისთვის 1956 წლის ზაფხულში გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მომილოცნია შენი საყვარელი ბიძაშვილი მარიკას დაბადების დღე“; „შენი ბიძაშვილი შურა, როგორც შენვე გითქვამს მისთვის, უმაღლესისათვის სათანადოდ მომზადებული არ იყო და ვერ მოხვდა“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 23]. აქვე, წერილებისთვის ხუმრობით გაკეთებული თეზისებიდან ჩანს, რომ საუბარია შურა მღებრიშვილზე: „მწუხარების გამოთქმა, რომ შურა მღებრიშვილი ვერ მოხვდა“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 23]. შესაბამისად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აქ ნახსენები მარიკაც მარიკა საყვარელიძეა და რომ სამივე ბიძაშვილები არიან.

1956 წლის ზაფხულში გურამ რჩეულიშვილის მიერ მეგობრის - დათუნა ლოლობერიძისთვის მიწერილ ზემოხსენებულ ბარათში ნაცნობების ჩამონათვალში გვერდიგვერდ არიან ნახსენები „ინესა“ და „ტურანდოტი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ., 23]. 1958 წლის მარტში მწერალს მისი და ატყობინებს ტურანდოტის გარდაცვალების ამბავს. ტექსტიდან ჩანს, რომ ტურანდოტი ინესას დაა და ისინი გვარად ანდრონიკაშვილები ყოფილან: „გარდაიცვალა ინესა ანდრონიკაშვილის და ტურანდოტი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 156]. 4 მარტს გურამ რჩეულიშვილს ამის შესახებ სწერს მარიკა საყვარელიძე: „ალბათ გაიგებდი, ინესა ანდრონიკაშვილის ამბავს, და მოუკვდა, ტურანდოტი, ძალიან დიდი უბედურება იყო“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 193].

საუბარია გურანდუხტ (ტურანდოტ) ალექსანდრეს ასულ (1932-1958) და ინესა (ინა) ალექსანდრეს ასულ (1937-1999) ანდრონიკაშვილებზე. ტურანდოტი 26 წლისა გარდაიცვალა, ინესამ დაამთავრა ორატორული ხელოვნების კურსები, თბილისის ა.

ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი და იყო საერთაშორისო იურისტი.

მწერლის მიერ ნუგზარ წერეთლისთვის მოსკოვიდან გაგზავნილ წერილში მეგობართა შორის ზურაბ წერეთელიც არის ნახსენები „მომიკითხე ჩვენი ძმაცაცები... ზურიკო (წერეთელი)“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 63]. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ საუბარია ცნობილ მხატვარზე, მოქანდაკესა და არქიტექტორ ზურაბ წერეთელზე, რომელმაც მოგვიანებით ცოლად შეირთო ზემოხსენებული ინესა ანდრონიკაშვილი. ამის გარკვევაში დაგვეხმარა ნუგზარ წერეთლის მოგონებათა წიგნში „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ ინესა ანდრონიკაშვილისა და ზურაბ წერეთლის ფოტოსურათის ავტორისეული მინაწერი, რომლის მიხედვითაც, ისინი ცოლ-ქმრად მოიხსენიებიან [წერეთელი, 2009, 142].

გურამ რჩეულიშვილის მიერ დავით ლოლობერიძისთვის 1956 წელს ახალი ათონიდან გაგზავნილ წერილში [რჩეულიშვილი, 2007ბ, 23] ნახსენები არიან „ცისანა“, „ნანი“ და „ივიკო“. ნუგზარ წერეთლის ერთი მოგონებიდან ჩანს, რომ იგი მეგობრებთან ერთად ხშირად სტუმრობდა დათუნა ლოლობერიძის ნათესავის, ამჟამად სახელგანთქმული მომღერლის, ნანი ბრეგვაძის, მშობლების ოჯახს გრიბოედოვის ქუჩაზე, სადაც ასევე ხვდებოდა ნანის დეიდაშვილებს: ივიკო, ცისანა და მარიკა საყვარელიძეებს, რომლებიც შესანიშნავად მღეროდნენ [წერეთელი, 2009, 116].

გურამ რჩეულიშვილის დღიურებში ხშირად გვხვდება საუბარი „მალხაზზე“, რომელიც მხოლოდ სახელით არის ხოლმე მოხსენიებული [რჩეულიშვილი, 2007ა, 46, 63]. ასევე მწერალს აქვს მოთხრობების ციკლი, რომლებსაც აერთიანებს საერთო პერსონაჟი - მალხაზი, ერთს კი სათაურად აქვს „მალხაზი და მე“. ერთგან ვკითხულობთ: „მალხაზი იმითაა პატიოსანი, რომ ქურდია. ის აკეთებს იმას, რაც გულში აქვს და იმსახურებს სასჯელს. მე არ ვაკეთებ, მაგრამ გულში მაქვს“ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 425]. მეორე ტომისთვის დართული კომენტარებიდან ჩანს, რომ ამ მოთხრობებშიც საუბარია რეალურ პიროვნებაზე, იმავე მალხაზზე.

ბუნებრივია, დავინტერესდით მალხაზის ვინაობით და ამისათვის ჩავატარეთ კომპლექსური კორპუსული კვლევა. დღიურებიდანაც და მოთხრობებიდანაც თავს იყრის ერთნაირი ინფორმაცია: მალხაზი არის ძალიან მაღალი და გამხდარი

ახალგაზრდა მამაკაცი, გურამ რჩეულიშვილის ბავშვობის მეგობარი. ის მეგობრების მიმართ კეთილი, გულწრფელი და ხელგაშლილია, მაგრამ ქურდია. მწერლის თხზულებათა მეოთხე ტომის კომენტარებში ვკითხულობთ: „სულ ერთად იყვნენ: ქართლოს სვანიძე, თემო ბერიძე... ანდრო ჭიჭინაძე, მალხაზ მიქაძე, ლევან ჩიკვილაძე და სხვები, თითქმის მთელი ბიჭები პლენხანოვ-რუსთაველიანა, ვინც უძლებდა ამ ტემპს და ამდენ გავარდნა-გამოვარდნებს“ [რჩეულიშვილი, 2006, 611]. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ გურამის ბავშვობის მეგობარი მალხაზი უნდა ყოფილიყო მალხაზ მიქაძე. მალხაზი ნახსენებია ნუგზარ წერეთლის მიერ მოსკოვში გურამისათვის 1958 წლის 11 მარტს მიწერილ ბარათშიც, რომელშიც ნათქვამია, რომ ის მალხაზთან და ჭულუსთან ერთად აპირებდა მოსკოვში ჩასვლას [რჩეულიშვილი, 2007ბ, 161]. ამ პიროვნების შესახებ ნუგზარ წერეთლისავე მოგონებებში ვკითხულობთ, რომ როდესაც იგი გაუგებრობის გამო დააკავეს და სასამართლო პროცესი გაიმართა, გურამ რჩეულიშვილს დარბაზში სიტუაციისათვის თვალის სადევნებლად მალხაზ მიქაძე შეუგზავნია [წერეთელი, 2009, 408]. შესაბამისად, დღიურებშიც და მოთხრობაშიც ერთსა და იმავე პირზე - მალხაზ მიქაძეზე უნდა იყოს საუბარი.

გურამ რჩეულიშვილისადმი მოსკოვში მიწერილ ბარათში მამიდაშვილი და მეგობარი დათო ჯავახიშვილი წერს: „წუნკალა ცაგარეიშვილის ანსამბლში მიუღიათ და თუ დეკადაზე იქ იქნები, მოისმენ მის ყოყინსაც (ჯერაც არ მოგისმენია)“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 165]. კორპუსული კვლევის გზით ამ ინფორმაციასთან დავაკავშირეთ მწერლის სხვა მეგობრის, გურამ რუსიშვილის, გურამისადმი მოსკოვში გაგზავნილი წერილიდან მოპოვებული ინფორმაცია: „ზედელაშვილი ქართული ქულაჯით ცაგარეიშვილის ანსამბლში სცენაზე ზის და მაცურებელს დარბაზიდან აგდებს“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 194] და მარინე რჩეულიშვილის მოგონება. იგი წერს, რომ მოსკოვში ქართული დეკადის დღეებში ესწრებოდნენ კონცერტს, რომელშიც ნოდარ ზედელაშვილი მონაწილეობდა. გურამმა მახვილგონივრულად შენიშნა მეგობარზე, ნახეთ, როგორ მოხერხებულად, ტყუილად ადებს პირსო. ფაქტების, დროისა და დეტალების თანხვედრის: „1958 წელი“, „ცაგარეიშვილის ანსამბლი“, „სიმღერა“, „დეკადა“ - საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ „წუნკალა“ მწერლის თანაკლასელი, თანაკურსელი და მეგობარი - ჟურნალისტი

და ისტორიკოსი ნოდარ ზედელაშვილია. რაც შეეხება ცაგარეიშვილს, იგულისხმება ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, 1950–1958 წლებში საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი - ვალერიან ცაგარეიშვილი (1901-1974).

თავი IV

მოვლენებით აღსავსე ცხოვრების ანარეკლი მწერლის თხზულებებში

§1. ურთიერთობები

გურამ რჩეულიშვილი სისხლსავსე, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთგან აღნიშნავს კიდეც, იმდენი რამ ხდება ჩემს ირგვლივ, რომ ყველაფრის რეფლექსირებას და ჩაწერას ვერ ვასწრებო. ტექსტების ბოლოს მის მიერვე მიწერილი თარიღებიდან ირკვევა, რომ იგი 1956 წლის 24 მარტს წერდა მოთხრობას „ცქიტო და სელიოდკა“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 19], 1956 წლის 24 მარტის შემდეგ კი - მოთხრობებს კარპატების ცხოვრებიდან [რჩეულიშვილი, 2002ა, 22], 1956 წლის 7 აგვისტოს დაამთავრა თბილისში დაწყებული მოთხრობა სამხედროთა ცხოვრებაზე „როგორ გამოიცვალა უკეთესობისაკენ იგორ კობლუბკოვი“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 121], 1956 წლის 17 სექტემბრამდე დაწერა ნოველა „პროფესორი ლევან ჯანდიერი“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 190], 1956 წლის დეკემბერში დაასრულა მუშაობა მოთხრობაზე „პინგ-პონგი“ [რჩეულიშვილი, 200ა, 305], 1957 წლის ივლისის შემდეგ ხევსურეთიდან დაბრუნდა თბილისში და დაწერა მოთხრობა „სიკვდილი მთებში“ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 240], 1958 წლის 23 იანვრის შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა პიესაზე „მარინა“ [რჩეულიშვილი, 2006, 60], 1958 წლის აპრილში მოსკოვში ყოფნისას დაიწყო მუშაობა პიესაზე „კა და კო“ [რჩეულიშვილი, 2006, 112], ამავე წლის 31 აგვისტოს გააგრძელა „ალუდა ქეთელაურის“ სცენარზე მუშაობა [რჩეულიშვილი, 2006, 345], 1958 წლის ზაფხულში დაწერა მოთხრობა „ნათელა“ [რჩეულიშვილი, 2004, 143], 1958 წლის დეკემბერში დაასრულა დრამატული რომანი „იულონი“ [რჩეულიშვილი, 2006, 220], 1959 წლის ივლისში წყალტუბოში შეადგინა სია საკუთარი მოთხრობების კრებულის გამოსაცემად, 1959 წლის დეკემბერში დაწერა „ჩემი ლიტერატურული შეხედულებები“ [რჩეულიშვილი, 2004, 228], 1960 წელს კი - კინომოთხრობა „ჩვენ ერთად მოვდივართ“ და გააკეთა ჩანაწერები „სურამის ციხისათვის“ [რჩეულიშვილი, 2006, 326].

იმასთან დაკავშირებით, თუ რა დროს სად იმყოფებოდა მწერალი, გამოიკვეთა,

რომ: 1947 წლის 28 ივლისიდან 4 აგვისტომდე მამასთან ერთად მოგზაურობდა დიდლოეთში; 1953 წლის აგვისტოში თელავში დაუკითხავად გააჭენა უცნობის ცხენი, რისთვისაც გაასამართლეს; 1954 წლის 4 ივლისს პიატიგორსკის სადგურზე გურამ თიკანაძესთან ერთად შეხვდა საკუთარ დაბადების დღეს, 1955 წლის გაზაფხულზე შავი ზღვის კურორტებზე იყო მეგობრებთან ერთად: 1 დღე სოჭში, 2 დღე კი - გაგრამი. 1956 წლის 27 იანვარს მეგობრებთან ერთად ორი კვირით წავიდა კარპატებში მწვერვალ გოვერლას დასალაშქრად, 1956 წლის ივლისში ჟურნალ „ცისკრის“ მივლინებით ჩავიდა უფლისციხეში, 1957 წლის ივლისში კინორეჟისორ გიორგი შენგელაიასთან, მწერალ ვაჟა გიგაშვილთან და კრიტიკოს ნოდარ ჩხეიძესთან ერთად იმყოფებოდა ხევსურეთში, 1957 წლის 27 სექტემბერს ჟურნალ „ცისკრის“ მივლინებით გაემგზავრა პრიმორსკში მეთევზეების ცხოვრების შესასწავლად, 1957 წლის 28 სექტემბერს ჩავიდა სოხუმში, 1957 წლის სექტემბერში მეგობარ თემო ჯაფარიძესთან ერთად ისვენებდა ბათუმში, სადაც დახრჩობას გადაარჩინა უცნობი მამაკაცი, 1957 წლის 7 ნოემბრამდე იმყოფებოდა პრიმორსკში, 1958 წლის 23 იანვარს ჩავიდა მოსკოვში, 1958 წლის 21 მაისს ოდესიდან გამოემგზავრა გემით „როსია“, 1958 წლის 25 მაისს დაბრუნდა თბილისში; 1958 წლის 4 მაისს მოსკოვიდან გაემგზავრა ოდესაში და ზღვის პირას დაიქირავა მებადურის ქობი, 1958 წლის 4 ივლისს საკუთარი დაბადების დღეს შეხვდა დუშეთში სამხედრო წვრთნებზე, 1958 წლის 3 აგვისტოს მეგობრებთან ერთად სოჭი-სოხუმის მატარებლით ჩავიდა გაგრამი, 1958 წლის 2 სექტემბერს ესტუმრა მეგობარ ერლომ ახვლედიანს და ფორტეპიანოზე ერთად უკრავდნენ ბეთჰოვენს; 1959 წლის 14 ოქტომბერს რუსთავში ჩავიდა და ათვალთვრებდა მეტალურგიულ ქარხანას; 1960 წლის ივლისში ბაკურიანში ქციაზე გაჰყვა მამას ცხვრის სასელექციო სამუშაოებში დასახმარებლად, 1960 წლის 7 აგვისტოს ჩავიდა გაგრამი და ცხოვრობდა სანატორიუმ „ჩელუსკინელებში“ და სხვ.

დღიურებიდან, წერილებიდან და მოგონებებიდან ვიგებთ, ვინ როდის გაიცნო გურამ რჩეულიშვილმა და ვის როდის ხვდებოდა: 1956 წლის დეკემბრის ბოლოს გაიცნო გურამ თიკანაძის და რუსუდანი, 1958 წლის 27 სექტემბერს - მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, 1957 წლის ივლისში - გერმანელი მწერალი ალფრედ კურელა, მისი მეუღლე და ვაჟიშვილი, რომლებიც ხევსურეთში მოგზაურობდნენ და სხვ. 1958 წლის 23 იანვრის შემდეგ მოსკოვში შეხვდა კოკა იგნატოვს, გიორგი შენგელაიას და

მანანა მეგრელიძეს, 1958 წლის 25 მაისის შემდეგ მოინახულა ავადმყოფი მეგობარი - გიგი აბაშიძე და სხვ.

1956 წლის 26 ოქტომბერს გურამ რჩეულიშვილი პრაქტიკას გადიოდა სკოლაში და გაკვეთილებს ატარებდა მე-8 კლასში, 1957 წლის მაისში მის თვალწინ დაჭრეს მეგობარი - მოქანდაკე ლადო ქოქიაშვილი. გურამმა იგი საავადმყოფოში წაიყვანა და ღამითაც იქ დარჩა, მაგრამ ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა. 1957 წლის ივლისში ხევსურეთის მთებში შეესწრო ელპიდე კურელას ტრაგედიას, 1957 წლის შემოდგომაზე მისმა მეგობარმა და შემდგომში ცნობილმა მხატვარმა კოკა იგნატოვმა მოუხატა სამუშაო ოთახის კედლები; 1959 წლის იანვარში იმჟამინდელ „არამიანცის“ საავადმყოფოში ექიმ შიო გუგუშვილთან მკურნალობდა რევმატიზმს, 1959 წლის 28 ივნისს ექიმების რჩევით წავიდა წყალტუბოში და სხვ.

§2. კულტურული ცხოვრება

მატიანის მკითხველისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ როდის რას კითხულობდა გურამ რჩეულიშვილი. ამის შესახებ ინფორმაცია უხვად მოიპოვება მის როგორც დოკუმენტურ, ისე მხატვრულ ტექსტებში: 1956 წლის იანვრის ბოლოს ლვოვისაკენ მიმავალმა შეიძინარუსულ ენაზე გამოცემული წიგნები: თეოდორ დოსტოევსკის „ნეტოჩკა ნეზვანოვა“ და სალტიკოვ შჩედრინის „ბატონი გალოვლიოვები“, მაგრამ ვერც ერთის კითხვას ვერ დაუდო გული და ისევ სტენდალის „ვანინა ვანინის“ და ჩეხი მწერლის, კარელ ჩაპეკის, კითხვა ამჯობინა [რჩეულიშვილი, 2007ა, 11]. 1956 წლის 14 მარტიდან კითხულობდა პლუტარქესა და ჰეროდოტეს „ისტორიებს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 23], 1956 წლის 30 მაისსა და 1 ივნისს - ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტს“ [რჩეულიშვილი, 200ა, 59], 1956 წლის 17 სექტემბრამდე - ვალტერ სკოტის „ქვენტინ დორვარდს“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 75]; 1956 წლის 26-28 მარტს - დოსტოევსკის „ორეულს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 43], 1956 წლის 20 მაისამდე - მოპასანის მოთხრობებს: „ნავსაყუდარში“ და „სამკაული“, ჰემინგუეის ნოველებს და იეთიმ გურჯის ლექსებს [რჩეულიშვილი, 2002ა, 884], 20 მაისს - თომას მანის „ბუდენბროკებს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 60], 1956 წლის ნოემბრამდე - შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილს“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 222], 1956 წლის 7 ნოემბერს - მერეჟკოვსკის „ანტიქრისტეს“ [რჩეულიშვილი, 2002ა,

74], 1956 წლის ზაფხულში - გოეთეს „ფაუსტს; 1956 წლის 22 სექტემბრამდე - გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 191, 192], 1957 წლის მარტამდე - ჯეკ ლონდონის „დიდი სახლის პატარა დიასახლისს“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 67], 1957 წლის 17 აპრილამდე - ჯონ გოლზუორთის „ფორსაიტების საგას“ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 155], 1957 წლის 27 თებერვალს - „იაპონურ პოეზიას“ [რჩეულიშვილი, 2004, 713], 1958 წლის იანვარში - ესქილეს ტრაგედიას „ორესტეა“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 30]; 1958 წლის 31 თებერვლამდე - ალექსანდრე დიუმას „ბრაჟელონს“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 36]; 1958 წლის თებერვლამდე - ჯერომ-ჯერომის მოთხრობებს [რჩეულიშვილი, 2007ბ, 47], 1957 წლის თებერვლამდე - ფრიდრიხ შილერის დრამას „ვილჰელმ ტელი“ [რჩეულიშვილი, 2004, 56], 1958 წლის მარტის დასაწყისამდე - არმან ლანუს „მაიორ ვატრენს“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 49], 1958 წლის მარტის დასაწყისში - ტოლსტოის „ანა კარენინას“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 50], 1958 წლის 14 მარტს - ალექსანდრ ბლოკის ლექსებს [რჩეულიშვილი, 2007ა, 59], 1958 წლის მაის-ივნისამდე - ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობას“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 65, 72], 1958 წლის ზაფხულამდე - ირვინ შოუს და ბერტოლდ ბრეხტის ნაწარმოებებს [რჩეულიშვილი, 2007ბ, 74], 1958 წლის ივლისამდე - ჰომეროსისა და შექსპირის ნაწერებს და ლევ ტოლსტოის მოთხრობას „ივან ილიჩის სიკვდილი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 391]; 1958 წლის აპრილამდე - კნუტ ჰამსუნის „პანს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 139]; 1958 წლის 28 აპრილამდე - ევრიპიდეს „იონს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 137], 1958 წლის ზაფხულში - ბალზაკს; 1958 წლამდე - ჯეიმს ჯოისის „დუბლინელებს“ [რჩეულიშვილი, 2004, 376]; 1958 წლის 5 მარტამდე - ჰემინგუეის რომანებს: „კაცი წვიმის ქვეშ“ და „ფიესტა“ [რჩეულიშვილი, 2004, 17], 1958 წლის 3 სექტემბრამდე - მორიაკის რომანს „გველების ხლართი“ («Клубок змей») [რჩეულიშვილი, 2007ა, 89], 1958 წლის 27 ოქტომბერს - ბრეტ ჰარტის ნოველებს [რჩეულიშვილი, 2007 ა, 83] და სხვ.

გურამ რჩეულიშვილის ნაწერებიდან იკვეთება მისი დიდი ინტერესი ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, კონკრეტულად რომელ წარმოდგენებს, ფილმებსა და კონცერტებს ესწრებოდა, რომელ გალერეებს სტუმრობდა და სხვ. საარქივო მასალებიდან, დღიურებიდან და პირადი მიმოწერიდან ვიგებთ, რომ 1956 წლის 8 თებერვალს ლვოვში დაესწრო

ჰენრიკ იბსენის დრამის მიხედვით ედვარდ გრიგის მიერ შექმნილ ოპერას „პერ-გიუნტი“ [რჩეულიშვილი, გრცა N910,1], 1956 წელს ხარკოვში ყოფნისას ქართველ ალპინისტთა ჯგუფის წევრებთან ერთად გაეცნო ქალაქის ღირშესანიშნაობებს, მათ შორის, მოინახულა ღვთისმშობლის ხარების ტაძარი, კიევში კი - წმინდა სოფიას ეკლესია და ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი. ამავე დღეს დაესწრო კიევში გასტროლებზე მყოფ ქართველ სტუდენტთა კონცერტს [რჩეულიშვილი, 2007ა, 8].

კიევიდან ლვოვში ჩასულმა გურამ რჩეულიშვილმა მეგობრებთან ერთად რკინიგზის სადგურის კინოთეატრში ნახა იური ვიშნევსკის მხატვრული ფილმი „45-ე კვადრატში“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 13], თბილისში 1956 წლის 19 ივნისის შემდეგ - ცნობილი რეჟისორის - მიხეილ რომის ფილმი „მკვლელობა დანტეს მოედანზე“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 64] და დღიურში აღნიშნა რეჟისორ მიხეილ რომის ოსტატობა, რუსუდან თიკანაძემ დაპატიჟა სერგეი კომაროვის კომედიურ ფილმზე „მერი პიკფორდის კოცნა“, მასთან ერთადვე ნახა ცნობილი რეჟისორის - მიხეილ კალატოზიშვილის ფილმი „მიფრინავენ წეროები“, ცნობილი მსახიობების - ტატიანა სამოილოვასა და ალექსეი ბატალოვის მონაწილეობით [რჩეულიშვილი, 2007ა, 95]. იმავე პერიოდში მეგობართან ერთად თბილისში გასტროლებზე მყოფი რუსული ცირკის წარმოდგენას დაესწრო და აღტაცებული დარჩა მარგარიტა ნაზაროვას ოსტატობით [რჩეულიშვილი, 2002ბ, 30].

1958 წლის თებერვალში მოსკოვში მყოფმა გურამ რჩეულიშვილმა დაათვალიერა ტრეტიაკოვის გალერეა და სხვა ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად ნახა: ივან შიშკინის „დილა ფიჭვნარში“ და ილია რეპინის „ივანე მრისხანე“. ამავე პერიოდში პუშკინის სახელობის მუზეუმში ნახა პოლ გოგენის ტილო „მამ, შენ ეჭვიანობ“ [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 43], რომელიც შემოქმედებით იმპულსად იქცა პიესა „კა და კოს“ დასაწერად.

მოთხრობის „თებერვალში ნადირობა ყველაფერზე აკრძალულია“ მინაწერიდან ვიგებთ, რომ მწერალს ნანახი უნდა ჰქონოდა ცნობილი იტალიელი ნეორეალისტის, კინორეჟისორ ვიტორიო დე სიკას ფილმი „უმბერტო D“, მანამდე კი წაკითხული უნდა ჰქონოდა ჩეზარე ძავატინის მოთხრობა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ფილმს. როგორც ჩანს, რჩეულიშვილს იმდენად მოსწონდა ეს ტექსტი, რომ გული დასწყდა, თავად რომ არ გადაიღო ფილმი მასზე. ეს ჩანს მისი ჩანაწერიდან: „უპ

მაგისი, რატო მე არ დავდგი“. ამავე ჩანაწერიდან ჩანს მისი გატაცება კინემატოგრაფიით: „კინო, მაგის დედა ავატირე: კინო, კინო. დედას ვუტირებ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 37]. 1958 წლის თებერვალში მოსკოვიდან მოწერილი ბარათიდან შევიტყობთ, რომ თოჯინების თეატრის სპექტაკლს დასწრებია [რჩეულიშვილი, 2007ა, 35], 1958 წლის 4 მაისს მამისადმი მოსკოვიდან მოწერილ ბარათიდან ჩანს, რომ აპირებდა ეგვიპტური ხელოვნების გამოფენაზე წასვლას [რჩეულიშვილი, 2007ბ, 69], 1958 წლის 27 სექტემბერს იმყოფებოდა ვახტანგ გორგასლის ძეგლის საკონკურსო გამოფენაზე და მოიხიბლა ელგუჯა ამაშუკელის ნამუშევრით [რჩეულიშვილი, 2007 ა, 333].

მწერლის 1958 წლის 23 სექტემბრის დღიურიდან ირკვევა, რომ გურამ და მარინე რჩეულიშვილებს იმ დროისთვის ნანახი ჰქონდათ იტალიური კინოფილმები: „მემანქანე“ და „ველოსიპედისტი“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 319]. სხვა დღიურში მწერალი იმასაც წერს, რომ თბილისში ცენტრალურ სტადიონზე ესწრებოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჯაზკლუბის შეხვედრას რუს მომღერალ ლეონიდ უტიოსოვთან და ჩვეული პირდაპირობით აღნიშნავს, რომ სადამო დიდი ვერაფერი გამოვიდა [რჩეულიშვილი, 2007 ა, 353.]

მოსკოვში ყოფნისას, გურამ რჩეულიშვილი დაესწრო პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის პირველ საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ახალგაზრდა ამერიკელი ვირტუოზი პიანისტის - ვან კლიბერნის კონცერტს, რომლის შემდეგაც თითქმის ცხრა წუთის განმავლობაში არ შეწყვეტილა მქუხარე ტაში. ნაწარმოებს, რომელსაც ის ასრულებდა, ერქვა „Грустное Воспоминание“ (სევდიანი მოგონება), თუმცა, როგორც ჩანს, გურამ რჩეულიშვილს მელოდია არც ისე სევდიანად მიუჩნევია და დღიურში ჩაუწერია, რომ კომპოზიციას სათაურად „Среднее настроение“ უფრო შეეფერებოდა [რჩეულიშვილი, 2007 ბ, 130].

მოსკოვში ყოფნისას მწერალმა ნახა სატირის თეატრის დადგმა, რომელიც ვლადიმერ მაიაკოვსკის პიესა „რწყილის“ მიხედვით დადგეს ვალენტინ პუჩკმა და სერგეი იუტკევიჩმა. წარმოდგენით კმაყოფილი დარჩა და დღიურში ჩაიწერა, „ხოშიანიაო“. დიასახლისის სახლში ტელევიზიით ნახა ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე“. 1958 წლის მარტში მოსკოვში საქართველოს დეკადის დღეებში სტუმრად ჩასულ დედასთან ერთად დაესწრო ალექსი

მაჭავარიანის მუსიკაზე ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმულ საბალეტო სპექტაკლს „ოტელო“, რომელიც ამ კულტურის დღეების ერთ-ერთი სენსაცია იყო [რჩეულიშვილი, 2007ბ, 281].

თავი V

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურულ კონტექსტში

§1. ინტერტექსტები

გურამ რჩეულიშვილის არაერთი ნაწარმოების შინაარსი ინტერტექსტებთან არის შერწყმული. უსათაურო მოთხრობა „ახლად დაძრულ მატარებელს...“ აშკარა გამოძახილია ფრანსუა მორიაკის მოთხრობისა „მაიმუნი“, რომელიც ტექსტში ორჯერ არის ნახსენები, მაგრამ ქვეტექსტად მთლიანად გაჰყვება მას. მოთხრობა „მაიმუნი“ ასახავს ბარონ გალესა და სერნესა და მისი ოჯახის ამბავს. ბარონი ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილია. მეუღლე - პოლი მას დიდგვაროვნების გამო გაჰყვა ცოლად, მაგრამ არ უყვარს არც ქმარი და არც მასავით არასრულფასოვანი ერთადერთი ვაჟი - გიომი, რომელსაც სასტიკად ექცევა და მაიმუნს უწოდებს. ცოლისა და საზოგადოების დამოკიდებულებით სასოწარკვეთილი მამა-შვილი მდინარეში იხრჩობენ თავს.

ეს ინტერტექსტი ძალიან მნიშვნელოვანია გურამ რჩეულიშვილის მოთხრობის გასააზრებლად. შინაარსიდან არ ჩანს პროტაგონისტის - ლევანის ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენილობა, პატარა გივიკოსთან დაკავშირებით კი იგრძნობა მხოლოდ შიში: „ღმერთმა დაიფაროს ესეც ისეთი გამოვიდეს“; „ლევანი შეზარა ამის გახსენებამაც კი. „რაში მომაფიქრდა“, გაუწყრა თავის თავს...“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 70 - 74]. ლევანიც და მისი ცოლი თალიკოც აშკარად საკუთარ ოჯახთან აკავშირებენ ფრანსუა მორიაკის მოთხრობის შინაარსს. როდესაც ქმარი ეკითხება, რას კითხულობს, ის ნიშნის მოგებით პასუხობს: „ვითომ არ იცი?... განა არ იცოდი, მორიაკის „მაიმუნია“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 73]. როდესაც ლევანი ამბობს, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგ ანგარებიანი ქორწინებაც კი გარკვეულწილად გადადის სიყვარულში, თალიკო სკეპტიციზმს გამოხატავს ამასთან დაკავშირებით: „მე შვილით გაღვივებული სიყვარული არა მწამს... განა უშვილოდ არ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი?“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 73]. თალიკოს თვალით მათი ოჯახის მსგავსება მორიაკის „მაიმუნთან“ იმაში მდგომარეობს, რომ ქალი იტანჯება „დეგენერატი“

ქმრის ხელში და ბავშვი არაფერს ცვლის.

რჩეულიშვილის მოთხოვნაში არ არის მორიაკის „მაიმუნის“ მსგავსი მწვავე ვითარება - ცალსახა ფიზიკური ნაკლი, მაგრამ არის იგივე განწყობა. თალიკოს აზრით, ლევანი „ნაკლოვანია“, შვილის არსებობა კი მის შეყვარებაში ვერ ეხმარება. ლევანიც ცოლის თვალთ ხედავს მათ ურთიერთობას. მორიაკის მოთხოვნაზე საუბრისას ისიც პოლის იცოდებს: „საწყალ დედას რომ თავისი ვაჟიც ქმარივით დოყლაპია არ გამოსვლოდა, მისი ცხოვრება ათასჯერ ბედნიერი იქნებოდა ალბათ“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 74]. რჩეულიშვილთან ეს პრობლემა ბევრად უფრო გლობალურია. იგი გამოწვეულია არა რეალური ფიზიკური ნაკლით, არამედ განწყობით: ქალი ქმარ-შვილს თავის ღირსად არ მიიჩნევს და ამას თვლის საკუთარი უბედურების მიზეზად. ქმარიც, ფაქტობრივად, ასე ფიქრობს. რა თქმა უნდა, მას შვილი უყვარს და ალაღად აწუხებს მისი ბედი, მაგრამ ამასთან აკავშირებს მისი ცოლის ბედნიერებასაც. საყურადღებოა ფრაზა, რომელიც ასახავს, რა მოხდებოდა მისი აზრით, გალეასის ვაჟი რომ მამას არ დამსგავსებოდა. პოლი „თავისი ქმრის ნაკლს ვეღარც შეამჩნევდა“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 74].

საინტერესოა, რომ თავად მორიაკის მოთხოვნაშიც შემოდის საინტერესო ინტერტექსტი. ტექსტის ბოლოს მასწავლებელი, რომელმაც სხვებივით ხელი ჰკრა პატარა გიომს და იმედები გაუცრუა, სინანულშია. იგი თაროდან იღებს ჟიულ-ვერნის „საიდუმლო კუნძულს“, რომელიც თავისით იშლება იმ გვერდზე, რომელზეც წერია, თუ შენ სტირი, ესე იგი ისევ იქეცი ადამიანად. როგორც ვხედავთ, ინტერტექსტი აქაც პირდაპირ ეხმიანება სიუჟეტს.

მოთხოვნა „მარტი გიჟობის თვე“ შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილით“ [Цвейг, 1956] უნდა იყოს შთაგონებული. მთავარი თემის და ფაბულის ძირითადი ხაზის მსგავსების გარდა, ეს აქა-იქ გაიელვებს ცალკეულ სახეებშიც, მაგალითად, ფრაზაში: „უპასუხა ნაცნობსახიან უცნობს გამარჯობაზე“ [რჩეულიშვილი, 2002ა, 223] და პირდაპირ ჩანს ერთი დეტალიდან: ქალს, რომელიც ცვაიგის მოთხოვნის გმირივით სიყვარულისთვის „სწირავს“ თავს, მაგიდაზე უდევს ავსტრიელი მწერლის ეს წიგნი. საგულისხმოა, რომ ავტორი ცვაიგის მოთხოვნასთან კავშირის აქცენტირებას ერთი და იგივე ფრაზის ორჯერ გამეორებითაც ახდენს: „ჩიბუხს მოხედა, რომელიც ცვაიგის თხელტანიან „უცნობი ქალის წერილზე“ დაედო

შეთხვევით [რჩეულიშვილი, 2002ა, 228], „მოაგონდა, რომ ჩიბუხი უცნობი ქალის წერილზე იდო [რჩეულიშვილი, 2002ა, 228]. აქ საგულისხმოა თავად ჩიბუხის სახეც, რომელიც სიმბოლურად მამაკაცურ უხეშ საწყისს ესადაგება. ცვაიგის რომანში ქალ-ვაჟის ურთიერთობას უკავშირდება თეთრი ვარდები, რომლებიც გმირი ქალის და მისი გრძნობის სიმბოლური სახეა, რჩეულიშვილის მოთხრობაში კი გამოყენებულია მისი კონტრასტული სახე - ჩიბუხი, კვამლიანი, ფერფლიანი, რომელიც ცვაიგის წიგნზე, შეიძლება ითქვას, იმ თეთრ ვარდებზე დევს. ეს კონტრასტი ბუნებრივია, რადგან ცვაიგის მოთხრობა იმ წყვილიდან ქალის მონათხრობია, რჩეულიშვილისა კი - მამაკაცის გადასახედიდან არის დანახული.

ინტერტექსტების თვალსაზრისით საინტერესოა ნოველა „სიყვარული მარტის თვეში“, რომელსაც წამძღვარებული აქვს ამონარიდი გალაკტიონის ლექსიდან „მარიამ ანტუანეტა“ [ტაბიძე, 1919, 2] და ესენინის ლექსის „Ты меня не любишь, не жалеешь...“ ციტატა „Кто любил, уж тот любить не может, / Кто сгорел, того не подожжешь“ [Есенин, 2004, 239] ტრანსფორმირებული სახით: "Кто любил, тот любить не сможет. / Кто не любил, тот прогорел" [რჩეულიშვილი, 2002ა, 83]. შესაძლოა, ლექსის ბოლო ტაეპის შეცვლა გამოიწვია ნოველის შინაარსთან მისი მისადაგების სურვილმა. რჩეულიშვილთან არ არის საუბარი იმაზე, რომ ერთხელ განცდილი ძლიერი სიყვარულის შემდეგ გული ხელახლა ვერ აენტება, არამედ ლაპარაკია უბრალოდ სიყვარულის ძალაზე. მეორე მხრივ, შესაძლოა, რომ ფრაზის ტრანსფორმაცია ნოველის ტექსტს არც უკავშირდებოდეს და მწერალს უბრალოდ სურვილი ჰქონოდა, შემოეტანა მისთვის მნიშვნელოვანი აზრი: „Кто не любил, тот прогорел“. ზმნა „гореть“ ესენინს ლექსში ორჯერ აქვს გამოყენებული სიყვარულით „წვის“ მნიშვნელობით, მაგრამ რჩეულიშვილის მიერ შემოტანილ ფრაზაში ამავე ზმნის ფორმა „прогорел“ „ჩაიწვა“ კიდევ ერთ დამატებით მნიშვნელობას მოიცავს „ხელის მოცარვას“, „ჩაფლავებას“, რაც იმ ადამიანს, ვისაც სიყვარული არ განუცდია, უფრო მიესადაგება.

საინტერესოა ამავე ტექსტის შიგნით გამოყენებული ალუზიებიც. შეყვარებული პროტაგონისტი ყიდულობს იეთიმ გურჯის ლექსების წიგნს, რომელიც სიყვარულზეა. შემდეგ ის გეგმებს აწყობს, როგორ წარმართოს დიალოგი გოგონასთან, რომელიც მოსწონს და რამდენიმე ვერსიას მოიფიქრებს: ჯერ აპირებს, რომ

ჰემინგუეის რომელიმე ნოველა ან მოპასანის მოთხრობა მოუყვეს, მაგალითად „ნავსაყუდარში“ ან „სამკაული“. შემდეგ დაფიქრდება, რომ უმჯობესია თუ არაბულ ზღაპარს მოუყვება, რადგან მათში „ფილოსოფიური საკითხები არაჩვეულებრივი სისადავით არის... წამოჭრილი“. კონკრეტულად ნოველაში ნახსენებია „ღმერთისა და დერვიშის“ ამბავი [რჩეულიშვილი, 2002ა, 84] და სენტენცია, რომ ჭემმარიტება კეფას ჰგავს, რომლის არსებობაც იცი, მაგრამ ვერასოდეს დაინახავ.

ნოველაში „ჭორი“, რომელშიც მოქმედება ხდება ხევსურეთში 1943 წელს, საინტერესოდ შემოდის ფრიდრიხ შილერის ინტერტექსტი. ხმები ვრცელდება, რომ ბოლშევიკები გადადგნენ და სოფელი ზეიმობს, ხევსბერის შვილი – გაბრიელ ჯაბუშანური (რეალური პიროვნება, იმჟამად უკვე ცნობილი პოეტი) კი ხალხს ორიგინალში უკითხავს ვილჰელმ ტელის მონოლოგს: „ვილჰელმ თელს“- დაიწყო მან“ [რჩეულიშვილი 2002ბ, 33]. ხევსურებისთვის გერმანულ ენაზე ტექსტის კითხვა ისევე გროტესკულია („- რაი? - ტელიო მგონი. - ვინა? - ნემენცურია. - გერმანულია. - უცხოა“), როგორც ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული, მხოლოდ ჭორზე დაფუძნებული, მათი სიხარული (ისმებოდა სასმელი. იჭმებოდა საკლავი... ღრეობდა თემი“ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 33].

რაც შეეხება ზემოხსენებული ინტერტექსტის კავშირს ნოველის სიუჟეტთან, „ვილჰელმ ტელის“ [შილერი, 1954] ისტორიული ფონი არის ავსტრიელი მებატონეების სისასტიკე შვეიცარიელი თემების მიმართ, მონოლოგს კი, რომელზეც უნდა იყოს საუბარი, ვილჰელმ ტელი წარმოთქვამს იმპერიის მიერ შვეიცარიის ტერიტორიაზე დანიშნული უმაღლესი ხელისუფლის - ჰერმან ჰესლერის მკვლელობის წინ. მასში საუბარია იმაზე, რომ ტელს არასოდეს უფიქრია ადამიანის მკვლელობაზე, მაგრამ ჰესლერის სისასტიკემ (მან აიძულა, რომ ვილჰელმ ტელს საკუთარი შვილის თავზე დადებული ვაშლისთვის ისარი ესროლა და ამით მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო) მიიყვანა ამ ზომამდე. ბუნებრივია, ხევსურებსაც ბოლშევიკების ვითომდა გადადგომა სწორედ მათი სისასტიკის და იმპერიული დაუნდობლობის გამო უხაროდათ.

ნოველა „როცა საქმე არ არის“ წარმოადგენს ჯეკ ლონდონის „დიდი სახლის პატარა დიასახლისის“ [Лондон, 1957] ერთგვარ პაროდიას. თუ ჯეკ ლონდონის რომანში სასიყვარულო სამკუთხედის სამივე პირი ღირსეული ადამიანია და მათი

გრძნობა - ჭეშმარიტი, ამ ნოველაში წარმოჩენილი ცოლ-ქმარი და სტუმარი კაცი არც ღირსებით არიან გამორჩეულნი და არც გრძნობით. მხატვრულ ეფექტს ქმნის სწორედ ეს კონტრასტი ტექსტისა და ინტერტექსტის პერსონაჟებს შორის და გროტესკულ მუხტს აძლიერებს ვახტანგის მიერ მეგობრის ცოლისთვის ნათქვამი სიტყვები, რომლებიც ჯეკ ლონდონის გმირს ეხება: თქვენი ეზო „...მის კარმიდამოს მაგონებს, თქვენ კი მის დიასახლისს. მერე, იცით, როგორი იყო პაოლა? ო, თვითონ მშვენივლა, როცა მღეროდა, ან საუბრობდა და ამორძალი, როცა ცხენზე იჯდა“ [რჩეულიშვილი, 2002ბ, 41]. ამ პერსონაჟის ირაციონალურმა წარმოსახვამ შეიძლება გაგვახსენოს „დონ კიხოტის“ პროტაგონისტი, რომელმაც იმდენი იკითხა სარაინდო რომანები, რომ საკუთარი თავიც მსგავს რაინდად წარმოიდგინა.

§2. მწერლის ლიტერატურული შეხედულებები

გურამ რჩეულიშვილს მოღვაწეობა მოუხდა საბჭოთა რეჟიმის „დათბობის“ პერიოდში, როცა ოდნავ შემსუბუქდა აკრძალვა ევროპული და ამერიკული ლიტერატურის თარგმნაზე. ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა გასცნობოდა მის თანამედროვე უცხოელ ავტორებს, რის შედეგადაც გაიზარდა ზეგავლენა დასავლური ლიტერატურული ტენდენციებისა, რომლებიც ჰემინგუეისეული თემებითა და თამამი ნეორეალისტური ექსპერიმენტებით იჭრება საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე და თან მოიყოლებს რომანტიკულ ოცნებებს მეგობრობაზე, გულახდილობაზე, ურთიერთობების სიფაქიზე და ესოდენ ნანატრ თავისუფლებაზეც კი“ [რატიანი, 2015, 162].

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი სამყარო ძალზე ფართო იყო. ის ორიგინალში კითხულობდა ქართულ, რუსულ და ნაწილობრივ გერმანულ მწერლობას, სხვა უცხოენოვან თხზულებებს კი - ქართულ და რუსულ თარგმანებში. უცხოური ლიტერატურის კითხვით იგი იძენდა როგორც ცხოვრებისეულ, ისე შემოქმედებით გამოცდილებას: როგორც მკითხველი, სულით ხორცამდე ითავისებდა ნაწარმოების წარმოსახვით სამყაროს და რაღაც ეტაპზე მისი გმირების ცხოვრებითაც კი ცხოვრობდა. მაგალითად, ერთგან აღწერს, „დორიან გრეის პორტრეტის“ კითხვისას როგორ ჩაება მხატვრის, ლორდ ჰენრის და დორიან გრეის საუბარში და როგორ ეკამათებოდა გარეულ კატას [რჩეულიშვილი, 2007ა, 64]. სხვა

ჩანაწერში ემოციურად გადმოსცემს ვალტერ სკოტის „ქვენტინ დორვარდის“ კითხვის პროცესს, აღწერს, თუ როგორ განიცდიდა შეყვარებულების წინაშე აღმართულ ახალ-ახალ დაბრკოლებებს და რა განწყობა დაეუფლა, როცა ყველაფერი ბედნიერად დამთავრდა. თუ, როგორც მკითხველი, სიუჟეტის განვითარებას ადევნებდა თვალს, როგორც მწერალი – აფიქსირებდა საინტერესო მიგნებებს. იმავე ნაწარმოების შესახებ დღიურში ჩაწერილია, რომ ეპიზოდი, რომელშიც ბომა ბიჭი ახალგაზრდა დიდებულს თავის ცხენს მიაბარებს, „მთელ წიგნად ღირს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 79].

დღიურებსა და წერილებში ხშირად შეხვდებით მწერლის გამონათქვამებს ლიტერატურისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ და მათში არ ჩანს არავითარი საზღვრები, ქართული და უცხოური ერთმანეთის გვერდიგვერდ არის განთავსებული. მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტში „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“ იგი წერს: „გამიტაცა ბაირონმა, ლერმონტოვმა, გამიტაცა ვაჟა-ფშაველამ“ [რჩეულიშვილი, 2002, 156]. საოცარ სიხარულს განიცდიდა მწერალი, როდესაც თავისთვის ახალ, მაგრამ ახლობელ დიდ ავტორს აღმოაჩენდა. მის სხვადასხვა ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ ასეთი განცდა დაეუფლა მაიაკოვსკის, ესენინის და ტიციან ტაბიძის წაკითხვისას.

გენიოსთა ქმნილებების კითხვა რჩეულიშვილს ეხმარებოდა თვითშემეცნებაშიც. როგორც წერს, ტოლსტოის „ანა კარენინას“ თითოეულ პერსონაჟში, თვით ალექსი კარენინშიც კი, საკუთარი თავის ნაწილი აღმოაჩინა, პროტაგონისტის მიმართ კი ისეთი სიახლოვე გაუჩნდა, რომ თავის რეალურ სასიყვარულო ისტორიებს შორის მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტში „ბატონო ტელემხედველებო“, ანა კარენინასაც იხსენიებს და საკუთარ განცდებს მეტაფორულად ასე აღწერს: „მე მიყვარდა ანა კარენინა, მან რამდენიმე ღამე გაათია ჩემ გვერდზე საწოლში და წავიდა ისეთივე უმწიკვლო, როგორც მოვიდა. ჩვენ ძალიან ვგავდით ერთმანეთს იმისათვის, რომ დიდხანს ვყოფილიყავით ერთად“ [რჩეულიშვილი, 2004, 13].

წაკითხულის გააზრებისას მწერალი ხშირად პოულობს თხზულების პერსონაჟთა მსგავსებას თავის ნაცნობ-მეგობრებთან, წიგნის სიუჟეტური გარემოსას კი - ქართულ რეალობასთან. მაგალითად, ტოლსტოის ვრონსკის („ანა კარენინადან“) იგი ადარებს „სტილნ ბიჭებს“, რომლებიც ლევინისნაირებს მხოლოდ იმიტომ

ჩაგრავენ, რომ მათნაირი ყბედები” არ არიან და ისეთივე რევერანსების გაკეთება არ შეუძლიათ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 54].

როდესაც მწერლის მეგობარმა ედიშერ გიორგაძემ ახლობლების წრეში ხმამაღლა წაიკითხა ლეონიდ ანდრეევის ნოველა „ქურდი“ [Андреев, 1957], რჩეულიშვილს მოეჩვენა, რომ რაღაც მსგავსება იყო ედიშერ გიორგაძესა და ნოველის პროტაგონისტ თეოდორ იურასოვს შორის. თხზულებაში მოვლენები ვითარდება, როდესაც მისი პროტაგონისტი მატარებლით მიემგზავრება ნაცნობ გოგონასთან. იურასოვი ქურდია. იგი გზაში საფულეს ამოაცლის მოხუც კაცს და როდესაც პოლიციისგან გაქცევას ცდილობს, ეჩვენება, რომ ყველანი, ვინც შემთხვევით გზაზე ეღობებიან, მისი წინააღმდეგნი არიან.

ბიოგრაფიულად ედიშერ გიორგაძეს ამ ფაბულასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკია გარიყულობის განცდაზე, რომელსაც ეს დისიდენტურად განწყობილი მწერალი და ჟურნალისტი განიცდიდა საბჭოთა გარემოში. როდესაც გურამმა ნოველა გააანალიზა, მიხვდა, რა ნიშნით შეადარა მისი პროტაგონისტი თავის მეგობარს. ის ადამიანები, რომლებიც ნოველა „ქურდის“ პროტაგონისტს მის წინააღმდეგ ამხედრებულებად ეჩვენებოდა, შეიძლება თავადაც მასზე არანაკლებ მარტონი ყოფილიყვნენ და ედიშერიც არ იყო ერთადერთი მარტოსული თავის გარემოცვაში, თუმცა რჩეულიშვილის აზრით, ის ამას ვერ ამჩნევდა. საყურადღებოა, ამ ნოველის გმირთან დაკავშირებით მწერლის მიერ დღიურში ჩაწერილი შემაჯამებელი ფრაზა: „თითოეული არის ის კაცი (იგულისხმება იურასოვი), თითოეულს ჰყავს მასა, რომელსაც შეადგენს მის გარდა ყველა“ [რჩეულიშვილი 2007ა, 262].

ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვის“ კითხვისას ახალგაზრდა მწერალი ფიქრობს მოხუც ბებია საშაზე, ივანე ჯავახიშვილის დაზე, რომელიც, როგორც ჩანს, თავისი შეუპოვრობითა და მარად ახალგაზრდული სულით ჰგავდა ამერიკელი მწერლის ამ პერსონაჟს. მოთხრობაში „მე ახლა ბედნიერი კაცი ვარ“ ვკითხულობთ: „ახლა ჰემინგუეით ვიყავი გატაცებული. ძლივს ჩავიგდე ხელში მისი „მოხუცი და ზღვა“ და გვიანობამდე ვკითხულობდი. ვიგონებდი ბებიაჩემს, ვადარებდი მეზღვაურის სიცოცხლისუნარიანობას“ [რჩეულიშვილი 2002, 159]. ალექსანდრა (საშა) ჯავახიშვილს თავადაც ძალზე ჰყვარებია ლიტერატურა. მწერალი იგონებს, როგორ

უკითხავდა და უთარგმნიდა იგი ფრანგულიდან მოპასანს და დეკლამირებდა ფრანგი რომანტიკოსის, ალფრედ დე მიუსეს, ლექსებს [რჩეულიშვილი 2002, 160].

მხატვრული ლიტერატურის ფურცლებზე გაცნობილი გმირები მწერლისთვის არანაკლებ ხელშესახებნი და „ნამდვილნი“ ჩანან, ვიდრე რეალურად არსებული გარემო. ესენია: „ბედისწერის წყალობით თვალდათხრილი ოიდიპოს მეფე“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 97], სიკეთის კეთების სურვილში მარტო მყოფობით სასაცილოდ ქცეული დონ-კიხოტი, ამ პერსონაჟით მარტოსული - პიკვიკი, მსგავსი ხასიათის მქონე, მაგრამ რუსული რეალობიდან - თავადი მიშკინი, მსოფლიოში ნიავეით მქროლავი და, ამავე დროს, მძიმე ხვედრის მატარებელი ჩაილდ ჰაროლდი, ცალ-ცალკე სუსტი და ერთად ტიტანური ძალის მქონე ფაუსტი და მეფისტოფელი - და სხვანი. მწერლის თქმით, ეს არის „დიდი გალერეა სხვადასხვა ერთა ძირითადი ხასიათებისა, რომელთაგან თვითეული უზომოდ ახლოა ქართველი კაცის ბუნებასთან, ინტელექტთან, ემოციებთან“ [რჩეულიშვილი 2007ბ, 98].

50-იანი წლების ინტერტექსტუალობის შესახებ გამოთქმულია აზრი, რომ, პოსტმოდერნიზმისაგან განსხვავებით, ეს არის: „გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული გადაძახილი ტექსტებს შორის დიალოგური პრინციპით, ტექსტის მეხსიერების გაფართოება სხვა ტექსტების მეშვეობით, ანუ აქტიური ურთიერთდღიარება, ცნობიერებათა დიალოგი საერთო სააზროვნო ველის კონსტრუირების მიზნით“ [კვაჭანტირაძე, 2016, 11]. გურამ რჩეულიშვილთან გვხვდება როგორც პირდაპირი ციტირებები, ისე შედარებები და ალუზიები. ისინი ტექსტებში სხვადასხვა ფუნქციით არის გამოყენებული: ხან ეპიგრაფად უძღვის ნაწარმოებს, ხან რაღაც თემაზე ან მხატვრულ სახეზე მისანიშნებლად, ზოგან კი მთელი ნაწარმოები სხვა ტექსტის გამოძახილია. მწერლის თხზულებებში ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ჩნდებიან როგორც უძველესი მითოსური გმირები [ნინიძე, 2010, 195-204], ისე მსოფლიო ხელოვანები თავიანთი ნაწარმოებებით, პერსონაჟებით, თემებითა და აზრებით. მაგალითად, მის მინიატურებში ვკითხულობთ: „მიყვარდა მეფე ოიდიპოს თავისი ვნებით, თავისი ბედით, დანიის პრინცის ჰამლეტის ყველა სისუსტეები და ჩაილდ ჰაროლდის მოწყენილობა“ [რჩეულიშვილი, 2006, 416]. მისთვის მთელი მსოფლიო ლიტერატურა და კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ნააზრევი ერთი მთლიანობა იყო და

ერთნაირად იზიდავდა.

რჩეულიშვილის მხატვრულ შემოქმედებაში ბევრგან შეხვდებით მისსავე დღიურებსა და ბარათებში აღწერილი ფაქტების გამოძახილს, მაგრამ ზოგჯერ ეს მოვლენები სახემეცვლილია რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებთან მათი ასოცირების შედეგად. ახალ ათონში ნამთვრალევეზე აფხაზ ბიჭებთან მომხდარმა უაზრო ჩხუბმა, რომელშიც გურამთან ერთად მისი მეგობარი მავრი ზალდასტანიშვილი მონაწილეობდა, მწერალს ფრანსუა რენე შატობრიანის „უკანასკნელი აბენსერაჟის“ [შატობრიანი, 1947] გმირი - ესპანელი მავრი - აბენ ჰამეტი გაახსენა, აფხაზებმა - აბენსერაჟები და ქალაქის არქიტექტურაში შემოჭრილმა თეთრად შეთხიპნილმა რუსულმა სახლებმა - შატობრიანის მიერ აღწერილი გრენადა, სადაც „არაბთა მსუბუქი არქიტექტურა დაქორწილებულიყო გოთურ არქიტექტურაზე“ [შატობრიანი 1947, 77]. ამ ასოციაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეალურ ამბავზე აგებული სიუჟეტი, „აფხაზებისაგან მაგრად ნაბეგვმა ბიჭმა“ [ავალიანი, 2012, 15] უცებ დაივიწყა წყენა და ერთ ღამეში ფრანგული მოთხრობის იდენტური სახელწოდებით დაწერა ნოველა, რომელშიც მავრთა ცნობილი საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენლისა და თავისი საკუთარი განცდები აფხაზ ჭაბუკს მიაწერა. შატობრიანის მოთხრობაში ორთაბრძოლა იმართება არა ქალის (მავრის სატრფოს – ესპანელი ჰერცოგის ასულ ბლანკა სანტა ფეს) მიზეზით, არამედ აბენსერაჟთა მიწის მფლობელობაზე პრეტენზიის გამო. ამდენად, ლოგიკური იყო, რომ ქართველმა ავტორმა აფხაზ აჩხას რუსები დაუპირისპირა.

გურამ რჩეულიშვილის პირად წერილებსა და დღიურებში ბევრგან არის ვრცელი საუბარი ლიტერატურისადმი და ამა თუ იმ ავტორის, ან თხზულებისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ. ბუნებრივია, ასეთი ტიპის ჩანაწერები ლიტერატურულ კრიტიკად, ან ლიტერატურათმცოდნეობით ნარკვევად ვერ ჩაითვლება, მაგრამ უაღრესად საინტერესოა თავად მწერლის პოზიციისა და შეხედულებების საკვლევადა [Kralj, 2006, 323-330]. მაგალითად, ერთგან თეოდორ დოსტოევსკიზე წერს, რომ თავისი სტილისა და ოსტატობის წყალობით, შესანიშნავად გადმოსცემს ადამიანის განცდებს და აღწევს „კაცობრიობის სულის იმ ჯურღმულებში, სადაც ბევრმა სცადა შესვლა, მაგრამ დამარცხდა ან საერთოდ ვეღარ დაბრუნდა“ [რჩეულიშვილი 2007ა, 43]. მას ასევე ძალიან მოსწონს ბაირონი,

რომელსაც უწოდებს „უარტიტეს პიროვნებას ხელოვანთაგან“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 94].

ზოგჯერ მწერალი ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა ავტორს ან მათი შემოქმედების გარკვეულ ასპექტებს. მაგალითად, ტოლსტოის წაკითხვის შემდეგ ფრანგი მწერლის – არმან ლანუს რომანი „მაიორი ვატრენი“, რომელმაც 1956 წელს საფრანგეთის ლიტერატურული პრემია მიიღო, უმწეოდ ეჩვენება [რჩეულიშვილი, 2007ბ, 49]. საკუთარ პერსონაჟთა სიკვდილისადმი სხვადასხვა ავტორის დამოკიდებულების შესახებ წერს, რომ გოლზუორთისთან - „გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი თვითონ კვდება ფორსაიტების ყველა სიკვდილთან ერთად“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 147], შექსპირთან კი, მიუხედავად იმისა, რომ კვებიან ბოროტებიც და კეთილებიც: იაგოც და მავრიც; კლავდიუსიც და ჰამლეტიც, იგი ისეთი ოპტიმიზმით აღწერს ამ ტრაგიკულ ამბებს, რომ „მხნევდები და ორივე, სიკვდილ-სიცოცხლე, ჯანსაღი ჩანს“ [რჩეულიშვილი 2007ბ, 84].

თავისი თანამედროვე ლიტერატურის შესახებ რჩეულიშვილი წერს, რომ ის მელანქოლიითაა გაჟღენთილი”, მაგრამ დასავლეთევროპული და ამერიკული მელანქოლია რადიკალურად განსხვავდება საბჭოურისაგან. იქ სატირა მთლიანად შეცვალა უაზრო ანგლობამ, უმტრიხო ხუმრობამ და უგრძნობო აზრმა” [რჩეულიშვილი 2007ა, 418], ყოველ ნაბიჯზე იპარება საშინელი სიცარიელე, დაღლილობა, უმწეობა და ამაოა ეგზოტიკის შემოტანის ცდები. მწერლის აზრით, ტექნიკურმა პროგრესმა თითქოს დააბრუა და უნიციატივო გახადა ადამიანი.

სრულიად კონტრასტული ვითარებაა საბჭოთა კავშირში, სადაც ხალხის მასა ყველაფრით აღფრთოვანებულია და განიცდის „სიგიჟემდე სწრაფად აალებად სიხარულს“. აქ მოქმედებს ლოზუნგი - „რაც შეიძლება მეტი აღტაცება!“ [რჩეულიშვილი 2007ა, 418] და ამის მიზანია ის, რომ არავინ ჩავარდეს მელანქოლიაში. მწერლის თქმით, მელანქოლიკებში შედის ხალხი, რომელიც არ ყვირის, რომელიც აზროვნებს. როგორც ვხედავთ, ავტორი მკაცრად აშიშვლებს საბჭოთა რეალობას, მაგრამ ნიშანდობლივია მსჯელობის ბოლოს გამოთქმული ვარაუდი, რომ მელანქოლია შეუწყნარებელია ორივე ბანაკისათვის. იქით მას უპირისპირდება საზოგადოებრივი ზიზღი, მასხრად აგდება, „აქეთ... სპობენ, როგორც სარეველას“ [რჩეულიშვილი 2007ა, 419].

რჩეულიშვილის აზრით, ასეთ მდგომარეობაში მყოფი მწერლები ვეღარც თავად განიცდიან და ვერც პერსონაჟებს განაცდევინებენ იმას, რაც „კრავდა ყველა დიდ მოღვაწეს და მის გმირს, დაწყებული ატლანტიდან, რომელსაც დედამიწა ადევს ზურგზე, გათავებული ტანწერწერტა, ერთი შეხედვით, თავქარიანი, დიდების მაძიებელი ფრანგი ჟულიენ სორელით“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 418]. ამ განცდად რჩეულიშვილი მიიჩნევს ღრმა უკმაყოფილების გამომხატველ ტანჯვას. თანამედროვე მწერლობაში იგი შეცვალა უკმაყოფილების იერმა და ამ იერის გაუთავებელმა დაცინვამ. მწერლის აზრით, „ჰემინგუეიც სერვანტესის სიმსუბუქით წერს, მაგრამ არავითარი მისწრაფება არა აქვს მონუმენტალურობისკენ, რადგან ამ ეპოქაში ასეთი მცდელობა სიძველის ელფერს იღებს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 420] და თანამედროვეთა მიერ სათანადოდ ვერ ფასდება. ამის მაგალითად მოჰყავს თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“. რჩეულიშვილი საუბრობს მონუმენტური გმირების მსხვერვაზე და ერთმანეთს დამსგავსებული პერსონაჟების სიუბზეზე, რომლებიც თითქოს თავ-თავისთვის ერთობიან.

თავისი თანამედროვე ევროპული და ამერიკული ლიტერატურის საოცარი დახვეწილობის მიუხედავად, გურამ რჩეულიშვილს არ მოსწონს, რომ მასში ემოცია მთლიანად ჩაანაცვლა ინტელექტმა. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს პოპულარული მწერლის - ერიხ მარია რემარკის მაგალითი, რომლის გმირებიც, მისი თქმით, „ყოველ გაჭირვებას, სულიერს თუ ფიზიკურს... ბუნებრივობით იღებენ... არ არის არაფერი, რაც გააკვირვებდეს... წამით მაინც ამოაგდებდეს, პირდაპირი თქმით, გააგიჟებდეს ჰამლეტივით, დონ-კიხოტივით ან დოსტოევსკივით, ან ოდიპოს მეფის მსგავსად, არა, ისინი არიან სიტყვასიტყვით ყველაფრის მომლოდინე ამ ცხოვრებისაგან, ყველაფრის მცოდნენი“ [რჩეულიშვილი 2004, 288]. ერთადერთი, რითაც ისინი რეაგირებენ მწარე რეალობაზე, არის ირონია. მწერალი ხედავს, რომ ეს ეპოქის დაღია. საზოგადოება დგას „უშნოდ დაჭკვიანების“ საფრთხის, ხელოვნება კი ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ასახვის წინაშე და ამ დინებაში მოქცეულები სასიკეთო გავლენას ვეღარ ახდენენ ერთმანეთზე.

რჩეულიშვილის თქმით, ადრე „ინტელექტის სიღრმესთან ერთად ინტუიცია ხედავდა და ქმნიდა“, მის თანამედროვე ხელოვნებაში კი მთელი შემოქმედებითი პროცესი ინტელექტს დაემყარა, მათ შორის, აბსტრაქციონისტებისაც კი, „რომლებიც

ერთი შეხედვით მხოლოდ ემოციებისა და შინაგანი განწყობის გადმოცემაზე იყვნენ ორიენტირებულნი“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 96]. მწერალს ენატრება გულწრფელი ემოცია. იგი შენატრის შექსპირს, რომელიც, მისი რწმენით, სიუჟეტისა და ფილოსოფიური საფარველის წინასწარგანჭვრეტის მიუხედავად, თავადვე „გაოცებულია, გულმოკლული და სიგიჟემდე აღშფოთებული იმ მუდმივი საბედისწერო შეცდომით, რამაც მავრს თავისი სიყვარული დაახრჩობინა“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 94].

რაკი ვიცოდით რა მწერლის დამოკიდებულება როგორც ეროვნული, ისე უცხოური ლიტერატურული ტენდენციებისადმი, ბუნებრივია, გაგვიჩნდა სურვილი, დავკვირვებოდით, განსხვავდება თუ არა მისი შემოქმედება თითოეული მათგანისგან. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ განსხვავება ქართულისაგან უკავშირდება არაორდინალური, არანომენკლატურული, „უპასპორტო“, „ბინის დავთარში ჩაუწერელი“ პერსონაჟების წარმოჩენას, რაც დასავლური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი, მაგრამ მიუღებელი და უჩვეულო საბჭოთა მწერლობისთვის. რჩეულიშვილის აზრით: „ხელოვნებისათვის არ არსებობს არასაჭირო, ცუდი ხალხი, არიან ამოვარდნილები კალაპოტიდან, სხვა იდეებით შეპყრობილები... ბოროტმოქმედნი... ყველანაირი ხალხი, ოღონდ ყოველი მხრიდან მხოლოდ ნამდვილი ადამიანები - მისი გამოხატვის ათასნაირი ვნებით“ [რჩეულიშვილი, 2004, 292] და ის წერდა ამ ხალხზე, მოსწონდა ეს ხელისუფლებას, თუ არა. მეორე მხრივ, მწერლისთვის მაინც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, იცოდეს, რომ მისი თხზულებები მკითხველამდე მივა, გურამ რჩეულიშვილს კი ამასთან დაკავშირებით იმედი გაცრუებული ჰქონდა. იმ ჟანდარმულ სახელმწიფოში, რომელშიც ის ცხოვრობდა, საწერი თემები და ჩარჩოები წინასწარ იყო განსაზღვრული. ამიტომაც გამოთქვამს გულისტკივილს: „გაჭირვებით მემორჩილება კალამი, როცა წინასწარ ვიცი, რომ ეს ნაწარმოები, როგორც ყოველივე სხვა, ჩემგან დაწერილი, განწირულია არდაბეჭდვისთვის და როდის მერე, როცა ოცდახუთი წლისა ვარ, სავსე სახელის, დიდების და დაუსრულებელი შემოქმედების სურვილით. ეს არდაბეჭდვის პრობლემა... მიკარგავს ყოველგვარ სურვილს ვწერო მხატვრულად უფრო დაკვირვებით ან რაიმე ფორმა მივცე სიუჟეტს. უბრალოდ, ერთი რამე მიკვირს - რომ წერას საერთოდ არ ვანებებ თავს“ [რჩეულიშვილი, 2007ა, 421].

მახასიათებელი, რომელიც რჩეულიშვილს დასავლური ლიტერატურისგან განასხვავებდა, უკავშირდება ავტორის განცდების გამოხატვას. როგორც ვნახეთ, რჩეულიშვილი ამის ნაკლებობას გრძნობდა მისი თანამედროვე უცხოელი მწერლების ნაწერებში, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ რა გზა აირჩია პირადად მან ამ პრობლემის დასაძლევად. ნაწარმოებებში შემოსული მისი ალტერ ეგო სიტყვიერად კი არ გამოხატავს თავის განცდებს და დამოკიდებულებას სიუჟეტური მოვლენებისადმი, არამედ მოქმედებით. მაგ.: „ალავერდობაში“ გურამი კი არ შესძახებს ამ ხალხს, რას აკეთებთ, რას ჰგაგხართ, გამოფხიზლდითო ან მკითხველს კი არ შესჩივის, უსახურ ღრეობად აქციეს რელიგიური დღესასწაულიო, არამედ ისეთ რამეს აკეთებს, რაც მათ ძალაუწებურად, თუნდაც სულ ცოტა ხნით გამოაფხიზლებს: ცხენზე ამხედრებული საოცარი სისწრაფით არღვევს ამ ბრბოს, შემდეგ კი ადის ტაძრის გუმბათზე და იქედან იპყრობს მათ ყურადღებას.

ძალზე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი რამ. რჩეულიშვილის მოთხრობებისა და ნოველების უმრავლესობა ავტორის ცხოვრებისეულ ფაქტებზეა აგებული და მისი ქმედითი ჩარევა მიმდინარე მოვლენებში ლიტერატურაში გადატანამდე რეალურად ხდება. ვიდრე „ალავერდობის“ პერსონაჟი შეეცდებოდა საზოგადოების გამოფხიზლებას, ეს ზუსტად ასე რეალურად სცადა თავად გურამ რჩეულიშვილმა. შესაბამისად, იგი არათუ ნაწარმოებში ერევა აქტიურად, არამედ ცხოვრებასაც უყურებს, როგორც ავტორი და, თუ „სიუჟეტი“ მოსაწყენია, ცდილობს გაამძაფროს. მას რეალობაშივე შეაქვს კორექტივები და ამიტომ არის საინტერესო საკითხავი ამ რეალობაზე დაფუძნებული მისი ნოველები. „ალავერდობასთან“ დაკავშირებით თავის ქმედებას ავტორი ასე განმარტავს: „ძნელია ექსცენტრიული, ბუნებით ეგზოტიკით სავსე შემოქმედისთვის ყველაფერი ამის ყურება... ყველაფერი კარგავს მისთვის მნიშვნელობას, გარდა ერთისა: არტისტულ არენად აქციოს ყველაფერი და მაყურებელი დააინტერესოს ამ წამში ერთი ამბით, ერთი მიზნით, ერთის ბედით“ [რჩეულიშვილი, 2004, 139].

გურამ რჩეულიშვილს ესმის, რომ ემოციებისგან დაცლა ეპოქის დაღია, რომ უკვე გიძნელდება ნაკადულის სიმშვენიერის აღწერა, როცა „დაღეჭილად“ იცნობ მის ქიმიურ შედგენილობას. გიჭირს, იფიქრო იმაზე, თუ „რას დუდუნებს მტკვარი“, როცა იგი ახლა „ყველაზე საჭიროა ჰიდროელექტროსადგურისთვის“. მეორე მხრივ,

მწერალს არ სჯერა, რომ ემოციის ასეთი დეფიციტი დიდხანს გასტანს, რადგან „უპოეზიოდ ჩიტი და ყვავილიც კი არ გაუჩენია მაღალ შემოქმედს“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 94] და, მისი რწმენით, არც ამ ეპოქას დასჯიდა ასეთი წყევლით.

გურამ რჩეულიშვილის აზრით, მის თანამედროვე დასავლურ ლიტერატურაში ჭარბად იყო ირონია, რაც ნაწარმოებს სიმსუბუქეს და ხიბლს აძლევს, მაგრამ ვერასოდეს ჩაანაცვლებს წრფელ ემოციას, თუნდაც პრიმიტიულ ტირილს ან სიცილს, „რომლის გარეშეც ნამდვილი ხელოვნება წარმოუდგენელია“ [რჩეულიშვილი, 2004, 436]. რამდენადაც უცხოური ლიტერატურის ეს მახასიათებელი მწერალს ნაკლად მიაჩნდა, ბუნებრივი იქნებოდა, თავის ნაწერებში ამისთვის რაღაც დაეპირისპირებინა. ვფიქრობთ, ირონიის საპირწონე მის თხზულებებში არის თვითირონია და თვითკრიტიკა, ზოგჯერ ირაციონალურიც კი. მაგალითად, ეპიზოდი მოთხრობიდან „უსახელო უფლისციხელი“, რომელშიც მწერლის ალტერ ეგო ისტორიული ძეგლის კედელზე Волков-ის და Topmashov-ის გვარების გვერდით თავის გვარს ამოკაწრავს. ყოვლად წარმოუდგენელია ამ დეტალის შემთხვევითობა მოთხრობაში, რომლის მთავარი სათქმელია, როგორ უსახელოდ იკარგებიან ქვეყნისთვის თავგანწირული გმირები.

მწერლისთვის, რომელიც ხედავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვნება პარტიის მეხოტბედ აქცია, და რომელიც ამასთანავე კარგად იცნობდა ამგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალ, თანადროულ მსოფლიო ლიტერატურას, ძნელი იქნებოდა არ მოქცეულიყო ამ უკანასკნელის გავლენის ქვეშ. მართალია, გურამ რჩეულიშვილი მოხიბლული იყო ევროპული და ამერიკული ხელოვნების „ტაქტით, გემოვნებითა და არაზედმეტობით“, მაგრამ არ იყო ამ ხიბლით დაბრმავებული. იგი კარგად ხედავდა აკრძალულის მაცდუნებელ მიმზიდველობაზე წამოგების საფრთხეს და ახერხებდა მისთვის თავის არიდებას. ამაში მწერალს, პირველ რიგში, ის ეხმარებოდა, რომ ჯანსაღად აფასებდა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის ავ-კარგს. მას ვერ თრგუნავდა ის, რომ მცირე ერის შვილი იყო, როგორც მწერალს ამის გამო არ უჩნდებოდა არასრულფასოვნების კომპლექსი. მან კარგად იცოდა რუსთველის, ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძისა და ქართული მწერლობის სხვა კორიფეების რეალური სიმაღლე.

გადავწყვიტეთ, თვალი მიგვედევნებინა, რა სახის გავლენებზე შეიძლება

საუბარი გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებასთან მიმართებით და რა აზრისა იყო თავად ასეთ გავლენებზე. პირადად მისი გადასახედიდან, გავლენა მაშინ არის ცუდი, როდესაც მექანიკურად ბაძავ და რასაც აკეთებ, ის გათავისებული არა გაქვს, შენს ქურაში არ გამოძწვარა. ჯანსაღი გავლენის შესახებ მწერალს საკუთარი აზრი ჩამოყალიბებული აქვს „სიტყვა-ლოზუნგში“: „პროგრესი გარედან გარეგნული და შიგნიდან შინაგანი – ჯამი პროგრესი ეროვნული“ [რჩეულიშვილი, 2004, 10]. ანუ გარეგანი მხარე შეგიძლია ვინმესგან აიღო, მაგრამ შინაგანი შენგან უნდა მოდიოდეს.

მწერლის დის გადმოცემით ცნობილია, რომ რუსულ ენაზე თარგმნილი «Японская Поэзия» გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთი სამაგიდო წიგნი იყო. ნოველის „სიყვარული მარტის თვეში“ ეპიგრაფი ამ წიგნიდან არის ამოღებული. კერძოდ, ეს არის ისიკავა ტაკუბოკუს სიტყვები: „Так захотелось просто быть в пути / И ехать в поезде! Поехал. / А с поезда сошел, и некуда идти“ [რჩეულიშვილი 2004, 713]. თავად გურამ რჩეულიშვილის 1957 წლის ერთი დღიურიდან ვიგებთ, რომ მინიატურების წერა მან სწორედ იაპონური პოეზიის გავლენით დაიწყო. ახალგაზრდა ხელოვანს მიაჩნდა, რომ მინიატურებით მეტი სიბრძნის თქმა შეიძლება, მაგრამ აღმოსავლურ პოეზიაში გამოთქმული სენტანციები, მისი აზრით, ის სიბრძნეები იყო, „რომელსაც ადამიანი ვერასოდეს ვერ აკეთებს“ [რჩეულიშვილი, 2004, 434], მათ შორის, თავად ავტორიც. შესაძლოა, მისი ამ დამოკიდებულებით იყოს გამოწვეული, რომ თავად რჩეულიშვილი მინიატურების უაღრესად მოქნილ და შთამბეჭდავ ფორმას იყენებს არა სიბრძნეების, არამედ „შეყენებული წამის“ და განწყობის გადმოსაცემად. მაგ.: „ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, ჭყეტია ფერები: იდგა დოყლაპია გამოფენაზე“; „ჰემინგუეი! ახალი სტილი. მოხუცი ზღვაში. თევზი დაგლეჯილი ზვიგენის პირით“ [რჩეულიშვილი 2004, 428].

თანამედროვეთა მოგონებებიდან ცნობილია, რომ 1956 წლის დასაწყისში, კარპატებში გამგზავრების წინ, გურამ რჩეულიშვილი თავაუღებლივ კითხულობდა ჰემინგუეის მოთხრობებს და პიესას „მეხუთე კოლონა“, შემდეგ ფურცლები და საწერ-კალამი ჩაიდო ჯიბეში და თქვა - წერას ვიწყებო [რჩეულიშვილი, 2002, 195]. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ამერიკელ კლასიკოსს გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა მის გადაწყვეტილებაზე, გამხდარიყო მწერალი. შესაძლოა, სწორედ ამიტომ აირჩია ნოველების წერა, აიღო გარკვეული მანერაც, დიალოგების სიმრავლე და ბუნებრიობა

და სხვა გარეგანი ნიშნები, მაგრამ ეს არ იყო მექანიკური ბაძვა. ამიტომ არ მოსწონდა, როდესაც მას და მის თანამედროვე სხვა მწერლებს უყურებდნენ, „როგორც გადმომმღერებელს ევროპული თუ ამერიკული „დაკარგული თაობის“ მოტივებისა“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 100].

1959 წელს თბილისიდან ხოსტაში დედისთვის გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ წყალტუბოში ყოფნისას მან ორი მოთხრობა დაწერა, მისივე თქმით, „ფოლკნერის სტილში“ [რჩეულიშვილი 2007ბ, 92]. მარინე რჩეულიშვილის აზრით, მათში უნდა იგულისხმებოდეს „თეთრი მონები“ და „ნათელა“, ან „გოგან გაგანია“ [რჩეულიშვილი 2004, 219]. პირველი ნოველის პროტაგონისტი 12 წლის შავკანიანი გოგოა, რომლის ბედი ბანქოს თამაშით გადადის ხან გემის კაპიტნის, ხან ბადრაგის უფროსისა და ხან მონების პატრონის ხელში. აღწერილი გარემო და ფაბულა აშკარად უფრო ახლოს არის ფოლკნერთან, ვიდრე თავად გურამ რჩეულიშვილთან, მაგრამ შავკანიანი ქალების მიმართ ძალადობის თემაზე ამერიკელი მწერლის მიერ დაწერილი ნოველებისგან (მაგალითად „როცა ღამდება“, რომელიც იმ დროს უკვე გამოქვეყნებული იყო რუსულ ენაზე) განსხვავებით, ქართველი ავტორი სიუჟეტისადმი თავის დამოკიდებულებას მკვეთრად გამოხატავს. ტექსტს, რომელშიც რამდენიმე თეთრკანიანი ძალადობს პატარა შავკანიან გოგონაზე, სათაურად არქმევს „თეთრ მონებს“ და, ბუნებრივია, „მონობაში“ გულისხმობს სულიერ მონობას, ცოდვის მონობას და არა ფიზიკურს, რადგან ნაწარმოების არც ერთი თეთრკანიანი პერსონაჟი ამ თვალსაზრისით მონა არ არის.

სხვა ვითარებაა ნოველებში „ნათელა“ და „გოგან გაგანია“, რომელთაგან ფოლკნერთან სიახლოვეს, ჩვენი აზრით, ავლენს უკანასკნელი. აქ უფრო ძნელია ამერიკელ მწერალთან მსგავსების დაჭერა, რადგან ანტურაჟი ქართულია. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოვყოთ ფოლკნერისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები: ა) უცნაური ტიპაჟი [Urgo, 2004, 179]: ნოველის პროტაგონისტი გოგონა გაგანია ზებუნებრივი ფიზიკური ძალის მქონე ადამიანია; ბ) უცნაური სიტუაცია [Fargnoli, 2008, 292]: ქუჩაში მიმავალი გოგანი ხელით ასწევს ვიდაცის მანქანას ისე, რომ მფლობელი გადმოსვლას ძლივს ასწრებს, შემდეგ აიტაცებს პოლიციელებს და აქეთ-იქით გადაისვრის ქვაფენილზე, ბოლოს კი ორ მეგობართან ერთად, გაურბის მათ და სახანძრო მანქანის კიბით ადის ოთხსართულიანი სახლის

სახურავზე; გ) კონტრასტები [Anderson, 2002, 18-22]: გოგანის პატარა, კოჭლი დედის, ზურგზე გოდორმოკიდებული კესარიოსას გარეგანი სახე და მისი უკიდუგანო სიამაყე; დ) საშიშის და სასაცილოს შერწყმა [Skei, 1988, 84-88]: სახურავზე მყოფი გოგანი მოულოდნელად გაჩენილ სიმაღლის შიშს სიცილით სძლევს და მას აჰყვებიან სხვებიც. ასეთი გარეგანი მახასიათებლებით შემოიფარგლება ის მიმართება უცხოელი მწერლის სტილისადმი, რომელზეც თავად ავტორი საუბრობს, მაგრამ ხასიათები და ტიპაჟები სრულიად ორიგინალურია.

რამდენადაც ახალგაზრდა მწერალი კარგად აცნობიერებდა თავისი შემოქმედებითი სივრცის გახსნილობას, გასაკვირი არ არის, რომ იგი ბევრს ფიქრობდა და წერდა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთმიმართებაზეც. რჩეულიშვილს მიაჩნდა, რომ ჩვენი მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ორგანული ნაწილია და „დიდი საერთო აქვს სხვა ქვეყნების კლასიკასთან“. სწორედ ამ გადასახედიდან აფასებს იგი დიდ ქართველ ავტორებს. მაგალითად, რუსთველის შესახებ წერს, რომ „ამ ტიტანთან ფილოსოფიურად და შინაარსობრივად გააზრებულია მსოფლიო ვნებით შეპყრობილი ქართველის სულიერი სილაღე, მისული მისტერიულ ძახილამდე – ჩვენ ვართ მთელი მსოფლიო, მასავით კარგი და ცუდი, მსოფლიო თავისი ტანჯვით, პოვნით და ცუდშიაც გამართლებული თავისი არსებობით“ [რჩეულიშვილი, 2007ბ, 98].

ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა, რომ თავად გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაც არ არის ამ მხრივ გამონაკლისი. კლასიკოსთა თხზულებებისა და მისი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის კითხვა და რეფლექსირება მრავალფეროვან კვალს ტოვებს მის შემოქმედებაზე. ეს არის ციტირებები, შედარებები და ალუზიები, რომელთა ანალიზიც დიდ დახმარებას გვიწევს მწერლის მხატვრული ნააზრების სრულყოფილ აღქმაში.

დასკვნა

ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანები, ანუ ბიობიბლიოგრაფიები, პიროვნებათა შესახებ არსებული ყველაზე ამომწურავი საცნობარო ხასიათის გამოცემებია, მაგრამ, რამდენადაც ამ გამოცემებში ირეკლება ეპოქის სახეც, მათ კიდევ უფრო ფართო ისტორიულ-კულტურული ღირებულება გააჩნია.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანზე მუშაობისას ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა იმჟამინდელი საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენისა და წრის შესახებ. გავიცანით იმჟამინდელი ინტელიგენცია, სტუდენტები, „ძველი ბიჭები“, ქურდები, გლახაკები და სხვ. ბევრი რამ შევიტყვეთ მათი ყოველდღიური ყოფის, ინტერესებისა და მისწრაფებების შესახებ. ასევე ბევრი რამ გავიგეთ ქვეყანაში გაბატონებული სოციალისტური წყობის თავისებურებებზეც: როგორი ზეწოლით ხორციელდებოდა პარტიული ყრილობების დადგენილებები, რა არ იყო მისაღები ცენზურისათვის, როგორ ცდილობდნენ, სტანდარტულ ჩარჩოებში მოექციათ ადამიანების თავისუფალი ნება და სხვ.

2014 წლიდან საქართველოში დამკვიდრდა მატთანის შედგენის პროცესის ინტეგრირება ტექსტოლოგიურ კვლევებთან, რამაც იმდენად კარგი შედეგი გამოიღო, რომ გაჩნდა სურვილი შექმნილიყო კიდევ არაერთი მსგავსი მატთანე. განსაკუთრებით საშურად იქნა მიჩნეული მე-20 საუკუნის მწერალთა მატთანების შექმნა. სახელოვან ადამიანთა გარდაცვალების შემდეგ მათ შესახებ არსებული ცოცხალი ინფორმაცია თანდათანობით იკარგება და მნიშვნელოვანია, რომ მათი ბიობიბლიოგრაფიები შეიქმნას თანამედროვეთა სიცოცხლეშივე, როცა მეტი საშუალება არსებობს როგორც ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესავებისგან ინფორმაციის მოპოვების, ისე წყაროებისა და დოკუმენტების თავმოყრისთვის.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავდა ზემოხსენებული ამ გამოწვევების გათვალისწინებას და გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართველი მწერლის - გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის შესაქმნელად კვლევების წარმოებას. ნაშრომში ასახულ მეცნიერულ ძიებებს წინ უსწრებდა ჩვენ მიერ მწერლის არქივის დიგიტალიზაცია და კატალოგიზაცია.

გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა უაღრესად აქტუალურია, რამდენადაც ეხება უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს. მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ არ შექმნილა არც ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელშიც განხილული არ იქნებოდა მისი ნაწარმოებები. ამ მწერლის არაერთი ტექსტი არის გამოქვეყნებული კლასიკოსთა თხზულებების რჩეულ კრებულებში. მისი ნაწერები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. მისი სახელი შეტანილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ეროვნული სასწავლო გეგმისთვის თანდართულ რეკომენდებულ მწერალთა ჩამონათვალში, მისი თხზულებები ისწავლება უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, მის შესახებ დაწერილია მოგონებები, ცნობილი რეჟისორების მიერ გადაღებულია დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, მომზადებულია ტელე და რადიო გადაცემები. არსებობს მისი სახელობის საზოგადოება და ლიტერატურული პრემია.

გურამ რჩეულიშვილი გამორჩეულია არა მხოლოდ თავისი მაღალმხატვრული შემოქმედებით, არამედ ცხოვრებითაც. გარდა ამისა, მისი ყოველდღიურობა, მხატვრული შემოქმედება და დოკუმენტური ნაწერები ერთმანეთთან ძალზე მჭიდრო კავშირშია, ერთ მთლიანობას წარმოადგენს და მათი სრული სურათი მკითხველს ხელს შეუწყობს თითოეულის უკეთ აღქმაში. მწერლის ცხოვრების დეტალური ასახვა ასევე დაგვეხმარება ეპოქის სულისკვეთების, ქართველი ადამიანის ხასიათისა და ფსიქოტიპის თავისებურებათა გააზრებაში.

მიუხედავად გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების საყოველთაო აღიარებისა, დღემდე არ არსებობდა არც მის თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფია და არც მეტ-ნაკლებად ამომწურავი ბიოგრაფია. წინამდებარე ნაშრომის მეცნიერული სიახლე არის ის, რომ თანამედროვე მეთოდოლოგიითა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული კვლევებით მომზადდება საფუძველი მწერლის სრული ბიობიბლიოგრაფიის შესაქმნელად.

გამოყენებული მეთოდებიდან განსაკუთრებით ეფექტური იყო კორპუსული კვლევისა და ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდები, მაგრამ კონკრეტული მიზანდასახულობებიდან გამომდინარე, ხშირად მივმართავდით ისტორიულ-შედარებით, ინდუქციურ, დედუქციურ, გამორიცხვისა და

შემოქმედებით მეთოდებსაც.

ნაშრომს აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა. კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება „გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის“ შესაქმნელად, მიღებულ განზოგადებებსა და დასკვნებს კი აქვს თავისთავადი, თეორიული მნიშვნელობა. ტექსტოლოგიური კვლევები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მთავარი დასაყრდენია, რადგან ისინი უზრუნველყოფს ტექსტის ავთენტური სახის დადგენას და მასთან დაკავშირებული ისეთი ძიებების წარმოებას, რომლებიც აუცილებელია შინაარსისა და მიზანდასახულობის სრულყოფილი აღქმისათვის.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში შედის მხოლოდ ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია. ამიტომ ამ ტიპის გამოცემისთვის მთავარი დასაყრდენებია დოკუმენტური და მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები: პირადი წერილები, დღიურები, ცალკეული ჩანაწერები, განცხადებები, ოქმები, საბუთები და სხვ.

გურამ რჩეულიშვილი თავის დღიურებში არ ცდილობს რეალობის გალამაზებას ან საკუთარი თავის სხვებზე უკეთ წარმოჩენას. მისთვის ყველაზე ღირებული სიმართლეა. დღიურების ავტორთა უმრავლესობა ამბობს, რომ დღიურის წერისას ბოლომდე გულახდილია და მის ფურცლებს ყველაფერს ანდობს, მაგრამ გურამ რჩეულიშვილის 1956 წლის 27 აგვისტოს ჩანაწერში გვხვდება ოდნავ განსხვავებული აზრი. მწერალს არასწორად მიაჩნია დღიურებში აბსოლუტურად ყველაფრის წერა. მეორე მხრივ, თავად ის ფაქტი, რომ გურამ რჩეულიშვილი ამას დღიურის ფურცლებზე წერს და არ პოზიურობს, ბოლომდე გულწრფელი ვარო, შეიძლება სწორედ მის გულწრფელობაზე მეტყველებდეს. ამ ჩანაწერიდან ჩანს გურამ რჩეულიშვილის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მის დღიურებში შეიძლება ყველაფერზე არ იყოს საუბარი, მაგრამ რაც არის, სიმართლეა.

1958 წლის 23 სექტემბრის დღიურიდან კარგად ჩანს, რამდენად დიდია გურამ რჩეულიშვილში წერის შინაგანი მოთხოვნა, წერის „ვნება“. დღიურებს სულ სხვა ფუნქცია აქვს მათი შემქმნელისთვის და სულ სხვა - ფართო მკითხველისა და მკვლევრებისთვის. ის დღიურები, რომელთა წერაც ავტორს თავის დროზე საკუთარ განცდებში გარკვევაში ეხმარებოდა, ჩვენთვის მდიდარი და საინტერესო

ინფორმაციის მატარებელია. მწერლის მატანის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ დღიურებიდან მოპოვებულ ინფორმაციაზეა აგებული. მათგან ვიგებთ: როდის ვის შეხვდა, რა წაიკითხა, რა ფილმები ნახა, რომელ კონცერტებსა და წარმოდგენებს დაესწრო და სხვ.

მრავალი საუკუნის განმავლობაში მიმოწერა იყო შორ მანძილზე ადამიანთა კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება და, რამდენადაც წერილი, როგორც არტეფაქტი, ასწლეულებს უძლებს, მას ინფორმაცია გადააქვს არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც. დღესაც დიდი ინტერესით იკითხება და განსაკუთრებულ ისტორიულ-კულტურულ ღირებულებას იძენს საუკუნეების წინ მცხოვრებ პირთა წერილები.

გურამ რჩეულიშვილის პირად არქივში დაცულია მწერლის 54 პირადი წერილი, სხვა პირთა მიერ მისთვის გაგზავნილი 78 ბარათი და ახლობლების მიმოწერა ერთმანეთთან, რომლებშიც ასევე საინტერესო ცნობებია დაცული მის შესახებ. მწერლის ბიობიბლიოგრაფიისათვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს ყველა ეს ტექსტი და, შესაბამისად, შესწავლილ იქნა თითოეული მათგანი.

მიუხედავად იმისა, რომ გურამ რჩეულიშვილი თავის წერილებში ხშირად მსჯელობს ლიტერატურასა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე, მას თავადაც ესმის, რომ ეს მისი სუბიექტური დამოკიდებულებაა და არა კომპეტენტური მეცნიერული აზრი. ეს კარგად ჩანს 1959 წლის 5 ივლისს წყალტუბოდან ერლომ ახვლედიანისთვის გაგზავნილი წერილიდან.

გურამ რჩეულიშვილის პირად არქივში, მხატვრული თხზულებების, დღიურებისა და წერილების გარდა, დაცულია არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი. აქ არის ისეთი მასალა, როგორც დღემდე არსებულ კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების მატანეებში არასოდეს გამოყენებულა.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის შესახებ არსებულ მოგონებებსა და დღიურებს, რადგან მათში დაცულია ბევრი ისეთი ინფორმაცია, რასაც პირადად მის ნაწერებში ვერ შევხვდებით. მწერლის დედის, მარიამ ნიჟარაძის დღიურებში ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული როგორც გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების, ისე მისი ამა თუ იმ ჩვეულების, თვისებისა და, ზოგადად, ხასიათის შესახებ.

გურამ რჩელიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანისთვის მნიშვნელოვანი წყაროა მწერლის დის - მარინე რჩელიშვილის, უახლოესი მეგობრის ნუგზარ წერეთლისა და სხვა პირთა ვრცელი მოგონებები. ამიტომ ჩვენ ყურადღებით შევისწავლეთ და გავაანალიზეთ თითოეული მათგანი.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძირითადად ეფუძნება დოკუმენტურ ტექსტებს. მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანეების შედგენისას ინფორმაცია უმთავრესად მოიპოვებოდა პირადი წერილებიდან და დღიურებიდან, მაგრამ გურამ რჩელიშვილის შემოქმედება იმდენად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, რომ ძალიან ხშირად მატთანისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს მხატვრული ტექსტებიც.

მეორე მხრივ, მხატვრული თხზულების შინაარსს მატთანე ეყრდნობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეცნიერულად დასაბუთდება, რომ იგი შეიცავს ავტობიოგრაფიულ ელემენტებს. შესაბამისად, წყაროების შესარჩევად მნიშვნელოვანი იყო გურამ რჩელიშვილის მხატვრულ თხზულებებში დოკუმენტური ნარატივის გამოყოფა. ამ ასპექტით განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ მოექცა ის ნოველები, რომელთა ტექსტებშიც დღიურებია ჩართული და ის თხზულებები, რომლების პერსონაჟთა შორისაც გვხვდება ავტორის ალტერ-ეგო, ანუ მისი ე. წ. სუროგატი.

განსაკუთრებით მდიდარ ინფორმაციას შეიცავს ავტორის შესახებ მის მიერ შექმნილი ჰიბრიდული - მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები, რომლებშიც კომბინირებულია მხატვრული და დოკუმენტური ნარატივები. მათ ავტორი „დღიურ-ამბებსა“ და „ამბავ-დღიურებს“ უწოდებდა. ეს არის გურამ რჩელიშვილის მიერ ქართულ ლიტერატურაში შემოტანილი მხატვრულ-დოკუმენტური ჰიბრიდული ჟანრი, მწერლის გარემოცვაში მიმდინარე რეალური ამბებისა და მხატვრული ტექსტების კოლაჟი.

გურამ რჩელიშვილის მოთხრობების უდიდესი ნაწილის პროტაგონისტები ძალიან ჰგვანან მათ ავტორს გარეგნობით, ხასიათით, შეხედულებებითა და ბიოგრაფიული დეტალებით. მათი ნაწილი ავტორის სახელს ატარებს, მეორე ნაწილი - მის მიერ თავისი ალტერ-ეგოსთვის საგანგებოდ შერჩეულ რომელიმე სხვა სახელს,

მესამე კი - ნებისმიერ სახელს, მაგრამ მსგავსება ავტორთან ზუსტად ისეთივეა, როგორც სხვა დანარჩენ შემთხვევებში.

გურამ რჩულიშვილის რამდენიმე მოთხრობა მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა, მაგრამ, კვლევის შედეგად გაირკვა, რომ რედაქტორები არ ერიდებოდნენ ახალგაზრდა მწერლისთვის ტექსტების ჩასწორებას, ამიტომაც სიცოცხლისდროინდელი არც ერთი პუბლიკაცია არ ემთხვევა ავტოგრაფებს. ისინი ავთენტური სახით პირველად მწერლის დის მიერ მოამზადებულ ექვსტომეულში გამოქვეყნდა.

გურამ რჩულიშვილის არქივში დაცულია მისი და მასთან დაკავშირებული ათასზე მეტი ხელნაწერი. მას საგანგებოდ შემუშავებული ხელწერა აქვს, მაგრამ, როდესაც გაკრული ხელით წერს, მისი ტექსტების ამოკითხვა მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. განსაკუთრებული სირთულე ტექსტების ამოკითხვისას უკავშირდებოდა გაკრული ხელით წერისას გრაფემების ერთმანეთთან მიმსგავსებას, შერწყმას ან მაიდენტიფიცირებელი ნიშნების დაკარგვას.

გურამ რჩულიშვილის საარქივო მასალებზე მუშაობისას, ბუნებრივია, საჭირო გახდა, რომ გულდასმით შეგვესწავლა მისი ხელწერა. ამისათვის საგანგებოდ შევქმენით მისთვის დამახასიათებელ გრაფემათა ტიპურ და ატიპურ მოხაზულობათა ცხრილები, მაგრამ ზოგ შემთხვევებში კალიგრაფია იმდენად უჩვეულო იყო, რომ ეს ცხრილებიც ვერ გვეხმარებოდა და მივმართავდით კონტექსტური და გარეტექსტური ანალიზის მიკრომეთოდებს.

სირთულეებს იწვევდა ისიც, რომ გურამ რჩულიშვილი შავ ავტოგრაფებში იშვიათად იყენებს პუნქტუაციის ნიშნებს, ან, როგორც წესი, მათ წერს არა სიტყვის ბოლოს, არამედ მომდევნო სიტყვის წინ. ხოლო დაუსრულებელი ნაწარმოებების ფრაგმენტებში კონსტექსტის გამოყენება სიტყვის ამოსაკითხად არ ხერხდებოდა იმის გამო, რომ აზრი დაუსრულებელი ან გაუმართავი იყო და, როდესაც ამას ზედ ერთვოდა ხელწერის სპეციფიკიდან გამომდინარე სირთულეებიც, ამოკითხვა კიდევ უფრო ძნელდებოდა. მიუხედავად ამისა, უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ტექსტების ისეთი პასაჟების იდენტიფიცირებაც, რომლებზეც მწერლის თხზულებათა გამოცემებში ამოუკითხაობის გამო ფრჩხილებში ჩასმული მრავაწერტილით, ან ტირით იყო მინიშნებული.

ნებისმიერი მწერლის ავტოგრაფებში შეხვდებით გადახაზულ სიტყვებს და, ბუნებრივია, გურამ რჩეულიშვილთანაც, მაგრამ მასთან, გადახაზული სიტყვების გარდა, გვხვდება, როგორც თავად იტყოდა, „შანსიანად“, სრულ გაურჩევლობამდე გადახაზული მონაკვეთებიც. პარალელური ხაზებით გადაფარული ტექსტების უმრავლესობის ამოკითხვა მხოლოდ მაღალი ხარისხის ციფრული ასლების გამოყენებითა და დიდი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი, რადგან ეს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევდა ერთმანეთისაგან გაგვემიჯნა ნაწერის ორი შრე და ამოგვეკითხა გადახაზული ქვედა ფენა.

ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში მასალა ლაგდება ქრონოლოგიური პრინციპით. ამიტომ უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ მასში შესატანი ინფორმაცია მიახლოებით მაინც იყოს დათარიღებული. სწორედ ამიტომ მატთანის შედგენისას კვლევის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება დათარიღება იყო.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის შედგენაში მნიშვნელოვნად გვხვდება მისი პირადი წერილების დათარიღება. კორპუსული კვლევის საშუალებით მოხერხდა არაერთი ბარათის დათარიღება ან დროის დაზუსტება. წერილების დათარიღება, თავის მხრივ, ნიშნავს არა მხოლოდ თავად ამ ფაქტის - წერილის დაწერის დროის განსაზღვრას, არამედ მასში გადმოცემული მთელი ინფორმაციის დროის ზედა ან ქვედა ზღვრისა და ზოგჯერ ზუსტი თარიღის დადგენასაც.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში შესატან ანოტაციებში ხშირად გვხვდება ისეთი სახელები, მეტსახელები და სხვადასხვა სახის მინიშნებები პიროვნებებზე, რომელთა ვინაობაც მკითხველთა უმრავლესობისთვის შეიძლება უცნობი იყოს. გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამომცემელს, მარინე რჩეულიშვილს, ჰქონდა ინფორმაცია მწერლის არა მხოლოდ ნათესავებზე, არამედ მეგობრებზე, თანამშრომლებსა და ნაცნობებზეც და ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი შეტანილია ტექსტებისთვის დართულ შენიშვნებში, მაგრამ მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში შესატან მასალაში შეგვხვდა ისეთი გვარ-სახელებიც, რომელთა იდენტიფიცირებაც ჩვენ მოგვიხდა.

გურამ რჩეულიშვილის ნაწერებიდან იკვეთება მისი დიდი ინტერესი ხელოვნების სხვადასხვა დარგების მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია,

კონკრეტულად რომელ წარმოდგენებს, ფილმებსა და კონცერტებს ესწრებოდა, რომელ გალერეებს სტუმრობდა და სხვ., რასაც საარქივო მასალებიდან, დღიურებიდან და პირადი მიმოწერიდან ვიგებთ.

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებითი სამყარო ძალზე ფართო იყო. წიგნების კითხვით იგი იძენდა როგორც ცხოვრებისეულ, ისე შემოქმედებით გამოცდილებას. დღიურებსა და წერილებში ხშირად შევხვდებით მწერლის გამონათქვამებს ლიტერატურისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ და მათში არ ჩანს არავითარი საზღვრები, ქართული და უცხოური ერთმანეთის გვერდიგვერდ არის განთავსებული.

გენიოსთა ქმნილებების კითხვა რჩეულიშვილს ეხმარებოდა თვითშემეცნებაშიც. წაკითხულის გააზრებისას მწერალი ხშირად პოულობდა თხზულების პერსონაჟთა მსგავსებას თავის ნაცნობ-მეგობრებთან, წიგნის სიუჟეტური გარემოსას კი - ქართულ რეალობასთან. მხატვრული ლიტერატურის ფურცლებზე გაცნობილი გმირები მწერლისთვის არანაკლებ ხელშესახებნი და „ნამდვილნი“ ჩანან, ვიდრე რეალურად არსებული გარემო.

მწერლისთვის, რომელიც ხედავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვნება პარტიის მეხოტბედ აქცია და რომელიც, ამასთანავე, კარგად იცნობდა ამგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალ, თანადროულ მსოფლიო ლიტერატურას, ძნელი იქნებოდა არ მოქცეულიყო ამ უკანასკნელის გავლენის ქვეშ. მართალია, გურამ რჩეულიშვილი მოხიბლული იყო ევროპული და ამერიკული ხელოვნების „ტაქტით, გემოვნებითა და არაზედმეტობით“, მაგრამ არ იყო ამ ხიბლით დაბრმავებული. იგი კარგად ხედავდა აკრძალულის მაცდუნებელ მიმზიდველობაზე წამოგების საფრთხეს და ახერხებდა მისთვის თავის არიდებას. ამაში მწერალს, პირველ რიგში, ის ეხმარებოდა, რომ ჯანსაღად აფასებდა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის ავ-კარგს. მას ვერ თრგუნავდა ის, რომ მცირე ერის შვილი იყო, როგორც მწერალს, ამის გამო არ უჩნდებოდა არასრულფასოვნების კომპლექსი. მან კარგად იცოდა რუსთველის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ რობაქიძისა და ქართული მწერლობის სხვა დიდოსტატების რეალური სიმაღლე.

კლასიკოსთა თხზულებებისა და მისი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის კითხვა და რეფლექსირება მრავალფეროვან კვალს ტოვებდა გურამ რჩეულიშვილის

შემოქმედებაში. ეს არის ციტირებები, შედარებები და ალუზიები, რომელთა ანალიზიც დიდ დახმარებას გვიწევს მწერლის მხატვრული ნააზრევის სრულყოფილ აღქმაში.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგად ამოკითხულ იქნა ხელნაწერთა გაურკვეველი ადგილები, დაზუსტდა ტექსტები, დათარიღდა არაერთი პირადი წერილი და მხატვრული ტექსტი, დადგინდა თხზულებებში მოხსენიებულ პირთა ვინაობა. გარდა ამისა, ტექსტოლოგიური კვლევის პროცესში გამოიკვეთა ისეთი მასალა, რომელმაც საშუალება მოგვცა, უფრო ღრმად შეგვესწავლა მწერლის შემოქმედების არაერთი ასპექტი.

შენიშვნა: ნაშრომი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის (N DP2016-18 „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“) ფარგლებში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ავალიანი, ლ (2012). რუსულ-აფხაზური „იდილია“ გურამ რჩეულიშვილის „უკანასკნელი აბენსერაჟის“ მიხედვით. კრიტიკა. 7:3-16.
 2. ბაგრატიონი (ბატონიშვილი), თ. (1944). მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა. თბილისი: პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს სტამბა.
 3. ბერიძე, თ. (1986). რამდენიმე დღის გახსენება (მოგონებები გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებიდან). ცისკარი. 12: 136-138.
 4. გეწაძე, ა. (1954). დაჭრილის დღიურები. პირველი სხივი. 4:13.
 5. გოგოჭური, ნ. (2009). გურამ რჩეულიშვილი. ოლე 2: 6 –7.
 6. დანიბეგაშვილი, რ. (1950). მოგზაურობა ინდოეთში. (თარგმნა ს. იორდანაშვილმა). თბილისი: საბჭოთა მწერალის გამომცემლობა.
 7. დარვინი, ჩ. (1951). ბუნებისმეტყველის მოგზაურობა დედამიწის გარშემო გემ "ზიგლით". (თარგ. სეით იაშვილმა). თბილისი: საბლიტგამი.
 8. დურმიშიძე, ს. (1987). ზოგი რამ წარსულიდან, ახალგაზრდა პროზაიკოსი. თბილისი: მეცნიერება.
 9. ზედელაშვილი, ნ. (2008). ვაჰ, დრონი, დრონი... სიტყვა 7:56-60.
 10. იგნატოვი, კ. (2008). ჩემი პირველი ფრესკა. სიტყვა 7: 41-50.
 11. ინანიშვილი, რ. (2009). გურამ რჩეულიშვილი. სიტყვა 7: 46.
 12. კვაჭანტირაძე, მ. (2014). გურამ რჩეულიშვილის ტექსტი 50-იანი წლების რეალობის კონტექსტში. კრიტიკა. 9:23.
 13. მირცხულავა ა. (1956). მოგზაურობა ჩინეთში (პოეტის დღიურები), თბილისი: საბჭოთა მწერალი.
 14. ნინიძე, მ (2010). რეალობისა და მითის მხატვრული ინტერპრეტაცია „ბათარეკა ჭინჭარაულში“, ლიტერატურული ძიებანი. 31:195-204.
 15. ნინიძე, მ. (რედ.). (2016). ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატანისათვის, თბილისი, გამომც. „სამშობლო“.
 16. ნინიძე, მ., და ამირხანაშვილი, ი. (რედ.). (2017), ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატანე, თბილისი: მთაწმინდა.
- <https://www.dropbox.com/s/1z2r4ni24ws5pu2/ილია%20ჭავჭავაძე.pdf?dl=0>

(მომიებულია 28.02.2019წ.)

17. ნინიძე, მ., და გიგაშვილი, ქ. (2018) ტექსტოლოგია (სახელმძღვანელო სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის). თბილისი: პრინტჯეო.
18. ორბელიანი, ს. (1940), მოგზაურობა ევროპაში. თბილისი: ფედერაცია.
19. რადიშჩევი, ა. (1955), მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს. (თარგმ. დ. დეკანოზიშვილისა). თბილისი: სახელგამი.
20. რატიანი, ი. (2015), ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
21. რობაქიძე, გ. (1953). დღიური თეგან. პარიზი. ბედი ქართლისა: 14: 22.
22. რჩეულიშვილი, გ. (1957). სიყვარული მარტის თვეში, ნელი ტანგო, თვირთვილა, შემოდგომა ბაბუა კოტესი, სათაგური. ცისკარი 1: 52-65.
23. რჩეულიშვილი, გ. (1958). სიკვდილი მთებში, ცისკარი 2: 43-57.
24. რჩეულიშვილი, გ. (1960). ალავერდობა, ირინა. ცისკარი 7: 56-75.
25. რჩეულიშვილი, გ. (2002ა). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, (I ტ.). თბილისი: საარი.
26. რჩეულიშვილი, გ. (2002ბ). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, (II ტ.). თბილისი: საარი.
27. რჩეულიშვილი, გ. (2004). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, (III ტ.). თბილისი: საარი.
28. რჩეულიშვილი, გ. (2006). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, (IV ტ.). თბილისი: საარი.
29. რჩეულიშვილი, გ. (2007ა). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, (V ტ.). თბილისი: საარი.
30. რჩეულიშვილი, გ. (2007ბ). თხზულებათა სრული კრებული 6 ტომად, (VI ტ.). თბილისი: საარი.
31. სახოკია თ. (1950). მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი). თბილისი: სახელგამი.
32. ტაბიძე, გ. (1919). მარიამ ანტუანეტა. საქართველო 1:84.
33. შატობრიანი, ფ. (1947). რენე, უკანასკნელი აბენსერაჟი, ატალა. თბილისი: საბჭოთა მწერალი.

34. შილერი, ფ. (1954). რჩეული თხზულებანი. (III ტ.). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
35. წერეთელი, დ. (1953). მოგზაურობა პამირზე. თბილისი:საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
36. წერეთელი, ნ. (2009). მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ. თბილისი: ცოდნა.
37. Abbott, H. P.(1984). Diary Fiction: Writing as Action. Ithaca, NY and London: Cornell University Press.
38. Anderson J. (2002). The Poltergeist in William Faulkner's Light in August. USA: University Publishers.
39. Armstrong, G., Daniels, R. და Milner, S. (2015). The Cambridge Companion To Boccaccio, Cambridge University Press.
40. Burns, R. (2019). Chronology of Robert Burns's Life and Work. http://www.litscape.com/author/Robert_Burns/Chronology_of_Robert_Burns_Life_and_Work.html (მოძიებულია 20. VII.2019წ).
41. Chamberlin, B. (2015).The Hemingway Log: A Chronology of His Life and Times. Cansas: Univesity Press.
42. Eakin J. (1985). Fictions in Autobiography: Studies in the Art of Self-Invention. Princeton: University Press.
43. Fagnoli N., Golay M., და Hamblin, R. (2008) Critical Companion to William Faulkner. New York: Facts On File.
44. Green, S. (2008). Genre: Life Writing. New South Wales: English Teachers' Association.
45. Hocke, G. (1963). Das europäische Tagebuch. Wiesbaden: Limes.
46. Kralj, L (2006). Literary Criticism Contained in the Diary of a Writer: A Document or Fiction? Ljubljana: ZRC SAZU Publishing.
47. Levine B. (2019). Chronology of John Dewey's Life and Work. www.unav.es/gep/Dewey/CronologiaDewey.pdf (მოძიებულია 25.02.2019წ.)
48. Malinowski, B. (1967). A Diary in the Strict Sense of the Term. London: The Athlone Press.
49. Ninidze, M., და Rukhadze, G. (რედ.). (2017) Ilia Chavchavadze Life and Work

Chronicles. Tbilisi: Mtatsminda.

<https://www.dropbox.com/s/9x1fhmp27b84oa3/Ilia%20Chavchavadze.pdf?dl=0>

(მთიებულის 21.VIII.2019წ).

50. Olney, J. (1998). *Memory and Narrative: The Weave of Life-Writing*. Chicago: University of Chicago Press.
51. Onderdonk, T. (2005). *Male Feminization and the Self-Construction of Authorship in the Modern American Novel*. Texas: The University of Texas.
52. Progoff, I (1992). *At a Journal Workshop: Writing to Access the Power of the Unconscious and Evoke Creative Ability*. Los Angeles: J.P. Tarcher.
53. Rcheulishvili, G. (2017). *Unlocking the Door, Stories and plays translated by students at the University of Oxford*, თბილისი: სეზანი.
54. Skei, H. (1988). *The Humor of William Faulkner, American Studies in Scandinavia*. 20: 83-89.
55. Smith S., და Watson J. (2002). *Reading Autobiography: A Guide for interpreting Life Narratives*. Minnesota: University of Minnesota Press.
56. Stock, B. (1998). *Augustine: The Reader. Meditation, Selfknowledge and the Ethics of Interpretation*. Cambridge: Harvard University Press.
57. Urgo, J., და Abadie A. (რეჯი.) (2004). *Faulkner and His Contemporaries*. Mississippi: University Press of Mississippi.
58. Андреев, Л. (1957). *Вор, Рассказы*. Москва: Гослитиздат.
59. Арутюнова, Н. (1981). *Фактор адресата*. Известия АН СССР, Серия литературы и языка 40:4.
60. Бахтин, М. (1996). *Собрание сочинений в 5 томахю (том IV)*. Москва: Русские словари.
61. Бахтин, М. 2012). *О Природе «Дневника Писателя» Ф. М. Достоевского*. Вестник РГГУ. (История. Филология. Культурология, Востоковедение) 20:121.
62. Болдырев А. (1998), *Осадная запись: блокадный дневник*. Санкт-Петербург: Фонд регионального развития.
63. Гинзбург, Л. (2018) *О психологической прозе*. Ленинград: Художественная литература.

64. Есенин, С (2004). Полное собрание сочинений в семи томах. (том IV). Москва: Имли Ран.
65. Жуковский, В. 1903). Дневники. СПб.: Тип. т-ва Общественная польза.
66. Казакова, А. (1992). Врожденный гуманизм памяти, Книжное обозрение 14:5.
67. Калинина Е. (2012). Речевая свобода как основа конструирования Я-образа в личном дневнике. Вопросы филологии, искусствоведения и культурологии: сб. ст. по материалам XIII Междунар. науч.-практ. конф:55-63.
68. Кальщикова, Т. (2012). Дневник как вид коммуникативной деятельности (на материале дневника А. Блока). Екатеринбург: Нижний Тагил.
69. Лану, А (1957). Майор Ватрен. (Пер. с фр. Р. Ралова и Н. Столяровой). Москва: Гослитиздат.
70. Лермонтов, М. (1955). Герой нашего времени. Москва: Правда.
71. Лихачев, Д. (2006). Письма о добром. Москва: Наука.
72. Лондон, Дж (1957). Маленькая хозяйка большого дома. (Пер. В. О. Станевич). Алма-Ата: Казгослитиздат.
73. Лосев, А. (1997). Мне было 19 лет. Дневники. Письма. Москва: Русские словари.
74. Лотман, Ю. (1996). Автокоммуникация: Я и Другой как адресаты (О двух моделях коммуникации в системе культуры). СПб: Искусство.
75. Михайлов А. (2003). Теория литературы. (том III). Москва: Имли Ран.
76. Михайлов, Н. (2006). Теория художественного текста. Москва: Академия.
77. Михеев, М. (2007) Дневник как эго-текст (Россия, XIX-XX). Томск. Водолей Publishers.
78. Нагибин, Ю. (1996). Дневник. Москва: Книжный сад.
79. Пушкин, А. (1953), Пушкин и театр: Драм. произведения, статьи, заметки, дневники, письма. Москва: Искусство.
80. Рабенко, Т. (2018), Вариативное функционирование речевого жанра (на материале жанра личного дневника), Сибирский филологический журнал. 1:250-260.
81. Симонов, К. (1956). Норвежский дневник. Москва: Сов. писатель.
82. Сухотина-Толстая, Т. (1984). Дневник. Москва: Современник.
83. Сухотина-Толстая, Т. (1984). Дневник. Москва: Современник.

84. Танчин, К. (2005). Дневник как форма самовыражения писателя. Львов: Тернополь.
85. Толстая, С. (1978) Дневники, В 2 т. (Т. 1). Москва: Худож. лит.
86. Толстой, Л. (1955). О литературе: Статьи, письма, дневники, Москва: Гослитиздат.
87. Толстой, Л. (1985). О литературе: Статьи, письма, дневники, примеч. Ф. А. Ивановой, В. С. Мишина, А. И. Опульского и др. Москва: Современник.
88. Тургенев, И. (1954). Собрание сочинений, (Т. V), Повести и рассказы. Москва: Гослитиздат.
89. Фурманов, Д. (1934). Из дневников (Извлечения). Москва: Молодая гвардия.
90. Цвейг, С. (1956), Письмо незнакомки. (Пер. с нем. И. Шрайбера), Москва: Гослитиздат.
91. Чайковский, П. (1993), Дневники. 1873–1891 гг. , СПб: Северный олень.
92. Чехов, А. П (1950). Собрание сочинений (Т. X) Из Сибири: Остров Сахалин. Фельетоны, статьи. Записные книжки. Дневники. Москва: Гослитиздат.
93. Черняков, А. (2016). Турбинский семинар и окрестности (конец 1950-х - 1960-е годы). Вестник Московского Университета. 4: 119-130.
94. Чуковский, К. (2013). Собр. соч. в 15 т. (Т. XI), Дневники 1901–1921 гг., Москва: Агентство ФТМ, Лтд.
95. Шевченко, Т. (1954). Дневник. Москва: Гослитиздат.
96. Эккерман, И. (1986). Разговоры Гете в Последние Годы Его Жизни. (Перевод с немецкого Наталии Ман) Москва: «Художественная Литература». .

საარქივო მასალები

1. 1958 წლის 16 აპრილს მშობლებისადმი დეპეშის ბლანკზე დაწერილი ბარათი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N48:1-4.
2. გურამ რჩეულიშვილის მოსკოვიდან გაგზავნილი ბარათი(ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N69:1.
3. ალავერდობა (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის არქივი (გრცა). N 74:4.
4. ზღვის ნაპირას თავთხელ წყალში (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N79:6.
5. სიყვარული მარტის თვეში (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა).N 88:1.
6. ნელი ტანგო (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 107:1;6.
7. სათაგური (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N118:2.
8. თვირთვილა (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის არქივი (გრცა). N140:1.
9. ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N155:2.
10. უსახელო უფლისციხელი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის არქივი (გრცა). N251:5.
11. მოთხრობის „სიკვდილი მთებში“ ფრაგმენტი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 253:2.
12. დღიური (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 265:1.
13. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის, აკ. ძიძიგურის დასკვნა ლიბრეტოს შესახებ 1960 წლის 10 მაისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 280:1-2.
14. პიესა „იულონის“ ჩანაწერები (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 297:17.
15. პიესა „სალომე და გურამი“.(ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 306:22.

16. ბატონო ტელემხედველებო (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 314:2.
17. ჩანაწერები პიესისათვის „მარინა“ (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 316:1.
18. ნათელა (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 322:3.
19. პიესა „კა და კოს“ ჩანაწერები (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 347:2.
20. გურამ რჩეულიშვილი მთელი თვე ცხოვრობდა მოსკოვში (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 365:2.
21. თეთრი მონები (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 367:1.
22. 1958 წლის 17 მაისის დღიური (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 380:1.
23. ლიბრეტო კინოსცენარისათვის „ჩვენ ერთად მოვდივართ“ (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N458:8.
24. ჩანაწერები პიესისათვის „მარინა“ (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 316:2.
25. პიესა „კა და კო“ (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 340:10.
26. პიესა „კა და კოს“ ჩანაწერები (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 347:2.
27. 1957 წლის ოქტომბრის დღიური (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 412:1.
28. 1958 წლის 28 აგვისტოს დღიური (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 428:6.
29. გურამ რჩეულიშვილის სამივლინებო მოწმობა გორში, 1957 წლის 21 ივნისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 558:1.
30. პიესა „სურამის ციხის“ სცენა (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 649:1.

31. გურამ რჩეულიშვილის საცურაო აუზის საშვი, 1956 წლის 31 იანვარი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 659:4.
32. გურამ რჩეულიშვილის დაბადების მოწმობა (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 660: 2.
33. გურამ რჩეულიშვილის თსუ დიპლომი და ნიშნების ფურცელი, 1959 წლის 24 ივლისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 661: 1-5.
34. გურამ რჩეულიშვილის VIII კლასის ნიშნების ფურცელი, 1948-1949 სასწ. წელი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 663:1-2.
35. გურამ რჩეულიშვილის კომკავშირის საადრიცხვო ბარათი, 1956 წელი 13 აპრილი. (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 664:1-4.
36. ქ. წყალტუბოს სანატორიუმის წიგნაკი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 665:1-6.
37. ქ. წყალტუბოს სანატორიუმის ანალიზების პასუხები (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 666:1-5.
38. გურამ რჩეულიშვილის X კლასის წარმატების ფურცელი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 668:1-2.
39. გურამ რჩეულიშვილის II კლასის ნიშნების ფურცელი, 1942-43 სასწ. წელი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 669:2
40. გურამ რჩეულიშვილის VI კლასის ნიშნების ფურცელი, 1946-47 სასწ.წელი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 670:2.
41. ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის სამივლინებო ბარათი, 1960 წლის 6 მაისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არივი (გრცა). N 671:1-2.
42. გურამ რჩეულიშვილის კომკავშირის ბილეთი, 1956 წლის 13 აპრილი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 674:6.
43. გურამ რჩეულიშვილის წითელი ჯვრის ბილეთი, 1956წლის 13 აპრილი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა) .N 675:3.
44. გურამ რჩეულიშვილის IV კლასის ნიშნების ფურცელი 1945 წელი

- (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 676:1.
45. პიონერთა სასახლის ისტორიის კაბინეტის მოსაწვევი, 1950 წლის 8 დეკემბერი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 677:1-3.
46. პიონერთა სასახლის ისტორიის კაბინეტის მოსაწვევი, 1949 წელი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 678: 3.
47. გურამ რჩეულიშვილის პროფკავშირის ბილეთი, 1952 წლის 25 სექტემბერი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 679:1-4.
48. საჯარო ბიბლიოთეკის ბილეთი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 684:1.
49. გურამ რჩეულიშვილის ალპინისტის ბილეთი, 1954 წლის 7 ივლისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 691:1-4.
50. მარკა საყვარელიძის წერილი გურამ რჩეულიშვილს, 1958 წლის 4 მარტი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 694:1-2.
51. თსუ ჩათვლის წიგნაკი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 709:1- 12.
52. მარიამ ნიჟარაძის წერილი ალექსანდრა ჯავახიშვილს (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 716:1-2.
53. მარიამ ნიჟარაძის წერილი ალექსანდრა ჯავახიშვილისადმი (ავტოგრაფი) . გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 721:1-2.
54. გურამ რჩეულიშვილის განცხადება სახელმწიფო მუზეუმში მისაღებად 1959 წლის 25 მარტი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 727:1.
55. გურამ რჩეულიშვილის ავტობიოგრაფია, 1959 წლის 25 მარტი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 729:1.
56. ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის კადრების არღიციხვის ფურცელი, 1960 წლის 3 მაისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 730: 1-2.
57. გურამ რჩეულიშვილის 1960 წლის 17 მარტის განცხადება ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმში მიღებასთან დაკავშირებით (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 731:1.

58. გურამ რჩელიშვილის 1960 წლის 18 ივლისის განცხადება ჯანაშიას სახ ისტორიული მუზეუმიდან გათავისუფლების შესახებ (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 733:1.
59. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექციის ბრძანება გურამ რჩელიშვილის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე, 1960 წლის 18 ივლისი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 734:1.
60. გურამ რჩელიშვილის მიერ გამოფრული ლურსმული წარწერები (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 736:1-28.
61. ალპინისტის საადრიცხვო ბარათი, 1951 წელი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 740:1- 4.
62. ალპინისტურ კლუბ „ნაკრას“ სიგელი, 1955 წლის 25 დეკემბერი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 741:1.
63. თსუ დაჯილდოების მოწმობა კარპატების დალაშქვრის გამო, 1956 წელი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი(გრცა). N 742 :1.
64. ალპინიზმის ინსტრუქტორის მოწმობა, 1953 წლის 31 დეკემბერი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 747:1-4.
65. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის N 63 ბრძანების ამონაწერი 1960 წლის 26 აპრილიდან გურამ რჩელიშვილის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად გადაყვანის შესახებ (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 748:1 .
66. ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მოსაწვევი, 1959 წლის იანვარი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 784:1.
67. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის ცნობა, 1958 წლის, 23 იანვარს გურამ რჩელიშვილის მოსკოვში გაგზავნასთან დაკავშირებით (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 792 :1.
68. თსუ-ში საბუთების მიღების ხელწერილი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 805:1.
69. ცნობა მილიციაში წარსადგენად, 1956 წლის 26 სექტემბერი (ავტოგრაფი). გურამ რჩელიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 806:1.
70. სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის ცნობა მივლინების დადასტურების

- შესახებ, 1957 წლის 31 ოქტომბერი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 813:1.
71. ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ განცხადება მარინე რჩეულიშვილისთვის გურამ რჩეულიშვილის ჰონორარის გადაცემის შესახებ (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 822:1
72. გურამ რჩეულიშვილის ბიოგრაფია მარინე რჩეულიშვილის მიერ დაწერილი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 827:1-4.
73. გურამ რჩეულიშვილის ბიოგრაფია მიხეილ რჩეულიშვილის დაწერილი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 828:1-3.
74. ალპიური კლუბის ცნობა, 1954 წლის 16 ივლისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 934:1.
75. გურამ რჩეულიშვილის განცხადება საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარისადმი, 1956 წლის 8 ივნისი (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 936:1.
76. ალპიური კლუბის მითითება ინსტრუქტორისათვის (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 937:1.
77. შაშას რეკოლუცია (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N 981:2.
78. ლევან მალაზონია, მოგონება (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N1021:1-4.
79. მარინე ბულიეშვილი, მოგონება (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N1022:1-8.
80. გიოლინა ჭიჭინაძე, მოგონება (ავტოგრაფი). გურამ რჩეულიშვილის ციფრული არქივი (გრცა). N1023:1-4.